დიასპორა

საზოგადოებრივ-სამეცნიერო

ჟ ურ ნ ა ლ ი

№6-7

2021 - იანვარი - 2022

ნომერზე მუშაობდნენ

რევაზ გულუა

მთ. რედაქტორი
მარინე დამენია

თამაზ გვენეტაძე

იგორ კეკელია

ლელა კვირტია

ზაურ ჯალაღონია

მაია მიქაბერიძე

ნონა ქობალია

ვალერი ძაძამია

სვეტლანა ხოფერია

მათე შონია

ოთარ გუგუჩია

ნონა ქობალია

დათო (ერნესი)
ქაქუთია

როლანდ მაქაცარია

ფერიდე აფაქიძე

ვლადიმერ
ასლანიშვილი

მურმან
თავდიშვილი
სტილისტი

დ ი ს კ უ ს ი ა

საზოგადოებრივი

რედაქციისაგან

შობა-ახალი წლის მილოცვა ----------5

ემიგრანტი

მათე შონია

უცხო ქვეყანაში მოღვაწეობა! ბედნიერს როდი მხდის --------11

პედაგოგიკა — ფიზიკა

რევაზ გულუა, ოთარ გუგუჩია

წარმოდგენითი ექსპერიმენტი — ფიზიკური კვლევის ინსტრუმენტი და მისი გამოყენება სწავლებაში ---------- 13

არქეოლოგია

ვლადიმერ ასლანიშვილი

ცაიშელები ----------15

ისტორია

ფერიდე აფაქიძე

დადიანების უკანასკნელი მოურავი — ვლადიმერ ალშიბაია ----------19

მარინე დამენია

საქართველოს პირველი კონსტიტუცია 100 წლისაა. ---------23

მაია მიქაბერიძე

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პირველი გამოცემები ---------- 56

იგორ კეკელია

„ჭვენიერობა“ ბანძაში ----------61

ზაურ ჯალაღონია

ნაკიანის თემში საეკლესიო ცხოვრების ისტორიიდან --------- 68

საქართველოს დამოუკიდებლობისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელმომწერები

მარინე დამენია

იოსებ აბაკელია ---------- 73

გურამ მაქაცარია ---------- 75

მედია ისტორია

მარინე დამენია

გაზეთი „საბჭოთა სოფელი“ ---------- 77

ანზორ ბარამია ---------- 79

სვეტლანა ხოფერია

პროკოფი ჩაგანავა ---------- 84

დათო ერნესი (ქაქუთია)

თანამედროვე მედიის პრობლემა ---------- 86

საქართველოს მუზეუმები

სვეტლანა ხოფერია

სიმონ ჩიქოვანის სახლ-მუზეუმი ---------- 87

ვახტანგ ჩიქოვანი ---------- 90

მარინე ქობალია

სიახლენი დადიანებში ---------- 91

ეთნოგრაფია

ნონა ქობალია

მეგრულ კაცთა სამშობიარო რიტუალი „მითორგინაფა“ (– როგორ ინაწილებდა მამრი მდედრის ტვირთს) ---------- 93

ლიტერატურა

ლელა კვირტია

ტექსტი, როგორც ლიტერატურული სამყარო (გურამ დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“) ---------- 95

ჟურნალი აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „დისკუსიაში“
მისამართი: ქ. ზუგდიდი. ტელ 557 567 116
ელექტრონული მისამართი: gamomcemlobadiskusia@gmail.com

თამაზ გვენეტაძე

ბარონი არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერი ---------- 100

დათო ერნესი (ქაქუთია)

ზღვარს გადაფრენილთა ფრთები ---------- 112

ვალერი ძაძამია

დანიელ ფიფიას რაინდული ღირსებებიდან ---------- 114

როლანდ მაქაცარია

კარლო მაქაცარია — 100 ---------- 117

მარინე დამენია

ალექსანდრე ჟღენტი ---------- 118

ნესტან ფიფია

ზურაბ გუჩუა ---------- 119

მარინე დამენია

ვახტანგ მეუნარგია ---------- 120

ზაურ მოლაშხია ---------- 121

გოგი შონია ---------- 125

თენგიზ (ჩოქო) მხეიძე ----------127

რეზო ჯიქია ---------- 129

გურამ ლაკია ---------- 131

ზური კვარაცხელია

რეზო ასმავა ---------- 133

მარინე დამენია

ზვიად ქობალია ---------- 133

ზალოგ კვარაცხელია ----------134

ისინი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და კანონიერების აღდგენისათვის იბრძოდნენ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ: ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲝ, ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲝ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „დისკუსიის“ რედაქციის სახელით გილოცავთ შობა-ახალ წელს.

2019 წლიდან ჟურნალმა „დისკუსიამ“ ბეჭდურ მედიაში თავისი ადგილი დაიმკვიდრა. ჟურნალში შემოქმედებით მონაგარს აქვეყნებენ არა მხოლოდ რეგიონის მეცნიერ-თანამშრომლები, ინტელიგენცია. ავტორები დედაქალაქიდან და უცხოეთიდანაც (თურქეთი, გერმანია..) გვაწვდიან მასალებს.

მასში გამოქვეყნებულია თემატურად მრავალმხრივი მასალა. ესაა ისტორია, რელიგია, ფილოსოფია, მედიაისტორია; საქართველოს მუზეუმები, სამართალმცოდნეობა, კრიმინალისტიკა, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ფოლკლორი, ლიტერატურა... სტატიები იმის მაუწყებელია, რომ მათი გამოცემა დროული იყო.

„დისკუსია“ თავის მისიას ასრულებს. როგორ? — ცოდნის, შეხედულებებისა და იდეების ურთიერთგაზიარებით, აზრთა ჭიდილითა და ძიებით.

ნიჭიერი შემოქმედებითი თაობა, „დისკუსიის“ თითოეული ავტორი თავის განსაუთრებულ სიტყვას ამბობს...

საზოგადოებრივ-სამეცნიერო ჟურნალთან სამი წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს თანამშრომლობდნენ:

ლაშა ჯიქია — ისტორიკოსი, არქეოლოგი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი;

ნანა აბულაძე — ფილოლოგიის დოქტორი;

ჯამბულ ნაჭყებია — სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ისტორიის მაგისტრი;

ლევან ჯიქია — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

შორენა ლომაია — დუზჯეს (თურქეთის რესპუბლიკა, სტამბული) უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

მაკა სალია — დუზჯეს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

პაატა ლაგვილავა — სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეთ ადმინისტრაციის პრესცენტის ხელმძღვანელი;

ვალერი ძაძამია — ისტორიკოსი, პედაგოგი, ლიტერატურულ გაზეთ „ნოჯიხურის“ დამფუძნებელი და რედაქტორი;

ზეინაბ სარია — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ლიტერატურულ ჟურნალ „ებგურის“ დამფუძნებელი და რედაქტორი;

ლადო ქირია — ფილოსოფოსი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი;

ლელა კვირტია — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

ზაალ ჯალაღონია — ლიტერატორი;

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲘᲥᲘᲐ



ᲜᲐᲜᲐ ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔ

ᲜᲔᲡᲢᲐᲜ ᲤᲘᲤᲘᲐ

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲐᲑᲔᲓᲐᲕᲐ

ᲯᲐᲛᲑᲣᲚ ᲜᲐᲭᲧᲔᲑᲘᲐ

ᲡᲕᲔᲢᲐ ᲛᲘᲥᲐᲕᲐ

ᲛᲐᲘᲐ ᲛᲘᲥᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ

სვეტლანა ხოფერია

ლაშა ჯიქია

ზაალ ჯალაღონია

ნონა ქობალია



მზისარად ჯაფანძე

გელა მამფორია

როლანდ მაქაცარია

ვალერი ძაძამია

ფერიდე აფაქიძე

თამაზ გვენეტაძე

სვეტლანა ხოფერია — ჟურნალისტი (აბაშა);

მზისადარ ჭაფანძე — დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის თანამშრომელი;

ვახტანგ გაბედავა — სამართლის აკადემიური დოქტორი;

ნაზი ქორთუა — დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის თანამშრომელი;

ნონა ქობალია — ჟურნალისტი, ეთნოგრაფი;

როლანდ მაქაცარია — ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ზუგდიდის სპორტის მუზეუმის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი;

გოგიტა ჩიტაია — ისტორიკოსი, ხობის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი;

ნესტან ფიფია — ფილოლოგიის დოქტორი, შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

გელა მამფორია — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

ზაურ ჯალაღონია — ჩხოროწყუს ისტორიული მუზეუმის დირექტორის მოადგილე;

ლალი ჭითანავა — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

ფერიდე აფაქიძე — დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ფონდის მცველი;

სვეტა მიქავა — ისტორიკოსი, სიძველეთა მკვლევარი, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის თანამშრომელი;

მერაბ ქვაჩახია — დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის არქეოლოგიური ფონდის მცველი,

რევაზ პაპუაშვილი — ისტორიის მეცნ. დოქტორი;

იგორ კეკელია — ისტორიის მეცნ. დოქტორი;

კონსტანტინე (კოტე) ჭილაია — ისტორიკოსი, მთარგმნელი, ჟურნალისტი;

მაია მიქაბერიძე — საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკას“ მთავარი რედაქტორი.

დათო ერნესი ქაქუთია — პოეტი, ჟურნალისტი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობის უფროსი სპეციალისტი.

ვლადიმერ ასლანიშვილი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

თამაზ გვენეტაძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მთარგმნელი (გერმანია);

მურმან თავდიშვილი (ჟურნალის სტილისტი) — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

რევაზ გულუა — პედაგოგიკის დოქტორი;

ოთარ გუგუჩია — პედაგოგიკის დოქტორი;

თეა მიშველია — დამკაბადონებელ-კორექტორი.

ვოლფგანგ ფოიერშტაინი — გერმანელი ქართველოლოგი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, თუბუნენის უნივერსიტეტის დოცენტი.

ყოველი ნომრის გამოსვლის შემდეგ ზუგდიდის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში (მადლობა ამისთვის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას) საზოგადოების წინაშე წარვადგენთ ჟურნალის მორიგ ნომერს. პანდემიის პერიოდში „ზუმის ოთახში“ შევხვდით ავტორებს. ავტორებსა და მკითხველებთან შეხვედრისას ვინიშნავთ მათ მოსაზრებებს და ვცდილობთ ისინი შესაძლებლობისამებრ გავითვალისწინოთ.

დაგეგმილი იყო ჟურნალის გამოცემა წელიწადში სამჯერ, თუმცა ეს ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ... ალბათ გასაგებია რატომაც: ფინანსები... ფინანსები... ფინანსები... ჩვენ არა გვყავს დამფინანსებელი. უკვე მერამდენე წელია საკუთარი ხარჯით გამოვცემთ ჟურნალს. ამიტომ მივმართავ უკლებლივ ყველას, რეგიონის ხელმძღვანელობას, ავტორებს, მკითხველებს... ვისაც როგორ შეგიძლიათ, დაეხმაროთ ჟურნალის რედაქციას ამ მეტად საშური საქმის აღსრულებაში. მჯერა, ამ თხოვნას გაგებით მოეკიდებით და ჩვენი ჟურნალი არსებობას გააგრძელებს.

ჩვენი რეკვიზიტებია:

ა.ა.ი.პ. გამომცემლობა „დისკუსია“

ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“ 22

ანგარიშის ნომერია: 27 0000000162738000

აქვე დავაანონსებ; ჟურნალ „დისკუსიის“ რედაქცია მზადაა მოემსახუროს ნებისმიერ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს, მეტადრე ავტორებს საგამომცემლო (ჟურნალ-გაზეთების, წიგნების აწყობა-დაკაბადონება-გამოცემა) საქმიანობაში.

უფალი იყოს თქვენი, ჩვენი და სრულიად საქართველოს მფარველი. ამინ!

პატივისცემით — მარინე დამენია
დამსახურებული ჟურნალისტი,
ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის
გამგეობის წევრი,
საქართველოს მედია მუზეუმის დამფუძნებელი,
ჟურნალ „დისკუსიის“ რედაქტორი
და გამომცემელი.

ლადო ქირია

ნაზი ქორთუა

გოგიტა ჩიტაია

ლალი ჭითანავა

შორენა ლომაია

კოტე ჭილაია

რევაზ პაპუაშვილი

ზეინაბ სარია

მარინა ქობალია

ზაურ ჯალაღონია

ვლადიმერ ასლანიშვილი

დათო (ერნესი) ქაქუთია

პაატა ლაგვილავა

ოთარ გუგუჩია

ლელა კვირტია

რევაზ გულუა

მურმან თავდიშვილი

ვოლფგანგ ფოიერშტაინი

თეა მიშველია

ფოტოკოლაჟი





ფერიდე აფაქიძე
jambul Natchkebia


MARINE DAMENIA
მზისა ჭაფანძე

უცხო ქვეყანაში მოღვაწეობა ბედნიერს როდი მხდის!

ემიგრანტი მათე შონია, ჩვენი ქალაქის — ზუგდიდის — ერთ-ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა, მხოლოდ იმის გამო, რომ ვერ შეძლო საკუთარ სამშობლოში ცოდნის რეალიზება, იძულებული გახდა საქართველოდან წასულიყო.

მათე შონიამ თავის სოციალურ გვერდზე სულის შემძვრელი წერილი დადო, რომლის მიმართაც გულგრილი ვერ დავრჩი...

ჩემმა მეგობარმა ცოტა ხნის წინათ მითხრა ასეთი რამ: „ჩვენ ბაზარში ვერ გავსულვართ ისე, რომ ხალხმა ვერ გაიგოს და შენ როგორ გაიპარე ასე ჩუმად გერმანიაშიო“. ოთხ თვეზე მეტია, რაც ჩამოვედი და ნელ-ნელა ვეჩვევი აქაურობას. ახალგაზრდა ვარ და რა მიჭირს (როგორც ამბობენ). მე კი მგონია, რომ სწორედ ევროპაში წამოსულ ხალხს „უჭირს“ და იმის თქმა, რომ წავიდა, გააღწია, გულაობსო, სრული უმეცრებაა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი დღიდან კომუნიკაცია არავისთან გამჭირვებია, მაინც ძალიან რთული იყო ჩემთვის (ახალგაზრდა ბიჭისთვის) ყველაფერ ახალთან შეგუების პროცესი. წარმოიდგინეთ, რა რთული შეიძლება იყოს ცხოვრებაგამოვლილი დედისთვის ყოველივე, რომელიც საკომუნიკაციო ენას პირველად პირველ სამუშაო დღეს ეგებება და ხვდება.

გეტყვით, რომ იდენტობადაკარგულის ემოცია ჩნდება ადამიანში, შენი წარსული ცხოვრება თვალებში სხვადასხვა მომენტს ღრმა ბავშვობიდან დაწყებული დღემდე თავიდან გიხატავს და ყველაფერი იმაზე მეტად გენატრება, ვიდრე ამის შეგრძნება შეგიძლია. მხოლოდ მაშინ მივხვდი, თუ რამხელა სიძლიერეს იჩენენ ეს მანდილოსნები, როდესაც ქვეყანას, ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს ტოვებენ. ჩემი წუხილი და გამოცდილება რა მოსატანია იმ სირთულეებთან შედარებით, რომელთა გამოვლაც ამ ადამიანებს მოუწიათ. მე ხომ მანდ არც შვილი დამიტოვებია, არც შვილიშვილი.

ფოტოებში თქვენ ხედავთ მცირე ნაწილს მამაცი, ოჯახისა და ქვეყნის გადასარჩენად წამოსული, გმირი დედების, ბებიების და ახალგაზრდებისა. როდესაც ამდენ ქართველს ერთად თავმოყრილს ვხედავდი, დიდი სიხარული და სევდა ერთდროულად მიპყრობდა; ალბათ სევდა მეტი ახლდა ამ ემოციას, ვიდრე სიხარული, რადგან იტალიის სამხრეთის ერთ-ერთ პატარა ქალაქში აღმოჩნდა ამდენი ქართველი, მოწყვეტილი სამშობლოს, მიწას, ოჯახს, ყველაფერს, რაც მათთვის მნიშვნელოვანი და ფასდაუდებელია. მათ შორის ერთ-ერთი დედაჩემი გახლავთ. ჩემი ახალი გამოცდილებით, ალბათ დაახლოებით მაინც შევძელი შემეცნო მათი გმირობის ამბავი, ახლოდან ხომ მაინც შევხედე ყოველ შემთხვევაში. ერთი კვირის განმავლობაში მაქსიმალურად ვცდილობდი სახეზე ბუნებრივი ღიმილი მქონოდა, ავად თუ კარგად გამომდიოდა კიდეც, თუმცა ვაი ასეთ ღიმილს!

შეიძლება ვინმემ თქვას, თავის გზას ყველა თვითონ ადგებაო და ეგ ნაწილობრივ სიმართლეცაა, თუმცა, როდესაც მილიონზე მეტი ადამიანი ქვეყნიდან საშოვარზეა გასული, ნიშნავს იმას, რომ სიტუაცია გვაქვს საგანგალო. ყველივე ამასთან ერთად, არავინაა დაინტერესებული ამ ხალხის ბედით, არავინ კითხულობს, თუ რამდენი ადამიანი გადის ქვეყნიდან და უკან აღარ ბრუნდება. ეს ტენდენცია მიუთითებს თუ რამდენად მძიმეა არსებული ვითარება და ამას გააზრებაც უნდა. სამწუხაროდ, ბევრი ამას ახერხებს.

ისინი, ვინც მთავარ საკითხებს გვერდზე გამიზნულად დებთ და საკუთარ სამზარეულოში დაურეცხავი ნიჟარა უფრო დიდი პრობლემა გგონიათ, ხელს აწერთ ამ ადამიანების კიდევ მრავალი წლით უცხო მიწაზე ყოფნაზე. ეს ქალბატონები კი ახლა, ჩემო ლამაზებო, შვილიშვილებთან უნდა ისხდნენ, მეუღლეებთან ერთად სიცოცხლის ბოლო ათწლეულებით ტკბებოდნენ, ოჯახის კერას ათბობდნენ და ძილის წინ შვილიშვილებს ზღაპრებს უკითხავდნენ. ეს წადილი თითოეული მათგანის თვალებში ძალიან მარტივი ამოსაკითხავი და შესამჩნევია. თითოეული ადამიანი, ვინც ვიწრო თვალთახედვით უყურებს ყოველივე ამას, საკუთარი უმეცრებით და ხელს უწყობს არსებული სიტუაციის განმტკიცებას, არ ამბობს ცუდზე ცუდს და კარგზე — კარგს იგი თავისი თავის, ქვეყნის, მეზობლისა და საკუთარი მომავლის მტერია. მე თქვენ მშიშარა და გაუბედავ ადამიანებად მიგიჩნევთ, რაკიღა იმით კმაყოფილები ხართ, რომ დღეს მანქანაში ბენზინს ასხამთ და შაბათობით ქალაქგარეთაც გადიხართ ხოლმე. მე მრცხვენია ასეთი ხალხის, ადამიანებისა, რომლებიც ოთხ კედელს მიღმა მოცემულობას მოცემულობად არ აღიქვამენ და გულთან ახლოს არ მიაქვთ ქვეყნის საერთო მდგომარეობა. დღეს უფრო მნიშვნელოვანი გახდა ის, თუ ვინ ვის წაართვა მიკროფონი, ვინ ვის დაუყეფა და რატომ. ტრაგედია თავს დაგვტრიალებს და ჩვენ კი „შილაკის ფერზე“ ვფიქრობთ.

ახლა კი დავუბრუნდეთ იმ საკითხს, რითაც დავიწყეთ — რატომ წამოვედი ასე უსიტყვოდ საქართველოდან? პასუხი არ არის რთული... ბედნიერს არ მხდის უცხო ქვეყანაში მოღვაწეობა! აქ ახალგაზრდები უნდა მოდიოდნენ გამოცდილების მისაღებად და ბრუნდებოდნენ უკან! არ მახარებს ოჯახებს მოწყვეტილი მშობლები, ახლობლები, მეგობრები! არ მახარებს სიჭარბე გაუბედურებული ხალხისა ჩვენს ქვეყანაში! მიუხედავად ბევრი დადებითი ასპექტისა, ეს ჩემი ევროპული ცხოვრების ყველაზე დიდი და რთულად შეგუებადი ნაწილია, რაც წამითაც არ მავიწყდება. ვიმედოვნებ, რომ ერთ დღეს დაგროვებული გამოცდილებით დავბრუნდები საქართველოში, მოვიხდი ჩემს წილ ვალს და მცირეოდენ წვლილს შევიტან ისეთი მომავლის შექმნაში, როცა მშობლები შვილებს სიყვარულსა და მხარდაჭერას ჩახუტებით აგრძნობინებენ, შვილები კი თავიანთი ნაშიერების მომავლისთვის იბრძოლებენ. სირთულეებს აუცილებლად გადავლახავთ, ამაში ეჭვი არ მეპარება.

ვისურვებდი, რომ ინდივიდებს აზროვნება დაეწყოთ და თვალდახუჭული სიარულის ნაცვლად ფართოდ გაეღოთ თვალი და გონება, რადგან საერთო კეთილდღეობა ვერ აშენდება ინდივიდების კეთილდღეობის მიუღწევლად.

უკეთესი მომავლის „კენწეროში“ გატკბილების იმედით...

ემიგრანტი დედის ნანი გვასალიას პასუხი ემიგრანტი შვილისადმი.

„მე ბედნიერი ვარ, დედი, შენით. ყოველგვარი სიტყვების გაუხმაურებლად დავტოვებ ამ შენს წერილს და ჩავიხუტებ გულში. მიყვარხარ და მეამაყები.

კი, დედი, აუცილებლად გათენდება საქართველოშიც და, რაკიღა შენნაირად მოაზროვნე ახალგაზრდები ჰყავს საქართველოს, გადაშენება არ უწერია. მადლობა, დედი, რომ მყავხარ და ჩემი შვილი გქვია. ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ, მე მჯერა შენი.

უფალმა დალოცოს ყველას დედაშვილობა, ყველა ემიგრანტი, სრულიად საქართველო და მთელი სამყარო!“

წარმოდგენითი ექსპერიმენტი – ფიზიკური კვლევის ინსტრუმენტი და მისი გამოყენება სწავლებაში

ფიზიკა ერთ-ერთი წამყვანი საბუნებისმეტყველო მეცნიერებაა. ფიზიკური კვლევის ექსპერიმენტული მეთოდისათვის დამახასიათებელია ფიზიკურ მოვლენათა მიმდინარეობების პირობების შეცვლის შესაძლებლობა, ყოველმხრივი შესწავლა ფიზიკური პროცესებისა და მათ აღმწერ სიდიდეებს შორის კავშირის დამყარება. ფიზიკური კვლევის თეორიული მეთოდისათვის დამახასიათებელია თეორიული მსჯელობა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა ფიზიკურ მოვლენებს და ხსნის ამ კავშირებს დასაშვებ ძირითად დებულებებზე დაყრდნობთ. ეგ კი საშუალებას გვაძლევს, ჩამოვაყალიბოთ ფიზიკურ მოვლენათა არა მარტო თეორია, არამედ ვიწინასწარმეტყველოთ კიდევ ახალი ფაქტები და კავშირები მოვლენათა შორის. ექსპერიმენტული და თეორიული მეთოდების ლოგიკა ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც მეცნიერული, ისე სასწავლო შემეცნებისთვის.

ფიზიკური ობიექტი, პროცესი მრავალი თვისების მატარებელია. ეს უადრესად ართულებს მის გამოკვლევას, ამიტომ ფიზიკა იყენებს იდეალიზაციის მეთოდს. ნებისმიერი ფიზიკური ცნება, ფიზიკის კანონი იდეალიზაციის შედეგად არის მიღებული. იდეალიზაციის მაგალითებია: ინერცია, აბსოლუტურად დრეკადი დაჯახება, ჰარმონიული რხევა და სხვ. იდეალიზაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული მოდელირებასთან. ფიზიკის სწავლების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა არის რეალურ და წარმოდგენით ექსპერიმენტებზე დამყარებული მსჯელობების საშუალებით მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს ექსპერიმენტული და თეორიული კვლევის უნარ-ჩვევები.

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ მოდელისა და რეალური ობიექტის მსგავსება არასრულია. მოდელი მხოლოდ სქემატურად ცვლის შესასწავლ ობიექტს. მოდელის გამოკვლევით მიიღება ინფორმაცია ობიექტის შესახებ. ამიტომ მოდელი არის კვლევის ობიექტიცა და ექსპერიმენტის დაყენების საშუალებაც. მოდელზე ჩატარებული ექსპერიმენტი განსხვავდება პირდაპირი ექსპერიმენტისგან.

ფიზიკური მოდელი საშუალებას იძლევა ვიწინასწარმეტყველოთ ცდების შედეგები, ვეძიოთ გამოსაკვლევი ფიზიკური პროცესების ახალი გამოვლინებები და მათ საფუძველზე სრულვყოთ მოდელი. ფიზიკურ მოდელს აქვს გამოყენების საზღვრები. უნდა გვახსოვდეს: ფიზიკური მოდელი ასრულებს გზის მანათობელი შუქურის როლს. ის უპირატესად მხოლოდ თანამგზავრია იმ ერთ-ერთ გადასახვევამდე, სადაც შესასწავლი ობიექტისა და მისი მოდელის გზები იყრება.

შემეცნებითი თვალსაზრისით წარმოდგენითი მოდელი გრძნობადისა და აბსტრაქტულის ერთიანობაა. წარმოდგენითი ექსპერიმენტი იყოფა ორ ჯგუფად: წარმოდგენითი ექსპერიმენტები, რომელთა განხორციელება რეალურად პრინციპულად შეუძლებელია, და წარმოდგენითი ექსპერიმენტები, რომელთა დაყენება რეალურად შესაძლებელია.

პირველად გალილეო გალილეიმ გამოიყენა წარმოდგენითი ექსპეტრიმენტი ფიზიკური კვლევის ინსტრუმენტად: „თუ გალილეი პირველ ფიზიკოსად ითვლება, უპირველესად იმიტომ, რომ მან აღმოაჩინა ფიზიკური კვლევის მეთოდი, მანამდე სრულიად უცნობი: რეალური ცდების საფუძვლებზე, არაძირითადის უგულვებელყოფით, წარმოსახვითი, იდეალიზებული ცდების განხილვაზე გადასვლა და მათი გამოკვლევით ბუნების უზოგადესი კანონების დადგენა. უამისოდ, ასეთი აბსტრაქციის, მოდელირების გარეშე შეუძლებელია ფიზიკის შექმნა და შესწავლა“[1].

წარმოდგენით ექპერიმენტს დიდი ყურადღება დაუთმეს ნილს ბორმა, დე ბროილმა, ჰაიზენბერგმა, ზომერფელდმა, პლანკმა, აინშტაინმა.

აინშტაინის თვალსაზრისით, წარმოდგენითი ექსპერიმენტი უნდა ეყრდნობოდეს ობიექტურად არსებულ მეცნიერულ ფაქტებს და გამოირიცხოს ყველა დაშვება და წინაპირობა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სინამდვილის ობიექტურ კანონებს. მაგალითად, ვინაიდან სინათლის სიჩქარე ვაკუუმში არის მაქსიმალური სიჩქარე ბუნებაში, უაზროა ყველა წარმოდგენითი ექსპერიმენტი, სადაც ნაწილაკის სიჩქარე აღემატება სინათლის სიჩარეს, ასევე უაზროა ის წარმოდგენითი ექსპერიმენტები, სადაც არის მცდელობა დაამტკიცონ პირველი და მეორე გვარის მუდმივი ძრავის აგების შესაძლებლობა, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება ბუნების ფუნდამენტურ კანონებს — ენერგიის გარდაქმნის კანონს და ბუნების პროცესების შეუქცევადობას.

გალილეიმ ინერციის პრინციპის ჩამოყალიბება შეძლო დახრილ სიბრტყეზე სხეულის მოძრაობის ექსპერიმენტების შედეგების განზოგადებით. ინერციის პრინციპის შემოწმება პირდაპირი რეალური ექსპერიმენტით არ შეიძლება. „თავისუფალ მოძრაობას რაიმე საჩინო მიზეზი არ აქვს. ჩვენ არ ვიცით, რატომ აქვთ საგნებს წრფეზე მარადიული მოძრაობის უნარი, ინერციის კანონის არსებობა დღემდე გამოცანად რჩება“[2].

წარმოდგენით მოდელზე ექსპერიმენტების

ჩატარებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ის არ მოსწყდეს მეცნიერულ ფაქტებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია ე.წ მაქსველის „დემონი“. მაქსველმა განიხილა გაზიანი ჭურჭელი, რომელიც ნახვრეტიანი ტიხრით გაყოფილია ორ ტოლ ნაწილად. დავუშვათ, რომ „დმონი“ ხედავს ნახვრეტისაკენ მოძრავ მოლეკულებს, საზღვრავს მათ სიჩქარეს და აღებს და ხურავს ნახვრეტს ისე, რომ A-დან B-ში სწრაფ მოლეკულებს.

ხოლო B-დან A-ში ნელ მოლეკულებს. ამით იგი აგროვებს სწრაფ მოლეკულებს B-ში და ნელ მოლეკულებს A-ში, ე.ი, ქმნის ტემპერატურათა სხვაობას მუშაობის შეუსრულებლად. ასეთი პროცესი ეწინააღმდეგება მეორე თერმოდინამიკურ კანონს, ვინაიდან მისი განხორციელება იქნებოდა წონასწორული მდგომარეობიდან არაწონასწორულ მდგომარეობაში თავისთავად გადასვლა. მაშასადამე, „დემონმა“ შეიძლება დაარღვიოს თერმოდინამიკის მეორე კანონი[3].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხარაძე თ., რელატივისტური კლასიკური ფიზიკის საფუძვლები სასკოლო კურსში, თბ., ინტელექტი, 2003, გვ.20.
2. Фейнман Р., Характер физических законов., М., Наука, 1987, ст. 14.
3. მირიანაშვილი მ., ზოგადი ფიზიკის კურსი, ნაწილი II, თბილისი, განათლება, 1966, გვ. 124.
4. გუგუჩია ო., გულუა რ., სახეიშვილი გ., იდეალური მოდელი ბუნების მეცნიერულ შემეცნებაში (რუსულ ენაზე), სოხუმი, 1990.



რევაზ გულუა
პედაგოგიკის დოქტორი

ოთარ გუგუჩია
პედაგოგიკის დოქტორი

ᲪᲐᲘᲨᲔᲚᲔᲑᲘ

2007 წელს ზუგდიდის რაიონის სოფ. ცაიში-ცაცხვში გაითხარა სამარხი ორმო №2, დათარიღებული ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებით (არქეოლოგი რ. პაპუაშვილი). რიგი პრობლემური საკითხი იყო გადასაწყვეტი: ინდივიდთა რაოდენობა; სქესობრივ-ასაკობრივი და ანთროპოლოგიური შედგენილობა; მსგავსება-განსხვავება-მორფოლოგიური დისტანციები; დაკრძალვის პოზა; იყო თუ არა ყველა ძვალი ადგილზე, ანუ თუ დაცულია ანატომიური წყობა; ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვ. მაქსიმალურად შეეცადე ყველა დასმულ კითხვაზე გამეცა პასუხი. ძვლოვანი მასალა ამ სამარხი ორმოდან ყველაზე ადრეული, ერთადერთი და რეალურად არსებულია ცენტრალური კოლხეთის ტერიტორიაზე. ამ ტიპის სამარხი ორმოები იშვიათობას წარმოადგენს.

სამარხი ორმო 80მ^2 მაქსიმალურადაა დატვირთული ძვლოვანი ნაშთებით. ჩონჩხები ჩაპრესილია ურთიერთში და რამდენიმე წყებაა, როგორც იატაკზე, ისე კედლების გასწვრივ, ამიტომ დათვლა ინდივიდუალურად შეუძლებელია. სამარხ ორმოში შეირჩა ხელუხლებელი ადგილი, მოვნიშნე ფართი 1მ^2 და შევუდექი ძვლოვანი ნაშთების პრეპარირება-დათვლას. აღმოჩნდა სამ წყებად განფენილი 25 ინდივიდის ძვლოვანი ნაშთი: 14 კაცისა — 20-74 წლის; 9 ქალისა — 30-34 წლის და 2 ბავშვისაა — 2-4 წლის. გადავიანგარიშე ფართობზე და მიახლოებით განისაზღვრა — 2000 ინდივიდის ძვლოვანი ნაშთი: 1120 კაცისაა — 14-80 წლის; 720 ქალისა — 15-60 წლის და 160 ბავშვისა — 1-13 წლის.

დროის გარკვეულ მონაკვეთებში ხდებოდა კამერის ძირის გათავისუფლება შემდგომი მიცვალებულების მეორადი დაკრძალვის მიზნით. დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში — სამეგრელო-აფხაზეთში მიცვალებულის პირველადი დაკრძალვა, ხეზე გაკიდება იყო და ცხედარს მანამდე ტოვებდნენ, ვიდრე ცარიელი ძვლები დარჩებოდა. შემდგომ შალითაში გახვეულ ძვლებს მარხავდნენ. პირველადებს მიაწყობდნენ კედლის ძირში, შემდგომ ერთიმეორეზე ალაგებდნენ მთელ პერიმეტრზე და ასე დროთა განმავლობაში მიწყობილი ნაშთების სიმაღლე სამარხის გათხრისას, ალაგ-ალაგ 1-1.5 მეტრს აღწევდა, კამერის ძირზედაც რამდენიმე წყებაა. სამარხი ორმოსა და მის ირგვლივი ტერიტორიის გრუნტი კარგადაა გაჯერებული კალციუმის მარილებით, ე.ი. ნიადაგის მიერ ძვლიდან კალციუმის წართმევა არ ხდებოდა, ამიტომ ძვლოვანი ნაშთები კარგადაა შემონახული, მაგრამ დღეღამურმა ტემპერატურის ცვალებადობამ და ტენიანობამ გარკვეულ წილად უარყოფითად იმოქმედა ძვლებზე — ადვილად ტყდება და იშლება, განსაკუთრებით თავის ქალა. აბსოლუტურად ყველა ძვალი მაქვს დაფიქსირებული, ისეთებიც კი, როგორიცაა ენისქვეშა ინის ძვალი და სადგისისებრ მორჩები, რომლებიც გვიანდელ სამარხებშიაც კი ძალზე იშვიათად, გამონაკლისად გვხვდება. დაკრძალვის პოზაა განსაკუთრებული, საქმე გვაქვს არაორდინალურ სამარხ ორმოსთან, რომელშიაც ძვლოვანი ნაშთები, მოკრუნჩხულადაა შეფუთულ-შემოტანილი და არა შემოსვენებულ-დასვენებული, არაა დარღვეული ანატომიური წყობა.

ძვლოვანი მასალის ერთი მცირე ნაწილის ანთროპოლოგიური შესწავლის შემდგომ დადასტურდა: თავის ქალას 2 ფორმა — დოლიქო — მეზოკრანული და 3 ტიპი — მასიური, გრაცილური და ჩვეულებრივი ნორმალური; ცხვირის მაღალი და ძალიან მაღალი — სამხრეთკავკასიური უნაგირები; სახის სიგანის მიხედვით 4 ტიპი — ძალზე განიერი, განიერი, საშუალო და ძალიან ვიწრო; მოსახლეთა საშუალო სიმაღლეა — 168.1 სმ (საშუალოზე მაღლები). კონკრეტულად: კაცები 170.8 სმ (მაღლები), ქალები მიახლოებით 165.4 სმ (მაღლები). სიმაღლე განესაზღვრე თავის ქალასა და ჩონჩხის დანარჩენი ძვლების განაზომების საფუძველზე (ასლანიშვილი, 2001). SCKud, Euro — „ძვლოვანი“ კრანიოტიპები, SCPGeo მინარევით (სურათი №1 და ცხრილი), მიმანიშნებელი ბიოლოგიურ ჭიდილზე, აბორიგენულ და მოსულ გენებს შორის. ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გენის, გენოფონდის სიძლიერეს. ქართველურ-ქართული გენი იმდენად ძლიერია, რომ კარგად „ინელებს“ და ცვლის კიდევაც უცხოთა გენურ მახასიათებლებს.



ᲡᲣᲠᲐᲗᲘ №1

REGION	WEST	GEORGIA	ZUGDIDI.	Tsaishi-	Tsatskhvi	IX-Vill B.C.	Tomb	Pit	# 2
##Cranium	1	2	3	6 a	X	4	7	5	6
D.M.B	Mezoc.	Mezocran	Mezocr.	Mezocran	Dolihocran	Dol.			
Sex Marker	U	U	U	U	U	U	U	U	U
AGE	50-54	65-69	40-44	55-59	52-56	65-69	55-59	40-44	
STATURE	169.8	173.9	174.2	*	172.6	178.5	169.3	170.4	168.9
WEIGHT	64.8	67.9	68.1	*	66.9	71.5	64.5	65.3	64.2
8:1	76.1	76.6	77.5	*	76.7	73.5	71.4	75.3	64.1
9:8	72.9	68.7	68.9	*	70.2	67.3	75.5	72.9	74.4
28:27	*	*	93.8	*	93.8	101.5	*	*	*
77	153.2	150.4	162.0	153.4	154.7	144.1	138.6	136.0	*
ZM	*	134.0	*	*	134.0	141.0	*	*	*
SS	*	6.1	*	*	6.1	4.8	*	*	*
SS:SC	*	53.5	*	*	53.5	49.0	*	*	*
DS	*	*	*	*	*	11.9	*	*	*
DS:DC	*	*	*	*	*	49.2	*	*	*
54	28	29	29	*	28.0	34	*	*	*
55	*	50	*	*	50	55	*	*	*
51	*	42	38	*	40.0	43	*	42	*
52	*	32	33	*	32,5	33	34	27	*
48	*	69	*	*	69	70	*	*	*
48:17	*	*	*	*	*	48.6	*	*	*
45	142	133	137	*	137.3	143	117	121	118
48:45	*	51.9	*	*	51.9	48.9	*	*	*
61:60	101.9	*	101.7	*	106.3	109.8	83.3	*	*

ის არა მარტო თავის ტერიტორიაზე მოქმედებს კარგად, არამედ მნიშვნელოვან ძვრებს იწვევს კავკასიის ფარგლებს გარეთა, ახლო თუ საკმაოდ შორეულ ტერიტორიებზე განფენილ ხალხებში. რა თქმა უნდა გამონაკლისები არსებობს.

კატეგორიულ გამოთვლათა მეთოდის (აბდუშელიშვილი, 1976) გამოყენებით თვალი გავადევნე გვიან მეზოლით — ადრე ნეოლითიდან თანამედროვეობამდე, ცაიშელთა ნათესაურ კავშირებს (მორფოლოგიური დისტანციები — 0.00-1.33) და გაირკვა, რომ უახლოესი და ახლო მორფოლოგიური მსგავსებაა როგორც ურთიერთთან, ისე სხვადასხვა ჯგუფებთან თუ ცალკეულ ინდივიდებთან, საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთა ტერიტორიებიდან: გვიან მეზოლით — ადრე ნეოლითში-აფხაზეთი (1.00); ნეოლითში: დასავლეთი (1.09) და აღმოსავლეთი (1.09) მონღოლეთი. ადრეულ მტკვარ-არაქსში: თეთრიწყარო — „ნაჭივჭავები“ (0.73; 0.79; 0.91; 1.21; 1.33); ზემო იმერეთი. ჭიათურა-დარკვეთის მღვიმე (1.07). მტკვარ-არაქსსა და ადრე ბრინჯაოს ხანაში: გორი-ტყვიავი (0.67; 0.92); დედოფლისწყარო-ტარიბანა (0.67; 0.82); თეთრიწყარო- ბედენი (0.79); ხევსურეთი-გიორგიწმინდა (0.75; 0.83; 1.27); ლაგოდეხი-ანანაური (1.10); გარდაბანი-კიკეთი (1.22); დასავლეთი (1.00) და ცენტრალური (1.09) მონღოლეთი. შუა ბრინჯაოს ხანაში: ახალციხე-აწყური (0.91) და ორჭოშანი (1.13). გვიან ბრინჯაოს ხანის I საფეხურზე: დუშეთი-აბანოსხევი (0.87); ახალციხე-კობალა (1.17) და ზველი (1.18); სიღნაღი — „ვაისწყალი“ (1.23); დმანისი-არაქელი (1.27). გვიან ბრინჯაოს ხანის II საფეხურზე: თეთრიწყარო-ალგეთი (0.73; 0.87; 0.90). ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალ და ადრეულ რკინის ხანაში: სომხეთი-აკუნკი (0.64); დასავლეთ მონღოლეთი (0.60); აზერბაიჯანი-მინგეჩაური (0.93; 1.07). ელინისტურ ხანაში: სენაკი-ნოქალაქევი (1.33). გვიანანტიკურ ხანაში: ზემო იმერეთი. ჭიათურა-ჯიეთი (0.85). განვითარებულ შუასაუკუნეებში: აფხაზეთი. გუდაუთა-დურიფში (1.07). გვიან შუასაუკუნეებში: სამეგრელო. წალენჯიხა-მედანა (0.85, 1.20); ზუგდიდი-უჩაშონა (1.14). თანამედროვეობასთან ახლო პერიოდის — XIX ს.: აფხაზეთი. სოხუმი-იაშთხვა

(1.00;1.27) და სხვ. (Тумэн,1985; ასლანიშვილი, 1999, 2000, 2006, 2007, 2008; aslanisSvili, 2002).

როგორც ჩანს ცაიშელები, მათი წინაპრები და მემკვიდრეები, რომელთაც დატოვეს სამარხი ორმო ძვლოვანი ნაშთებითა და ღირებული ნივთიერი კულტურით, ადგილობრივი ტომის ან ტომთა გაერთიანების წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ და ყველანაირად ურთიერთობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე განფენილ ადგილობრივ და მოსულ მოსახლეებთან. სამხრეთ კავკასია ოდითგანვე წარმოადგენდა სამიგრაციო გზას აფრიკას, აზიასა და ევროპას შორის. ისტორიულ-არქეოლოგიურად დადასტურებულია, განვითარების მთელ მანძილზე სხვადასხვა მოდგმების ხალხმრავალი გადაადგილებები საკმაოდ შორეულ ტერიტორიებზე, ასევე ისტორიის მხედველობის მიღმა დარჩენილი მცირე ჯგუფებისა თუ ერთეულ ინდივიდთა მიგრაციები.

პათოლოგიური გამოკვლევა: საკბილე სისტემის ცვლილებები — 4109 კბილიდან (ერთი გროვა), სხვადასხვა ხარისხის კარიესული დეფექტითაა 504; ბუნებრივი ღრმულის M-ს გვირგვინზე — 31 კბილზეა. წანაზარდები, კორძები და სხვა წარმონაქმნები ღერო-ფესვებზე — 95 კბილზე. კავიანი (მოკაუჭებული) ფესვის წვეროები — 83 კბილზე (63M, 11P, 5III, 4II). შვილობილი კბილები ანუ ნორმალურ კბილზე მიზრდილი პაწია „კბილუკა“ — 3 კბილზე. ანალოგი მაქვს ძირითად კბილებზე, საქართველოს სხვა რეგიონებში. ორ ფესვიანი ეშვი — 1 კბილი. ანალოგი მაქვს ახალციხე, სოფ. კლდის „ნავენახარის“ III-IV სს სამაროვანზე და ქ. ვალე, ადგილ „ჭორატში“, ადრე შუასაუკუნეების სამარხი (ასლანიშვილი,200). დგომის ანომალია — 2 (90^0-თ შებრუნებულია ორივე ეშვი, ბავშვის ქვედა ყბაზე). უაღრესად გრძელი ეშვები — 32 მმ და Pm მ-25 მმ (1 თავის ქალა). ნიჩბისებური საჭრელები (I-I) — 136 კბილი (ნიჩბისებური საჭრელები დამახასიათებელი ნიშანია მონღოლოიდებისათვის) და სხვ. ტრავმა-გართულებები — ლავიწის მარცხენა ძვალი. დაზიანებული, დესტრუქციული სამკერდე ბოლოთი და 8 კვირისტავის გარე ზედაპირი დაღარულ-დაკორძებულია. ანალოგები მაქვს დმანისის სიონის საკათედრო ტაძრის იატაკქვეშ გამოვლენილ სამარხებში, რაც რელიგიურ წეს-ჩვეულება-რიტუალებს უკავშირდება (ასლანიშვილი, 2006). ცაიში-ცაცხვში კი ამ დეფექტების არსებობა დაკავშირებული უნდა იყოს გარკვეული სამუშაოს ხანგრძლივად შესრულებაზე (სამთამადნო ან მსგავსი საქმე). 2 ბარძაყის ძვლის ზედა ნახევარი. მოტეხილ-შეხორცებულია, ოსტეომიელიტის მსუბუქი და გართულებული ფორმებით. ორივე შემთხვევაში შეხორცება ზოგადად ნორმალურია, ალბათ ამისათვის იზრუნეს თავის დროზე. ქალისა და კაცის კეფის ძვლის ფრაგმენტები ზეწოლის კვალით, შესრულებული ბლაგვი იარაღით. შეხორცება, გართულებითაა — ოსტეოფიტოზი. თავის ქალას ძვლებზე სიმსივნური ფონები. სიცოცხლეში ქალას შიდა წნევის მატებისა და ნევროლოგიური დეფექტების დამადასტურებელი ნიშნები ძვლებზე და სხვ.

რიგ შემთხვევებში პათოლოგიური პრობლემები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მიგრაციულ პროცესებზე.

თუ გავითვალისწინებთ სიცოცხლის ხანგრძლივობის მაღალ ინდივიდუალურ მაჩვენებლებს, მაშინ გამოდის, რომ ცაიშელების ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი ყოფილა, მიუხედავად ასეთი პათოლოგიური ჩამონათვალისა. ასე, რომ ყველა კითხვას გაეცა პასუხი (ასლანიშვილი, 2007; 2008).

P.S. 2005 წელს ამ №2 სამარხი ორმოს გვერდზე ამავე ექსპედიციის მიერ გაითხარა სამარხი ორმო №1 (ორივე სამარხი ორმო მდებარეობს მოსახლეთა ეზოებში მდებარე მანდარინის პლანტაციაში). ერთ დღეს როდესაც სამსახურში მივედი, ჩემს მაგიდაზე გაშლილ ძვლებზე ზემოდან იდო შეკვრა წარწერით: ცაიში, სამარხი ორმო №1. როგორც შემდეგ გავიგე გამთხრელი არქეოლოგისაგან, მას მოუტანია ჩვენი ლაბორატორიის გამგისათვის დასკვნის მისაღებად. რადგან ჩემთვის არ იყო გამიზნული შეკვრა, ხელი არ მიხლია. ისე გავიდა 2 წელი, რომ შეკვრა ხელუხლებლად იდო. ბოლოს გულმა არ მომითმინა, შეკვრა გავხსენი და გავოცდი, შიგ იყო თავის ქალას ძვლების ფრაგმენტები. რამდენიმე ფრაგმენტი დასერილი იყო ბადისებურად (სურათი №2), ისევე როგორც ითდის ბადეს უკეთებენ სხეულზე. ფრაგმენტები შეეაწებე და აღდგა ქალასარქველი, განვსაზღვრე სქესი და ასაკი: ქალი, 35-39 წლის. მუშაობის დროს მომისწრო გამგემ და საშინლად გამიბრაზდა, წამართვა აღდგენილი და სადღაც დამალა. მეორე დღესვე ვიპოვე დამალული, დავშალე აღდგენილი და „მოვიპარე“

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ №2

2 ნატეხი, გადავიღე ფოტო და დავსვი დიაგნოზი: მიელოოსტეოფიტოზი, სატვინე ზედაპირზე მიელომური ღრუებია (ტვინის სიმხიგნე), ძვალი მოყავისფროა. ჩემი ვარაუდით ექიმს ჩაუტარებია შემდეგი სახის ქირურგიული მანიპულაცია: თავზე დაუსერია ბადისებურად და ზოლებზე უსვამდა მალამოს, გარკვეული დროის შემდეგ ასუფთავებდა დასერილს და კვლავ მალამოთი ამუშავებდა. ზოგ ადგილას ღარი საკმაოდ ღრმადაა ჩასული და სატვინე ზედაპირზეა გასული, როგორცა ჩანს ექიმს ამ დროს უნდა დაღუპოდა პაციენტი.

მე ძალიან მაინტერესებს და სხვებიც დაინტერესდებიან ალბათ თუ რა მალამოთი მკურნალობდა ექიმი?, რომელმაც გარკვეული დროით გაუხანგრძლივა სიცოცხლე ქალბატონს. კაცი იმედით ცხოვრობს და იქნებ ვინმე ღვთისნიერი მეცნიერ-ქიმიკოსი გამოჩნდეს და შეისწავლოს ძვალზე არსებულ ღარები, რომლებიც ჩემი ვარაუდით გაჟღენთილი უნდა იყოს მალამოთი.

ცნობისათვის: SCPGeo- სამხრეთკავკასიურქართველური (უაღრესად პროფილირებული სახე), SCKud- ქართულკუდაროული (ბრტყელსახიანი), Euro- ევროპეიდული. თავის ქალას მიხედვით, ცაიშელის სახე აღდგენილია ავტორის მიერ.

ბიბლიოგრაფია:

1. მ.აბდუშელიშვილი. კრანიოლოგია, თბილისი, 1976.
2. ვ.ასლანიშვილი. არაგვის აუზის უძველესი მოსახლეობა (კრანიოლოგიური მონაცემების მიხედვით), ანალები № 2, თბილისი, 2000, გვ.75-77.
3. ვ.ასლანიშვილი. სხეულის სიმაღლის განსაზღვრა თავის ქალას მიხედვით. საისტორიო ალმანახი კლიო № 10, თბილისი, 2001, გვ.31-37.
4. ვ.ასლანიშვილი. თეთრიწყაროს რაიონში მოპოვებული ენეოლით-ბრინჯაოს ხანის ანთროპოლოგიური მასალების მეცნიერული დასკვნა-ანგარიში. კრ.: თეთრი-წყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის 2003-2004 წლების სამუშაოების ანგარიში, თბ., 2005, გვ.340-463. ნაშრომი დაცულია არქეოლოგიური კვლევის ცენტრში.
5. ვ.ასლანიშვილი. ბორჯომის არქეოლოგიური ექსპედიციის ს.კლდის შემოგარენში „ნავენახარის" III-IV სს სამაროვანზე 2004 წელს მოპოვებული პალეოანთრო-პოლოგიური მასალის პათოლოგიური გამოკვლევის შედეგები. კრებული, თბილისი, 2006. ნაშრომი დაცულია არქეოლოგიური კვლევის ცენტრში.
6. ვ.ასლანიშვილი. ზემო იმერეთის ანთროპოლოგია. არქეოლოგიური ჟურნალი IV, თბ., 2006, გვ.116.
7. ვ.ასლანიშვილი. სამეგრელო-აფხაზეთის მოსახლეობის ანთროპოლოგია, VIII ათასწლ.-ახ.წ. XX ს. თბილისი, 2007. წლიური ნაშრომი დაცულია ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში.
8. ვ.ასლანიშვილი. აფხაზეთის, ზემო იმერეთისა და ცხინვალის რეგიონების ანთროპოლოგია უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე. თბილისი, 2008. ნაშრომი დაცულია ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში.
9. ვ.ასლანიშვილი. დმანისის სიონის იატაკქვეშ მდებარე სამარხებში დაკრძალულ ინდივიდთა ანთროპოლოგიურ-პათოლოგიური გამოკვლევა. თბ., 2006. ნაშ-რომი დაცულია დმანისის ეპარქიაში.
10. Д.Тумэн, Вопросы этногенеза монголов в свете данных палеоантропологии, М.,1985, с.5. Автореф.к.д.
11. V.Aaslanishvili. ncient and Present Day Population of the Aragvi River Basin, Caucasian Messenger № 5, თბილისი, 2002, ბ.22-28.

Vladimer Aslanishvili
Tsaishians
Summary

The work the Samegrelo paleoanthropology. Investigated bone material is obtained in the Zugdidi district Tsaishi BC excavated Ages 9-8 burial pit, which is the earliest, and in fact the onli existent central of Colchis, this type of burial pits rare.

One smail parts of the bone material in the anthropological-pathological studies indicate the shape of the skull 2 and 3 type; Nose high, and very high, the south caucasus saddles; breadth of type 4; "Bone" 2 kraniotypes: Kudarian (native) and European, Southcaucasiankartvelian impurity; Body height is higher than the average population.

In some cases, abnormal problems to different facets of migration processes.

Given the life expentancy of individuals with high rates, then it turns out that there has been a satisfactory Tsaishians health condition.

Tsaishians, their ancestors and descendants of those who left the burial pit and valuable bone remnants of material culture, the local tribe or tribes union representatives have been and are in regular contact with the general population on the spread of local and stranger. South Caucasus, I have always been a migration path to Africa, Asia and Europe.

Reconstruction face of the autor- Vladimer Aslanishvili.

ვლადიმერ ასლანიშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
I.A.Dzhavahishvili Tbilisi State Universiti

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲐᲚᲨᲘᲑᲐᲘᲐ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘ

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲐᲚᲨᲘᲑᲐᲘᲐ

„მოურავი ალშიბაია“ — ასე იცნობდნენ მთელ სამეგრელოში დადიანების უკანასკნელ მოურავ ვლადიმერ (ვალოდია) კონსტანტინეს ძე ალშიბაიას. „მოურავი“ ადგილობრივი მმართველობის მოხელე იყო ძველ საქართველოში. სამეგრელოში, დადიანის კარზე, ვლადიმერ (ვალოდია) ალშიბაია იყო სამთავრო მამულების მმართველი; განათლებული, ძველ კოლხურ ტრადიციებზე აღზრდილი, პიროვნება ერთგულად ემსახურა სამეგრელოსა და დადიანების სამთავრო ოჯახს; მონაწილეობდა სამთავროს ყველა მნიშვნელოვანი საქმის გადაწყვეტაში, იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი.

პირველი მსოფლიო ომის დროს ზუგდიდის დადიანების სასახლე უკანასკნელმა წევრმა დატოვა. დადიანების კუთვნილი სასახლეების პატრონობა დაევალა დადიანების მოურავ ვლადიმერ ალშიბაიას. 1914 წელს თურქთა სამეგრელოში შემოჭრის საშიშროება დადგა; მოურავმა ალშიბაიამ დადიანების სასახლეში გამოარჩია უნიკალური ნივთები, რაც საუკეთესოდ მიაჩნდა, მათ შორის — ხმლები, ბრილიანტით მოოჭვილი პორტსიგარები, სათუთუნეები, საათები, ზუგდიდისა და გორდის ეკლესიის განძეულობა, ვერცხლისა და ფაიფურის ჭურჭელი, ფერწერული ტილოები, სპარსული და თურქული ხალიჩები და სხვა მრავალი; მან ნივთები ჩაალაგა ოთხ დიდ ყუთში და ზუგდიდის სასახლის ქვემო სართულზე, სამზარეულო ოთახის კედლის ღრმა და მაღალი კუთხის განჯინაში გადამალა, კედელი ორი ფენა აგურით ისევ ამოაშენებინა და შეალესინა. ვალოდია ალშიბაიამ განჯინაში ჩამალული განძი საიმედოდ დაიგულა და საცხოვრებლად თბილისში გადასახლდა. ის ვარაზისხევში ცხოვრობდა.

ᲜᲝᲔ ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ

დადიანების საგანძურის შენახვაში მოურავ ვალოდია ალშიბაიას ეხმარებოდა ერთგული კაცი, სასახლის კომენდანტი გახა ნაჭყებია და პოლონელი ინჟინერი (გვარი უცნობია), რომელიც ამ საქმის აღსრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულა.

1919 წლის 14-21 დეკემბერს ზუგდიდში, საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას (ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, პოლიტიკოსი, თეორეტიკოსი, პუბლიცისტი, ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერი, დაიბადა 1868 წლის 2 (15) იანვარს, ლანჩხუთში — გარდაიცვალა 1953 წლის 11 იანვარს, პარიზში) გადაწყვეტილებით, ექვთიმე თაყაიშვილი (ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946), პროფესორი (1918, 1945), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ცნობილია როგორც 1921–1945 წლებში საფრანგეთში გატანილი საქართველოს საგანძურის დამცველი, რის გამოც კონსტანტინე გამსახურდიამ „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ უწოდა. დაიბადა 1862 წლის 5 იანვარს — გარდაიცვალა 1953 წლის 21 თებერვალს, თბილიში. 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა და წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი უწოდა.) კომისიის სხვა წევრებთან ერთად ჩამოვიდა. მათ შეიტყვეს დადიანის სასახლის სამალავის ამბავი. თბილისიდან ზუგდიდში ჩამოვიდა დადიანების სასახლის მოურავი ვლადიმერ ალშიბაიაც. „სამეგრელოს თავადის“ განძეულობის აღმწერი კომისიის შემადგენლობაში ექვ-

ᲔᲥᲕᲗᲘᲛᲔ ᲗᲐᲧᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ლეო ქიაჩელი

თიმე თაყაიშვილთან ერთად იყვნენ ზუგდიდის მაზრის ერობის გამგეობის თავმჯდომარე ლეო ქიაჩელი (მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ნამდვილი სახელი და გვარი ლეონ მიხეილის ძე შენგელაია, დაიბადა 1884 წლის 19 თებერვალს (ძვ. სტ.7 თებერვალს) სოფ. ობუჯში, ახლანდელი წალენჯიხის რაიონი — გარდაიცვალა 1963 წლის 19 დეკემბერს, თბილისში) და ზუგდიდის საზოგადოებრივი ორგანიზაციის რამდენიმე წარმომადგენელი. კომისიამ ალშიბაიას მოსთხოვა ამოქოლილი განჯინის გახსნა. მოურავმა ეს მაშინ შეასრულა, როდესაც ის საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას ბრძანებულებას გაეცნო. ისტორიკოსი გიორგი კალანდია აღნიშნავს: სწორედ ამ მიზნით 1919 წელს მეცნიერი დადიანების სასახლეს ეწვია. ნოე ჟორდანიას დავალებით, ექვთიმე თაყაიშვილსა და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე გიორგი ფაღავას (გიორგი (გოგიტა) ფაღავა — ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, დაიბადა 1895 წელს ქუთაისში — გარდაიცვალა 1924 წელს) უფლება მიეცათ, მინგრელსკის ყოფილი სასახლიდან თბილისში გადმოეტანათ ნივთები, რომელთაც მხატვრული და ისტორიული ღირებულება ჰქონდა. 1919 წლის 14 დეკემბერს ისინი გამოემგზავრნენ თბილისიდან და მეორე დღეს, 15 დეკემბერს, ზუგდიდში ჩამოვიდნენ. 15, 16 და 17 დეკემბერს მათ შეუგროვებიათ ცნობები სამალავისა და დაცული ძვირფასი ნივთების შესახებ, მაგრამ სამალავს მხოლოდ მაშინ მიაკვლიეს, როცა 20 ან 21 დეკემბერს ზუგდიდში მინგრელსკის მოურავი ჩავიდა და ამ სამალავზე მიუთითა.

ერთ-ერთი მოგონების მიხედვით, „1919 წლის გაზაფხულზე მენშევიკური მთავრობის მეთაურმა ნოე ჟორდანიამ მიიხმო დადიანების მოურავი ვლადიმერ ალშიბაია და უთხრა: „ჩვენთვის ცნობილია, დადიანს დიდი ქონება დარჩა. შენ ეს კარგად იცი და წინადადებას გაძლევთ, ჩააბარე ეს ქონება მთავრობას შესანახად, თორემ იქ გლეხთა აჯანყება ხდება, ქალაქი შეიძლება ბოლშევიკებმა აიღონ და ყველაფერი დაიკარგება, ხოლო ჩვენ ქონებას აქ შევინახავთო. ვლადიმერი შეფიქრიანდა... ენდო მთავრობის მეთაურს და დასთანხმდა მის წინადადებაზე...“

თბილისში წასაღები ნივთები კომისიის წევრებმა ყუთებში ჩაალაგეს და ვლადიმერ ალშიბაიას ბეჭდით დალუქეს. 1919 წელს დადიანისეული სასახლიდან გატანილი განძი ძირითადად დადიანთა ოჯახის წარმომადგენელთა პირადი ნივთები იყო, რომელთა შორის გამოირჩეოდა: სამეგრელოს დედოფალ ეკატერინე ჭავჭავაძის ფირუზის სამკაულები (დიადემა, საყურეები, კულონი), რომელიც დღეს თბილისში, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში ინახება. დადიანების განძეულობა, ყველა ერთად, როგორც ექ. თაყაიშვილი წერდა, ცხრაას კილოგრამს იწონიდა.

გიორგი ფაღავა

ვალოდია ალშიბაიას მიერ დადიანების სასახლის განჯინაში გადანახულ ნივთებს შორის ინახებოდა ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ჩაბრძანებული იყო კიოტში (კიდობანში). კომისიის ერთ-ერთი წევრი, მასწავლებელი სიმონ გოგიჩაიშვილი იგონებს: „კომისია შებინდების შემდეგ როგორც ჩვეულებრივ, მუშაობდა ნავთის ლამპის შუქზე, ენთო ხოლმე ორი თუ სამი ლამპა. წასვლის წინ ლამპებს აქრობდნენ. იმ საღამოს, როცა კომისიამ მუშაობა დაასრულა და ლამპები ჩააქრეს, ბურბუშელაში, რომელიც ყველგან ეყარა (ამ ბურბუშელაში ინახებოდა დადიანისეული ძვირფასი საგნები), ერთ ადგილას უცებ ინათა, გვეგონა ბურბუშელას ვისიმე გაუფრთხილებლობით ცეცხლი წაეკიდა და ალი ავარდა. შევვარდით, რომ სასწრაფოდ ჩაგვექრო და სასახლე ხანძრისაგან გადაგვერჩინა,

ბურბუშელა გადასწი-გადმოსწიეს და ცეცხლის ნაცვლად დაინახეს ბრილიანტებით მოოჭვილი ჯვარი. თურმე ის ანათებდა“. „ვლახერნის ხატი“ სხვა სიწმინდეებსა და ნივთებთან ერთად თბილისში გადააბრძანეს. ეს ის უძვირფასესი ღვთისმშობლის ხატი იყო, რომელიც მთელ სამეგრელოში ძლიერ სალოცავად მიიჩნეოდა და მის სახელზე 1825-30 წლებში დადიანების სასახლესთან სამეგრელოს მთავარმა ლევან V დადიანმა(1806-1839) საგანგებო ეკლესია ააგო (ზუგდიდის ვლაქერნის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძარის მშენებლობა 5 წელიწადს (1825-1830) მიმდინარეობდა).

ზუგდიდის ვლაქერნის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძარი

*** *** ***

ვლადიმერ (ვალოდია) კონსტანტინეს ძე ალშიბაია დაიბადა ჭკადუაშში; ოჯახი მრავალშვილიანი ყოფილა. ვლადიმერ ალშიბაიას პირველი მეუღლე გახლდათ თავადის ქალი ვერა ლორთქიფანიძე.

ალშიბაიები მამულებს ფლობდნენ სოფელ ჭკადუაშში. დღესაც, ერთ ადგილს იქ „ნაალშიბაიოს“ ეძახიან. ისინი ხალხში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდნენ. საბჭოთა ხელისუფლება მათ სასტიკად გაუსწორდა: აბრალებდენ სიცრუეს, ლანძღავდნენ, ცდილობდნენ შეელახათ ვალოდია ალშიბაიას ოჯახის სიწმინდე. იყო ასეთი ფაქტიც: 1917 წ. გაზ. „ერთობაში“ გამოქვეყნდა სტატია, სადაც აღწერილი იყო ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის სხდომის მსვლელობა. ამ სხდომაზე გააკრიტიკეს დადიანების მოურავი რომელმაც თითქოსდა გლეხების ამოწყვეტისკენ მოუწოდა საზოგადოებას. ბევრმა მისი დატუსაღებაც მოითხოვა. ამ საქმეზე ჭიათურაში აღმასკომის თავმჯდომარესთან მიავლინეს ვინმე ფილიპე კედია. უცნობია ვალოდია ალშიბაიას დამოკიდებულება ამ ამბისადმი და საქმის დასასრული.

ალშიბაიას ექვსი შვილი ჰყავდა: მარიამი (მარუსია), ოლღა, ნინო (ნუცა), თამარი, აკაკი (კაკო) და ლეილა. ოჯახს ყველა შვილი გაძიძავებული ჰყავდა, მორდუობის წესი მკაცრად იყო დაცული: ნინო (ნუცა) გაძიძავებული იყო სოფელ ოდიშში, ჭურღულიების ოჯახში; მეორე შვილი ოლღა (ოლიკო) — სოფელ ჭკადუაშში, კოტე ყუფუნიას ოჯახში; და ა.შ. ალშიბაიას შვილიშვილი მურთაზ გულედანი იხსნებს, რომ ბებია ხშირად ნახულობდა ძიძის ოჯახს სოფელ ოდიშში; ჭურღულიების ოჯახის კარი მუდამ ღია ყოფილა სასურველი სტუმრისთვის.

ვლადიმერის ძმა გრიგოლი (დაიბადა 1881 წელს — გარდაიცვალა 1957 წელს, დიპლომატი, ექიმი, პოლიტიკოსი) გახლდათ საქართველოს ელჩი აზერბაიჯანში, რომელიც ასევე იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტიური წევრი, საზღვაო-სანაოსნო საზოგადოება „ფაზისის“ დამფუძნებელი საბჭოს წევრი.

გრიგოლ ალშიბაია

ნინო (ნუცა) ვლადიმერის ასული 1906 წელს დაიბადა. გარდაიცვალა 1988 წელს, ცხოვრობდა ქუთაისში, დაასაფლავეს იქვე. ნუცა ალშიბაიას შვილიშვილია ცნობილი ქართველი წყალბურთელი, იურისტი — უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის წევრი მურთაზ გულედანი; მეორე შვილიშვილი ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი რევაზ (რეზო) ძოძუაშვილია.

ვლადიმერის შვილები მარიამი (მარუსია), ოლღა (ოლიკო), ნინო (ნუცა) საქართველოში ცხოვრობდნენ, ხოლო თამარი და აკაკი (კაკო) მამამ ემიგრაციაში თან წაიყვანა, ცხოვრობდნენ პარიზში. თამარ

ვლადიმერ ალშიბაია

აკაკი (კაკო) ალშიბაია
და ვლადიმერ (ლადო)
ახმეტელაშვილი
(ახმეტელი)
(საქართველოს ელჩი
გერმანიაში)

ალშიბაიას შვილი ცნობილი ფოლკლორისტი, საფრანგეთში ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი ოთარ ელისეს ძე პატარიძეა, რომელიც ამჟამად ცხოვრობს საფრანგეთში, პარიზში, და შესანიშნავად ფლობს ქართულ ენას.

ვალოდია ალშიბაიას მეორე ცოლი გახლდათ ზინაიდა (ზინა) ალშიბაია (ის ქმრის გვარს ატარებდა); მას ერთი ქალიშვილი ჰყავდა — ლეილა ალშიბაია, რომელიც თბილისში ცხოვრობდა.

ვალოდია ალშიბაია ერთგულად ემსახურა დადიანებს, სამეგრელოს სამთავრო კარს. მას სასახლის ბოლო მფლობლის — ნიკო ნიკოს ძე დადიანის — ბედი ძალიან აწუხებდა. ამიტომაც პეტროგრადში მყოფ ნიკო დადიანს რუსეთის ხელმწიფის ნაჩუქარი ძვირფასი ხმალი ჩაუტანა; მიიჩნია, რომ ის დადიანების მემკვიდრეს გამოადგებოდა გაჭირვების ჟამს, მაგრამ ნიკო დაპატიმრებული დახვდა. ალშიბაიამ ხმალი პატრონს ციხეში შეუგზავნა. ეს უკანასკნელი საპატიმროში გაუქურდავთ და სხვა ნივთებთან ერთად ეს ძვირფასი განძიც დაკარგულა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვლადიმერმა დატოვა საქართველო და ემიგრაციაში წავიდა; ის საფრანგეთში გადავიდა და თავის თანამოაზრეებს შეუერთდა. ჭკადუაშში მოსდიოდათ ამბავი, რომ ვლადიმერ ალშიბაია დახმარების ხელს უწვდიდა მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილ თანასოფლელებს — ჭკადუაშელებს. მას სულიერი და მორალური კავშირი არ გაუწყვეტია საქართველოსთან, სამეგრელოსთან, ჭკადუაშთან...

საქართველოში დარჩენილი ოლიკო 1985 წელს გარდაიცვალა; იგი ჭკადუაშელებმა უკანასკნელ გზაზე დიდი პატივით გააცილეს. ოლიკო ალშიბაიას დაკრძალვის დღეს უამრავი სტუმარი მოსულა სოფელში. ამით ხალხმა არა მხოლოდ გარდაცვლილ ქალბატონს, მამამისსაც — მიაგო პატივი.

დადიანების მოურავის გარდაცვალების წლი უცნობია. მისმა შვილიშვილის შვილმა — ლევან ბუთხუზმა — გვითხრა, რომ ბებიას — ლეილა ალშიბაიას — მამა ემიგრაციიდან საქართველოში დაბრუნებულა, სიცოცხლის ბოლოს თბილისში ცხოვრობდა, იქვე გარდაცვლილა, ხოლო მისი საფლავი დაკარგულია.

დადიანთა საგანძურის გადარჩენის მნიშვნელობას მომავალი თაობა უკეთ შეაფასებს. ვლადიმერის განვლილი გზა დადიანის კარზე, ემიგრაციისა და სიცოცხლის უკანასკნელი წლები საქართველოსა და საფრანგეთში ჯერ კიდევ შეუსწავლელია. მისი ცხოვრება საუკეთესო მაგალითია კოლხი კაცის უიშვიათესი ერთგულებისა და სამშობლოსადმი სიყვარულისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თაყაიშვილი ე., ძველი სამეგრელო, ტფ., 1913-14 წწ.
2. ტუღუში აბ., ზუგდიდის ისტორიისთვის; თბ. 2000 წ.
3. ჟორდანია გ., დაბრუნებული საუნჯე; თბ.1983 წ.
4. კალანდია გ., გაძარცული საგანძური; თბ. 2006 წ.
5. მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი; 1939 წ.
6. ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში; თბ. 2010 წ.
7. ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II; ზუგდიდის რ-ნი; თბ. 2007 წ.
8. ანთია ეკ., ჭკადუაში — ჩინებულთა კერა და მიურატთა ნაგსაყუდელი; თბ. 2010 წ.
9. https://ka.wikipedia.org/wiki

ფერიდე აფაქიძე

საქართველოს პირველი კონსტიტუცია 100 წლისაა

საქართველოს პირველი კონსტიტუციის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ. „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“ მუზეუმების განყოფილებაში შემავალმა ორმა მუზეუმმა — მედია მუზეუმმა (იდეის ავტორი — მედია მუზეუმის დამფუძნებელი მარინე დამენია) და კონდრატე თათარიშვილის სახლ-მუზეუმმა (პროექტის ავტორი — კონდრატე თათარიშვილის წამყვანი სპეციალისტი ეკა ხვიჩია) ღონისძიება გამართეს ქ. ზუგდიდის ზვიად გამსახურდიას გამზირზე არსებულ ბულვარში, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრის, საკონსტიტუციო კომისიის წევრის, სპირიდონ კედიას ბიუსტთან. ღონისძიებაში ასევე ჩართული იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ. „მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის“ აღსაზრდელები: ვატო ჭკადუა, შაკო გოგუა, გიორგი კიტია და ტატა ჭკადუა, პედაგოგი ნონა ტოტოჩავა. ღონისძიება მიზნად ისახავდა პირველი კონსტიტუციის მნიშვნელობის ხაზგასმასა და მასზე მომუშავე პიროვნებათა ღვაწლის დაფასებას; ბეჭდური მედიის უდიდესი როლის ჩვენებას ამ ღვაწლმოსილ პირთა ისტორიული მნიშვნელობის საქმეთა წარმოსაჩენად.

ღონისძიებას ესწრებოდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მ/შ კონსტანტინე კაკავა, კულტურის განყოფილების თანამშრომლები, სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლაშა გოგია, სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები, ეროვნული მოძრაობის აქტივისტები, დაინტერესებული პირები...

მარინე დამენია

ეკა ხვიჩია

ზუგდიდის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის აღსაზრდელები



*** *** ***

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა და დაიწყო კონსტიტუციის შემუშავება.

საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის პირველი შეკრება 1918 წლის 7 ივნისს გაიმართა. დამფუძნებელი კრების არჩევის შემდეგ, 1919 წლის მარტში, შეიქმნა თხუთმეტი წევრისაგან შემდგარი ახალი საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც მანამდე არსებული კომისიის მასალები გადაიბარა და მუშაობა გააჩაღა.

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსტიტუციო საფუძვლების შემდგენი კომისია“ თხუთმეტი წევრისგან შედგებოდა, თუმცა რამდენჯერმე შეიცვალა მათი შემადგენლობა, ასევე მოწვეული იყო იურიდიული საქმის მცოდნენი და მათმა საერთო რაოდენობამ 40-ს მიაღწია.

ამრიგად საკონსტიტუციო კომისიაში სახვადასხვა დროს იყვნენ:

ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲓᲐᲜ:

1. რაჟდენ არსენიძე — კომისიის თავმჯდომარე, დაევალა ჩამოეყალიბებინა საკანონმდებლო ორგანო.
2. სერგი ჯაფარიძე.
3. პავლე საყვარელიძე („ალიონის“ ჯგუფი) — კომისიის მდივანი; დაევალა შეემუშავებინა საზოგადო დებულებანი, განესაზღვრა სახელმწიფო ტერიტორია და მოქალაქეთა უფლებანი.
4. ნოე ჟორდანია.
5. ლევან ნათაძე (ნოე ჟორდანიას ნაცვლად).
6. კონსტანტინე ჯაფარიძე.
7. კოტე ანდრონიკაშვილი.
8. რაფიელ ჩიხლაძე.
9. მელიტონ რუსია.
10. გიორგი ფაღავა.
11. პავლე წულაია.
12. სპირიდონ კედია.
13. გიორგი გვაზავა.
14. გერონტი ქიქოძე (გიორგი გვაზავას ნაცვლად) — დაევალა შეემუშავებინა მოხელეთა უფლებები და მოვალეობანი.
15. იოანა (მუხრან) მაქსიმეს ძე ხოჭოლავა (იოანა მუხრანელი)
16. პოლიკარპე მაჭარაძე.

ზუგდიდის მერის მ/შ. კონსტანტინე კაკავა, პედაგოგი ნონა ტოტოჩავა და მისი აღსაზრდელი

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢ-ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲓᲐᲜ:

17. იესე ბარათაშვილი.
18. გიორგი ლასხიშვილი.
19. სამსონ დადიანი — დაევალა, შეემუშავებინა ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი.
20. გრიგოლ რცხილაძე.
21. ალექსანდრე წერეთელი (გრიგოლ რცხილაძის ნაცვლად).

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢ-ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ:

22. ივანე გობეჩია.
23. ივანე ჩერქეზიშვილი — დაევალა, შეემუშავებინა კორპორაციული უფლება-მოვალეობნი.
24. მარიამ ჩხეიძე.

ᲣᲞᲐᲠᲢᲘᲝᲗᲐᲒᲐᲜ:

25. კონსტანტინე მაყაშვილი — დაევალა, შეემუშავებინა სამოსამართლეო მმართველობა;

ᲞᲐᲠᲢᲘᲐ „ᲓᲐᲨᲜᲐᲙᲪᲣᲢᲘᲣᲜᲘᲡ“ ᲡᲘᲘᲗ:

26. ტიგრან გიორგის ძე ავეტისიანი

გარდა საკონსტიტუციო კომისიის წევრებისა, ექსპერტებად მიიწვიეს მცოდნე პირები:

27. ზურაბ ავალიშვილი.
28. გიორგი ნანეიშვილი.
29. ლაზარე შურგაია.
30. ივანე ზურაბიშვილი.
31. იური ფაღავა.
32. კონსტანტინე მიქელაძე.
33. აკაკი ჩხენკელი.
34. გრიგოლ გველესიანი.

მოწვეულ პირთაგან კომისიის მუშაობაში აქტიურად ჩაება გიორგი ნანეიშვილი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კონსტიტუციის პროექტის ცალკეული ნაწილების შემუშავებაში.

ასევე შეიქმნა სარედაქციო კომისია, რომელსაც დაევალა კონსტიტუციის რედაქციული გასწორება. ესენი იყვნენ:

35. კ. ნინიძე,
36. ივანე ჯავახიშვილი,
37. ივანე გომართელი.
38. გრიგოლ ყიფშიძე.
39. ვ. ყიფიანი და
40. ივ. კარიჭაშვილი.

საბოლოოდ, 1921 წლის 21 თებერვალს, თბილისში გამართულ სხდომაზე საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს პირველი კონსტიტუცია მიიღო და საქართველო დემოკრატიულ სახელმწიფოდ გამოცხადდა მსოფლიო თანამეგობრობაში. სწორედ ამ დროს ქართული შეიარაღებული ძალები რუსულ არმიას თბილისის მისადგომებთან ებრძოდნენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, მსოფლიო მასშტაბით პროგრესულად აღიარებული დოკუმენტი, 17 თავისა და 149 მუხლისაგან შედგება. მისი სტრუქტურა ასეთია:

თავი I — ზოგადი დებულებანი; თავი II — მოქალაქეობა; თავი III — მოქალაქის უფლებანი; თავი IV — პარლამენტი; თავი V — აღმასრულებელი ხელისუფლება; თავი VI — სასამართლო; თავი VII — სახელმწიფო ფინანსები; თავი VIII — სახელმწიფო კონტროლი; თავი IX — სახელმწიფო თავდაცვა; თავი X — ადგილობრივი თვითმმართველობა; თავი XI — ავტონომიური მმართველობა; თავი XII — სწავლა-განათლება და სკოლა; თავი XIII — სოციალ-ეკონომიკური უფლებანი; თავი XIV — ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი; თავი XV — სახელმწიფო მოხელენი; თავი XVI — სახელმწიფო და ეკლესია; თავი XVII — კონსტიტუციის გადასინჯვა.

ქვეყნის ძირითადი კანონის მიხედვით, საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო; მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა; საქართველოს დედაქალაქია ტფილისი, სახელმწიფო ენა — ქართული; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმება არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგნად.

1921 წლის კონსტიტუცია გამოირჩევა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცებით. კანონის წინაშე ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია როგორც პოლიტიკურ, ისე სამოქალაქო, ეკონომიურ და საოჯახო საქმეებში და კრძალავს წოდებრივ განსხვავებებს.

გარდა მოქალაქეობრივი უფლებებისა, კონსტიტუცია აღიარებს რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებს; გაუქმდა სიკვდილით დასჯა. საკონსტიტუციო კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე განიხილეს დავით ჩიქოვანის წინადადება, რომლის თანახმადაც ეროვნული საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის ქართული ენის ცოდნა სავალდებულო უნდა ყოფილიყო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარებაში. მართალია, მას რეალურად არც ერთი დღე არ უმოქმედია, მაგრამ იგი მნიშვნელოვანი დოკუმენტია.

თქვენ წინაშე წარმოდგენილია გამოცემის ის ეგზემპლარი, რომელსაც დამფუძნებელი კრების წევრთა ხელმოწერები ახლავს.

კონსტიტუცია 1921 წლის მარტში გამოვიდა. იგი ბათუმში, ნესტორ ხვინგიას სტამბაში, დაიბეჭდა. დოკუმენტი ეკუთვნის საქართველოს პარლამენტს და დაცულია ეროვნულ არქივში.

დიდია ბეჭდური მედიის როლი ამ ისტორი-

ულ პირთა უდიდესი ღვაწლის წარმოჩენაში. რომ არა იგი, ჩვენთვის ბევრი რამ უცნობი იქნებოდა. სწორედ ბეჭდურმა მედიამ შემოგვინახა ინფორმაციები იმის შესახებ თუ რა პირობებში მოუხდა დამფუძნებელ კრებას კონსტიტუციის მიღება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად ელექტრონული მედიის განვითარებისა, ბეჭდურ მედიას დღესაც უდიდესი როლი აკისრია.

საქართველოს კონსტიტუციის მიღების პროცესს ძალიან კარგად გადმოგვცემს გაზეთ „ერთობაში დაბეჭდილი წერილი „ვენაცვალე! ვენაცვალე!“

გთავაზობთ წერილის სრულ ვერსიას:

ვენაცვალე! ვენაცვალე!

„ქვეყნად ვეძებდი სამოთხეს, სამხრეთისკენ — ედემსა“

ქვეყნად ეძებდნენ გმირებს, რაინდებს, მამულისათვის თავგანწირულებს, თავისუფლებასთან შეყვარებულებს და ვერსად ჰპოვებდნენ... ამისთვის იყო, რომ ზღაპრებს თხზავდნენ, რაოდენი მგოსნის თავი და გული ისე გამოჰხრა სამარის ჭიამ, რომ ვერ ეღირსა თვისი ოდისეის, ვილგელმ-ტელის, კარლ-მოორის ხილვას.

ისინი კი აქ — საქართველოში — არიან... გმირები კი არა, თითო-ოროლა კი არა — უამრავი, ურიცხვი, რომელია საქართველოში გმირი? - ღმერთმანი, ძმობამ, ვერ დავასახელებ სათითაოდ. პირველი შეხედვით, ნოე ჟორდანია ეგონება კაცს, ვალიკო ჯუღელი, დგებუაძე — ნამდვილათ კი მთელი ერია...

წუხელა ვნახე ბრძოლის ველიდან დაბრუნებული — თვალებჩასისხლიანებული ვალიკო, ეტყობა ცეცხლის ალში გაუვლია, ჩვეულებრივის სიმამაცით უბრძოლია, მაგრამ რამ დაანთო მასში ეს ცეცხლი? რამ გაავეფხვა? — ხალხმა, ქართველმა ხალხმა. ჩვენი ხალხი რომ დალაბრა ყოფილიყო — ვალიკო ასეთის სიაფთრით არ ეკვეთებოდა მტერს.

წუხელვე ვნახე ნოე ჟორდანია. მისს ცოცხალს თვალებში რომ ჩავიხედე — ასე მეგონა, დავით აღმაშენებლის სიძლიერე, დიმიტრი თავდადებულის თავგანწირვა, მეფე ირაკლის უშიშრობა ერთს ცეცხლის ალად გადაქცეულა და ის დანთებულა ნოეს თვალებში. ესეც იმიტომ მოხდა, რომ ნოეს გულში იჯდა ქართველი ერის აღფრთოვანება და ის აგულიანებდა, თორემ... თორემ ღმერთს რომ არ დაეფარა და ჩვენი ერი რომ ფეხზე არ დამდგარიყო — ჩამქრალი იქნებოდა ნოეს მეტყველი თვალები.

გმირი — ქართველი ერია... გმირობის ეპოქა საქართველოში არ ყოფილა... აქ მუდამ ერი გმირობდა..

— კაცო, რა არის ქართველი ერი, რა გმირი ყოფილაო — მეუბნებიან ნაცნობები და წარა-მარა მაჩერებდნენ გზაზე...

საბრალონი, მათ ახლა გაიგეს ესა... აქამდის კი არა სცოდნიათ... რაღას იტყვიან, როცა ბრძოლის ველზე წავლენ... გმირები აბა იქ არიან... მერე და რა გმირები!..

ყიჟინა... მხიარულება... სიცილი...

იცინის... მთელი ერი იცინის... მტერი ტფილისის ბჭეს მოსდგომია და ის კი იცინის...

ჩაიხედეთ, ჩაიხედეთ თხრილებში...

ჰყინავს... თხრილებში მდგომი წყალი გაყინულა... ხელები დალურჯებიათ ჯარისკაცებს და მაინც ოხუნჯობენ... ყური დაუგდეთ, დაუგდეთ კარგათ ყური, რას ამბობენ...

საკვირველია ეს რუსობა!.. რევოლუცია მისთვის მოახდინა, რომ ბრძოლა არ უნდოდა - ახლა კი რა ღმერთი გასწყრომიათ, რა სამგლე გოჭივით მოიბრძვის... მტერთან ომი არ უნდოდა და ჩვენს თხრილებზე რას აკლავს თავსა ეს უბედური...

ყველაა, ყველაა ბრძოლის ველზე...

ფრონტი ყაბახი მგონია, საცა ყველას მოუყრია თავი... დამფუძნებელი კრების წევრებს... მთავრობის წევრებს... სტენოგრაფისტებსაც კი... პოეტებს...

ბიჭოს... ამას აქ რა უნდა... ჩვენი ნიკო, ჩვენი ნიკო ქუმსიაშვილი მთელი ღამე იბრძოდა... აკი დამფუძნებელი კრების წევრები გაიქცნენო... კი... გაიქცნენ, მაგრამ არა უკან, არამედ ფრონტისკენ...

რა გიკვირთ, რა გაოცებთ, რომ ზღვათ ოდენი ხალხი დავამარცხეთ... მეტსაც ვიზამთ... ქართველი ერი მოწოდებულია მსოფლიოს მესაჭედ გადაიქცეს...

ზურგში რაღა ხდება?... მთელი ერი ფეხზე დგას... ყველა მაზრა დარაზმულია... დუშეთის მაზრაც კი, მარად ბეჩავი, ბნელი, მოვალალე დუშეთის მაზრა გამოცვლილა... ყელი მოუღერებია... დედაბუდიანად მოგლეჯილა... არაგვი ქსნის ტალღებს ეჯიბრება: ვინ წინა და ვინ უკანაო... მოხუცებულებიც არა დგებიან შინა... ყავარჯნიანები მობაჯბაჯებენ, „ქართოფილის დაფცქვნაში მაინც გამოგადგებითო“... მთელი საგურამო მოდის და მათს გამარჯვებაზე ლოცულობს ილიას აჩრდილი... მცხეთაშიაც გამოცხადებულია მობილიზაცია 40 წლამდის, მაგრამ ერთსაც ვეღარ იპოვიან — ყველა წამოსულა... მუხრანი, ქსანი, ბაზალეთი, დუშეთი რა ყიჟინით მოდიან, ერთი განახათ, რა ყიჟინით...

ეხლა შემხვდნენ დუშელები... ნეტავ შულავერის მიმართულებით გაგვაგზავნონ, რომ შულავრის „ქართული მთავრობა ხელთ ვიგდოთ“...

შულავერის მთავრობა!...

რა მეცინება, რა მეცინება, ოჰ, ღმერთო ჩემო! მოგკვდი სიცილით!

ეს ტაკიმასხარები მოუძღვიან წინ რუსის ჯარს. არა,წინ კი არა მოუძღვიან — უკან მოსჩანჩალებენ, — რა ბიჭები არიან ფილიპე და მისი დოსტები — წინ მოუძღვნენ. ვიღამ მოუსვას უკან ლაჩრულად, თუ გაუჭირდეს. მოდიან ისინი, იმიტომ, რომ შეაგინონ ჩვენი წმინდათა-წმინდა, მაგრამ გაუხუნდათ ლილა... ერთს კი მიაღწიეს... როგორც იუდას აჩრდილი საუკუნეთა წყევლისაგან დაძრწის შეჩვენებული — ისე მათი სახელი იქნება სამარადისოთ წყეულ-კრულვილი...

გუშინაც გრიალებდნენ ზარბაზნები, მაგრამ დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს კონსტიტუცია მიიღო...

იხარებდეთ თავისუფლებისათვის წამებულნო, აღსრულდა თქვენი ნატვრა... ვაშა, საქართველოს მხედრებო!, თქვენს საქმეს საარაკოს ახალი შარავანდედი მოეფინა...

,,ტკბილია და სანატრელი მამულისათვის სიკვდილით'' — ამბობს რომაული ანდაზა...

მართალია ეს... არ მენანება თავი... რომ შემეძლოს — მილიარდჯერ ვანაცვალებ თავს — მაგრამ... რა ვქნა, რა უყო, არ მინდა სიკვდილი, არა. ჩვენ ჯერ არა გვცალიან სიკვდილისთვის... რისთვის უნდა დავიხოცნეთ? არ შეიძლება არც ერთი ჩვენგანის სიკვდილი...

ისტორიის სურვილი ყოფილა, მსოფლიოს წინაშე საქართველოს გამარჯვების აპოთეოზი გაუკეთოს — და უნდა ვნახოთ ჩვენ ეს... უნდა დავტკბეთ ამ მზერით..

ამოდის, ამოდის მსოფლიოს დიადი მზე და მის ჩასაბნელებლად მოკუპრულ ღრუბლებს გულიდან ამოხეთქილ რისხვის გრიგალით ჰფანტავს საქართველო, პატარა, კეკლუცი საქართველო...

ვენაცვალე მას... ვენაცვალე მას.. ვენაცვალე მას...'' — დ. თურდოსპირელი (ჩხეიძე დავით ანდუყაფარის ძე) (,,ერთობა'', 1921 წელი, 24 თებერვალი, №42).

1921 წლის გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკაში'' (22 თებერვალი, 40) დაბეჭდილი წერილი ,,დამფუძნებელი კრების წევრები'' გვამცნობს თუ როგორ იბრძოდნენ დამფუძნებელი კრების წევრები ომში.

,,დამფუძნებელი კრების წევრები''

,,დამფუძნებელი კრების ყველა წევრი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ომში. 19 თებერვალს პირველად მათ ახარეს ხალხს ჩვენი ჯარების ბრწყინვალედ გამარჯვება. დილაა. ახლად ფრონტიდან დაბრუნებული დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე აღფრთოვანებული ახარებს სასახლესთან მოზღვავებულ ხალხს გამარჯვებას; ამბობს გრძნობით სავსე სიტყვას, რომელსაც ასე ათავებს: ,,საქართველოს დემოკრატიამ უნდა გაანთავისუფლოს ამ ბოლშევიკური ტირანიისაგან არა მარტო საქართველო, არამედ მთელი აღმოსავლეთი.''

კვლავ ყველას სიხარულის რკალი იპყრობს. ქალები ვეღარ ითმენენ და ალექანდრე ლომთათიძეს შუბლზე კოცნიან. ისმის მათ შორის გამარჯვების გამარჯვებით გამოწვეული სასიხარულო ქვითინიც.

აგერ კიდევ მოიქროლა ფრონტიდან თოფით ხელში დამფუძნებელი კრების წევრმა გაბრიელ ცისკარიშვილმა, რომელიც თვითონ მონაწილეობდა ომში და გახარებული მოიძახის: ,,გავიმარჯვეთ, 2000-მდე ტყვე დაგვრჩა, მტერი უთავბოლოდ გარბის, ჩვენი მხრივ სრულიად უმნიშვნლო მსხვერპლია''.

მოისმის სასახლიდან ცეცხლით აღგზნებული, აღფრთოვანებული სიტყვა სპირიდონ კედიასი, რომელიც სიხარულით და მამულიშვილური გრძნობით დამწვარი ცრემლებსა ღვრის.

,, — კაცო, შალვა ქარუმიძის რაზმს თავი უსახელებია; თურმე ლომივით ეკვეთნენ მტერს ფშავ-ხევსურები''.

მიქრის ეტლით პავლე საყვარელიძე და ყველას გადასძახის გამარჯვების ხმას.

ამ დროს მოხუცი სილიბისტრო გაიძახის: ,,ქართველ ერს სიკვდილი არ უწერია, მან უნდა გაიმარჯვოს''. ისმის ვაშას ძახილი და დაუსრულებელი ტაშის გრიალი. აგერ კიდევ მიეშურებიან ფრონტზე რამდენიმე დეპუტატი.

გრიგოლ ვეშაპელი ახალგაზრდობისაგან შემდგარ მოხალისეთა ახალ-ახალ რაზმებს ისტუმრებს ფრონტზე.

ხალხი ხედავს, რომ მისი ბედის მესაჭენი მასთან არის ჭირშიც და ლხინშიაც და ეს კი აორკეცებს გამარჯვების იმედს.''

საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღების პროცესს ძალიან კარგად გადმოგვცემს გაზეთ „ერთობის“ 1921 წლის 23 თებერვლის №41 ნომერში განთავსებული წერილი: „კონსტიტუციის დამთავრება“

„21 თებერვლის საღამოს სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ დაამთავრა კონსტიტუციის განხილვა და საბოლოოდ მიიღო ის.

ომის ალში და ბოლში გახვეული საქართველოს უზენაესი დაწესებულება დამფუძნებელი კრება იშვიათი სიმტკიცით და შეურყევლობით განაგრძობდა თავის საშვილიშვილო საქმეს — საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებას. ორი წლის განმავლობაში წარმოებდა ეს მუშაობა. ყოველი დებულება, ყოველი სიტყვა პროექტისა აწონ-დაწონილი და ყოველმხრივ განხილული იყო ჯერ საკონსტიტუციო კომისიაში, შემდეგ პრესაში, პარტიულ ყრილობებსა და კონფერენციებზე და სხვა პარტიულ დაწესებულებებში. ეს მესამე თვეა, რაც დამფუძნებელი კრების პლენუმი შეუდგა პროექტის განხილვას. მან უკვე მოათავა პროექტის საზოგადო განხილვა, იმ მთავარი პრინციპების შეფასება, რომელზედაც უნდა აშენებულიყო ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი შენობა. მოთავებული იყო აგრეთვე პროექტის თვისობრივი განხილვაც, რომლითაც დამფუძნებელ კრებას კონსტიტუციის თითოეული ნაწილი უნდა შეეთანხმებინა მთლიანისათვის. უკვე დაწყებული იყო „მესამე წაკითხვაც“, მუხლობრივი განხილვა კონსტიტუციის პროექტისა, როდესაც მოგვისწრო „წითელი“ ურდოების შემოსევამ, ტფილისის ალყაშემორტყმამ და ტფილისის თავდაცვისათვის ბრძოლამ. ზარბაზნების დგანდგარში და ტყვიის ზუზუნში მოუხდა დამფუძნებელ კრებას დაწყებული საშვილიშვილო საქმის დამთავრება. სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მას ერთ ხელში ეჭირა ხმალი, რომლითაც იგი მტერს იგერიებდა, მეორე ხელში კალამი, რომლითაც იგი სახელმწიფოს უქმნიდა ძირითად კანონებს. მრავალი მისი წევრი ბრძოლის ველიდან ბრუნდებოდა კონსტიტუციის შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად, ზოგს მათგანს ვერ მოესწრო სახეზე მოეწმინდა თოფ-ზარბაზნის ჭვარტლი; ზოგს, ბრძოლის ველზე დაშავებულს, სისხლის მობანაც კი ვერ მოესწრო და, მიუხედავად ამისთანა პირობებისა, მიუხედავად ამისა, რომ ამ პირობებს სრულიად ვერ უნდა შეექმნათ შესაფერისი სულიერი განწყობილება კონსტიტუციის განხილვისათვის ისტორიული პასუხისმგებლობის შეგნებით განმსჭვალულმა დამფუძნებელმა კრებამ თავის ისტორიულ დანიშნულების შესასრულებლად, თავისი მოვალეობის დასაგვირგვინებლად ყველაფერი გააკეთა. დღეს საქართველოს აქვს კონსტიტუცია, თავისი პოლიტიკური სახე, რომლითაც იგი თამამად და ამაყად წარდგება მსოფლიოს წინაშე (გაზეთი „ერთობა“, 1921 წლის 23 თებერვალი, №41;)

საკონსტიტუციო კომისიის წევრთა მოკლე ბიოგრაფიები.



სერგო დავითის ძე ჯაფარიძე დაიბადა 1871 წლის 5 იანვარს რაჭის მაზრის სოფელ ღარში. სხვადასხვა დროს ცხოვრობდა ღარში, ქუთაისში, ოდესაში, ტფილისში (იზმაილოვის ქუჩა, №21).

დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, ნოვოროსიისკის (ქალაქი ოდესა) უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მუშაობდა ქუთაისის საოლქო სასამართლოში ნაფიც ვექილად; იყო ნაფიც ვექილთა საბჭოს თავმჯდომარე და ქალაქის თვითმმართველობის წევრი.

1904 წლიდან „მენშევიკების“ ფრაქციაშია. თანამშრომლობდა პრესაში „ს. ჯ-ძის“ ფსევდონიმით. 1917 წლის თებერვალში აირჩიეს კავკასიის ვექილთა საბჭოს თავმჯდომარედ.

1917 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად და აქტიურად ჩაება დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. როგორც იურისტი, იყო საკონსტიტუციო კომისიის წევრი. 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს.

1918 წლის 11 ივნისის საკონსტიტუციო კომისიის სხდომის რეზიუმირებისას განაცხადა, რომ შერეული ტიპის ფრანგულ და შვეიცარულ სისტემათა შორის უფრო უნდა მიუახლოვდეთო შვეიცარიული ტიპის ერთპალატიან პარლამენტს. პრეზიდენტი განსაკუთრებული უფლებებით არ უნდა იყოს აღჭურვილი. უნდა ჩამოყალიბდეს არა პოლიტიკური, არამედ საქმიანი სამინისტრო. უნდა აასრულოს სამინისტრომ ის, რასაც დაადგენს პარლამენტი.

სერგი ჯაფარიძე 1937 წელს დააპატიმრეს „მენშევიკური კონტრრევოლუციური ცენტრის“ წევრობის ბრალდებით, დახვრიტეს 10 ოქტომბრის ღამეს. ჰყავდა ცოლი და 4 შვილი.

*** *** ***

პავლე (დიდი პავლე) დავითის ძე საყვარელიძე (ნ. საქარელი) დაიბადა 1882 წელს ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფელ საქარაში. სხვადასხვა დროს ცხოვრობდა საქარაში, ქუთაისში, ბაქოში, თბილისში (გრიბოედოვის ქუჩა, №253).

რუსეთისა და შვეიცარიის უნივერსიტეტებში მიიღო იურიდიული განათლება.

იყო სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის — „ბოლშევიკების“ ფრაქციის, შემდეგ კი — „მენშევიკების” ფრაქციის წევრი, ცნობილი იყო პარტიული ფსევდონიმით — „დიდი პავლე“.

თანამშრომლობდა პრესაში. იყენებდა ფსევდონიმებს: „პ-ნი“, „პ. ს-მე“, „პ. ს-ძე“ და „პ.ს.ნ-ს-ლი“. რედაქტორობდა გაზეთ „შადრევანს“.

1917 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად.

1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს.

პავლე საყვარელიძე გარდაიცვალა 1937 წლის 10 აგვისტოს. არსებობს ვერსია, რომ მკურნალობისას მოწამლეს. დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე.

*** *** ***

რაჟდენ მათეს ძე არსენიძე დაიბადა 1880 წლის 28 ოქტომბერს (ძველი სტილით) ქუთაისის გუბერნიის, ახლანდელი ტყიბულის რაიონის) სოფელ სოჩხეთში. სწავლობდა იურიევის (ტარტუს) უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. პოლიტიკური მრწამსით იგი იყო სოციალ-დემოკრატი.

ახალგაზრდობიდანვე აქტიურ სამწერლო-პუბლიცისტურ საქმიანობას ეწეოდა. თანამშრომლობდა გაზეთებში: „ივერია“, „კვალი“, „სხივი“, „ლამპარი“, „მერცხალი“. „ჩვენი დროება“, „განთიადი“ და სხვ.იყენებდა ფსევდონიმებს: „მიშა“, „რ. არიოსი“, „არ. რაჟდენიძე“, „რ. რაჟდენიძე“, „რაჟდენ რაჟდენიძე“, „რაჟდენ“, „რაჟდენიძე“, „რ.“, „რ.-ა“, „რ. ა.“, „რ,მ-ა“, „რ-ძე“ და „რ. ძე“.

არჩეული იყო საქართველოს ეროვნული საბჭოსა და ამიერკავკასიის სეიმისა და საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად.

მისი თანამონაწილეობით შემუშავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი 1918 წლის 26 მაისს, რომელსაც ხელი მოაწერა ეროვნული საბჭოს წევრის სტატუსით.

დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის მინისტრი გარდაიცვალა 1965 წლის 24 მაისს საფრანგეთში, დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

*** *** ***



ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია დაიბადა 1868 წლის 2 იანვარს. სწავლობდა ვარშავისა და სორბონის უნივერსიტეტებში. იყო სოციალ-დემოკრატი.

აქვეყნებდა პუბლიცისტურ ნაწარმოებებს. იყენებდა ფსევდონიმებს: „მი“, „ან“, „ან.“, „ანი“, „გ. მა-ძე“, „გ. მარმალაძე“, „დევიანი“, „კასტროვი“, „კოსტროვი“, „ნ. ჟ-ია“, „ნ. ჟ.“, „ნოე ჟ-ია“, „ნარი“, „ძველი მოკამათე“ და „წითელფეერაძე“.

ცნობილი იყო პარტიული ფსევდონიმებით: „ჯორჯი“, „ჟორჟი“, „Кавказец“, „Костров“, „ანი“, „ანდრეი“.

ჟანდარმერიისა და მეფის საიდუმლო პოლიციის — „ოხრანკის“ — მასალებში ასევე ცნობილი იყო მეტსახელით „პატრიარქი“.

1917 წლიდან იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი და საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. საქართველოს სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის საპატიო წევრი.

1918 წელს აირჩიეს ამიერკავკასიის სეიმის წევრად.

1918 წლის 26 მაისს ნოე ჟორდანიამ, როგორც საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია.

1918 წლის ივნისში ნოე ჟორდანია გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

1919 წელს აირჩიეს თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნად,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად. დამფუძნებელმა კრებამ იგი კვლავ მთავრობის თავმჯდომარედ დაასახელა.

1921 წლის თებერვალ-მარტში, საქართველოს რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირების შემდეგ, საქართველოს დამფუძნებელი

კრების 16 მარტის გადაწყვეტილების თანახმად, მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია ემიგრაციაში წავიდა.

ნოე ჟორდანია ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1953 წლის 11 იანვარს, პარიზში. დაკრძალეს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

*** *** ***

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ სიმონის ძე რცხილაძე დაიბადა 1876 წელს ტფილისის გუბერნიის თელავის მაზრის სოფელ შაშიანში, დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის წევრი.

აქტიურად თანამშრომლობდა პრესაში „ზ-გის“, „ზ-გ-ის“, „ზანგის“, „ზანგი ხიხოს“ და „რანგის“ ფსევდონიმებით.

1908 წელს დააარსა „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება“, იყო „საუნივერსიტეტო საზოგადოების“ გამგეობის წევრი, შემდეგ — იურიდიული ფაკულტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

არჩეული იყო საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად.

1918 წელს 26 მაისს ხელი მოაწერა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტს“.

გრიგოლ რცხილაძე გარდაიცვალა 58 წლის ასაკში, 1934 წლის 8 ნოემბერს თბილისში. დაკრძალეს 12 ნოემბერს დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

*** *** ***

ᲡᲐᲛᲡᲝᲜ პლატონის ძე დადიანი დაიბადა 1885 წლის 23 დეკემბერს (ძველი სტილით) ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის, სოფელ მოდინახეში (სენაკი). დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია; პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

აქტიურად თანამშრომლობდა პერიოდულ გამოცემებში „ს. დადიას“, „ს. და-ნის“, „ს. დ-ნის“, „ს. დ-ის“, „და-ნის“ და „შან-დიანის“ ფსევდონიმებით. XX ს. 10-იანი წლებიდან მისი წერილები იბეჭდებოდა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. მას ასევე ეკუთვნის 1905 წლის რევოლუციისადმი მიძღვნილი დრამა „ჯვარედინ გზაზე“ და ისტორიული დრამა „გიორგი სააკაძე“.

იყო საქ. სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის წევრი. მონაწილეობდა ქართული პარტიების ინტერპარტიულ შეკრებაში.

არჩეული იყო ეროვნული საბჭოს წევრად და მდივნად; დამოუკიდებელი საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის) წევრად; საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს პირველი კონსტიტუციის შემუშავების პროცესში. შედიოდა 1918 წლის 6 ივნისს არჩეული „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსტიტუციო საფუძვლების შემდგენ კომისიაში“, დაევალა კონსტიტუციის ერთ-ერთი თავის — „ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ“, შემუშავება, რომელიც კონსტიტუციის მეთოთხმეტე თავის სახით განხორციელდა. 1921 წლის იანვარში სოციალისტ-ფედერალისტთა

პარტიის მეხუთე კონფერენციაზე აირჩიეს პარტიის მთავარი კომიტეტის ხუთკაციან პრეზიდიუმში, იყო პარტიის თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე).

როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი, აქტიურად მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყების მომზადებაში.

1924-1925 წლებში დააპატიმრეს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის საქმესთან დაკავშირებით. სასამართლომ მას შეუფარდა 3-წლიანი პატიმრობა, თუმცა, როგორც საბჭოთა ხელისუფლებისთვის არასაშიში პირი, სასჯელისგან გაათავისუფლა. შეიარაღებული გამოსვლების დამარცხების შემდეგ ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას.

იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დამცველთა (ადვოკატთა) კოლეგიის წევრი, მუშაობდა ბანკის იურისკონსულტად. სამსონ დადიანი დამფუძნებელი კრების დეპუტატებთან — ოსიკო ბარათაშვილსა და კირილე ნინიძესთან ერთად — 1924 წელს იცავდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელო პირთა ჯგუფს.

1937 წელს იგი კვლავ დააპატიმრეს და 10 დეკემბერს სიკვდილი მიუსაჯეს. დახვრიტეს 11 დეკემბერს, ღამით.

*** *** ***

გიორგი ბეჟანის ძე გვაზავა დაიბადა 1869 წლის 23 აპრილს აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნაში,

სწავლობდა მოსკოვისა და სორბონის უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტზე.

იყო ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი.

პრესაში თანამშრომლობდა „ვინმე გოგიას“, „ოდიშელიას“ და „შანტეკლერის“ ფსევდონიმებით.

იყო ოზაკომთან შექმნილი ეროვნებათა საბჭოს შემადგენლობაში. ამიერკავკასიის სეიმის წევრი, ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასკომის წევრი, საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი, საკონსტიტუციო კომისიის წევრი და მდივანი, კონსტიტუციის სარედაქციო კომისიის წევრი, შედიოდა ასევე კრების სარეგლამენტო და საგარეო საქმეთა კომისიებში.

ემიგრაციაში აქტიურად აგრძელებდა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობას.

გიორგი გვაზავა 1941 წელს გარდაიცვალა პარიზში, დაკრძალულია ბატინიოლის სასაფლაოზე.



*** *** ***

ლევან (ლეო) იასონის ძე ნათაძე დაიბადა 1880 წლის 16 ივნისს გორის მაზრის სოფ. კასპში.

სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი.

პრესაში თანამშრომლობდა „გეორგიელი ლეოს“, „ბას“ და „L“-ის ფსევდონიმებით.

არჩეული იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრად, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. იყო საკონსტიტუციო,

სარეგლამენტო და ხელოვნების კომისიების წევრი; განათლების კომისიის თავმჯდომარე ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

42 წლის ლეო ნათაძე ტიფით გარდაიცვალა 1922 წლის 3 თებერვალს, დილის 6 საათზე, თბილისში. დაკრძალეს 6 თებერვალს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში; მისი დაკრძალვა დიდ ანტისაბჭოთა დემონსტრაციად გადაიქცა.

*** *** ***

ᲖᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ (ᲙᲝᲢᲔ) ᲔᲛᲐᲜᲣᲔᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ 1876 ᲬᲚᲘᲡ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ ᲛᲐᲮᲠᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲙᲐᲭᲠᲔᲗᲨᲘ. ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ: ᲙᲐᲭᲠᲔᲗᲨᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ, ᲙᲘᲔᲕᲨᲘ, ᲟᲔᲜᲔᲕᲐᲨᲘ, ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ, ᲗᲔᲚᲐᲕᲨᲘ, ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲚᲨᲘ, ᲡᲣᲖᲓᲐᲚᲨᲘ. ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲓᲐ: ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔ-3 �გᲘᲛᲜᲐᲖᲘᲐᲨᲘ; ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ. ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲰᲧᲝ ᲮᲔᲚᲘ — ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

1906 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲚᲔᲒᲐᲚᲣᲠ ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘ „ᲔᲚᲕᲐᲡᲐ“ ᲓᲐ „ᲡᲮᲘᲕᲨᲘ“, ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲓᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲨᲘ“. ᲬᲔᲠᲓᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ. ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲤᲡᲔᲕᲓᲝᲜᲘᲛᲔᲑᲡ „Კ. ᲙᲐᲮᲔᲚᲘ“, „Კ. ᲐᲜᲓ-ᲨᲕᲘᲚᲘ“ ᲓᲐ „ᲙᲝᲜᲡᲢ. ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘ“. ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲤᲡᲔᲕᲓᲝᲜᲘᲛᲔᲑᲡ „ᲙᲐᲮᲔᲚᲘ“ ᲓᲐ „ᲐᲠᲩᲘᲚᲘ“. „ᲮᲠᲐᲜᲙᲘᲡ“ ᲗᲕᲐᲚᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲔᲢᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ — „Рыжий интеллигент“.

ᲘᲧᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ. ᲙᲐᲭᲠᲔᲗᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲐᲧᲐᲚᲘᲑᲐ Პ/Პ ᲓᲐ ᲘᲒᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲐ ᲠᲡᲓᲛᲞ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ. ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲘᲧᲝ ᲠᲔᲞᲠᲔᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ: 1900, 1903 (ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ), 1904, 1906, 1911, 1921, 1922, 1924, 1925 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲧᲝ: ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ; ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ; ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲔᲘᲛᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ; ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ; ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ; ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ. ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲝᲠᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲐᲓ, ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ.

1918 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲡ.

ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ. 1923 ᲬᲚᲘᲡ �მᲐᲠᲢᲨᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲓᲐᲛᲙᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ. ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲤᲡᲔᲕᲓᲝᲜᲘᲛᲡ „ᲒᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘ“.

1925 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲒᲐᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲛᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲖᲝᲛᲐ — ᲓᲐᲮᲕᲠᲔᲢᲐ — ᲛᲘᲣᲡᲐᲯᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲛᲜᲘᲡᲢᲘᲐᲛ ᲓᲐᲮᲕᲠᲔᲢᲐ 10 ᲬᲚᲘᲗ ᲛᲙᲐᲪᲠᲘ ᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲣᲪᲕᲐᲚᲐ. ᲗᲐᲕᲓᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲘᲒᲘ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲢᲔᲮᲘᲡ №2 „ᲒᲐᲛᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ“; ᲛᲔᲠᲔ, ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲓ, ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲡᲣᲖᲓᲐᲚᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲖᲝᲚᲐᲢᲝᲠᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲒᲖᲐᲕᲜᲔᲡ.

ᲙᲝᲢᲔ ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲑᲔᲓᲘ ᲒᲐᲣᲠᲙᲕᲔᲕᲔᲚᲘᲐ. ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲓ, ᲙᲝᲢᲔ ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲪ 1937-38 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡ ᲔᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲐ.

*** *** ***

ელიტონ ივანეს ძე რუსია დაიბადა 1878 წელს ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის სოფელ ლანჩხუთში, სხვადასხვა დროს ცხოვრობდა: ლანჩხუთში, ხარკოვში, კიევში, თბილისში, პარიზში.

სწავლობდა: ლანჩხუთის სამოქალაქო სასწავლებელში; სამეურნეო სასწავლებელში; ხარკოვის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, საიდანაც 1903 წელს სტუდენტურ გამოსვლებში მონაწილეობის გამო გარიცხეს და აუკრძალეს რუსეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღება. სწავლა გააგრძელა კიევის უნივერსიტეტში. დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი და გახდა ნაფიცი ვექილი.

იყო რუსეთისა და ტფილისის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი; მუშაობდა „მენშევიკების“ ფრაქციაში.

არაერთხელ იყო დაპატიმრებული.

ოხრანკის თვალთვალის ჟურნალებში გატარებულია მეტსახელით — „Переводчик“.

სხვადასხვა დროს მუშაობდა თვითმმართველობებსა და საერობო ორგანოებში.

იყო ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრი; პროპაგანდისტთა კოლეგიის თავმჯდომარე; ქალაქ ტფილისის საბჭოს ხმოსანი; საქართველოს ქალაქთა კავშირის თავმჯდომარის ამხანაგი; საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი; საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით. თვითმმართველობის კომისიის თავმჯდომარე, იურიდიული, ტექნიკური, ცენტრალური საარჩევნო და საკონსტიტუციო კომისიების წევრი.

1921 წელს,საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპირების შემდეგ, დატოვა სამშობლო და ცხოვრობდა საფრანგეთში.

გარდაიცვალა 1951 წლის აგვისტოში. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

*** *** ***

(http://www.archives.gov.ge/ge/page/saqarTvelos-konstitucia-kviris-dokumenti).

ბორგი (გოგიტა) აქვსენტის ძე ფაღავა დაიბადა 1895 წლის დეკემბერში (ძველი სტილით) ქუთაისის გუბერნიის ქალაქ ქუთაისში. სწავლობდა ქუთაისის სათავადაზნაურო ქართული გიმნაზიაში; მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სწავლის პერიოდიდან ჩაება სოციალ-დემოკრატიული წრეების მუშაობაში. იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „მენშევიკების ფრაქციის“ წევრი.

1917 წლის მარტში გოგიტა ფაღავამ და ვიკტორ ნოზაძემ მოსკოვიდან დაშიფრული დეპეშით შეატყობინეს თბილისელ თანამოაზრეებს ნიკოლოზ მეორის ტახტიდან გადადგომისა და რევოლუციის დაწყების შესახებ.

მუშაობდა: მოსკოვის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში და ჩაბმული იყო ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების საქმიანობაში; ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტში („ოზაკომში“) აკაკი ჩხენკელის მდივნად; ქუთაისის ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთ ხელმძღვანელად; აქტიურად მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოში სახალხო გვარდიის ფორმირებაში.

არჩეული იყო: სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრად; საქა-

რთველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად, იყო საკონსტიტუციო კომისიის წევრი. სპეციალური მისიით გაიგზავნა ჩრდილოეთ კავკასიაში.

1921 წელს მონაწილეობდა წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში; ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში და ჩაება წინააღმდეგობის მოძრაობაში.

პოლიტიკური საბაბით არაერთხელ იყო დაპატიმრებული.

იყო ბოლშევიკური საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ საერთო ფრონტის შექმნის მიზნით პარტიათა შორის მოლაპარაკების აქტიური მონაწილე; საქ. დამოუკიდებლობის კომიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და წევრი; საქ. სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტთან დაარსებული სამხედრო კომისიის წევრი.

შემდგომ პერიოდში გოგიტა ფაღავა იატაკქვეშა საქმიანობის ერთ-ერთ საკვანძო ფიგურად იქცა — ცნობილი იყო „ავთანდილის“ ფსევდონიმით.

1923 წლის ნოემბერში, ნოე ხომერიკის დაპატიმრების შემდეგ გოგიტა ფაღავა გახდა წინააღმდეგობის მოძრაობის მთავარი ორგანიზატორი.

1924 წლის ანტისაბჭოთა შეიარაღებულ აჯანყებაში აქტიური მონაწილეობის გამო ამიერკავკასიის სფსრ-ს მთავრობის მოთხოვნით სსრკ გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარე ფელიქს ძერჟინსკიმ გადასახლებაში მყოფი საქართველოს წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერების — ბენია ჩხიკვიშვილის, ნოე ხომერიკის, გოგიტა ფაღავას, ვასილ ნოდიასა და გიორგი წინამძღვრიშვილის — დახვრეტის სანქცია გასცა.

ისინი დახვრიტეს სუზდალის პოლიტიზოლატორიდან ეტაპით გადაყვანისას, რომელიღაც სადგურზე; დასაფლავების ადგილი უცნობია.

*** *** ***

ᲖᲐᲕᲚᲔ ᲚᲣᲙᲐᲡ ძე წულაია დაიბადა 1882 წელს, ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის მაზრის სოფელ ხუნჯულოურში, სხვადასხვა დროს ცხოვრობდა: ხუნჯულოურში, თბილისში, კემეროვოში, ბორჯომში.

დაამთავრა სოფლის პირველადი ორკლასიანი სასწავლებელი; ტფილისის სახელოსნო სასწავლებელი.

იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „მენშევიკების“ ფრაქციის წევრი; რსდმპ ლონდონის მე-5 ყრილობის (1907 წ.) დელეგატი ტფილისის ორგანიზაციიდან; ქუთაისის გუბერნიის საგანგებო სასამართლოს წევრი.

მუშაობდა ტფილისის რკინიგზის დეპოში; მემანქანის თანაშემწედ სამტრედიის რკინიგზის დეპოში;

თანამშრომლობდა პრესაში; იყენებდა ფსევდონიმს „დეპო“.

არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად; იყო საკონსტიტუციო და გზათა კომისიების წევრი.

დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპირების შემდეგ დარჩა საქართველოში. ცხოვრობდა და მუშაობდა მშობლიურ სოფელში.

საქართველოს სსრ საგანგებო კომისიამ (ჩეკა) დააპატიმრა 1921 წლის აპრილში; პატიმრობიდან გაათავისუფლეს 1921 წლის 5 ივნისს.

მისი მონაწილეობით 1932 წელს მოხერხდა უნიკალური ხის ეკლესიის განადგურებისაგან დაცვა.

ბოლშევიკური რეჟიმის წარმომადგენლებმა პავლე წულაიას არაოფიციალურად მიანიშნეს, რომ მისი ცხოვრება სამტრედიის რაიონში როგორც დამფუძნებელი კრების ყოფილი დეპუტატისა არასასურველი იყო. მას აუკრძალეს ყოველდღიური ურთიერთობა და მუშაობა მუშებსა და გლეხებთან და საცხოვრებელი ადგილის შეცვლა მოსთხოვეს.

გადაამუშავა წლების მანძილზე შეკრებილი ლიტერატურა სარკინიგზო საქმის შესახებ და ქართულ ენაზე დაბეჭდა სახელმძღვანელო წიგნები რკინიგზელთათვის — „ორთქლმავალი“ და „ვესტინჰაუზის სისტემის ავტომატური მუხრუჭები“.

პავლე წულაია დააპატიმრეს 1937 წლის აგვისტოს სოფელ ხუნჯულოურში, მისი წიგნები კი გაანადგურეს.

1937 წლის 25 ნოემბერს ქუთაისში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სპეცკოლეგიამ პავლე წულაიას 8 წლით პატიმრობა მიუსაჯა „შრომა-გასწორების ბანაკში“. ოჯახს ჩამოართვეს ბინა, პირადი საკუთრება ბორჯომში.

პავლე წულაია გარდაიცვალა 1943 წლის მარტს ციმბირში, კემეროვოს ოლქის საკონცენტრაციო ბანაკში.

რეაბილიტირებულია 1956 წელს.

*** *** ***

Ესე (ოსებ, ოსიკო) ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი დაიბადა 1874 წლის 4 ნოემბერს (ძველი სტილით) ტფილისის გუბერნიის ტფილისის მაზრის სოფელ ბორბალოში, ცხოვრობდა: თბილისში, პეტერბურგში, ტარტუში. სწავლობდა ქალაქ ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში; პეტერბურგისა და იურიევის (ტარტუს) უნივერსიტეტებში.

იყო ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის წევრი; რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ტფილისის გუბერნიიდან, საქართველოს სოციალიტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის სიით. სახელმწიფო სათათბიროში მუშაობდა „ტრუდოვიკთა“ ჯგუფში და გამოდიოდა საქართველოს ავტონომიის მოთხოვნით. სათათბიროს გარეკვის შემდეგ სოციალისტ დეპუტატებთან ერთად ხელი მოაწერა ვიბორგის მოწოდებას, რის გამოც პასუხისგებაში იყო მიცემული და 1907 წლის დეკემბერში 3 თვით პატიმრობა მიუსაჯეს. სასამართლო პროცესზე მწვავედ აკრიტიკებდა იმპერიის ხელისუფლების რეპრესიულ პოლიტიკას.

1905 წლიდან მუშაობდა ადვოკატად (ნაფიც ვექილად). იცავდა პოლიტიკურ საქმეებზე ბრალდებულებს: გენერალ გრიაზნოვის მკვლელს — სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მებრძოლი რაზმის წევრს არსენა ჯორჯიაშვილს. დამფუძნებელი კრების დეპუტატებთან, სამსონ დადიანსა და კირილე ნინიძესთან ერთად 1924 წლის მარტში იცავდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სამღვდელო პირთა ჯგუფს და კათალიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას, რომელთაც საბჭოთა რეჟიმი ანტისაბჭოთა პროპაგანდასა და საეკლესიო განძეულობის გადამალვაში სდებდა ბრალს. როგორც ადვოკატი სარგებლობდა დიდი პოპულარობით; მიიჩნევდნენ ერთ-ერთ საუკეთესო დამცველად სისხლის სამართლის სფეროში; გამოირჩეოდა დიდი ორატორული ნიჭით.

იყო საქართველოს სასცენო მოღვაწეთა ყრილობის თავმჯდომარ-

ის მოადგილე; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი; კავკასიის ვექილთა საბჭოს წევრი; საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, სარეგლამენტო კომისიის თავმჯდომარე, საკონსტიტუციო, სამანდატო, სარეკომენდაციო, საპენსიო და შრომის კომისიების წევრი. „საუნივერსიტეტო საზოგადოების“ წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. იყო საქართველოს სსრ დამცველთა (ადვოკატთა) კოლეგიის წევრი.

1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს.

არაერთხელ იყო რეპრესირებული: 1907, 1922, 1924, 1937 წწ.

1937-1938 წლებში გარიცხეს ადვოკატთა კოლეგიის შემადგენლობიდან. მალევე, 1937 წლის 17 აგვისტოს, დააპატიმრეს ფედერალისტთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით. 1938 წლის 13 სექტემბერს სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელმა სესიამ ოსიკო ბარათაშვილს სიკვდილი მიუსაჯა. დახვრიტეს 14 სექტემბერს, ღამით.

*** *** ***

ᲖᲘᲝᲠᲒᲘ მიხეილის ძე ლასხიშვილი დაიბადა 1865 წლის 19 დეკემბერს (ძველი სტილით) ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის მაზრის სოფელ ჯიხაიშში (სხვა ვერსიით — ქალაქ ქუთაისში).

სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში; სწავლის პერიოდში მონაწილეობდა მოსწავლეთა არალეგალური წრის მუშაობაში, სადაც ეცნობოდნენ აკრძალულ ლიტერატურას; ოდესის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტში სხვა სტუდენტებთან ერთად ჩამოაყალიბა ქართველ და კავკასიელ სტუდენტთა სათვისტომო და წრეები; გაწევრიანდა სტუდენტების მიერ ჩამოყალიბებულ „ნაროდნაია ვოლიას“ ოდესის კომიტეტში. უნივერსიტეტის წესდების შეცვლის მოთხოვნით მოწყობილ საპროტესტო გამოსვლაში მონაწილეობის გამო უნივერსიტეტიდან გარიცხეს და ოდესის ციხეში მოათავსეს; მცირეხნიანი პატიმრობის შემდეგ სამშობლოში გადაასახლეს.

სხვადასხვა დროს იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი; ტფილისის საადგილმამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის მდივანი; სახალხო თეატრის ერთ-ერთი დამფუძნებელი; არჩეული იყო ქუთაისის საადგილმამულო ბანკის შემფასებელი კომისიის წევრად; ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის წევრად. მუშაობდა კოოპერატიულ ბანკში; საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში;

იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის დაარსებიდან მისი მთავარი კომიტეტის უცვლელი თავმჯდომარე. მონაწილეობდა ფინეთში გამართულ რევოლუციურ პარტიათა კონგრესში.

მუშაობდა გაზეთ „ივერიაში“; წერილებს პრესაში აქვეყნებდა ფსევდონიმებით: „Ган“, „ган“, „გაბისონია“, „ესიკელა კვაჭანტირაძე“, „ლ-ლი“ და „ლა-ლი“.

მცირე ხნით თანამშრომლობდა გაზეთ „Новое обозрение“-ში, 1900 წლიდან გახდა რეორგანიზებული გაზეთის — „ცნობის ფურც-

ლის“ რედაქტორი. 1905 წელს მივლინებული იყო პარიზში სოციალ-ისტ-ფედერალისტთა საზღვარგარეთული ჟურნალის „საქართველოს“ რედაქციის ხელმძღვანელობისათვის და სოციალისტური პარტიების საერთაშორისო კონფერენციაზე დასასწრებად. 1905 წელს პარიზში ყოფნისას იყო გაზეთ „საქართველოს“ ერთ-ერთი რედაქტორი.

არჩეული იყო ქუთაისის საადგილმამულო ბანკის შემფასებელი კომისიის წევრად; ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის წევრად; საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად; ამიერკავკასიის სეიმის წევრად; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლა-მენტის წევრად; თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნად; საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სოციალ-ისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის სიით; იყო საკონსტი-ტუციო კომისიის წევრი.

1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატი-ული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს.

საქართველოს რესპუბლიკის პირველ მთავრობაში 1918 წ. იყო განათლების მინისტრი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ დარჩა მამულში და ჩაბმული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში.

არერთხელ იყო რეპრესირებული: 1887, 1888, 1889, 1910, 1922, 1924 წწ.

გიორგი ლასხიშვილი გარდაიცვალა 1931 წლის 15 მარტს, ღამის თერთმეტ საათზე. დაკრძალულია თბილისში, მწერალთა და საზო-გადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

*** *** ***

მარიამ ილიას ასული ჩხეიძე დაიბადა 1888 წელს ყვირილა-ში. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მუშაობდა ნაფიც-ვექილად. თანამშრომლობდა ესერთა პარტიულ გაზეთ „შრომაში“.

არჩეული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრად. როგორც საკონსტი-ტუციო კომისიის წევრი და მდივანი აქტიურად მონაწილეობდა კომი-სიის მუშაობაში. 1921 წლის იანვარში სოციალ-რევოლუციონერების მიერ გამოქვეყნებული საკონსტიტუციო პროექტის მთავარი დებულე-ბები სწორედ მისი შემუშავებული იყო. მარიამ ჩხეიძე საბჭოთა ტერ-ორის დროს, 1937 წელს, დახვრიტეს.

*** *** ***

ალექსანდრე (ალიოშა) იოსების ძე წერეთელი დაიბადა 1889 წლის 1 სექტემბერს სოფ. ცხრუკვეთში, (ქუთაისის მაზრა).

დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. მოღვაწეობდა პედაგოგად. იყო ქართველ მწერალთა კავშირის წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნე-ბელი საზოგადოების წევრი, საქართველოს სოციალისტ-ფედერალ-ისტთა პარტიის წევრი.

აირჩიეს ეროვნული საბჭოს (შემდგომში — პარლამენტის) წევრად. მცირე ხნით იყო საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე (ამხანაგი). საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებში ა. წერეთე-

ლი უპირისპირდებოდა ბოლშევიკურ ხელისუფლებას, მკაცრად აკრიტიკებდა მის ეროვნულ პოლიტიკას. 1920 წლებში ა. წერეთელი ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას და მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა განაგრძო.

1935 -1955 წლებში სამეულის გადაწყვეტილებით შუა აზიაში გადაასახლეს. 1956 წელს მიიწვიეს თსუ-ს ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის პროფესორად, იმავე წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. აღუდგინეს 1937 უკანონოდ ჩამორთმეული მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და პროფესორის სამეცნიერო წოდება.

გარდაიცვალა 1967 წლის 29 მარტს თბილისში. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

*** *** ***

ᲒᲔᲠᲝᲜᲢᲘ დიმიტრის ძე ქიქოძე დაიბადა 1886 წლის 8 სექტემბერს მახარაძის რაიონის (ახლანდელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის) სოფელ ბახვში. დაამთავრა სოფლის ორკლასიანი სკოლა; ქუთაისის რეალური სასწავლებელი, ლაიფციგისა და ბერნის უნივერსიტეტების ფილოსოფიის ფაკულტეტი.

ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში მონაწილეობდა არალეგალური ხელნაწერი დემოკრატიული ორგანოების მუშაობაში. თანამშრომლობდა სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებში „მოგზაური“,„დროება“ და „ახალი ცხოვრება“, მუშაობდა „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში. ათავსებდა წერილებს გაზეთებში „სახალხო ფურცელი“ და „საქართველო“. 1910 წლიდან დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა. 1918 წელს რედაქტორობდა გაზეთ „საქართველოს“, რომელიც იყო ედპ-ის ორგანო. 1925-1929 წლებში იყო გაზეთ „კომუნისტის“ სტილისტი. 1927-1928 წლებში იყო ერთ-ერთი ინიციატორი და მოთავე ლიტერატურული დაჯგუფება „არიფიონისა“ და ალმანახ „არიფიონის“ ხელმძღვანელი, მწერალთა კავშირის წევრი. ავტორია არაერთი კვლევის, სტატიებისა ლიტერატურაზე, ხელოვნებასა და ესთეტიკაზე: იყენებდა ფსევდონიმებს: „ლელიანი“, „გ. ლელიანი“, „გერონტი“ და „Г.К.“ ასევე ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას.

იყო რსდმპ წევრი ბოლშევიკების ფრაქციაში, ჩაება რევოლუციაში. 1910-იან წლებში ჩამოსცილდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და დაუახლოვდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჯგუფებს. იყო ედპ-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთავარი კომიტეტის წევრი; საქართველოს ეროვნული საბჭოს, საქართველოს პარლამეტისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტს. აქტიურად მუშაობდა საკონსტიტუციო კომისიაში. იყო ხელოვნების კომისიის მდივანი. 1919 წლის 21 მაისს დატოვა პარტია და ფრაქცია. გახდა დამოუკიდებელი დეპუტატი. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ დარჩა თბილისში.

1921-1922 წლებში მიწათმოქმედების კომისრის მოადგილე,ა 1930-1932 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობს დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის კურსს.

რეპრესირებული იყო 1906, 1910, 1936 და სხვა წლებში.

გერონტი ქიქოძე 1960 წლის 1 აგვისტოს თბილისში გარდაიცვალა. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

*** *** ***

სპირიდონ მალხაზის ძე კედია დაიბადა 1884 წლის 20 სექტემბერს ზუგდიდში. სხვადასხვა დროს ცხოვრობდა ზუგდიდში, ქუთაისში, პარიზში, ტულუზაში, მონპელიეში, ბერლინში, სტამბოლში. სწავლობდა: ზუგდიდის ხუთკლასიან რუსულ საქალაქო სკოლაში; ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში; კოლეჟ დე ფრანსის, სორბონისა და ტულუზის უნივერსიტეტებში. 1905 წლის 8 აპრილს მოსწავლეების საპროტესტო მოძრაობაში მონაწილეობის გამო გარიცხეს მე-8 კლასიდან; აქტიურად მონაწილეობდა მოსწავლეთა დემონსტრაციებში; ამ დროიდან დაუახლოვდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიას. 1917 წელს იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი; და მისი მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე. იყო პარტიის თვალსაჩინო ლიდერი, თანამედროვენი ხაზგასმით აღნიშნავდნენ სპირიდონ კედიას გამორჩეულ მჭევრმეტყველებასა და უბადლო ორატორულ ნიჭს, რის გამოც „საქართველოს ოქროპირს“ ეძახდნენ.

რეპრესიებული იყო 1913, 1922 წლებში.

არჩეული იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად, ბათუმის საზავო მოლაპარაკებების დელეგატად, საქართველოს პარლამენტის დეპუტატად, საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატად. იყო თვითმმართველობის, საკონსტიტუციო, ტექნიკური და საპროპაგანდო კომისიების წევრი; საქართველოს ინტერპარტიული კომიტეტისა და კომისიის წევრი. ხელი მიაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტს. 1942 წელს გახდა ბერლინში დაარსებული ქართული ნაციონალური კომიტეტის წევრი.

აქტიურად მოღვაწეობდა პრესაში. 1915 წელს დაუკავშირდა გაზეთ „კლდის“ გარშემო თავმოყრილ ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჯგუფს და მათთან ერთად და ბაქოელი ქართველი მეწარმეების დაფინანსებით დააარსა გაზეთი „საქართველო“. აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს ფსევდონიმებით — „პატრიოტი“, „ს. კ-დია“ და „სპ. კე-დია“. 1925 წლის მაისში სპირიდონ კედიას ინიციატივით გამოვიდა ახალი გაზეთი „სამშობლოსათვის“.

სპირიდონ კედია 64 წლის ასაკში 1948 წლის 17 მაისს, დილის 11 საათსა და 20 წუთზე, გარდაიცვალა. თავდაპირველად დროებით დაკრძალეს სენტ-ანტუანის სასაფლაოზე; 1948 წლის 25 ივნისს კი გადაასვენეს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

*** *** ***

ვინსტანტინე (კოტე) ზაქარიას ძე მაყაშვილი დაიბადა 1876 წლის 26 ნოემბერს (13 ნოემბერს ძველი სტილით) იყალთოში. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე შევიდა, მაგრამ სტუდენტთა გამოსვლებში მონაწილეობის გამო უნივერსიტეტიდან გარიცხეს. 1900 წელს სამშობლოში დაბრუნდა და ქართულ გიმნაზიაში დაიწყო მუშაობა მასწავლებლად, თუმცა აქ დიდხანს არ დარჩენილა. 1903 წელს მუშაობდა ქართულ სათავადაზნაურო ბანკში დამფასებლად, ხოლო 1915 წელს ამავე ბანკის დირექტორად აირჩიეს.

აქტიურად თანამშრომლობდა პერიოდულ გამოცემებში, კერძოდ, გაზეთებში — „ივერია“, „სახალხო გაზეთი“, „ისარი“, „საქართველო“, „ლომისი“, „თემი“ და სხვა; ჟურნალებში — „საქართველო“, „ფასკუნჯი“, „პრომეთე“, „ლომისი“. 1918 წელს მისი თავმჯ-

დომარეობით დაარსდა ხელოვანთა ცენტრი. იგი იყო ინიციატორი სათავადაზნაურო დაწესებულებასთან იმ განსაკუთრებული ფონდის დაარსებისა, რომელიც დახმარებას უწევდა ყველა ხელმოკლე, ნიჭიერ ახალგაზრდას. ერთ-ერთი დამაარსებელი და გამგეობის წევრია ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოებისა და ქართული ფილარმონიული საზოგადოებისა, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, ქართული დრამატული საზოგადოებისა. 20-იანი წლების დასაწყისში იყო „აკადემიური მწერლობის“ კავშირის აქტიური წევრი. საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი: კავშირის ჩამოყალიბებისთანავე აირჩიეს პირველ თავმჯდომარედ და თითქმის ათი წლის განმავლობაში უძღვებოდა ამ მძიმე და საპატიო მოვალეობას.

იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, საკონსტიტუციო სხდომის კომისიის წევრი, ხელოვანთა კულტურული კომიტეტისა და ხელოვანთა სასახლის თავმჯდომარე, 1918 წლის 26 მაისს მიღებულ „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე“ დაფიქსირებულია კონსტანტინე მაყაშვილის ხელმოწერა (რიგით №68). კოტე მაყაშვილი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 1927 წ. 29 აგვისტოს, წადვერში გარდაიცვალა. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდების პანთეონში.

*** *** ***

Ოთანა (მუხრან) მაქსიმეს ძე ხოჭოლავა დაიბადა 1881 წლის 22 სექტემბერს ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის სოფელ ოდიშში.

დაამთავრა ტფილისის საოსტატო ინსტიტუტი; პეტერბურგის ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტი.

იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი.

თანამშრომლობდა პარტიულ პრესაში „მუხრან ოდიშელის“ ფსევდონიმით.

არჩეული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად. იყო საკონსტიტუციო, სამხედრო, გზათა და სახალხო განათლების კომისიების წევრი.

1920 წლისათვის მუშაობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატიურ წარმომადგენლად ბათუმში დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო ძალების სარდლობასთან.

1921 წლის იანვარში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სხვა 11 წევრთან ერთად ჩამოაყალიბა ოპოზიციური ჯგუფი „სხივი“.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპირების შემდეგ „სხიველები“ დარჩნენ საქართველოში და აგრძელებდნენ საკუთარი გაზეთის „ახალი სხივის“ გამოცემას, რომელიც 1921 წლის ივნისში ბოლშევიკურმა რეჟიმმა დახურა და „სხიველთა“ ჯგუფის ლიდერები - კირილე ნინიძე, მუხრან ხოჭოლავა და ნიკიფორე იმნაიშვილი მცირე ხნით დააპატიმრა.

1921 წლის ბოლოდან მუხრან ხოჭოლავა „სხივის“ წარმომადგენლის სტატუსით მონაწილეობდა ბოლშევიკურ რეჟიმთან საბრძოლველად საერთო ფრონტის შექმნის მიზნით პარტიათაშორის მოლაპარაკებებში. 1922 წლის მაისიდან იყო „სხივის“ წარმომადგენელი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში“.

გარდაიცვალა 1922 წლის 13 დეკემბერს.



*** *** ***

ᲔᲤᲠᲔᲛ (რაფიელ, რაფო) ალექსის ძე ჩიხლაძე დაიბადა 1877 წელს ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის კლდეეთის საზოგადოების სოფელ ცხრაწყაროში. სხვადასხვა დროს ცხოვრობდა ცხრაწყაროში, ქუთაისში, ხაშურში, ჭიათურაში, ბათუმში, ლონდონში, როსტოვში, თბილისში. საწვლობდა სოფლის სამრევლო სკოლში; ამავე სოფლის ორკლასიანი „ნორმალური“ სკოლაში; ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში, საიდანაც 1900 წელს გარიცხეს საპროტესტო მოძრაობაში მონაწილეობის გამო.

ქუთაისში სწავლისას დაუკავშირდა „მესამე დასელებს“ და ჩაება მარქსისტული ორგანიზაციების მუშაობაში. იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი; ცნობილი იყო, როგორც პოპულარული სახალხო ორატორი („სახალხო ტრიბუნი“); მუშაობდა პროპაგანდისტად გლეხთა მოძრაობის ყველა მთავარ კერაში: ჭიათურის მაღაროს მუშებს შორის, იმერეთში, გურიაში, ფოთში, ქართლში, კახეთში, დუშეთსა და სხვა მხარეებში. იყენებდა პარტიულ ფსევდონიმს „ალექსიძე“; ყალბ სახელებს — იოსები, გიორგი და ნიკო.

სხვადასხვა დროს იყო: რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობის დელეგატი პარტიის გურიის ორგანიზაციიდან; საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი; ამიერკავკასიის სეიმის წევრი; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი; საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი; იყო აგრარული და საკონსტიტუციო კომისიების წევრი.

1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს.

გარდაიცვალა 1919 წლის 27 აპრილს თბილისში. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე.

*** *** ***

ᲝᲕᲐᲜᲔ ᲞᲐᲕᲚᲔᲡ ძე გობეჩია დაიბადა 1881 წლის 10 დეკემბერს ქალაქ ქუთაისში. სხვადასხვა დროს ცხოვრობდა ქუთაისში, პეტერბურგში, თბილისში. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

იყო რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრი; რუსეთის იმპერიის მეორე სახელმწიფო სათათბიროს სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის მდივნის თანაშემწე. იყო დამცველთა (ადვოკატთა) კოლეგიის წევრი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა: ნაფიცი ვექილის თანაშემწედ ქუთაისში. სასამართლო პროცესებში მონაწილეობდა დამცველად პოლიტიკური პატიმრების — ზოტიკე ჩიქვილაძის, მელიტონ გობეჩიასა და სხვათა საქმეების განხილვისას. ეჭირა სხვადასხვა მნიშვნელოვანი თანამდებობა: იყო ქუთაისის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ქუთაისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი, კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოს წევრი, ქალაქ ქუთაისის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი და ქუთაისის გუბერნიის კომისარი. თბილისის საბჭოს ფინანსური განყოფილების იურისკონსულტი.

ქუთაისის საქალაქო საბჭოს მიერ არჩეულ იყო პეტროგრადის დემოკრატიული თათბირის დელეგატად; ქუთაისის გარნიზონის მიერ

კავკასიის არმიის პირველი და მეორე ყრილობების დელეგატად. მოსკოვში მონაწილეობდა სოციალისტ-რევოლუციონერთა მესამე პარტიული ყრილობაში, როგორც ქუთაისის გუბერნიის პარტიული ორგანიზაციების დელეგატი; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მესამე ყრილობაზე აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში.

არჩეული იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად; ამიერკავკასიის სეიმის წევრად; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრად; საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად; იყო სამეურნეო-საგამგეო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგი, საგარეო საქმეთა და იურიდიული კომისიების მდივანი, თვითმმართველობის, საპენსიო, ცენტრალური საარჩევნო და საკონსტიტუციო კომისიების წევრი.

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპირების შემდეგ დარჩა საქართველოში და პარტიის სხვა ლიდერებთან ერთად ცდილობდა კომპრომისის მიღწევას საოკუპაციო რეჟიმთან.

რამდენიმეჯერ იყო რეპრესირებული, კერძოდ: 1904, 1909, 1922, 1923, 1937 წწ. დიდი საბჭოთა ტერორის დროს კი ივანე გობეჩიას სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელმა სესიამ დახვრეტის განაჩენი გამოუტანა 1937 წლის 30 სექტემბერს. დახვრიტეს 1 ოქტომბერს, ღამით.

*** *** ***

ᲖᲝᲚᲘᲙᲐᲠᲞᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲫᲔ ᲛᲐᲭᲐᲠᲐᲫᲔ დაიბადა 1878 წელს სოფ. ივანდიდში (ხონის საზოგადოება). ერთი წლის ასაკში მამა გარდაეცვალა. წერა-კითხვა ისწავლა სოფლის დიაკვანთან. შემდგომში განათლების მიღება გააგრძელა ორკლასიან სკოლაში, თუმცა ოჯახის უსახსრობის გამო სწავლის მიტოვება მოუხდა. 14 წლისამ მუშაობა დაიწყო თბილისის რკინიგზის სახელოსნოში.

1895 წ-დან დაუახლოვდა „მესამე დასს“. საუკუნის მიწურულს ქ. ბაქოში კეცხოველთან ერთად მოაწყო არალეგალური სტამბა. შემდგომ დაბრუნდა სამშობლოში. პარტიის დავალებით, 1901 წ-ის მუშათა გამოსვლებისას დახატა წითელი დროშა მარქსის, ენგელსისა და ლასალის ფოტოებით. 1906 მუშაობდა რკინიგზის სახელოსნოში.

რეპრესირებული იყო: 1902’; 1903; 1907; 1914 წლებში.

იყო სოციალ-დემოკრატი. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. დამოუკიდებლობის პერიოდში გახლდათ რკინიგზის მუშათა გაერთიანების ერთ-ერთი ლიდერი. 1918 წელს სოციალ-დემოკრატების სიით შევიდა ეროვნულ საბჭოში. იყო ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის წევრი. 1918 წ-ის 15 ოქტომბერს ეროვნული საბჭო დატოვა.

საბჭოთა ოკუპაციის შემდგომი პერიოდის ცნობები მის შესახებ არ იძებნება.

*** *** ***

ᲖᲘᲒᲠᲐᲜ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲫᲔ ᲐᲕᲔᲢᲘᲡᲘᲐᲜᲘ დაიბადა 1891 წლის 18 თებერვალს თბილისში. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.



იყო პარტია „დაშნაკცუტიუნის“ (სომხეთის რევოლუციური ფედერაცია) წევრი, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის „აშხატავორის“ წევრი; ბეჭდავდა სტატიებს პარტიულ პრესაში.

არჩეული იყო ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრად; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრად; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად პარტია „დაშნაკცუტიუნის“ სიით; იყო საკონსტიტუციო კომისიის წევრი.

1918 წლის ბოლოს, საქართველო-სომხეთის ომის დროს, დააპატიმრეს, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს დეპუტატის ხელშეუვალობის გამო.

1921 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციის შემდეგ, დარჩა თბილისში და აგრძელებდა პარტიულ საქმიანობას.

რამდენიმეჯერ იყო რეპრესირებული: 1908, 1918, 1921, 1922, 1927, 1938 წლებში.

1938 წლის 26 მაისს კრასნოიარსკის მხარის შინსახკომის სამმართველოსთან არსებულმა განსაკუთრებულმა სამეულმა (ე. წ. „ტროიკა“) დახვრეტა მიუსაჯა.

რეაბილიტირებულია 1957 წლის 8 ივნისს — კრასნოიარსკის სამხარეო სასამართლოსა და 1989 წლის 10 ივლისს — კრასნოიარსკის მხარის პროკურატურის მიერ.

*** *** ***

Ივანე ლევანის ძე ჩერქეზიშვილი დაიბადა 1884 წელს. 1917 წელს აირჩიეს ინტერპარტიული საბჭოს წევრად, ამიერკავკასიის „სხვა ერების საბჭოებთან“ მოსალაპარაკებელი კომისიის წევრად, ეროვნული საბჭოს წევრად.

1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს“.

იყო თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის იურისკონსულტი.

1938 წლის 10 ივნისს შინსახკომის მე-4 განყოფილებამ დააპატიმრა. 21 ივნისს მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა.

საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, სოციალისტ-რევოლუციონერი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერი, ვექილი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი ივანე ჩერქეზიშვილი, წარმომავლობით აზნაური, 1938 წლის 22 ივნისს (54 წლის ასაკში) დახვრიტეს.

*** *** ***

კონსტანტინე ჯაფარიძე დაიბადა 1884 წლის 12 იანვარს რაჭის მაზრის სოფელ შარდომეთში. დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის იურდიული ფაკულტეტი.

1905 წლიდან იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „მენშევიკების“ ფრაქციის წევრი. 1910-იან წლებში მუშაობდა ადვოკატად თბილისში. 1917 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნუ-

ლი საბჭოს წევრად. 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს. 1918 წლის განმავლობაში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. 1919 წლის 12 მარტიდან აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით; იყო საგარეო საქმეთა და საკონსტიტუციო კომისიების წევრი. ასრულებდა საქართველოს დამფუძნებელი კრების უფროსი მდივნის მოვალეობას. 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპირების შემდეგ დარჩა საქართველოში, ცხოვრობდა მშობლიურ სოფელში და ჩაბმული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში. დააპატიმრეს 1923 წლის დასაწყისში. 1926 წლის 31 ივლისს გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს განსაკუთრებულმა სათათბირომ 3 წლით გადასახლება მიუსაჯა. გადასახლებული იყო ენისეისკში. 1933 წლის 22 თებერვალს კვლავ დააპატიმრეს, ხოლო იმავე წლის 29 ოქტომბერს გაათავისუფლეს. მცირე ხნის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში.

საკონსტიტუციო კომისიის მიერ მოწვეულ ექპერტთა და სარედაქციო კომისიის წევრთა მოკლე ბიოგრაფიები

*** *** ***

Ივანე (ვანო) ივანეს ძე ზურაბიშვილი დაიბადა 1872 წლის 26 იანვარს ფოთში. ადრევე დაობლდა. 1891 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. სწავლობდა ჯერ კიევში, შემდეგ — მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1895 წელს. დაბრუნდა საქართველოში, შეირთო ცოლი (ნიკო ნიკოლაძის ასული ნინო) და დასახლდა ჯერ ქუთაისში, ხოლო 1897 წლიდან — თბილისში. ეწეოდა პუბლიცისტურ, მთარგმნელობით (მოპასანი, დოდე, ფრანსი, აგრეთვე პოლონური, გერმანული, იტალიური და სხვ. ნაწარმოებები), ჟურნალისტურ საქმიანობას, თანამშრომლობდა „ივერიაში“, „მოამბეში“, „ცნობის ფურცელში,“ „ერში“, აგრეთვე რუსულ პრესაშიც („Новое Обозрение“, „Кавказ»“). რამდენიმეჯერ იმოგზაურა ევროპაში.

1908—1919 წლებში ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი იურისკონსულტია. რამდენიმე წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სათავადაზნაურო ბანკის საზედამხედველო კომიტეტს. იყო თბილისის ნაფიც ვექილთა საზოგადოების თავმჯდომარე, ტყიბულის მაღაროთა გამგეობის თავმჯდომარე.

სხვებთან ერთად (გიორგი გვაზავა, სპირიდონ კედია და სხვ.) იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ამავე პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1919 წლის 7 ოქტომბერს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს სენატის წევრად აირჩია. მუშაობდა სენატის საკასაციო დეპარტამენტში. საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ დამტკიცებულ იქნა საკონსტიტუციო კომისიის მოწვეულ წევრად. 1920 წლის აპრილში თანამდებობა თავისი ნებით დატოვა.

1921 წლიდან ოჯახიანად ემიგრაციაშია, — ჯერ სტამბოლში, ხოლო 1924 წლიდან — პარიზში. აგრძელებდა პუბლიცისტურ საქმიანობას. 1936 წელს დაიბეჭდა მისი წიგნი „საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა“. მისი სიკვდილის შემდეგ — 1962 წელს, პარიზში გამოვიდა ზურაბიშვილის მოგონებათა წიგნი — „კარგ ქართველთა ხსოვნისათვის“, რომელიც უძვირფასეს მასალას შეიცავს XIX-XX საუკუნეთა მიჯნის საქართველოს ისტორიისათვის.

ვანო ზურაბიშვილი გარდაიცვალა 1940 წლის 14 ივნისს პარიზთან ახლოს. დაკრძალულია ლევილში.

*** *** ***

იური ფაღავა დაიბადა 1878 წელს. 1918 წელს იური ფაღავა სხვებთან ერთად (ნიკოლოზ პეტრეს ძე იოსელიანი, სიმონ მერაბის ძე კვიტაშვილი, ლევან ქაიხოსროს ძე მამულაიშვილი, გრიგოლ კონსტანტინეს ძე ალშიბაია, ალექსანდრე პლატონის ძე ანდრონიკაშვილი, ნიკოლოზ ჯაყელი და აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარია) იყო საზღვაო-სანაოსნო სააქციო საზოგადოება „ფაზისის“ დამფუძნებელი საბჭოს წევრი.

იგი საქართველოს პირველი კონსტიტუციის ერთ-ერთი თანაავტორი და დემოკრატიული საქართველოს დიპლომატია ირანში. ოკუპაციას შეხვდა გერმანიაში და შემდეგ დაფუძნდა საფრანგეთში.

გარდაიცვალა 1960 წელს (82 წლის ასაკში), დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

*** *** ***

ზურაბ დავითის ძე ავალიშვილი დაიბადა 1874 წელს თბილისში. დაამთავრა თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია და პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1906 წელს დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია („დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობა საფრანგეთში ნაპოლეონის დროიდან 1905 წლამდე“).

სხვადასხვა დროს იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის სახელმწიფო სამართლის კათედრის პრივატ-დოცენტი, შემდეგ კი — პროფესორი; პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი და ადმინისტრაციული სამართლის კათედრის გამგე; ფინანსთა სამინისტროს იურისკონსულტი.

იგი ხელმძღვანელობდა პეტერბურგში ცნობილი გაზეთის „რუსსკაია მოლვა“ საერთაშორისო განყოფილებას, ასევე იყო პეტერბურგის გამომცემლობის „ოგნის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი. არჩეული გახლდათ რუსეთის საიმპერატორო იურიდიული საზოგადოების გამგეობის წევრად. 1917 წელს თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაინიშნა სენატორად.

1917 წელს აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაფუძნებაში. იმავე ხანებში იყო კახეთის რკინიგზის საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

1918 წელს დაინიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მთავარ მრჩევლად საგარეო პოლიტიკურ საკითხებში. ზურაბ ავალიშვილი იყო ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი. საქართველოს ინტერესებს იცავდა ბათუმის კონფერენციაზე, რა დროსაც მისთვის ნათელი გახდა საქართველოს

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობა. ამ მიზნით, ბათუმშივე მოამზადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ტექსტი (რაშიც მას კონსულტაციას უწევდა ცნობილი გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე გრაფი ფონ შულენბურგი). ეგ ტექსტი 1918 წლის 22 მაისს თბილისში გადმოუგზავნა საქართველოს ეროვნულ საბჭოს. მცირე კორექტივების შეტანის შემდეგ ტექსტი დამტკიცებულ იქნა ეროვნული საბჭოს საგანგებო ყრილობაზე, იმავე წლის 26 მაისს.

მისი დიდი დამსახურებაა ის, რომ გერმანია იყო საქართველოს წამყვანი მოკავშირე და სტრატეგიული პარტნიორი. ამ პოლიტიკის პირველი სერიოზული გამარჯვება იყო ის, რომ გერმანიამ არ ცნო საქართველო-თურქეთის 1918 წლის 4 ივნისის ხელშეკრულების იურიდიული ძალმოსილება. ამის წყალობით საქართველოს საზღვრებში დარჩა ამჟამინდელი სამცხე-ჯავახეთი. გარდა ამისა, ავალიშვილის მოთხოვნით, გერმანია-რუსეთის 1918 წლის 27 აგვისტოს ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა მე-13 მუხლი: „რუსეთი თანხმობას აცხადებს გერმანიის მიერ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ცნობაზე“.

1919 წელს ავალიშვილი, როგორც საქართველოს ოფიციალური სამთავრობო დელეგაციის წევრი, მონაწილეობდა პარიზის კონფერენციაში, სადაც გაილაშქრა ინგლის-სომხეთის გეგმის წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებდა ტრაპიზონის ვილაიეთის მნიშვნელოვანი ნაწილის, ბათუმის ოლქის, ყარსისა და არდაგანის (ისტორიული არტაანი) მხარეების სომხეთისთვის გადაცემას. მომდევნო 1920 წელს მან მის მიერვე შედგენილი სპეციალური ნოტა გადასცა ანტანტის სახელმწიფოთა უზენაეს საბჭოს, სადაც ზედმიწევნით იყო დასაბუთებული, რომ ხსენებული ტერიტორიები უნდა შესულიყო საქართველოს საზღვრებში. საკითხი საქართველოს სასარგებლოდ გადაწყდა: ინგლის-სომხეთის გეგმამ ფიასკო განიცადა.

ავალიშვილი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ერთ-ერთი მთავარი ავტორი.

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ იყო პოლიტიკური ემიგრანტი. მოღვაწეობდა საფრანგეთსა (1921-1940) და გერმანიაში (1940-1944). ემიგრაციის წლებში ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ და სამეცნიერო მოღვაწეობას.

აქტიურად თანამშრომლობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთულ ბიუროსთან, მონაწილეობდა ანტიბოლშევიკური ერთა ლიგის შექმნასა და ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის დაარსებაში (1942 წელს). 1941 წელს მიუნხენში მისი მონაწილეობით დაფუძნდა „ქართული სამოკავშირეო შტაბი“, რომლის მიზანი იყო საქართველოს გათავისუფლება საბჭოთა იმპერიის ბატონობისაგან. გარდა ამისა, იგი იყო საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელი მიუნხენის ინსტიტუტის წამყვანი თანამშრომელი.

ზურაბ ავალიშვილი გარდაიცვალა 1944 წლის 21 მაისს შვარცენფელდში, გერმანიაში. 1994 წელს მისი ნეშტი გადმოასვენეს თბილისში. დაკრძალეს დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

*** *** ***

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 20 ნოემბრის საკონსტიტუციო სხდომაზე კომისიის დამხმარე წევრად დამტკიცდა. 1918 წლის 27 ნოემბერს

დაეგალა, დაეწერა საქართველოს მომავალი კონსტიტუციის ერთ-ერთი თავი — „მოხელეთა უფლება-მოვალეობანი“. კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტში მიქელაძის პროექტი „სახელმწიფო მოხელენი“ მე-15 თავად შეევიდა.

1918 წელს საქართველოს მთავრობამ დასტამბა კ. მიქელაძის წიგნი „დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა“, რომელიც იმთავითვე საკონსტიტუციო კომისიისათვის იყო განკუთვნილი. აღნიშნულ წიგნში ავტორი მიმოიხილავს კონსტიტუციონალიზმის არსებით საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ კ. მიქელაძე იყო ამიერკავკასიის გზათა სამინისტროს იურისკონსულტი (1910-1918), საქართველოს გზათა (მიმოსვლის) სამინისტროს იურისკონსულტი (1918 წლის 1 ივნისიდან 1921 წლის თებერვლამდე). მუშაობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შრომის სამინისტროს მენარდეების ანგარიშის კომისიაში, პეტერბურგის საოლქო სასამართლოს პალატაში, პეტერბურგის კომერციულ სასამართლოში (1918 წლის 27 ივნისიდან). იყო ჩრდილო-დასავლეთ რკინიგზის სამმართველოს იურისკონსულტის თანაშემწე, ჩრდილოეთ კავკასიის მთავრობის მომარაგების კომიტეტის საქმეთა ხელმძღვანელი.

კ. მიქელაძე ემიგრაციიდან შინ აღარ დაბრუნებულა.

*** *** ***

ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წლის 11 აპრილს ქალაქ თბილისში. სწავლობდა თბილისის პროგიმნაზიაში. შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე შეევიდა. სპეციალურ საგნად საქართველოსა და სომხეთის ისტორია აირჩია. ი. ჯავახიშვილი ისტორიულ-ფილოლოგიური და იურიდიული ფაკულტეტების ლექციებსაც ესწრებოდა. 1899 წელს წარმატებით ჩააბარა გამოცდები და 20 აგვისტოს მიიღო I ხარისხის დიპლომი. უნივერსიტეტის დამთავრებისას თავისუფლად იყენებდა ბერძნულ,ლათინურ, სომხურ, სპარსულ და სირიულ წყაროებს.

ივანე ჯავახიშვილმა ლექციების კითხვა 1903 წლიდან დაიწყო და იმავე წელს, 1 იანვარს, აირჩიეს პრივატ-დოცენტად. ამ თანამდებობაზე 14 წლის განმავლობაში მუშაობდა. იმდროინდელი ქართული პრესა ივანე ჯავახიშვილის ლექციებს ეხმაურებოდა, აღნიშნული ლექციების შინაარსს ბეჭდავდა და ამ გზით გაზეთებიც ქართული კულტურის ერთგვარ პროპაგანდას ეწეოდნენ ხალხში.

ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით პეტერბურგში „ამიერკავკასიის სათვისტომო“ დაარსდა. მისივე ინიციატივით იმართებოდა „ქართული საღამოები“, ფულადი შემოსავალი ღარიბ სტუდენტებს ხმარდებოდა. მანვე ჩამოაყალიბა საქართველოს ისტორიის შემსწავლელი სექცია, რომელიც შემდეგში გაფართოვდა და 1907 წლის მიწურულს ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის ცალკე ჩამოყალიბების საკითხიც კი დაისვა, რომლის რეალურ მიზანს წარმოადგენდა მზადება ქართული უნივერსიტეტის დაარსებისთვის.

1917 წელს ივანე ჯავახიშვილმა თავის ბინაზე მიიწვია ქართველ პატრიოტთა მცირე ჯგუფი და თათბირი გამართა. მაშინ ქ. თბილისში ქართული უნივერსიტეტის გახსნა გადაწყვიტეს. 1918 წლის იანვარში ივანე ჯავახიშვილის საქმიანობა თბილისის უნივერსიტეტის დაარსე-

ბით დაგვირგვინდა. 1918 წლის 26 იანვარიდან იგი უნივერსიტეტშია. სხვადასხვა დროს იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საქართველოს ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი; კავკასიისმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი; რუსთაველის სახელობის მუზეუმის დირექტორი; 1939 წელს აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ იგი დაამტკიცა საკონსტიტუციო კომისიის მოწვეულ წევრად.

1906 წელს გამოვიდა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში“. წინასიტყვაობაში ავტორი ნაშრომის დანიშნულებას განმარტავდა და აღნიშნავდა, რომ უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც რუსეთის საზოგადოებრივ აზრს იზიდავს საქართველოში არსებული მძლავრი სოციალური და პოლიტიკური მოძრაობები. ამ წიგნში მეცნიერმა თვითმპყრობელობის ნაციონალური პოლიტიკის ნამდვილი არსი დამაჯერებელი ფაქტებით გამოააშკარავა. ამ ნაშრომის გამოცემის გამო პოლიციამ ივანე ჯავახიშვილი სამართალში მისცა. სასამართლოს დადგენილებით, ივანე ჯავახიშვილის ეს შრომა მავნე წიგნად აღიარეს და აკრძალეს. წიგნის განადგურების დადგენილებამ საქმეს მაინც ვერ უშველა: ცალკეული ცალები გადარჩა და მკითხველამდე მაინც მიაღწია.

ივანე ჯავახიშვილი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას; მის სახელთან არის დაკავშირებული 1930-იანი წლების შუა ხანებში ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრების დაწყება მცხეთასა და არმაზში; უძველეს პალიმფსესტურ ხელნაწერებში V—VII საუკუნეების ხანმეტი ტექსტების აღმოჩენა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენის წერილობითი ისტორიის პერიოდიზაციისათვის; იგი მიიჩნევა ისტორიული წყაროთმცოდნეობის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებლად; მან ღრმა კვალი დატოვა ქართველოლოგიაში. საგანგებოდ შეისწავლა საქართველოს ეკონომიკის ისტორია; დიდი ამაგი დასდო ქართული სამართლის ისტორიის შესწავლასაც; საფუძვლიანად გამოიკვლია მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში; შექმნა ფუძემდებლური მონოგრაფია ქართული მუსიკის ისტორიის საკითხებზე; 1943 წელს ჯავახიშვილის თანაავტორობით გამოქვეყნდა საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო, რომელსაც 1943 წელს მიენიჭა სახელმწიფო პრემია; დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული ენის უძველესი აგებულებისა და ნათესაობის საკითხების კვლევას; აქტიურად იღვწოდა ქართული ხელოსნობისა და შინამრეწველობის ისტორიის შესასწავლად; მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო ვეფხისტყაოსნის 750 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა.

ივანე ჯავახიშვილი გარდაიცვალა 1940 წლის მაისში. დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში.

*** *** ***

აკაკი ჩხენკელი დაიბადა1874 წლის 19 მაისს სოხუმის ოლქის სოფელ ოქუმში. დაწყებითი განათლება მიიღო ხონის სასწავლებელ-

ში. 1891 წელს ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ჩაება სემინარისტების არალეგალურ წრეებში. 1893 წელს გარიცხეს სასწავლებლიდან გაფიცვაში მონაწილეობის გამო. 1896-1901 წლებში სწავლობდა კიევის, მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებში იურიდიულ ფაკულტეტზე. იყო წევრი სტუდენტური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა. სტუდენტურ გამოსვლებში მონაწილეობის გამო სწავლა ვადარ გააგრძელა და სამშობლოში დაბრუნდა.

1902-1904 წლებში მუშაობდა ადვოკატად სოხუმის ოკლქში. აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, წერდა სტატიებს ქართულ და რუსულ პრესაში. ამავე პერიოდში ცოლად შეირთო მაკრინე სიმონის ასული თურქია. ეწინააღმდეგებოდა რუსეთის შოვინისტურ ანტიქართულ პოლიტიკას, რის გამოც კავკასიიდან გაასახლეს. 1905-1910 წლებში იმყოფებოდა საზღვარგარეთ. სამი წლის განმავლობაში ბერლინში სწავლობდა მუშათა მოძრაობის თეორიასა და პრაქტიკას, ვენაში — ეროვნულ საკითხს, პარიზში — პოლიტიკურ მოძრაობას, ლონდონში — ინგლისისა და რუსეთის მეტოქეობის საკითხებს აზიაში. ესწრებოდა სოციალისტურ კონგრესებსა და კონფერენციებს. 1907 წ-ს დაასრულა ლაიფციგის უნივერსიტეტი და სწავლა ჟენევაში განაგრძო.

ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატიულ გამოცემებს. აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ პრესასში, იყენებდა ფსევდონიმებს „პ. ოქუმელი“, „ა. ოქუმელი“, „ანჩინი“, „ანჩიკი“, „წინწყალი“ და სხვა.

1910 წელს ჟანდარმერიამ დააპატიმრა. ჩასვეს ჯერ მეტეხის ციხეში, შემდეგ კი გადაასახლეს დონის როსტოვში. გადასახლებიდან გაიქცა და დაბრუნდა საქართველოში. ცხოვრობდა ბათუმში.

1912 წელს აირჩიეს მეოთხე მოწვევის რუსეთის იმპერიის სახელმწიფო დუმის დეპუტატად ბათუმის, ყარსის და სოხუმის ოლქებიდან. მისი საქმიანობის მთავარი მიმართულება იყო საგარეო პოლიტიკის საკითხები, ხელმძღვანელობდა შეკითხვათა კომისიას.

1912 წელს სათათბიროს ტრიბუნიდან გააპროტესტა ქართველთა უფლებების შელახვა და მოითხოვა ეროვნულ-კულტურული ავტონომია. გამოვიდა ტირიფონის ვაკეზე სამხედრო პოლიგონის მოწყობის წინააღმდეგ. 1914 წელს ფრაქციის სახელით მხარი არ დაუჭირა სამხედრო ბიუჯეტს, რასაც მეფის ხელისუფლების მკაცრი რეაქცია მოჰყვა. მონაწილეობდა ბრიუსელის თათბირში. 1916 წლის ივნისში სათათბიროს ტრიბუნიდან იცავდა ე.წ. „მოღალატე აჭარლების“ უფლებებს. დააარსა „აჭარლების დამხმარე კომიტეტი“, აგროვებდა შემოწირულობებს გადასახლებით დაზარალებულთათვის, რის გამოც აჭარაში დიდი პოპულარობა მოიპოვა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დროებითმა მთავრობამ დანიშნა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრად. აპრილიდან ნოემბრამდე იყო ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარე. 1917 წლის ნოემბრიდან — საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი. მანვე გახსნა საბჭოს პირველი ყრილობა. იყო ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი და 1918 წლის 8 თებერვალს თავმჯდომარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნას. 1918 წლის თებერვლიდან იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი, ამიერკავკასიის კომისარიატის შემადგენლობაში იკავებდა შინაგან საქმეთა კომისრის, ხოლო შემდეგ — საგარეო საქმეთა კომისრის თანამდებობას. 1918 წლის 22 აპრილიდან 26 მაისამდე იყო ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული

რესპუბლიკის მთავრობის მეთაური და საგარეო საქმეთა მინისტრი. აპრილში ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის დელეგაციას ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენციაზე.

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, დაინიშნა საგრეო საქმეთა მინისტრად. ივნისში ხელმძღვანელობდა გერმანიის იმპერიაში მივლინებულ ქართულ დელეგაციას. 1919 წლის მარტში აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად. იმავე წელს დაინიშნა ევროპაში რესპუბლიკის საგანგებო წარმომადგენლად. ბევრი იმუშავა ქვეყნის იურიდიული აღიარებისთვის, ერთა ლიგაში საქართველოს გაწევრიანებისთვის.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ მოღვწეობდა საფრანგეთში, სადაც იკავებდა საფრანგეთში საქართველოს ელჩის თანამდებობას. 1922 წლის აპრილში ხელმძღვანელობდა ქართულ დელეგაციას გენუის კონფერენციაზე და ცდილობდა, დაეყენებინა საქართველოს საკითხი. მოღვაწეობდა საქართველოს ოკუპაციის საკითხის გასაშუქებლად, ბოლშევიკური პროპაგანდის გასანეიტრალებლად და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მომხრეების მოსაპოვებლად. მისი დიპლომატიური მოღვაწეობა გაგრძელდა 13 წლის განმავლობაში, 1934 წლამდე, საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის აღიარებამდე. 1934 წელს ქართული საელჩოს გაუქმების შემდეგ დიპლომატიური სტატუსის უქონლად აგრძელებდა მუშაობას, თანამშრომლობდა ქართულ ემიგრანტულ გამოცემებში, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო ანტიკომუნისტური გაერთიანების შექმნის პროცესში.

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 1959 წლის 3 იანვარს, პარიზში, ბუსიკოს საავადმყოფოში გარდაიცვალა. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

*** *** ***



კირილე იესეს ძე ნინიძე დაიბადა 1878 წლის 17 იანვარს (ძველი სტილით) ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის სოფელ ასკანაში, სხვადასხვა დროს ცხოვრობდა ასკანაში, ქუთაისში, ტარტუში, ვილეისკში, თბილისში.

დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სემინარია. 1901 წლის 5 მაისს (ძველი სტილით) ქუთაისის თეატრში რუსეთიდან ჩამოსულმა დასმა დადგა ანტისემიტური ხასიათის სპექტაკლი „შვილნი ისრაილისა", რასაც მოჰყვა დამსწრე ახალგაზრდობის პროტესტი, პოლიციამ არეულობის მოთავეები, მათ შორის — კირილე ნინიძეც, დააპატიმრა და პასუხისგებაში მისცა.

კირილე ნინიძემ სწავლა განაგრძო დერპტის/ტარტუს) უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. ამ პერიოდიდან იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი; სტუდენტურ მღელვარებაში მონაწილეობის გამო დააპატიმრეს და უნივერსიტეტიდან გარიცხეს.

იგი რეპრესირებული არაერთხელ, კერძოდ 1901, 1903, 1908, 1921, 1922, 1924, 1928, 1937წლებში. პოლიტიკური საბაბით გადაასახლეს სარატოვის მხარის ქალაქ ვილეისკში.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აქტიურად ჩაერთო რევოლუციურ მოძრაობაში ტფილისში; იყო რსდმპ ტფილისის ორგანიზაციების ხელმძღვანელი კოლექტივის წევრი.

1905 წლიდან მუშაობდა რსდმპ „მენშევიკების" ფრაქციაში.

თანამშრომლობდა პრესაში „გვაბრათელისა“ და „კ. ნ-ძე“, „კ. ნ.“, „კ. — ნიძე“, „კირილე“ ფსევდონიმებით. „ოხრანკის“ მეთვალყურის სათვალთვალო ჟურნალებში გატარებულია მეტსახელით „Козел“.

პედაგოგად მუშაობდა სხვადასხვა სასწავლებელში. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი. 1920 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის თანაშემწე თევდორე გაბრიელის ძე კიკვაძემ პრეზიდიუმი დატოვა და მის ნაცვლად კირილე იესეს ძე ნინიძე აირჩიეს.

1917 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად.

1918 წელს აირჩიეს გურიის სამაზრო ერობის ხმოსნად.

1918 წლის განმავლობაში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. 1919 წელს აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიით. იყო აგრარული კომისიის თავმჯდომარე, იურიდიული და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების წევრი. მან როგორც ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრმა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტს“ ხელი მოაწერა.

1921 წლის იანვარში ჩამოაყალიბა ოპოზიციური ჯგუფი „სხივი“, რომელიც აკრიტიკებდა პარტიას იდეური პრინციპების დარღვევის, სახელმწიფო მმართველობის წარუმატებელი კურსისა და პარტიაში შიდა დემოკრატიის შესუსტების გამო. მათ დააარსეს ოპოზიციური გაზეთი „ახალი სხივი“. სწორედ აქედან წარმოიშვა სახელწოდება „სხიველები“.

როდესაც სამაჩაბლოში ქართველთა და ოსთა შორის ურთიერთობა დაიძაბა მომრიგებელი ჯგუფის ხელმძღვანელობა კირილე ნინიძისთვის დაუვალებიათ. ოსებს ალყა შემოურტყამს დედაქალაქიდან ჩასული ჯგუფისთვის. ოსთა ატამანს უცნია კირილე — შენ მე სიცოცხლე მაჩუქე შენის ადვოკატობით. ახლა მე გესარჩლებიო. ყველა უვნებლად გაუშვიათ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირების შემდეგ „სხიველები“ დარჩნენ საქართველოში და აგრძელებდნენ საკუთარი გაზეთის „ახალი სხივის“ გამოცემას, რომელიც 1921 წლის ივნისში ბოლშევიკურმა რეჟიმმა დახურა და კირილე ნინიძე „სხიველთა“ ჯგუფის ლიდერებთან — ნიკიფორე იმნაიშვილსა და იოთანა (მუხრან) მუხრანელთან (ხოჭოლავასთან) ერთად მცირე ხნით დააპატიმრა.

1922 წლის ბოლოდან — მუხრან ხოჭოლავას გარდაცვალების შემდეგ — იყო „სხივის“ წარმომადგენელი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში“.

მუშაობდა დამცველთა (შემდგომში — ადვოკატთა) კოლეგიაში.

კირილე ნინიძე დამფუძნებელი კრების დეპუტატებთან — ოსიკო ბარათაშვილსა და სამსონ დადიანთან ერთად 1924 წლის მარტში იცავდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სამღვდელო პირთა ჯგუფს და კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის, რომელთაც საბჭოთა რეჟიმი ანტისაბჭოთა პროპაგანდასა და საეკლესიო განძეულობის გადამალვაში სდებდა ბრალს.

დიდი საბჭოთა ტერორის დროს 1937 წლის 13 სექტემბერს სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელმა სესიამ (მონაწილეობდნენ: მატულევიჩი, ზარიანოვი, ჟიგური, კოსტიუშკო) მუხლი: 58-1-ა, 58-8, 58-11 საფუძველზე მენშევიკობის ბრალდებით სკვდილი მიუსაჯა.

პედაგოგი, პოლიტიკოსი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხაშურის, ხონისა და თბილისის განყოფილებათა წევრი, დამფუძნებელი კრების წევრი, აგრარული კომისიის თავმჯდომარე 59 წლის კირილე ნინიძე 1937 წლის 14 სექტემბრის ღამით დახვრიტეს.

სააგენტო „ალიონი“ აქვეყნებდა ცნობას: „ამბობენ მშობლიურ ოზურგეთში, ჭადრების ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, დახვრიტეს. (http://alion.ge/?view=article&id=999).

რეაბილიტირებულია სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ 1960 წლის 29 სექტემბერს.

*** *** ***

ივანე გედევანის ძე გომართელი დაიბადა 1876 წლის 7 მაისს (ძველი სტილით) შორაპანის მაზრაში (ამჟამინდელი საჩხერის რაიონი), სოფელ გორისაში.

სხვადასხვა დროს ცხოვრობდა ქუთაისში, ტფილისში (ანასტასიას ქუჩაზე №21), ახალქალაქში, პეტერბურგში.

სწავლობდა ტფილისის საადნაურო სასწავლებელში, ტფილისის მეორე გიმნაზია 1894 წელს ოქროს მედლით დაამთავრა, ხოლო პეტერბურგის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი დაასრულა 1899 წელს. აქტიურად მონაწილეობდა „ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს“ წრეში.

1899 წლიდან მუშაობდა დიდ ჯიხაიშში, გორისაში, ქუთაისში, თბილისში. განსაკუთრებული საექიმო ნიჭისა და კომუნიკაციის უნარის გამო იგი ძალზე პოპულარული ექიმი იყო მთელ საქართველოში.

სანამ ცნობილი ექიმი გახდებოდა, ქართველმა საზოგადოებამ ის გაიცნო როგორც მწერალი და კრიტიკოსი. 1901 წლიდან ქართულ პერიოდულ პრესაში სისტემატურად აქვეყნებდა პუბლიცისტურ და კრიტიკულ სტატიებს როგორც სამედიცინო საკითხებზე ასევე, სხვა თემებზეც. მისი ფსევდონიმები იყო: „ანასინი“, „ახელი“, „ჭ“, „ა“, „ექიმი“, „ივ. გუმართელი“, „ივ. გ-ლი“, „ივ. გე-ლი“. „ი. გე-ლი“, „ი.-გ-ლი“. 1905 წლიდან თანამშრომლობდა ლეგალურ სოციალისტურ-დემოკრატიულ ჟურნალ „მოგზაურში“. 1917 წლიდან გაზ. „ალიონის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტიური თანამშრომელია.

გომართელის პიესები „ქოხში“ და „წამხდარი სისხლი“ (1905 წ.) წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრების სცენაზე. დრამატურგიაში ივანე გომართელი აგრძელებდა „ნატურალისტური დრამის“ ტრადიციებს. ავტორია რამდენიმე წიგნისა.

1902 წლიდან იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი.

ივანე გომართელი იყო „მესამე დასის“ წევრი, შემდეგ — მენშევიკ-ავტონომისტი, „ალიონელი“,

1906 წელს იყო რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ქუთაისის გუბერნიიდან. 1907 წელს სამუშაოდ გადავიდა თბილისში.

1910 წელს დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ერთი წელი დაჰყო.

1917 წელს, აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 წ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრია.

1919 წელს იგი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით დამფუძნებელი კრების წევრი გახდა. იყო სარედაქციო,

ხელოვნების და სახალხო ჯანმრთელობის კომისიების თავმჯდომარე; სარეკომენდაციო და საპროპაგანდო კომისიების წევრი.

„საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე“. დაფიქსირებულია ივანე გომართელის ხელმოწერა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს რესპუბლიკის ოკუპირების შემდეგ დარჩა მამულში და ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას. ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას და საექიმო პრაქტიკას. 1924 წლის 21 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ივანე გომართელის განცხადება, სადაც მან დაგმო 1924 წლის აჯანყება და განაცხადა, რომ ქართველი ერის წარმატების და კეთილდღეობის ერთადერთი გზა საბჭოთა რეჟიმთან თანამშრომლობაა. 1925 წლის ივლისში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მე-3 არალეგალურმა ყრილობამ ივანე გომართელი პარტიიდან გარიცხა.

1937 წელს საქართველოს სსრ უშიშროების სამსახურმა შეძლო დაპატიმრებული დამფუძნებელი კრების დეპუტატებისა და პარტიების ლიდერებისაგან მოეპოვებინა აღიარებითი ჩვენებები, რომ არსებობდა ანტისაბჭოთა „მენშევიკური“ არალეგალური კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომლის მიზანიც საბჭოთა ხელისუფლების დამხობა იყო; ორგანიზაციის წევრებს შორის ივანე გომართელიც იყო დასახელებული.

ექიმი, მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, დამფუძნებელი კრების წევრი, ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების წევრი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე ივანე გომართელი 62 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა 1938 წლის 19 აპრილს, თბილისში საკუთარ სახლში, პეროვსკაიას ქუჩა №21-ში.

არსებობს ვერსია, რომ მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. დაკრძალულია თბილისის ვაკის სასაფლაოზე.

საჩხერის რაიონის ერთ-ერთ ქუჩას ივანე გომართელის სახელი მიენიჭა.

*** *** ***

გრიგოლ (გიგა) თევდორეს ძე ყიფშიძე დაიბადა 1858 წელს გორის მაზრის სოფელ წვერში. სწავლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში, პეტერბურგის უნივერსიტეტში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ (1878) მასწავლებლობდა წრომსა და ახალქალაქში. 1879 წლიდან ჩაირიცხა მუდმივი ქართული დასის წევრად. იყო მოკარნახე. სხვადასხვა დროს იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში საქმის მწარმოებლი; ქართულ სამეურნეო ბანკის მოლარე, შემდეგ — დირექტორი.

იყო ილია ჭავჭავაძის უახლოესი თანამშრომელი და მისი ბიოგრაფი. ლიტერატურულ-კრიტიკულ, თეატრალურ და პუბლიცისტურ წერილებს აქვეყნებდა „ივერიაში“, „დროებაში“, „იმედში“, „მოამბეში“. მისი თხზულებების უმთავრეს თემას წარმოადგენს ქართლის სოფელი, გლეხობის ყოფა, სოფლის მასწავლებლის მდგომარეობა, სახალხო განათლება.

გრიგოლ ყიფშიძემ კირიონთან ერთად შეადგინა სახელმძღვანელო წიგნი „ქართული სიტყვიერების თეორია“ (1908), რომელიც რამდენჯერმე დაიბეჭდა. მანვე შეადგინა და რუსულ ენაზე გამოსცა კავკასიის პერიოდული პრესის ბიბლიოგრაფია (1901).

გრიგოლ ყიფშიძეს ნათარგმნი აქვს ჰენრიკ სენკევიჩის „ცეცხლითა და მახვილით“, პოლ ბურჟეს „ანდრე კორნელი“, ედმონდ დე ამიჩის „კარმელა“, ფრანსუა კოპეს „იაკობელები“, მატილდა სერანოს

„ამბავი სიყვარულისა“, დე-ვო-გუეს „მართლმსაჯულები“, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“.

გრიგოლ ყიფშიძე გარდაიცვალა 1921 წლის 13 ნოემბერს და მისივე ანდერძის თანახმად დაკრძალულია ქარელის რაიონის სოფელ საღოლაშენში.

გამოყენებული ლიტერატურა:
გაზეთი „ერთობა“ 1921 წ. 23 თებერვალი, №41;
გაზეთი „ერთობა“ 1921 წ. 24 თებერვალი, №42;
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1921 წ. 22 თებერვალი, №40;

ელექტრონული გვერდები:

https://archive.gov.ge/ge/sakartvelos-pirveli-respublika-dokumentebi/saqartvelos-damfudznebeli-krebis-mier-1921-wlis-21-tebervals-migebuli-saqartvelos-konstitucia;
https://ka.wikipedia.org/wiki/;
http://firstrepublic.ge/ka/theme/19?fbclid=IwAR2Y-giwNUuW-8LOXeFgy4X74zzkZ0TnVRp7HpwRiNZowa6EiPV51uLi1P7c;

მარინე დამენია,
ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,
საქართველოს მედია მუზეუმის დამაარსებელი
და წამყვანი სპეციალისტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 1921 ᲬᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ 1921 ᲬᲚᲘᲡ 23 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ 42-Ე ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲗ „ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ“ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲔᲣᲬᲧᲐ: „ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ. ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ 21-ᲨᲘ ᲦᲐᲛᲘᲡ 10 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲓᲐ 13 ᲬᲣᲗᲖᲔ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲙᲠᲔᲑᲐᲛ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲓᲐᲛᲝᲔᲑᲨᲘ ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲘᲐᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ, ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ“. ᲔᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ, 1921 ᲬᲚᲘᲡ 21 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, ᲦᲘᲠᲡᲘᲡᲐᲮᲡᲝᲕᲐᲠᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲪᲐᲐ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ 1921 ᲬᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲡᲞᲔᲥᲢᲘᲗ ᲘᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲣᲚ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲩᲜᲔᲣᲚᲘ. ᲛᲐᲡᲨᲘ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲥᲐᲚᲗᲐ, ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲣᲠ ᲓᲐ ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲐᲗᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲒᲐᲣᲥᲛᲓᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲡᲯᲐ ᲓᲐ Ა.Შ.

ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ ᲔᲧᲠᲓᲜᲝᲑᲐ 1918 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲛᲐᲘᲡᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲡ. ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲚᲔᲕᲔ ᲨᲔᲓᲒᲐ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ. ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 1919 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲨᲘ, ᲨᲔᲘᲥᲜᲐ ᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘ ᲬᲔᲕᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲑᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝ.

ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲯᲔᲠ 1920 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲭᲓᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ — ᲘᲕᲜᲘᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲚᲕᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲠᲘᲒᲓᲐᲗ. ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲛᲘᲔᲫᲦᲕᲜᲐ. ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲦᲝᲗ 1921 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲢᲔᲕᲐᲛ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲐᲩᲥᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ 21 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲛᲝᲔᲡᲬᲠᲝ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲣᲙᲕᲔ 25 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲙᲠᲔᲑᲐᲛ 24 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲦᲐᲛᲔᲡ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲯᲔᲠ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲜᲔᲑ, 10 ᲛᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ — ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲐᲠᲩᲜᲔᲑ 17 ᲛᲐᲠᲢᲐᲛᲓᲔ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑ[5].

ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲐᲛ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲓᲐᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘᲧᲝᲗ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲔᲭᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ. ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ 40 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ, ᲖᲝᲛᲐᲐ — 19X13 ᲡᲛ. ᲬᲘᲒᲜᲡ ᲗᲐᲕᲤᲣᲠᲪᲔᲚᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲓ ᲐᲬᲔᲠᲘᲐ: ᲑᲐᲗᲝᲛᲘ, ᲛᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ — ᲡᲢᲐᲛᲑᲐ Ნ. Ი. ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲐᲡᲘ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲥᲕᲔᲕᲘᲗ — 1921 Წ.







ᲜᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲜᲔᲡᲢᲝᲠ ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲔᲑᲘ

ᲜᲘᲙᲝ (ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ) ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲐ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲥᲡᲔᲚᲨᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲐᲡ ᲖᲝᲒ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲜᲘᲙᲝ ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲐᲡ ᲛᲘᲐᲬᲔᲠᲔᲜ, ᲖᲝᲒᲨᲘ ᲙᲘ — ᲛᲘᲡ ᲣᲛᲪᲠᲝᲡ ᲫᲛᲐᲡ ᲜᲔᲡᲢᲝᲠ ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲐᲡ, ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲐᲓ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲔᲑᲔᲜ ᲛᲔᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲚᲘᲗ ᲛᲝᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲜ (Ნ. ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲐ). ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲠᲝᲑᲐᲡ ᲥᲛᲜᲘᲡ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲫᲛᲐ ᲞᲝᲚᲘᲒᲠᲐᲤᲘᲡᲢᲘ ᲘᲧᲝ, ᲮᲝᲚᲝ ᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲔ ᲙᲐᲜᲖᲔ ᲐᲬᲔᲠᲘᲐ — ᲡᲢᲐᲛᲑᲐ Ნ. Ი. ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲐᲡᲘ. ᲐᲥ ᲙᲘ ᲜᲘᲙᲝᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲐᲖᲠᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲜᲔᲡᲢᲝᲠᲘᲪ.

ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲨᲔᲕᲔᲮᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ.

ᲛᲔᲡᲢᲐᲛᲑᲔ ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ ᲒᲕᲐᲬᲕᲓᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲘ Გ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲛᲔᲡᲢᲐᲛᲑᲔ ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲡᲢᲘᲐ XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲢᲐᲛᲑᲔ ᲘᲧᲝ ᲜᲘᲙᲝ ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ ᲫᲔ ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲐ. ᲘᲒᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ 1887 ᲬᲚᲘᲡ ᲮᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲚ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲙᲣᲮᲨᲘ. 7 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲘᲙᲝ ᲛᲘᲐᲑᲐᲠᲔᲡ ᲮᲝᲜᲘᲡ ᲝᲗᲮᲙᲚᲐᲡᲘᲐᲜ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲪ ᲘᲧᲝ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲐᲭᲐᲠᲐᲫᲔ. ᲡᲬᲝᲠᲔᲚ ᲐᲛ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘᲕᲔ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲜᲘᲙᲝ ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲐᲛ ᲛᲝᲬᲐᲤᲔ-ᲐᲡᲗᲝᲗᲐᲛᲬᲧᲝᲑᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ“[6].

ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲜᲘᲙᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲔᲡᲢᲝᲠ ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲐᲡ ᲑᲘᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ Გ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲘᲦᲝ ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ, ᲣᲛᲪᲠᲝᲡᲘ ᲫᲛᲘᲡ, ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘᲡ „ᲐᲕᲢᲝᲑᲘᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲓᲐᲜ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲠᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲨᲔᲣᲓᲒᲔᲜᲘᲐ. ᲗᲕᲘᲗ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘᲪ ᲞᲝᲚᲘᲒᲠᲐᲤᲘᲡᲢᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲫᲛᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ, ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲐᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲜᲘᲙᲝ ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲐ ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲐᲡᲗᲝᲗᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ. 900-ᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲘᲒᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ ᲓᲐ Ნ. ᲒᲣᲠᲡᲙᲐᲘᲐᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ. ᲛᲐᲚᲔ ᲜᲘᲙᲝ ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲩᲐᲜᲢᲚᲐᲫᲔ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲐᲓ ᲘᲧᲘᲓᲔᲡ Ნ. ᲒᲣᲠᲡᲙᲐᲘᲐᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ. 1907 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲜᲘᲙᲝ ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲛᲔᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲐ, ᲘᲒᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲡ.

ᲐᲮᲐᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ ᲜᲘᲙᲝ ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲐᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲠᲔᲞᲠᲔᲡᲘᲔᲑᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲧᲝᲚᲘᲚᲐ. ᲐᲛᲐᲡ, ᲡᲐᲒᲐᲠᲐᲣᲓᲝᲓ, ᲝᲠᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲰᲥᲝᲜᲝᲓᲐ: ᲔᲠᲗᲘ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲒᲠᲐᲤᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲘᲓᲔᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲓ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲙᲘ, ᲜᲘᲙᲝ ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲐ ᲡᲐᲜᲓᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲘᲔᲡ. ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲐᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲜᲘᲙᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲣᲦᲘᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲔᲒᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲞᲠᲝᲙᲚᲐᲛᲐᲪᲘᲔᲑᲘ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲜᲘᲙᲝ ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲘᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲗᲐᲜ: ᲐᲚ. ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ, ᲛᲘᲮᲐ ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡᲗᲐᲜ, Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲗᲐᲜ. ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲐᲛ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲜᲘᲙᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲫᲛᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲓᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ. ᲜᲘᲙᲝ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲐ ᲯᲔᲠ ᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲗᲐ-ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚ-ᲒᲐᲛᲡᲚᲔᲡᲮᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲡ ᲮᲐᲖᲘᲜᲐᲓᲠᲐᲓ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ — ᲡᲐᲛᲐᲜᲥᲐᲜᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲐᲓ.

ᲜᲔᲡᲢᲝᲠ ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲐ
ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

ᲜᲘᲙᲝᲡ ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲐᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲒᲕᲘᲗᲮᲠᲝᲑᲡ Ზ. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ ᲬᲘ�გᲜᲨᲘ „ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲦᲝᲦᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ 1627-1913 Წ. (ᲗᲑ., 1916)“. ᲘᲒᲘ ᲬᲔᲠᲡ: „ᲜᲘᲙᲝ ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ ᲫᲔ ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲐ. ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲔᲡᲢᲐᲛ-

ძმები ნიკო, ნესტორ
და ვლადიმერ ხვინგიები

ბე. განუსაზღვრელის სიყვარულით აღგზნებული სასტამბო საქმეთა განვითარების ასპარეზზე, ამან მისცა დიდი საფუძველი და დახმარება, რომ სპირიდონ ჭელიძემ ბათუმში გაბედა და დღიური ქართული გაზეთის გამოცემა დაიწყო. ნიკო ხშირად სწერდა ამ გაზეთში ცოცხალ წერილებს".

მოგონების ეს ფრაგმენტი ნათლად გვიხატავს საერთო ქართული საქმისათვის თავდადებული ადამიანის პორტრეტს. ნიკო ხვინგია გარდაიცვალა 1929 წელს.

ნიკო ხვინგიას უმცროსი ძმა ნესტორი დაიბადა 1888 წელს. ნესტორმა ახალგაზრდობიდანვე შეისწავლა სასტამბო ხელობა. მას ამ საქმეში დახმარებია სიმონ მებუკე. ნესტორი თავისი ძმის სტამბაში მუშაობდა ჯერ ხონში, მერე — ბათუმში. ბათუმში ნესტორ ხვინგია 1900 წლიდან გადადის და მუშაობას იწყებს ნეონილა გურსკაიას სტამბაში, სწორედ იმ სტამბაში, რომელსაც მოგვიანებით მისი ძმა და ვახტანგ ჩანტლაძე შეიძენენ.

ამ ცნობებისაგან განსხვავებული მოსაზრება აქვს გ. სიორიძეს. იგი წერს, რომ სტამბა შეიძინა ნესტორ ხვინგიამ (და არა ნიკომ-მ.მ) რომელმაც იგი ტექნიკურად განაახლა და 1910 წლიდან დაიწყო მუშაობა. სტამბაში გამოიცემოდა ქართული და რუსული გაზეთები, ასევე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და მხატვრული შინაარსის წიგნები. მაგალითად, ამ სტამბაში დაბეჭდილა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ბათუმის კომიტეტის გამოცემა „საქართველოს ავტონომია" (1917 წ.), აგრეთვე „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის პროგრამა" (1917 წ.). ასევე იბეჭდებოდა ფურცლოვანი გამოცემები: აფიშები, სარეკლამო განცხადებები და სხვ. ნესტორ ხვინგია გარდაიცვალა 1943 წელს[5].

სტამბის მფლობლად ნესტორ ხვინგია მიაჩნია აგრეთვე ისტორიკოს ოთარ გოგოლიშვილს. მისი თქმით, იმ დროისთვის ბათუმში ათამდე სტამბა ყოფილა. ხვინგიების სტამბა დღევანდელი კოსტავას 13 ნომერში მდებარეობდა. ის, რომ კონსტიტუციის დასაბეჭდად მაშინდელმა მთავრობამ ნ. ხვინგიას სტამბა შეარჩია, გასაკვირი არ არის. „ცნობილია, რომ ნესტორ ხვინგია დაახლოებული იყო „სოციალ-დემოკრატებთან", კონკრეტულად კი ისიდორე რამიშვილთან, კარლო ჩხეიძესთან. რომელიმე პარტიის წევრი ოფიციალურად არ ყოფილა." — წერს ო. გოგოლიშვილი[1].

თუმცა გასათვალისწინებელია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოში დაცულია ნიკოლოზ ხვინგიასთან დაკავშირებული რამდენიმე დოკუმენტი, მათ შორის, 1921 წლის ბათუმში ტიპოგრაფიის მფლობელთა ჩამონათვალი, სადაც მისი სახელიც არის ნახსენები (ფონდი რ.8. ანაწ.1 საქ 44, ფ 30)[7] .

ასეა თუ ისე, როგორც ჩანს, კონსტიტუციის დაბეჭდვაში ორივე ძმას მიუძღვის წვლილი. ნიკოს, როგორც სტამბის მეპატრონის, სურვილისა და თანხმობის გარეშე ვერავინ ვერაფერს დაბეჭდავდა, ნესტორმა კი, როგორც ასოთამწყობმა, უშუალოდ იმუშავა კონსტიტუციის ტექსტის აწყობასა და გამოცემაზე. ზოგიერთი ცნობით, ძმებმა ხვინგიებმა კონსტიტუცია უფასოდ დაბეჭდეს, დაახლოებით 100 ცალი[1]. ალბათ, ამითაც აიხსნება, რომ დღეს ეს გამოცემა ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ



1922 წლის თებერვალში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებიდან ზუსტად ერთი წლის თავზე, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა პარიზში ფრანგულ ენაზე გამოსცა კონსტიტუციის ტექსტი — „Constitution De La République de Géorgie“. გამოცემა დაიბეჭდა სტამბაში, რომლის სახელწოდებაა „იუნიონი“ (სენ-ჟაკის ბულვარი, 46). ეს იყო კონსტიტუციის რიგით მეორე გამოცემა. მის ფრანგულ ენაზე დაბეჭდვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან წითელი რუსეთი საქართველოს დაპყრობის შემდეგაც აგრძელებდა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლას, ოღონდ ამჯერად — იდეოლოგიურ ფრონტზე. რუსეთის პროპაგანდისტული მანქანა საერთაშორისო საზოგადოებას არწმუნებდა, რომ საქართველოს რესპუბლიკა შეუმდგარი სახელმწიფო იყო და ამით ცდილობდა, ერთგვარად გაემართლებინა საკუთარი აგრესიული ქმედებები.

საქართველოს ხელისუფლება ემიგრაციის პირველივე დღეებიდან ფრანგულ ენაზე ბეჭდავდა დოკუმენტებსა და საინფორმაციო ხასიათის მასალას, რათა უცხოელ პოლიტიკურ მოღვაწეებსა და, ზოგადად, საერთაშორისო საზოგადოებას სწორი წარმოდგენა ჰქონოდა არა მარტო 1921 წლის თებერვალს საქართველოში განხორციელებულ რუსულ ბოლშევიკურ აგრესიაზე, არამედ ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ წყობაზე, მის ღირებულებებზე, მისწრაფებებზე, კულტურის დონეზე და ა.შ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ფრანგულ ენაზე გამოცემასაც ეს დანიშნულება ჰქონდა.

გამოცემის წინასიტყვაობაში მკითხველი ეცნობა გამოქვეყნებული დოკუმენტების რაობასა და იმ ვითარებას, რა დროსაც მოხდა ამ დოკუმენტის მიღება.

კონსტიტუციის ტექსტის თარგმანი და კორექტურა ეკუთვნის ვინმე ბორჟოს (სხვა არაფერია ცნობილი მისი ვინაობის შესახებ), რომელსაც გაწეული შრომის გამო მადლიერებით იხსენიებენ ემიგრირებული მთავრობის წევრები[2].

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ



1953 წელს ინგლისურენოვან ქართულ ემიგრანტულ ჟურნალ „თავისუფალი საქართველოს ხმაში“ (ინგლ. The Voice of Free Georgia, N1) დაიბეჭდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტი. იგი ინგლისურად თარგმანა ჟურნალის დამაარსებელმა და რედაქტორმა ალექსანდრე ცომაიამ.

ალექსანდრე ცომაია კომუნისტური რეჟიმის საწინააღმდეგო ფარულ მოძრაობაში ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს ჩაება. 1922 წლის თებერვალში მონაწილეობდა საქართველოს გასაბჭოების წლისთავთან დაკავშირებულ საპროტესტო გამოსვლებში. სტუდენტობის პერიოდში ორჯერ დააპატიმრეს კიდეც. როგორც ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ფრთის წევრი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1924 წლის საერთო-სახალხო ამბოხებაში. აჯანყების დამარცხების შემდეგ იძულებული გახდა, უცხოეთში გახი-



26 THE VOICE OF FREE GEORGIA

THE CONSTITUTION OF GEORGIA

Adopted by the Constituent Assembly February 2, 1921

The act of independence was proclaimed by the Georgian National Council at Tiflis on May 26, 1918, and was confirmed by the constituent assembly elected by equal, universal, secret, and proportional suffrage of the citizens of both sexes at its first session of March 12, 1919.

At the same session the constituent assembly intrusted a commission with the task of working out the plan of the constitution of the Republic, giving a judicial form to the political organization which existed already, de facto, in the institutions and constitutional practice followed in Georgia. This commission achieved its objective and finished its work toward the end of 1920.

The definite text of the constitution was voted on by the constituent assembly on February 22, 1921.

The constituent assembly of Georgia, elected by citizens of both sexes, according to the direct, equal, universal, secret, and proportional electoral system, at its first sitting of March 12, 1919, proclaims before the world and history, that it fully confirms and approves the act of the independence of Georgia, declared at Tiflis by the Georgian National Council, May 26, 1918.

First Chapter — General Basis

First Article Georgia is a state; free, independent, and indivisible. The permanent and unchangeable form of its political constitution is the democratic Republic.

2. The capital of Georgia is Tiflis.

3. The official language of Georgia is the Georgian language.

4. The flag of the Georgian Republic is of carmoisine color (dyed dogberry) with one black and one white stripe. The seal of the Georgian Republic is the effigy of Georges I-Blanc mounted on a horse, surmounted by seven stars.

5. The laws and decrees only enter into force after they have been published in the regular manner

6. The territory of the state may neither be ceded, divided, nor sold. The enlargement of the territory, or the rectifications of the frontiers which may be contested, is only possible by virtue of a law.

7. The administrative division and the appointing or the alteration of the autonomous boundaries (limits) can only be done by legislative law;

8. The constitution is the supreme law of the state. Any law, any decree, any ordinance, or decision, which is in contradiction with the principles or the spirit of the constitution cannot be promulgated. All the powers of the state are held to fulfill the constitution and to apply its principles, as well in the legislative domain as in the administration.

9. The laws and decrees previous to the constitution remain in force, if they are not in contradiction to the constitution and its principles.

10. The present constitution remains in force permanently and uninterruptedly except in cases provided for in the constitution itself.

11. After the adoption of the constitution the constituent assembly shall publish it with the signature of its members.

Second Chapter — Of the Right of the Indigenes

12. The Georgian nationality is acquired by birth, by marriage, or by naturalization.

13. A Georgian citizen can not be at the same time a citizen of any other state.

14. A Georgian citizen cannot renounce his nationality except after having fulfilled all his obligations to the state.

15. The detailed conditions of the acquisition and the loss of the rights of the indigenes are determined by law.

Third Chapter—Rights of Citizens

16. All citizens are equal before the law.

17. There is no distinction of class.

18. No titles, except degrees of universities, shall be conferred. Decorations are abolished; distinctive marks may be conferred by reason of war.

19. Capital punishment is abolished.

20. Nobody can be condemned except by way of the judiciary, with the exception of disciplinary punishments provided for by law.

21 All citizens are judged by the same

ზნულიყო. იგი ჯერ სტამბოლში ცხოვრობდა, შემდეგ — საფრანგეთსა და გერმანიაში, სადაც თანამშრომლობდა ეროვნულ–დემოკრატიული მიმართულების ქართულ ემიგრანტულ პრესაში.

ალექსანდრე ცომაია აქვეყნებდა როგორც მეცნიერულ და პოლიტიკურ, ისე პუბლიცისტურ და პოლემიკურ წერილებს. II მსოფლიო ომის დროს იბრძოდა ვერმახტის ქართული ლეგიონის შემადგენლობაში. ომის დამთავრების შემდეგ იგი საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა. იქაც მეტად მნიშვნელოვანი საქმე წამოიწყო — მიზნად დაისახა პუბლიცისტური მოღვაწეობით ამერიკის საზოგადოებისათვის საქართველოს საკითხი გაეცნო. ამ მიზნით 1953 წელს ნიუ-იორკში დააარსა ინგლისურენოვანი ჟურნალი „The Voise of Free Georgia“ („თავისუფალი საქართველოს ხმა“), რომლის სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ ლეო დუმბაძე, ალექსი ჩხენკელი, დიმიტრი სინჯიკაშვილი, გივი ზალდასტანიშვილი და სხვა ემიგრანტები. სულ გამოვიდა ჟურნალის რვა ნომერი, მისი გამოცემა შეწყდა 1957 წელს, ალექსანდრე ცომაიას გარდაცვალების შემდეგ.

ჟურნალი ამერიკელებს აცნობდა საქართველოს წარსულს, მის აწმყოს, ქართველი ერის მისწრაფებებსა და იმ განწყობას, რაც ხალხს ჰქონდა რუსული ოკუპაციის მიმართ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია რუსულ ენაზე

რუსულ ენაზე 1921 წლის კონსტიტუცია დიდი ხნის განმავლობაში არ თარგმნილა. მისი რუსული თარგმანი პირველად დაიბეჭდა 1991 წელს თბილისში გამოცემულ წიგნში „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918-1921. სამი ისტორიული დოკუმენტი“. კრებულში, რომელიც შეადგინა გურამ შარაძემ, საქართველოს კონსტიტუციის ტექსტის გარდა, შეეიდა: 1) საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, მიღებული 1918 წლის 26 მაისს; 2) რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება.

სამივე ისტორიული დოკუმენტი წარმოდგენილია ქართულ, ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. რუსულ ენაზე კონსტიტუციი თარგმნა ავთანდილ დემეტრაშვილმა.

1921 წლის კონსტიტუციის თემას საბჭოთა ხელისუფლების 70-წლიანი ბატონობის პერიოდში ტაბუ ჰქონდა დადებული, ხოლო თვით კონსტიტუციის პირველი გამოცემის ერთი ეგზემპლარი ინახებოდა ყოფილი „საქ. სახელმწიფო წიგნის პალატის“ დახურულ ფონდში. მისი გამოყენება მხოლოდ სპეციალური ნებართვით შეეძლოთ ისტორიის მკვლევრებს. სხვა ბიბლიოთეკებში, მათ შორის ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც, ეს გამოცემა არ ინახებოდა. საზღვარგარეთული გამოცემების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას აბრკოლებდა საბჭოთა სახელმწიფოს ჩაკეტილი ცხოვრების წესი.

საქართველოს კონსტიტუციის 1922 წლის ფრანგული და ინგლისური გამოცემების შესახებ საქართველოს საზოგადოებას დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ზეპირი ცნობები ჰქონდა. საქართველოში ეს გამოცემები შემოვიდა ქართული ემიგრანტული არქივების შემოტანის შემდეგ. დღეს ეს დოკუმენტები ინახება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში და ნებისმიერი მკითხველისათვის ხელმისაწვდომია. მას აქვს საშუალება, ასევე გაეცნოს მათ ციფრულ ვერსიებს, რომლებიც ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“ არის განთავსებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რატომ დაიბეჭდა საქართველოს პირველი კონსტიტუცია ბათუმში // ბათუმელები. ნეტგაზეთი. — 2016. — 21 თებ. — https://batumelebi.netgazeti.ge/news/36565/

2. კუბლაშვილი, კ. წინასიტყვაობა // საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონ-

სტიტუცია და საქართველოს სენატის დებულება. — თბ., 2014.

3. მახარაძე, გ. პრესა და საგამომცემლო საქმე // სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა. ტომი III: ბათუმის ოლქი 1877-1920. — ბათუმი, 2008. — გვ. 560-567.

4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918-1921. სამი ისტორიული დოკუმენტი. / შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი გურამ შარაძე. — თბ., 1991. — 174 გვ.

5. სიორიძე, მალხაზ. საქართველოს პირველი კონსტიტუციის სტამბურად გამოქვეყნების ადგილი, დრო და გარემოებები // არხეოინი — ბათუმი, 2011. — I. — გვ. 83-87.

6. ჯავახიშვილი, გიორგი. ხვინგიების ოჯახი // წიგნი და გამომცემელი /გ. ჯავახიშვილი. — ბათუმი : საბჭ. აჭარა, 1980. — გვ. 34-37.

7. ქარდავა, ფრიდონ. ვინ დაბეჭდა პირველი კონსტიტუცია? (სამი ხვინგია) // აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველო. ინტერნეტრესურსი: http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=1022207&gid=2#.YF3Fc68zaUm

მაია მიქაბერიძე,
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“
მთავარი რედაქტორი

„ჭვენიერობა“ ბანძაში

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება: საზოგადოდ, ხეთა თაყვანისცემა დაკავშირებულია მნათობთა თაყვანისცემასთან. შესაძლებელია, თხილის ხე მზის ღვთაებისადმი ყოფილიყო შეწირული. ახალი წლის დღესასწაულზე მისი სიმბოლო ჩიჩილაკი სწორედ თხილის ჯოხისგან კეთდებოდა. სამეგრელოში იცოდნენ ჩიჩილაკის შემკობა სურის, დაფნის, თუთისა და რცხილის ტოტებით. ხალხის რწმენით, ყველა ეს მცენარე რომელიმე მნათობ-ღვთაებასთან იყო დაკავშირებული. „ეს ხეები დიდ მუხასთან ერთად წარმოადგენდნენ წმ. ხეივანს, სადაც მნათობის თაყვანისმცემელი ხალხი ლოცულობდა და მათ ტოტებს მრავალი შესაწირით ამკობდა... ხილთა შორის ბროწეული ჩიჩილაკის აუცილებელი სამკაული იყო. ბროწეულით მეგრელები ახალ წელიწადს ერთმანეთს ულოცავდნენ. ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ბროწეულის ხეც მზის ღვთაების საკუთრებას შეადგენდა“ (**ს. მაკალათია,** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 367-368).

მუხის ღვთაებაზე (ტოტებზე) მსჯელობისას პროფ. ს. მაკალათია აღნიშნავს, რომ მზის ღვთაების სადგომად, საზოგადოდ, მუხა მიიჩნეოდა. მუხნარს ეტანებოდნენ ღორები, რომლებიც მისი ნაყოფით იკვებებოდნენ. ამიტომ მორწმუნეთა შემეცნებაში სწორედ ღორი მიიჩნეოდა მუხის ღვთაებისადმი შეწირულად (**ს. მაკალათია,** დასახელებული ნაშრომი, 300).

მუხისთვის ღორის შეწირვის რიტუალი გამოყენებული აქვს კ. გამსახურდიას „ვაზის ყვავილობაში“, ათენგენობის დღესასწაულის აღწერისას: „პირჯვრის წერით მოვიდნენ მოხუცები ზედ სამების ეკლესიის კარებთან მდგარი მუხის ძირას. სანთლები ხეებზე მიამაგრეს. უზარმაზარ მუხის ქვეშ მდგარ აბრიას მიჰგვარა უთიმ ღორი. ძირს დაიხარა აბრია,შუბლი შეუტრუსა ანთებული სანთლით. მცირე ხანს რაღაც ლოცვას ბუტბუტებდა, წამოაქცია ღორი... საშინელმა ყვირილმა შეძრა მკვდარი ქალაქის დადუმებული შემოგარენი“. ძველ დროში, კ. გამსახურდიას ცნობით, მუხისა და ცაცხვის ხეებს ღვთაებრიობის შარავანდედით

მისავდნენ და თაყვანსა სცემდნენ... საქართველოს ყოველ კუთხეში იყო ხატის ტყეები-ო. უნდა ითქვას, რომ საკულტო „ხატის ტყე“ მწერალს მიზანდასახულად აქვს გამოყენებული რამდენიმე რომანში და მას გარკვეულ სიუჟეტურ ფუნქციასაც აკისრებს (მსჯელობისათვის იხ. **ა. ცანავა, ჯ. ᲤᲣᲚᲐᲘᲐ,** ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲑᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘ, 116).

ქრისტიანობის იდეური და პოლიტიკური გამარჯვების შემდეგ მოიშალა წარმართული ტაძრები და მათ ნანგრევებზე ახალი, ქრისტიანული, ეკლესია-მონასტრები წამოიმართა. ასე მოხდა ჭყონდიდშიც. „შეუძლებელია იმის დადგენა, თუ როდის შეცვალა წარმართული ჭყონდიდი ქრისტიანულმა ჭყონდიდმა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ მის მნიშვნელოვან სტრატეგიულ მდებარეობასა და ეკონომიკურ მდგომარეობას შიდა სამეგრელოში, კერპის მოჭრა და ქრისტიანული ეკლესიის დაარსება ქრისტიანული რელიგიის გაბატონებისთანავე, ან, შესაძლოა, უფრო ადრეც მომხდარიყო“ (ᲘᲥᲕᲔ: 19). ყველგან, ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში, — წერდა აკად. ივანე ჯავახიშვილი, — ახლაც არის შემორჩენილი ხეთა მსახურების, მეტადრე მუხის თაყვანისცემის წესი. „სამეგრელოში ხე-მცენარეთა თაყვანისცემის არსებობის საუკეთესო დამამტკიცებლად უნდა ჩაითვალოს ძველ საქართველოში განთქმული ჭყონდიდი, რომელიც მეგრულად დიდ მუხას ნიშნავს და თავდაპირველად უეჭველია მუხის მსახურების სალოცავ ადგილად უნდა ყოფილიყო. ახლა იქ მუხის მაგიერ განთქმულია დიდი ცაცხვი“ (**Ი. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ,** ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲗᲝᲠᲛᲔᲢ ᲢᲝᲛᲐᲓ, Ტ. I, ᲗᲑ., 1979, 133).

წმინდა ხე ასოცირდებოდა სიუხვესა და ნაყოფიერებასთან. ამასთანავე, ხესთან ასრულებდნენ რიტუალებს და შესთხოვდნენ პირუტყვის მომრავლებასა და დაცვას, გვარის გამრავლებას, მეთემეთა ჯანმრთელობას და ა. შ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შუმერულ მითოლოგიურ და ლიტერატურულ ძეგლებში განსაკუთრებული ჯიშის არაჩვეულებრივ მცენარეს სუფთა, ნათელი, ბრწყინვალე, წმინდა („Kug“, „paz-paz“, „mu-ul-la“), ხოლო აქადურში სუფთა, ბრწყინვალე, წმინდა ხე („is-su el-lu“) ეწოდება (**Ი. ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ,** ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐᲜᲘ, ᲗᲑ., 2008: 34, ᲓᲐ ᲘᲥᲕᲔ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ).

ხე-მცენარეთა სალოცავები სამეგრელოში ბევრგან ყოფილა. ამაზე ყურადღებას ამახვილებს გ. ელიავა. ლოცულობდნენ ᲭᲧᲝᲜᲘᲡ „მუხის“, ცაცხვის, თელის, ურთხლის, კაკლისა და წიფლის ხეებთან. ყველა მათგანს ᲯᲐᲛᲐᲜᲒᲐᲠᲘ „ხემაგარი“ ერქვა. სოფ. ბანძაში, სამოთხის უბანში, დღემდე შემორჩენილი ურთხლის ათასწლოვანი ხეებიდან ყველაზე ძველი და ყველაზე დიდი, მოსახლეობას საკულტო ხედ მიაჩნდა და დიდი პატივით ეპყრობოდა. „მის ძირას ჩამხობილი მლოცველი ხატად მიჩნეულ ხეს (ძლიერ ძალად მიჩნეულ კერპს) შესთხოვდა მტრის და მოღალატის შეჩვენებასა და მოსპობას. ხესთან საუკუნეების განმავლობაში მიჰქონდათ ძვირფასი შესაწირავი: ვერცხლის ფულები, სპილენძის და ვერცხლის ნაკეთობანი, ხელძღვენი სურსათ-სანოვაგის სახით, რომელსაც ლოცვის შემდეგ იქვე ტოვებდნენ. ამ ნივთებს ტაბუ ედო — „ვაშინერს“. ამიტომ მის მიდამოებში დღესაც მრავლად ნახულობენ სხვადასხვა დროის ნივთებს, მონეტებს და სხვ.“ (**გ. ᲔᲚᲘᲐᲕᲐ,** ᲭᲧᲝᲜᲓᲘᲓ-ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲚᲘ ᲨᲘᲓᲕᲔᲚᲘᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲙᲔᲠᲐ. ᲛᲔᲒᲖᲣᲠᲘ. ᲗᲑ., 1969, 23).

ასეთივე სალოცავს მიუთითებს მკვლევარი სოფ. ბანძაში „გუიᲫთკარად“ სახელდებულ ადგილზე. გუᲫთკარის მინდორზე მდგარი ვერხვის ასწლოვან ხეს პატივისცემით ეკიდებიან და ტოტებს არა ჭრიან. ხესთან ოდესღაც ვეებერთელა ქვის ლოდი იდო, მას თაყვანსა სცემდნენ — მასთან მიჰქონდათ შესაწირავი, მათ შორის ფულიც. ეს ტრადიცია სულ უკანასკნელ დრომდე ყოფილა შემორჩენილი. ქვა ხავსსა და მიწას დაუფარავს. აქ მოტანილი შესაწირავის აღება აკრძალული ყოფილა — ვაშინერდუ (**გ. ᲔᲚᲘᲐᲕᲐ,** ᲢᲝᲞᲝᲜᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲑᲔᲑᲔᲭᲙᲝᲠᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲜᲫᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ XV ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ (ᲗᲔᲖᲘᲡᲔᲑᲘ), **ᲑᲔᲑᲔᲭᲙᲝᲠᲘ,** 1971, **ᲛᲘᲡᲘᲕᲔ,** ᲐᲑᲐᲨᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲑᲔᲭᲙᲝᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲢᲝᲞᲝᲜᲘᲛᲘᲙᲐ, ᲗᲑ., 1977, 87). ა. ღლონტი ამ ობიექტის სახელად მიუთითებს გუიტკარს, ხოლო პ. ცხადაია — გუიუთკარს. ჩვენ ჩაწერილი გვაქვს ტოპონიმი **ᲒᲣᲫᲗᲙᲐᲠᲘ** — ასე ეწოდება მინდორს ეკოტიეში, სადაც 1997 წლამდე იდგა სალოცავად მიჩნეული ხე (იხ. ა. **ᲦᲚᲝᲜᲢᲘ,** ᲢᲝᲞᲝᲜᲘᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲫᲘᲔᲑᲐᲜᲘ, I, ᲗᲑ., 1971, 58; **პ. ᲪᲮᲐᲓᲐᲘᲐ,** ᲡᲐᲛᲔᲑᲠᲔᲚᲝᲡ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐᲜᲘ, V, ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ (ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ), 2010, 223; **Ი. ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ,** ᲑᲐᲜᲫᲘᲡ ᲢᲝᲞᲝᲜᲘᲛᲘᲐ, ᲗᲑ., 1997, 24). **ᲒᲣᲫᲗᲙᲐᲠᲘ ᲒᲣᲘᲡ, ᲒᲣᲚᲔᲓᲐᲡ,** გუᲫურის სალოცავი ყოფილა. გუᲫ ან გულედა ადამიანთა მფარველი წმინდანი ყოფილა, რომელიც იბრძოდა ავსულთა და ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ. ადგილობრივი მოსახლეობა მას (იქნებ წმ. გიორგის?) ოჯახის მფარველობას შესთხოვდა. აქვე უძველესი სასაფლაოს არსებობაზეც მიუთითებენ. ადგილს **ᲜᲐᲝᲮᲕᲐᲛᲨᲠᲡᲐᲪ** უწოდებენ (**Ი. ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ,** ᲑᲐᲜᲫᲘᲡ ᲢᲝᲞᲝᲜᲘᲛᲘᲐ, 24).

სამხარეთმცოდნეო ხასიათის გზამკვლევში „აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესან-

იშნაობანი“ გ. ელიავა ყურადღებას მიაპყრობს დღესასწაულ **ᲡᲝᲤᲘᲝᲑᲐ//ᲭᲕᲔᲜᲘᲔᲠᲝᲑᲐᲡ.** მისი აზრით, მახათ-მუხურჩის გზაგასაყარზე, ვედიდკარში, ყოველი წლის შემოდგომაზე იმართებოდა ჯარობა, თავშეყრა და მარულა, ხოლო ეკლესიის ეზოში აღდგომა დღეს ეწყობოდა რელიგიური დღესასწაული სოფიობა//ჭვენიერობა. მკვლევარი ფიქრობს, რომ „სოფიობა“ მეგრული სიტყვაა და **ᲡᲝᲤᲨᲐ**-დან (მოთხრა, მოგლეჯა) მომდინარეობს. ამ დღეს შესაწირავ ხეს ხელით თხრიდნენ და რელიგიური სიმღერით გარს უვლიდნენ ეკლესიას. შემდეგ ხეს ეკლესიის კედელს მიაყუდებდნენ და წირვის მოსასმენად შედიოდნენ ეკლესიაში, საღამო ჟამს კი დიდი საერთო პურობა იმართებოდა (**Ზ. ᲔᲚᲘᲐᲕᲐ,** ᲐᲑᲐᲨᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲮᲣᲠᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲘᲠᲡᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲝᲑᲐᲜᲘ (ᲑᲖᲐᲛᲙᲕᲚᲔᲕᲘ), ᲗᲑ., 1971, 29-30). დღესასწაულზე მსჯელობისას მკვლევარი ეყრდნობა პროფ. ს. მაკალათიას ეთნოგრაფიულ მასალას, ხოლო თვით სერგი მაკალათია იმოწმებს გაზეთ „დროებაში“ 1870 წელს გამოქვეყნებულ დავით ბარნაბიშვილის წერილს — „წარმართული დღესასწაული სამეგრელოში (სოფ. ბანძაში ბურთაობა და ხის ამოგლეჯა)“ („ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“, №20, 1870, 1-2).

„ბანძა მდებარეობს ცხენისწყლის მახლობლად, იმერეთის საზღვრის ახლოს, — წერს დ. ბარნაბიშვილი, — 20 აპრილს, ორშაბათს დღეს, სოფელში იყო „ჭვენიერობა“, რაც მეგრული სიტყვაა, მაგრამ ქართულად რას ნიშნავს, თვით მეგრელებმაც არ იციან... ამ დღეს წირვაზე ცოტა იყო ხალხი. წირვის დასრულების შემდეგ ხალხმა თავი მოიყარა ეკლესიასთან. შუადღისას დაიწყეს ზარების რეკა და ბუკისცემა, რომ ხალხი შეგროვილიყო. ცხენიანები და ქვეითად მოსიარულენი ერთად გამოდიოდნენ სიმღერებით და „კირიელეისონის“ გალობით. შემდეგ შეგროვებული ხალხი გაიყო რამდენიმე ნაწილად და თითო ნაწილი ცალ-ცალკე თამაშობდა. ხან გააბამდნენ ფერხულს. ფერხულში ჩაბმულნი იყვნენ როგორც კაცები, ისე ქალებიც. ხან დაკრავდნენ დაირას, დაირაზე — ტაშს, და ცეკვავდნენ. ხან მეგრულ ენაზე ამბობდნენ ლექსებს, მღეროდნენ, ტაშს უკრავდნენ და ცეკვავდნენ. ასეთმა ნაწილ-ნაწილად სხვადასხვა ალაგს გამართულმა თამაშმა ოთხ საათამდე გასტანა, ვიდრე ხალხი კარგა ბლომად შეგროვდებოდა. ოთხ საათზე დარეკეს ხელახლა ზარები და დაიწყეს ბუკით ყვირილი. ცხენოსნებმა განკერძოებით თამაშობა დააშლევინეს და ყველანი წამოვიდნენ ეკლესიასთან. ეკლესიაში, აღსავლის კართან, დიდი, წითელი ბურთი იდო, რომელიც მღვდელმა აიღო და დაიძახა: „აბა, შვილებო, გაიხადეთ“. ხალხმა ტანისამოსის ხდა დაიწყო... „მოდით, შვილებო, და აქ შეინახეთ“. ტანისამოსი სამკვეთლოში, ზოგმა ამბიონის წინ, ზოგმა — საწიგნეზე, ზოგმა სად და ზოგმა სად შეინახა. მღვდელი ოლარით შეიმოსა, გასწია აღმოსავლეთისაკენ და ხალხიც მას გაჰყვა „კირიელეისონის“ განუწყვეტელი გალობით, ზარების რეკვით და ბუკისცემით. ასეთი ცერემონიალით გარს შემოუარეს ეკლესიას, თითქოს აღდგომა დღეს ლიტანიას უვლიანო. ლიტანიის შემდეგ ხალხი გავიდა მინდვრად. მღვდელმა მეგრულ ენაზე წარმოსთქვა: „დიდებულო წმინდაო გიორგი, შენ შეეწიე შენს მრევლს, შენ მიეცი ძალ-ღონე და შეძლება, შენ გაამარჯვებინე აწინდელს ბურთის თამაშში“, და გადააგდო ბურთი. დაესივნენ ბურთს კაცნი; ზოგი ზევით ეწეოდა და ზოგიც — ქვევით, მაგრამ ცხენოსნები ქვეითად მყოფთ არ აცლიდნენ. ერთმა ცხენოსანმა შეძლო ბურთის გატაცება, დაეედევნნენ მას სხვა ცხენოსნები, მაგრამ სულ ტყუილად — იმან გაასწრო საზღვრებს და კიდეც გაიტანა. ასეთივე მოქმედება განმეორდა სამჯერ, მაგრამ ერთხელ კი მოწინააღმდეგე მხარემ აჯობა. ცხენოსანი იმდენი მონაწილეობდა, რომ ქვეითად მოთამაშეებმა თავი ანებეს თამაშობას, რადგან ეშინოდათ, რომ ცხენებს არ დაეწინლათ. მცირე ხნის შემდეგ ზარებისა და ბუკის ხმაზე ხალხი კვლავ ეკლესიასთან შეგროვდა. ისევ ეკლესიას შემოუარეს ირგვლივ „კირიელეისონის“ გალობით, მაგრამ ერთი კაცი კი არ გალობდა, გალობდნენ ყველანი, ვინც კი იქ იყვნენ, და დიდი აღტაცებით და მხიარულებით, თითქოს მტერი დაუმარცხებიათო. ეკლესიის ირგვლივ ერთი შემოვლის შემდეგ გასწიეს სოფლისაკენ კვლავ „კირიელეისონის“ გალობით, ზარების რეკით და ბუკისცემით. ორმოცი საჟენის გავლის შემდეგ მისცვივდნენ ერთ ვაშლის ხეს, რომლის სისქესაც ორარშინნახევარი ძაფი ვერ შემოსწვდებოდა. ზოგი მათგანი ხის წვერზე აცვივდა, ზოგი — შუა ტოტებზე და ზოგიც — ძირში. ძირის ტოტებს, რომლებსაც ქვეითად მყოფნი ვერ სწვდებოდნენ, ცხენზედ მჯდომნი ეწეოდნენ და არხევდნენ. ყველას ეს ხე ხან ერთბაშად აქეთ გადმოჰქონდა და ხან — იქითა. მის წვერზედ მყოფნი პირნი ისეთის საშინელებით და უშიშრად გადაჰყვებოდნენ და გადმოჰყვებოდნენ ხის ტოტებს, როგორადაც წვრილ ტოტზე ქარიან ამინდში მჯდარი ფრინველი. გადაიქნევდნენ ხეს იქით და დასძახებდნენ „კირიელეისონს“ და გამოაქნევდნენ აქეთ კიდევ, „კირიელეისონის“ გალობით. ხემ ასეთ წვალებას დიდხანს ვერ გაუძლო და ცოტა ხნის შემდეგ ერთ მხარეს ფესვები დააწყდა და მეორე მხარისკენ გადაეშვა. შემდეგ სულ ერთიანად მოგლიჯეს. მისი პატრონი ბევრს იწყევლებოდა, მაგრამ მსმენელი ვინ იყო! ასწიეს ეს ხე მაღლა, მიწას არ დააკარეს, ისე ჰაერში წამოიღეს და მოიტანეს ეკლესიასთან, კვლავ ზარების რეკითა და ბუკისცემით, კირიელეისონის გალობით. იმოდენა ხე

ისე მოგლიჯეს, რომ ბარი და ცული არ მიუკარებიათ. მერე ეკლესიის კარების წინ დადეს. იმ ხეზე შედგა ეკლესიის სტაროსტა და მეგრულად წარმოთქვა შემდეგი სიტყვები: „დიდებულო წმ. გიორგი, შენ მიეცი ბანძელებს შეძლება, მშვიდობა, დღეგრძელობა, ძალ-ღონე და ისე გაამარჯვებინე ყოველს წელს, როგორათაც ეხლა“. ხალხმა „ამინ“ დასძახა. „ეს ჯარი მოსულა შენს კარის წინ, შენ სადიდებლად და სასეირნოდ, შენ გეგვედრებით, მისცე მშვიდობა, რომ ყოველწელს ასე მოვიდნენ და პატივი გცენ, როგორადაც ახლა. ხალხმა შესძახა ხმაგრძელად: „ამინ“. „ვინც დღეგანდელს დღესა მოიპაროს რამე ამ ჯარში და მოპარული არ გამოაჩინოს, შენ გეგვედრებით, ნუ შეაწევ, დაამარცხე მისი ოჯახიცა და თვით იგიცა“. ხალხმა: „ამინ“. მერე ჩამოვიდა სტაროსტა ხიდან, დიდი ყიჟინით ასწიეს ხე და მეორე ხეზე თავაღმა ააყუდეს. მერე გამართეს ცხენების ჭენება, ჯირითი და ამით გათავდა მათი დღესასწაული. ეს ხის მოგლეჯა რა ჩვეულებაა ან საიდან წარმოსდგა, არავინ იცის. ზოგი რას ამბობს და ზოგი — რას. აი, ერთი მოხუცის სიტყვები: „უწინ აქ წარმართები ყოფილან და სხვათა შორის ხისთვისაც თაყვანი უციათ. აქაურების ღმერთი ყოფილა ხე. აქაურები ისეთი ქურდები ყოფილან, რომ სხვისი ღმერთი — ხე მოუპარავთ, აქ მოუტანიათ და თავიანთი ღმერთისათვის შეუწირავთ“. ასეთია დ. ბარნაბიშვილის სტატიის შინაარსი. სხვათა შორის, ესაა „ჭვენიერობის“ პირველი ყველაზე სრულყოფილი აღწერა.

სერგი მაკალათიას აღწერით, ჭვენიერობა სოფ. ბანძაში ნააღდგომევს, ახალი კვირის ორშაბათს იცოდნენ. ამ დღეს ბანძელებს ოჯახებში ძღვნით ეწვეოდნენ ნათესავ-მოკეთეები. უფრო სახელოვნად ის ოჯახი ითვლებოდა, ვისაც ბევრი სტუმარი მოუვიდოდა. ბანძიდან გამოთხოვილი პატარძლები — „მოჭყუდუეფი“ ამ დღეს ბანძაში მიდიოდნენ და თავიანთ ძმებთან ერთად „სადაბადო“ ქვევრთან დაჩოქილნი ღმერთს შეევედრებოდნენ დაძმური სიყვარულის განმტკიცებას, ოჯახის გამრავლებას, ჯანმრთელობას და სხვ. ოჯახებში გამართული დიდი სადილის შემდეგ ხალხი თავს მოიყრიდა ბანძის ეკლესიის მოედანზე, სადაც გაიმართებოდა ცეკვა-თამაში და სიმღერა. ნაშუადღევს ერთი უხუცესი გაბუნიას გვარიდან ბურთით ხელში სხვებთან ერთად, შემოუვლიდა ეკლესიას და იტყოდა: „წმ. გიორგი, დღეის ჭვენიერობაში შენ მოგვეცი გამარჯვება, ძალი და ღონე, იყავი ჩვენი ხალხის მფარველი. გაგვიმრავლე ჭირნახული და საქონელი, მტერი დაგვიმარცხე, შენს კარზე მოსულ სტუმარ-მასპინძლებს აუსრულე ლოცვა-ვედრება“ და სხვ. შემდეგ ხალხი ორ მოწინააღმდეგე ჯგუფად გაიყოფოდა. უხუცესი წითელ ბურთს მაღლა აისროდა. ლელოს პირველგამტანი ჯგუფი სიმღერით და ბუკის დაკვრით გაემართებოდა ეკლესიისკენ. მათ მიჰყვებოდა მეორე მხარე და მთელი ხალხი „კირიელეისონის“ გალობით ეკლესიას სამჯერ შემოუვლიდა და ამის შემდეგ იწყებოდა ეკლესიის ეზოში წინასწარ არჩეული ხის მოთხრა — „ჯაში სოფუა“. მოთხრა ევალებოდათ კეკელიებს და გაბუნიებს. ხის წვეროსა და ტოტებზე ასულნი, ტანსა და ფესვებს მობღაუჭებულნი, ხეს არყევდნენ და ცდილობდნენ მის სწრაფად მოგლეჯას. თან გაიძახოდნენ „კირიელეისონს“ („უფალო, შეგვიწყალე“) და წმ. გიორგის ევედრებოდნენ ხის მალე მოთხრას. მოთხრილ ხეს ზარების რეკვით, ბუკის ყვირილით და „კირიელეისონ“-ის გალობით ეკლესიას გარშემო სამჯერ შემოატარებდნენ, შემდეგ ააყუდებდნენ და მასზე ასული კეკელიას ან გაბუნიას გვარის უხუცესი კაცი ხალხს შემდეგი სიტყვებით დალოცავდა: „ყოველად ძლიერო წმ. გიორგი, შენ მიეცი ბანძელებს მშვიდობა, დღეგრძელობა და მტერზე გამარჯვება, დაასწარი მრავალ ჭვენიერობას ჩვენი სტუმრებით და მოკეთეებით“. ხალხი დაიძახებდა: „აამენ“. მოტეხილი პატარა ტოტები ხალხს შინ მიჰქონდა, როგორც წმინდა ნაწილი. მოთხრილ ხეს ეკლესიასთან ააყუდებდნენ და ერთი წლის შემდეგ დაწვავდნენ.

ხის აყუდების შემდეგ გაიმართებოდა ბურთაობა, ცხენების დოღი და ცეკვა-თამაში. მთელი სოფელი სტუმრებიანად გაიყოფოდა ორ მოწინააღმდეგე მხარედ: ერთ მხარეს ფაღავა მეთაურობდა, მეორეს – გაბუნია. ეკლესიიდან გამოტანილ წითელი მეშისგან შეკერილ დიდ ბურთს ეკლესიის მნათე ჰაერში აისროდა და შეჯიბრი გაიმართებოდა. გამარჯვებულად ის მხარე მიიჩნეოდა, რომელიც ლელოს გაიტანდა და „ჭვენიერობაც“ მას შეეწეოდაო (**ს. მაკალათია,** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 439-441).

მწერალი ნოდარ წულეისკირი პირველყოფილ ღვთაებებზე მსჯელობისას ყურადღებას ამახვილებს ჭვენიერობის დღესასწაულზე, რომელიც იმართებოდა ბანძაში, ახალკვირის მეორე დღეს, ოხვამეკარის ეკლესიის ეზოსა და ეკლესიის წინ მდებარე მინდორში. ამ დღეს სხვა სოფლებიდანაც ჩამოსული ხალხი დილიდანვე იკრიბებოდა ძელქვების ახლორე. წირვის შემდეგ იცოდნენ სახალხო თამაშობა, ლე-

1 ეს ეკლესია შაურკარის წმ. გიორგის სახელით იყო ცნობილი. დღეს სასაფლაო და ნაეკლესიარია სოფლის ცენტრში. აქ იდგა XIX საუკუნის შუა წლებში აგებული ერთნავიანი ქვის ეკლესია, რომელიც 1931 წელს კომუნისტებს დაუნგრევიათ. შაურკარის ეკლესიისათვის 1847 წელს ვერცხლის ხატი შეუწირავს კაცია ფაღავას და მის თანამეცხედრეს – ზეფისშვილის ასულ ელისაბედს. იხ. ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. კრ. „ძველი საქართველო“, ტფ., 1913-1914: 38-39. ხალხური ეტიმოლოგია: ეკლესიის ასაგებად თითო შაური აუკრეფიათ და ამიტომ დარქმევია შაურკარი. სხვა განმარტებით, ჭვენიერობის დღესასწაულზე თითო შაურს სწირავდნენ ეკლესიას. პარალელური სახელწოდებაა „საჭვენიერო“.

ლობურთი და სხვ. თამაშობას წინ უძღოდა ხის მოგლეჯა. წირვიდან გამოსული ხალხი, კერძოდ, კეკელიები, რომლებსაც ვალად ედოთ ხის მოგლეჯა, მიესეოდნენ ეკლესიის ეზოში მდგარ რომელიმე ხეს. რამდენი ტოტიც ჰქონდა, იმდენი მამაკაცი გავიდოდა ხეზე, დაიწყებდნენ სიმღერას — „კირია დო ეისას“, და ნელ-ნელა არწევდნენ ხეს, თანდათან უმატებდნენ ქანს, უმატებდნენ სიმღერას, ხეს მოარყევდნენ და ბოლოს ფესვებიანად ამოგლეჯდნენ მიწიდან. ამის შემდეგ საკლავს დაკლავდნენ და ხალხს უსასყიდლოდ უმასპინძლდებოდნენ. პურობა და ლხინი ოჯახებში იმართებოდა, ვინ ვისი მოკეთე და ახლობელი იყო, იმისდამიხედვით განაწილდებოდა მთელი ეს ზღვა ხალხი სოფელში და სუფრას უსხდნენ, საღამოს კვლავ შეიკრიბებოდნენ ოხვამეკარის ეკლესიის წინ, მინდორში, და მართავდნენ ლელობურთს, ჯარობასა და ცეკვა-თამაშს. ნ. წულეისკირი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ამ დღესასწაულში კეკელიებს ვალად ედოთ ხის მოგლეჯა. რატომ ედოთ ვალად? ან ის ხე რა ხე იყო თავდაპირველად, რომელიც ამ გვარს უნდა მოეგლიჯა? როგორცა ჩანს, ძელქვა ამ სოფლისათვის წმინდა ხედ იყო მიჩნეული, ისე როგორც მუხა — მარტვილისათვის. ამიტომ შეინარჩუნა ხალხმა ისინი ჩვენს დრომდე. საფიქრებელია, რომ ამ სოფლის უძველეს მკვიდრ კეკელიებს თავიანთ მფარველ ღვთაებად — ტოტემად — სწორედ ძელქვა ჰყოლიათ. ახალმა რელიგიამ ახალი ღმერთი დაამკვიდრა, ძველის მოსპობა და ძირფესვიანად ამოთხრა იმ გვარს დააკისრა, ვისი მფარველიც იყო უშუალოდ ის ძველი ღვთაება. ამიტომ თხრიდნენ კეკელიები ხეს ძირფესვიანად ოხვამეკარის ეკლესიის ეზოში მითაჟამიდან ჩვენს დრომდე, XX საუკუნის 30-იან წლებამდე; მაგრამ თხრიდნენ არა ძელქვას, არამედ სხვა ხეს, ნებისმიერს, გულში მაინც ჰქონდათ მოკრძალება ძველი ღვთაებისადმი (**ნ. ᲬᲣᲚᲔᲘᲡᲙᲘᲠᲘ,** ᲔᲜᲘᲡ ᲬᲘᲐᲓᲨᲘ. ᲬᲘᲒᲜᲘ: „ᲛᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲘᲡᲐ“, ᲗᲑ., 1987, 28-29).

დავით ჯანჯღავას ეთნოგრაფიული ჩანაწერების მიხედვით, „ჭვენიერობა“ წმინდა ჭვენიასადმი მიძღვნილი დღეობა იყო. აღდგომა დღეს ეკლესია და მის წინ მდებარე მოედანი განათებული იყო ჩირაღდნებით. ამ დღეს ნათესავები მოდიოდნენ სასაფლაოზე და მოჰქონდათ წითელი კვერცხები, რასაც ბავშვები აგროვებდნენ. ამასთანავე, ეკლესიაში მიჰქონდათ შესაწირავი — ცხვრის, ფრინველისა და გოჭის ხორცი, კვერცხი და ა. შ. სასულიერო პირი აღაგლენდა საადგომო ლოცვას, ლიტურგია გრძელდებოდა გათენებამდე. ლოცვის დასრულების შემდეგ მღვდელი გავიდოდა ხალხში, მიულოცავდა აღდგომას და სამჯერ მიმართავდა: „ქრისტე აღსდგა“. ხალხიც სამჯერ უპასუხებდა: „ჭეშმარიტად აღსდგა“. შემდეგ მნათეს გამოჰქონდა ხატი ქრისტეს გამოსახულებით, კითხულობდა ლოცვას და იწყებდნენ საყოველთაო ლოცვას, ლიტანიას ეკლესიის გარშემო. ხალხი გალობდა „კირიელეისას“ და სანთლით ხელში სამჯერ შემოუვლიდა ეკლესიას. ეს რიტუალი სრულდებოდა ზარე-

ᲑᲐᲜᲫᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, ᲛᲐᲠᲢᲕᲘᲚᲘ

ბის უწყვეტი რეკვის ფონზე. ამ პროცესიის დასრულების შემდეგ მნათე ხატს შეიტანდა ეკლესიაში, ხოლო მღვდელი და დიაკვანი დაიწყებდნენ მოსახლეობის მიერ მოტანილი, გარდაცვლილთა სულის მოსახსენებელი საჭმლის კურთხევას, რასაც ხალხს დაუბრუნებდნენ. ხორცსა და პასქას მღვდელს მისცემდნენ და კურთხევისთვის აგრეთვე გადაუხდიდნენ ფულს. ხალხი შემდეგ სახლებში წავიდოდა გალობით — „ქრისტე აღსდგა!“. შუადღისას კეკელიების გვარის მამაკაცები შაურკარის ეკლესიის ეზოში საშუალო ზომის ხეს მთელი ძალით არყევდნენ მანამ, ვიდრე მას ძირფესვიანად არ ამოთხრიდნენ. ვისაც დათქმული ჰქონდა, უპოვარ-უქონელს უნაწილებდა საჭმელს. შემდეგ კი სუფრასთან იმართებოდა ლხინი (**Დ. ᲯᲦᲐᲜᲯᲦᲐᲕᲐ,** ᲫᲕᲔᲚᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲧᲝᲤᲐ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ. ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ. ᲛᲐᲠᲢᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲗᲐ ᲤᲝᲜᲓᲘ, Ა. ᲯᲑ., №123, 1962-1963, 24, 28-29).

ჭვენიერობის შესახებ საინტერესო გადმოცემა ჩაუწერია ენათმეცნიერ პაატა ცხადაიას 100 წლის იაკობ კეკელიასაგან: „ჭვენიერობა უჩქუდეს ოსურეფიშ თანაფაშ მაჟია დღას, თუთაშხას. თენა რდ(ბ) დღეობა: შაურკარს აკიკათუუდუ აუარებელი ხალხი, ართი მედგამი. ჯას მოსოფუნდეს, ოხვამეს სუმშახ გულუანდეს დო უკუი ჟი ჯას ქიმკაპონანდეს(ბ), ფესვი ეშე უღუდუნ(ბ) თეში. თი ჯას გაბირანდეს, ოხვამეს ულუანდეს(ბ)ნი თეში: „ოსა დო კირიე, ხაჭაპური ჭვირირე. უკული: ქრისტე აღსდგა, კუჩხიბედინერა“ (**პ. ᲪᲮᲐᲓᲐᲘᲐ,** ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐᲜᲘ, V, ᲛᲐᲠᲢᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ (ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ), ᲗᲑ., 2010, 229).

ბანძაში ჩაწერილი გადმოცემები „ჭვენიერობის“ დღესასწაულის დამკვიდრებას ქრისტეს თორმეტმოციქულთაგანის — ანდრია პირველწოდებულის — მიერ (ძვ. წ. 6 — ახ. წ. 60 წწ.) ეგრისის მოსახლეობის მოქცევის პერიოდს უკავშირებს. ქართველებში ქრისტიანობის პირველ მქადაგებელ-გამავრცელებელ ანდრიას, ვიდრე ჭყონდიდში კერპს გაანადგურებდა, ბანძაში უქადაგია ქრისტიანობა. ჭყონდიდში ჭყონს ეთაყვანებოდნენ, ბანძელი კეკელიები და გაბუნიები — ძელქვას. სოფელში ძელქვის სარიტუალო ხის მოჭრით განაწყენებულ ბანძელ წარმართებს ღამით მძინარე მოციქულისთვის კვერთხი და სატაცურები მოუპარავთ. წმ. ანდრია იძულებული გამხდარა, ფეხშიშველას გაეგრძელებინა სამოციქულო მოღვაწეობის მიზნით მოგზაურობა ჭყონდიდისაკენ. თან გაჰყოლია ახლად მოქცეული ბანძელებიც. ჭყონდიდში მუხის სალოცავი ხე მოუჭრია და მხლებლებისთვის დაუვალებია, რომ ჭვენიას ფერდობზე არსებული მუხის ნორჩი ხეებიც მოეთხარათ. ჭვენია იმ გორის სახელწოდებაა, სადაც დღეს მარტვილის ტაძარი დგას. მუხის ხეების მოთხრის ტრადიცია ბანძელებს თავის სოფელში გადმოუტანიათ და ქრისტიანობის წარმართობაზე გამარჯვების ნიშნად დაწესებული დღესასწაულისათვის „ჭვენიერობა“ უწოდებიათ (ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲗᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲕᲠᲪᲚᲐᲓ ᲘᲮ. **Ნ. ᲯᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔ,** ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲐᲛᲡᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲔᲑᲠᲔᲚᲝᲨᲘ. ᲘᲕ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ, ᲗᲑ., 2009, 51-59).

საინტერესოა: საეკლესიო დღესასწაული **ᲡᲝᲤᲘᲝᲑᲐ** სცოდნიათ სოფელ ლეხაინდრაოშიც. დღესასწაულის სახელწოდებას უკავშირებენ ლეხაინდრაოელ სოფიო ხაინდრავას, რომელიც განთქმული ყოფილა თავისი ჭკუით, ღარიბებისა და ქვრივობლების გამკითხავობითა და მზრუნველობით. სოფიოს წინადადებით, სოფლის საზოგადოებას აუგია ეკლესია, ხოლო შიგნით დაუმარხავთ დიდი ქვევრი, რასაც დანელიები ყოველწლიურად ღვინით ავსებდნენ. ყოველი წლის დიდ ხუთშაბათს ქვევრს ხდიდნენ და იმართებოდა დიდი ლხინი. ამავე დროს სოფელს დაუარსებია დღესასწაული და სოფიოს პატივსაცემად **ᲡᲝᲤᲘᲝᲑᲐ** უწოდებია. „სოფიობა“ აღინიშნებოდა ლეხაინდრაო-ნაჯახაოს საზოგადოებაში ყოველი წლის აღდგომის მომდევნო შაბათს. ამ დღისათვის ხაინდრავები სალანჩე ტყავისაგან კერავდნენ სათამაშო ბურთს, რაც წირვის დაწყებამდე ეკლესიაში ინახებოდა. ბურთს მღვდელი აკურთხებდა. წირვის დასრულების შემდეგ გვარის თავკაცს ბურთი ტრაპეზიდან გამოჰქონდა, ხალხი უკან მიჰყვებოდა და სამჯერ შემოუვლიდნენ ეკლესიას „კირიელეისონის“ გალობით. ამის შემდეგ ბურთი ისევ სატრაპეზოში დაიდებოდა. შემდეგ ეკლესიის წინ მდებარე დიდ მოედანზე იმართებოდა სეირნობა, ცხენოსნობა, ხოლო შუადღის 2-3 საათისათვის ყველანი საკუთარ სახლებს მიაშურებდნენ სტუმრებითურთ. საღამოჟამს კვლავ შეიკრიბებოდნენ, ხაინდრავას გვარის თავკაცს კვლავ გამოჰქონდა ბურთი სატრაპეზოდან და მოედანზე ორ ჯგუფად გაყოფილ მობურთავეებს შორის იმართებოდა ხელბურთის თამაში. ჩრდილეთთ მხარეს ლეხაინდრავოელები დგებოდნენ, ხოლო სამხრეთით — ნაჯახაოელები. თამაშში მონაწილეობდნენ მოხუცებიც. ხელსაყრელ მომენტში ბურთს ცხენოსანს გადაუგდებდნენ, რომელსაც მოწინააღმდეგეთა ცხენოსნები დაედევნებოდნენ. ცხენოსნები ტრიალებდნენ მობურთავეების ირგვლივ, რომ თავისიანისგან მოწოდებული ბურთი გაეტაცებინათ. გამარჯვებულად ის ცხადდებოდა, ვინც ბურთს დაწესებულ საზღვარზე გადააგდებდა (**ᲨᲐᲚᲕᲐ ᲯᲦᲐᲠᲯᲐᲕᲐ** ᲜᲐᲐᲛᲑᲝᲑᲘ, ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ 2000 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲝᲤ. ᲚᲔᲮᲐᲘᲜᲓᲠᲐᲝᲨᲘ).

დამოწმებული ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ ჭვენიერობა სცოდნიათ ბანძასა და მის გარშემო მდებარე სოფლებში (ვედიდკარი, ნაჯახაო, ლეხაინდრაო). საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. კვაუთში, მთავარანგელოზის ეკლესიასთან, ერთ ადგილს ეწოდება **ᲭᲕᲔᲜᲘᲔᲠᲝᲑᲐ**. სახელწოდება მიუთითებს, რომ ამ ადგილას აღნიშნავდნენ ჭვენიერობის დღესასწაულს (იხ. **Გ. ᲔᲚᲘᲐᲕᲐ,** ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲢᲝ�პᲝᲜᲘᲛᲘᲐ, თბ., 1989, 130).

ოთარ ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მიხედვით, რელიგიური დღესასწაული „ჭვენიერობა“ სოფ. ბანძაში ახალკვირას **(ᲐᲮᲐᲚᲨᲐᲨᲮᲐ),** აღდგომის მომდევნო კვირას, აღინიშნებოდა და **„ᲝᲡᲣᲠᲗᲐᲜᲐᲨᲐᲡ[2]“** (ქალთა აღდგომა) სახელითაც იყო ცნობილი (**Ო. ᲫᲐᲯᲐᲘᲐ,** ᲛᲔᲒᲠᲣᲚ-ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ, III, თბ., 2002, 466). დავაზუსტოთ: დამოწმებული ეთნოგრაფიული ლიტერატურით ის გარემოება იკვეთება, რომ ჭვენიერობა ბანძასა და კვაუთში აღინიშნებოდა ნააღდგომევს, ახალი კვირის ორშაბათ დღეს, ანუ უფალთანაფას//კვირაცხოვლობის მომდევნო დღეს, ხოლო ლეხაინდრაო-ნაჯახაოში — აღდგომის მომდევნო შაბათს, ანუ კვირაცხოვლობის წინა დღეს.

საინტერესოა დღესასწაულის სახელწოდების შინაარსი. ჩვენ მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, დღესასწაულის სახელწოდების ამოსავალია ჭვე, ჭველა/ე „ამონაყარი; ახალამოსული, ნორჩი თხმელა; ნერგი, შიმელი“ (ამ დღეს სწორედ ნერგი ითხრებოდა). ალიო ქობალიას ცნობით, „ამ დღეს რიტუალური ჭვავის კვერი ცხვებოდა“ (Ა. **ᲥᲝᲑᲐᲚᲘᲐ,** ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ, თბ., 2010, 709).

საფიქრებელია, რომ ჭვენიერობა სამეგრელოში, ისევე როგორც **ᲜᲐᲪᲘᲮᲨᲠᲝᲑᲐ** რაჭაში და **ᲛᲣᲠᲧᲕᲐᲛᲝᲑᲐ** (ლიმურყუამალ-კოშკობა) სვანეთში[3], ადრეგაზაფხულის დღესასწაულთა ციკლში შემავალი ერთ-ერთი საწესო ქმედებაა. იგი უნდა უკავშირდებოდეს მთელ საქართველოში გავრცელებულ წარმოდგენებს ნაყოფიერების საკულტო ხის შესახებ და კოსმოგონიურ სიმბოლოს — ცხოვრების ხეს. დღესასწაულში შემავალი კარნავალური სანახაობის ელემენტები კი ბუნების ხელახალი აღორძინების შესაგებებლად იმართებოდა. ესაა ჟამი მიწას მიბარებული თესლის გაღივებისა. ქრისტიანობამ წარმართული საწესო ქმედება შეითვისა და ქრისტიანულ ყაიდაზე გარდაქმნილი შეინარჩუნა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ჭვენიერობას აღნიშნავდნენ კვირაცხოვლობის მეორე დღეს. ბრწყინვალე შვიდეული გვირგვინდება კვირიაკით. სწორედ ამ დღეს ეწოდება კვირაცხოვლობა//ახალი კვირა, ანუ აღდგომის განახლება. ეს დღე მიიჩნევა აღდგომის განახლების დღედ. ამ დღიდან მოყოლებული ყოველი კვირა დღე აღდგომის დღესასწაულია, როცა ქრისტიანები იკრიბებიან ეკლესიაში, სადღესასწაულო წირვაზე.

2 **ᲣᲤᲐᲚᲗᲐᲜᲐᲨᲐ** იგივე კვირაცხოვლობაა, ახალი კვირაა (აღდგომის მომდევნო კვირა დღე), რაც სხვაგვარად **ᲝᲡᲣᲠᲗᲐᲜᲐᲨᲐᲡ** „ქალების აღდგომის“, **ᲝᲡᲣᲠᲗᲐᲜᲐᲨᲐᲡ** სახელითაცაა ცნობილი. ამ საუფლო დღესასწაულზე იცოდნენ ხატისთვის ღამისთევა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ესაა წარმართობის დროიდან შემორჩენილი ხსოვნა. დღესასწაული იმართებოდა გაზაფხულის ბუნიაობის შემდეგ, როცა მატებადი დღის სინათლე უსწორდება და ხანგრძლივობით დასჯაბნის ღამის ბნელს. შდრ.: **ᲒᲔᲗᲐᲜᲐᲨᲐ** „დათენება (თავზე); შემოთენება“. იხ. ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010: 87, 616.

3. სოფლების – ჟახუნდრისა და სასაშის მოსახლეობა მზის ამოსვლის წინ კვირიას საგალობლის შესრულების შემდეგ მიადგებოდა წინასწარ აგებულ თოვლის კოშკს და ცდილობდა თავის მხარეს გადაძლევას და წაქცევას, რადგან ხალხის რწმენით, საითაც კოშკი წაიქცეოდა, იმ მხარეს მთელი წლის მანძილზე საჭირო ატმოსფერული ნალექი მოვიდოდა და უხვი მოსავალი იქნებოდა. ასევე სწამდათ, რომ ვინც თოვლის კოშკს საფუძველს ჩაუყრიდა ან თავზე ჯვარს დაადგამდა, უსათუოდ ვაჟი შეეძინებოდა. თუ თოვლი არ იყო, მაშინ თოვლის კოშკს ნაძვის ხით ცვლიდნენ. ზემო სვანეთში მურყვამობა იმართებოდა ყველიერის აღებისას (სვან. „აღბალაღრალ“ – აღების თამაშობები). მსჯელობისათვის იხ. ჯ. ონიანი, სვანური მურყვამობა-კვირიაობა, „მაცნე“, 1969, №3; ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1979; Бардавелидзе В. В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957; ირ. სურგულაძე, ქსე, ტ. VII, თბ., 1984: 202. ასეთივე წესჩვეულება სცოდნიათ თბილისში, ჩუღურეთში: კვირაცხოვლობა – ხალხური დღესასწაული, აღდგომის სწორს იმართებოდა ჩუღურეთის კვირაცხოვლის ეკლესიასთან. კვირაცხოვლობას დიდი ზეიმი იცოდნენ. ამ დღესაც ქართველებს წესად ჰქონდათ ბურთის თამაში. ეკლესიაში წირვის შემდეგ ორ ჯგუფად გაყოფილი ხალხი ერთმანეთს ეცილებოდა ბურთის ხელში ჩასაგდებად. მრევლის რწმენით, რომელი ჯგუფიც გაიმარჯვებდა, მთელი წლის მანძილზე სიუხვე და ბარაქა არ მოაკლდებოდა. ზოგჯერ ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯილ ბურთს ინაწილებდნენ, რადგან მას მაგიურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ეს წეს-ჩვეულება თანდათან დავიწყებას მიეცა და XIX საუკუნეში ჩუღურეთში მდებარე კვირაცხოვლის გორას გაუჩნდა მეორე სახელი „წითელი გორა“. აქ კვირაცხოვლობა დღეს სააღდგომო წითელი კვერცხების დაგორების გამო (ეს წესი რუსმა მართლმადიდებლებმა შემოიტანეს). გორის ფერდობზე სააღდგომო კვერცხებს დააგორებდნენ და, ვისი კვერცხიც შორს გაგორდებოდა, მოგებულიც ის იყო და წითელი კვერცხებიც მას რჩებოდა. მსჯელობისათვის იხ. ენციკლოპედია „თბილისი“, თბ., 2002: 593.

ᲘᲒᲝᲠ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ,
ისტორიის დოქტორი

ნაკიანის თემში საეკლესიო ცხოვრების ისტორიიდან

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ამჟამინდელი —ჩხოროწყუს რაიონის შემადგენლობაში მყოფ 31 სოფელში მოქმედებდა 35 ეკლესია. ჩხოროწყუს ისტორიულ მუზეუმში დაცულია ამ ეკლესიების მეტრიკული წიგნები, აღსარების მთქმელთა სიები, სხვა დოკუმენტები,. ისინი შეიცავენ მონაცემებს ამ სოფლების საეკლესიო ცხოვრების შესახებ XIX საუკუნის შუა ხანებიდან XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისამდე. ხელისუფლებამ გასაბჭოებისთანავე წამოიწყო მძაფრი ანტირელიგიური კამპანია, ეკლესია კანონგარეშე გამოაცხადეს, დაკეტეს ტაძრები, დევნიდნენ მღვდელმსახურებს, შეწყდა დასახელებული დოკუმენტაციის შედგენაც.

დროის ზემოაღნიშნულ მონაკვეთში ამ ეკლესიებში მსახურ სასულიერო პირთა შესახებ მონაცემები მოძიებულ იქნა ჩხოროწყუს მუზეუმში დაცულ საეკლესიო საბუთებში.

ნაკიანის თემის საკრებულო — ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული — მდებარეობს ოდიშის პლატოზე, დაბა ჩხოროწყუდან მარტვილის მუნიციპალიტეტის საზღვრამდე. ჩრდილოეთით ესაზღვრება ჭოღას თემი, სამხრეთით — ახუთის თემი.

ამჟამად ნაკიანის თემის საკრებულოში შედის სოფლები: ნაკიანი, ლექარჩე და ლეახალე. 1970 წელს სამივე სოფელში ცხოვრობდა 26 გვარის 141 კომლი (პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, IV. ჩხოროწყუს რაიონი, თბ., 2008, გვ. 50).

სამეგრელოს სამთავროს 1830-1840-იანი წლების დავით დადიანისეული ადმინისტრაციული დაყოფით ლექარჩე და ნაკიკიანო შედიოდა ჯვარის მაზრაში, სოფელი ლეახალე კი ცალკე ერთეულად არ ჩანს.

1859-1860 წლების კამერალური აღწერის მასალებში ცალ-ცალკეა შეტანილი ნაკიანის, ლეახალესა და ლექარჩეს კომლთა და სულთა რაოდენობა (სულ 159 კომლი, 1411 ადამიანი. ლექარჩეში — 63 კომლი — 572 სული, ნაკიკიანში — 67 კომლი — 573 სული, 1 სამღვდელო ოჯახი — 11 სული, ლეახალეში — 29 კომლი — 266 სული). 1886 წლის კამერალური აღწერის მონაცემებით, ლექარჩე (83 კომლი, 551 სული) შედიოდა ჭოღის სასოფლო თემში, ნაკიანი კი ნაკიკიანოს ფორმით — ჩხოროწყუს თემში. აღნიშნული ცნობებით ამ დროისათვის ლეახალე ცალკე სოფლად არ ჩანს.

მოსახლეობა გვარების მიხედვით უბნებად იყო განსახლებული, ნაკიანის თემის საკრებულოში შემავალი სოფლები შედგებოდა უბნებისაგან: ლეჩოკორე, ლედოლბაიე, ლეკვარაცხელიე, ლეჭეჟიე, ლეახალე, ლეჯომიდე. აქ ცხოვრობენ: ახალაიები, ჭეჟიები, ქარჩავები, ყალიჩავები, დოლბაიები, დოლბანძეები, ჩოკორაიები, კვარაცხელიები, ვეკუები, დარსალიები, როდონაიები, ფირცხელავები.

ზემოაღნიშნული საკრებულოს სათემო ცენტრ სოფელ ნაკიანს (ზ. დ. 280 მ.) აღმოსავლეთით ესაზღვრება მდინარე ღვია, ჩრდილოეთით — ლეახალე, დასავლეთით — გარახა, სამხრეთით — ახუთი. სოფელი იყოფა ორ ნაწილად: წ(ბ)მოხონი ნაკიანი „აღმოსავლეთი ნაკიანი“ და გ(ბ)მოხონი ნაკიანი „გაღმანაკიანი“.

მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობაზე მოგვითხრობს შემოხვევით ნაპოვნი ბრინჯაოსა და რკინის სამეურნეო თუ საბრძოლო იარაღები. ლეახალეში 1961 წელს, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებისას გამოვლინდა სამაროვანი, ქვევრსამარხი (არქეოლოგთა დათარიღებით, სამაროვანი ძვ. წ. აღ. VII-V საუკუნისაა), აღმოჩნდა ადამიანის თავის ორი ქალა, კოლხური ცულები, სეგმენტისებური იარაღები, ყელსაბამები, მძივები, დერგისებრი ფორმის დასაკრძალავი ურნების ინვენტარი. კოლხური ცულები ს. ჯანაშიას სახელობის ისტორიის მუზეუმში ინახება. ლეყალიჩეში 1980 წელს, ხრეშის კარიერის დამუშავებისას გამომვლინდა ქვევრსამარხი (ძვ. წ აღ. IX ს), რომელშიც აღმოჩნდა ბრინჯაოს სამაჯური (6 ცალი), ძვლის ფრაგმენტი (2-2,5 სმ. სიგრძის), რომლის ზედაპირი მთლიანად დაფარულია ნაკაწრი იდეოგრამებით. ნაკიანის სკოლის მასწავლებელმა ლიანა ახალაიამ აღნიშნული არტეფაქტები ჩხოროწყუს მუზეუმს გადასცა.

ისტორიულ წყაროებში გვხვდება ფორმა ნაკიკიანიც. სოფელ ნაკიანში „ნაკიანი“ მიკროტოპონიმიცაა: ლეჩოკორეს უბანში, დიდი „გას“ დასავლეთ კალთაზე, ვაკე-ტაფობს (სოფლის ცენტრის ახლოს) ეწოდება ნაკიანი‖ნახვამუ. ადგილობრივი ინფორმაციით, აქ კიკიანის ნასახლარია. მაშასადამე, დასტურდება კიკიანი-ნაკიკიანი-ნაკიანი. აღნიშნული მიკროტოპონიმი შემდგომში სოფლის სახელად ქცეულა (პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 244).

ერთ-ერთი გადმოცემით: სამი ძმა, გვარად დოლბაძე იმერეთიდან გამოქცეულა. ისინი ჩხოროწყუში „გუბერნატორთან“ მისულან და უთხოვიათ, ტყე ადგილი მიგვასწავლეთ, ახოს გაგვაფავთ და ვიცხოვრებთო. ამ პიროვნებას მათთვის ჯოღორღალის მიდამოები მიუსწავლებია. იქ წინათ კიკიანები სახლებულან, რომლებიც რაღაც ჭირისაგან გაწყვეტი-

ლან, გადარჩენილები კი იქედან გადასახლებულან და ამ ადგილს ნაკიკიანუ — კიკიანების ნასახლარი — შერქმევია. იგი დროთა განმავლობაში დაბურულ ტყედ ქცეულა. ძმები დოლბაძეები აქ ამოსულან, ადგილი გაუწმენდიათ და სამ სერზე, სამ სუკზე,დასახლებულან. შემდეგ მომრავლებულან (გ. ელიავა, გ. ფარულავა, გრ. შენგელია, ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგი, 1983, გვ.: 96).

არქანჯელო ლამბერტისეულ XVII საუკუნის შუახანების სამეგრელოს რუკაზე საკიკიანო დატანილია აბაშის მარჯვენა მხარეს, მარსილსა და ნოქალაქევს შორის.

სოფელი ლეახალე (ზ.დ. 240 მ.) განფენილია მდინარე ჭალაყვანასა და ჩეღალს შუა. ესაზღვრება სოფ. დოშაყეს, ახუთთან კი საზღვარი გადის ზანა-მაჩხაპეს წყალგამყოფ სერზე. სოფელს კვეთს მდინარე ზანა. სახელწოდება ლეახალე მომდინარეობს გვარ ახალაიასაგან (2008 წლის მონაცემებით, საქართველოში ამ დროს ცხოვრობდა 4452 ახალაია).

სოფელი ლექარჩე (ზ. დ. 220 მ.) მდებარეობს ბუმესა და ჭალაყვნის ზემო წელზე. ლექარჩე არის ნაკიანის თემის საკრებულოში შემავალი სოფელი.

ნაკიანის თემის საკრებულოში ტოპონიმური მონაცემებით შემდეგი ადგილები ფიქსირდება:

ლექარჩეში: ნოჯიხი, კლდე, იგივე ფილუში ნა(ყ)უდუ-ნა(ო)ხვამუ‖ლექარჩეშ ოხვამე‖, ქიაჩიში ოხვამე — ნასაყდრალი, სოფლის ჩრდ. ნაწილში, ჭალაყვანასა და ნაწისქვილ ღალს შუა მდებარე სერზე, სადაც უწინ ხის ეკლესია იდგა. მასში ესვენა მთავარანგელოზის ხატი, ანუ ქიაჩი (ადგ. ინფორმაცია) (ბ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ.244).

— ნაოხვამუშ ღალ(ბ) — ღელე. იწყება ნაოხვამუში და ერთვის შქედღალს.

— ნაოხვამუში სუკი, ბორცვი, რომელზეც მდებარეობს ნაოხვამუ‖ლექარჩეში ოხვამე.

— ოხვამეში კადარი, ფერდობი ნაოხვამუშ სუკის კალთაზე.

ლეახალეში: ნაოხვამ(უ), ნასაყრდალი, იგივე ქირსე.

— ჯეგე სუჯინაში ოხვამე, ეკლესია. იგივე სუჯინაში ოხვამე.

— ოხვამე კარი ეწოდება ბორცვს. (არსებითი სახელი „კარი“ ემატება ეკლესიის, ნაგებობის,

ნაკიანის მაცხოვრის სახელობის ტაძარი

სახელს, მცხოვრების გვარს და აღნიშნავს ამ ობიექტის, მოსახლის წინ მდებარე ტერიტორიას, გზის მონაკვეთს).

— ნოჯიხ(ბ), ბორცვი აკაკათაფურთან.

საკუთრივ ნაკიანში: ნაოხვამ(ბ), ნაეკლესიარი, იგივე ნახვამუ.

— ოხვამეშ ფერდი, ფერდობი. იგივე ოხვამეშ კადარი.

— ოხვამეშ კადარი‖ოხვამეშ ფერდი, ფერდობი ოხვამეშ სუკის აღმოსავლეთ კალთაზე.

ლეჩოკორეში — ნახვამუ‖ნაოხვამ. ნაეკლესიარი ნაპაზურუს კალთაზე. გადმოცემით, ნაპაზურუში მცხოვრებ პაზიებს თუ პაზურიებს აქ ჰქონიათ ხის ეკლესია.

— ლეყალიჩეში — ოხვამეში სუკი, სერი, ჭალაყვანასა და ჯოღორღალს შუა. სერზე მცირე ეკლესია დგას.

— ნაოხვამუ (ნასალოცვარი), ადგილი — „უძველესი ნაოხვამუა, აქ ნახნავზე იკრიფება ძველი ნივთები. ეს სალოცავი ყალიჩავებისა ყოფილა. გადმოცემით, აქ მოსახლე ხალხი გადმოსახლებულა სვანეთიდან (ალანეთიდან). აქ მათ ერთი ცაცხვი დაურგავთ და მის ძირას დაუთქვამთ თავიანთი ფუძის (ძირის) ხატი. შეგროვებულ შესაწირავ ფულს ისინი ალანეთში აგზავნიდნენ (გ. ელიავა, გ. ფარულავა, გრ. შენგელია, დასახ. ნაშრ. გვ. 96). ადგილობრივთა მონათხრობით, ყალიჩავების საგვარეულო სალოცავი იყო ელიათბა.

ლეკვარაცხელიეში, ახუთის საზღვართან, არის ადგილი — პაპაში ნოხორი.

ჭალაყვანისა და ზანის შესართავთან, ადგილ ბოხტურში, ახუთის საზღვართან — ჯ(ვ)არაგუნა, „უძველესი ნაოხვამუ. აქ იცოდნენ ჯარაგუნობა. მაღალი შიშველი კლდეა. კლდის შუა ადგილას მრავალი ხვრელია. ამ ხვრელში ბინადრობს გარეული ფუტკარი. ხვრელებიდან თაფლი წვეთავს. იყო შემოხვევა, ზემოდან სვანი ჩამოშვებულა ძღირკით (ღობურით), მაგრამ ფუტკრებს დაუკბენიათ. ასეთი რამ აქ ხშირად მომხდარა. ამბობდნენ, იქ ფუტკრის „ღვთაება“ ჯარაგუნა ბუდობსო. კლდის ძირას იდგა მაღალი ქვის სვეტი, სადაც ლოცულობდნენ, მიჰქონდათ შესაწირავი. ახლაც პოულობენ ამ მიდამოებში ფულს და სხვ. შესაწირავად მიტანილ ნივთებს. მოხუცებს დღესაც სწამთ და ლოცულობენ“ (გ. ელიავა, გ. ფარულავა, გრ. შენგელია, დასახ. ნაშრ. გვ. 96). ნაკიანის თემში XX საუკუ-

ნაკიანის ლეახალეს მაცხოვრის სახელობის ტაძარი

ნის 20-იანი წლების დასაწყისამდე მოქმედებდნენ ლექარჩეს მთავარანგელოზის, ლეახალესა და ნაკიკიანოს (ნაკიანის) მაცხოვრის სახელობის ეკლესიები.

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისამდე ნაკიანის თემში მოქმედებდა ლექარჩეს მთავარანგელოზის, ლეახალეს და ნაკიკიანოს (ნაკიანის) მაცხოვრის სახელობის ეკლესიები. ლექარჩეს ეკლესია თარიღდება შუა საუკუნეებით, ლეახალეს მაცხოვრის სახელობის ეკლესია — გარდამავალი ხანით (გვიანდელი გადაკეთებებით), ასევე გარდამავალ ხანას მიაკუთვნებენ ნაკიანის მაცხოვრის სახელობის ეკლესიას. აღნიშნული დათარიღება ეკუთვნის ძეგლთა დაცვის სამმართველოს პასპორტიზაციის განყოფილების სპეციალისტ მ. აბაშიძეს.

ლეახალეს მაცხოვრის სახელობის ეკლესიას ადგილობრივი მოსახლეობა ამჟამად უწოდებს წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიას.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის მონაცემებით, ამ დროისთვის ლექარჩეს მთავარანგელოზის ეკლესია ეკუთვნოდა მოიდანახის საბლაღოჩინო ოლქს. ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ სამეგრელოს ეპარქიის 1855 წლის მონაცემებში მოხსენიებულია ნაკიკიანოს მაცხოვრის ეკლესია; 1864 წლის ინფორმაციაში აღნიშნული არიან ლექარჩეს მთავარანგელოზის ეკლესიის ღვთისმსახურნი: მღვდელი ვასილ კვარაცხელია და მედავითნე ფილიპე კვარაცხელია. ლექარჩეს ეკლესია ხის მასალით ყოფილა აგებული (დ. ჭითანავა, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში 2010. გვ.65, 70, 80).

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ აქვეყნებს სტატიას სათაურით: „სოფ. ნაკიკიანო (სამეგრელო)“. იქვე ვკითხულობთ:

„1895 –ის სასწავლო წლიდან ამ სოფელში ადგილობითის მღვდლის ფილიპე კვარაცხელიას თაოსნობით და მეცადინეობით არსებობს სამრევლო სკოლა, რომელმაც ამ სკოლისათვის საჭირო შენობა და ერთი ქცევა მიწა, ღირებული 400 მანეთად, შესწირა. ამ სკოლაში ყველაფერი უფასოა და ესევე მღვდელი ურიგებს მოსწავლეებს სასწავლო ნივთებსაც. . . .

დიდი მადლობის ღირსია მღვდელი ფილიპე კვარაცხელია — მმართველი და საღმრთო სჯულის მასწავლებელი ამა სკოლისა — ასეთი ქველმოქმედებისათვის და ენერგიულად გაძღოლისათვის“. („ცნობის ფურცელი“, 1899 წ. №744).

ჩხოროწყუს ისტორიულ მუზეუმში დაცულია საეკლესიო მეტრიკული წიგნები, რომლებიც, საეკლესიო ცხოვრებასთან დაკავშირებით გვაწვდიან ცნობებს მეცხრამეტე საუკუნის შუახნებიდან მეოცე საუკუნის 20-იან წლებამდე. დასახელებული მეტრიკული ჩანაწერებით, საბლაღოჩინო ოლქებს, რომლებშიც შედიოდნენ ნაკიანის თემის ეკლესიები, სხვადასხვა დროს მართავდნენ მთავარხუცესები: დეკანოზი ბესარიონ ხუხუნი, მღვდელი სვიმონ კუხალაშვილი, მღვდელი სამსონ ანჯაფარიძე, დეკანოზი კონსტანტინე ბერიძე, დეკანოზი დიმიტრი ბერულავა, მღვდელი ბესარიონ თოდუა, დეკანოზი სამსონ თოდუა.

ჩხოროწყუს ისტორიულ მუზეუმში დაცულია ნაზოდელოუს წმინდა გიორგისა და მასზე მიწერილი ლეახალეს მაცხოვრის სახელობის ეკლესიის მეტრიკული წიგნები 1867 წლიდან 1915 წლის ჩათვლით.

1867-68 წლების მონაცემებით, საბლაღოჩინო ოლქის ბლაღოჩინად (მთავარხუცესად), რომელშიც შედიოდნენ აღნიშნული ეკლესიები მოღვაწეობდა დეკანოზი ბესარიონ ივანეს ძე ხუხუნი. შემდგომ წლებში, გასაბჭოებამდე, მთავარხუცესებად მსახურობდნენ დეკანოზები: სამსონ ანჯაფარიძე, კონსტანტინე ბერიძე, დიმიტრი ბერულავა, ბესარიონ თოდუა; მღვდლები: ანტონ პაპასკირი, კონსტანტინე კვერკველია.

ზემოდასახელებული საეკლესიო მეტრიკული ჩანაწერებით, ორივე ეკლესიაში სხვადასხვა დროს მსახურობდნენ მღვდლები: იესე ვეკუა, ვასილ ხეცურიანი, ზაქარია გობეჩია, მოსე ვეკუა, იოაკიმე სოფრომის ძე თოდუა, იოანე ახალაია, ამბროსი კუხალაშვილი; მედავითნეები: ანდრია ვეკუა, მალაქია კვერკველია, პავლე გერსამია, ანდრია სიკოს ძე გერსამია, პავლე დგებუაძე, ალექსი შოშიას ძე ყალიჩავა, ალექსი ბერულავა, იოანე (ივანე ქარჩავა), მამასახლისი შაკუია გვატის ძე ვეკუა, გიგო იორდანეს ძე ახალაია, მნათე ხახუ ხვიჩარიას ძე ახალაია (ლეახალეს მაცხოვრის სახ. ეკლესია)...

ლექარჩეს მთავარანგელოზის ეკლესიის 1849-1917 წ.წ. მეტრიკული წიგნების მონაცემებით, ამ პერიოდში აქ მსახურობდნენ მღვდლები; ვასილ კვარაცხელია, ეგნატე შენგელია, დიანოზ კვარაცხელია (შემდგომში, მღვდელი დიანოზი გადაყვანილ იქნა ეწერის მთავარანგელოზის და მასზე მიწერილ ოირემეს მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიებში), იოანე შენგელია, ანტონ ჩიქოვანი, ტერენტი ქარჩავა, ვლადიმერ შენგელია. დიაკვნები: დიანოზ კვარაცხელია, გიორგი მაკრიბუვა, ფილიპე კვარაცხელია; მედავითნეები: დავით ქარჩავა, სიმონ შენგელია, იოვანე ქარჩავა, საბა ქარჩავა, სიმეონ ხობელოვი (ხობელია), ვლადიმერ იოანეს ძე შენგელია, სტეფანე ხობელია.

ნაკიკიანოს ეკლესიის 1863-1909 წ.წ. მეტრიკული წიგნების ჩანაწერებით, დროის ამ მონაკვეთში ნაკიანის მაცხოვრის სახელობის ეკლესიაში მსახურობდნენ მღვდლები: ვასილ (ბასილ) კვარაცხელია, ფილიპე კვარაცხელია, დიანოზ კვარაცხელია, ბესარიონ კვერკველია, იესე კვერკველია; მთა-



დიანოზ კვარაცხელია

ვარდიაკვნები: ალექსანდრე კვერკველია, ალექსანდრე კვარაცხელია, დიაკვნები: ანდრია კვერკველია, მოსე კვერკველია; მედავითნეები: დიანოზ კვარაცხელია, ალექსი ყალიჩავა, ფილიპე კვარაცხელია, ივანე ჯიჯელავა, მაქსიმე კვარაცხელია, ვასილ კვარაცხელია.

საეკლესიო მეტრიკული წიგნების მონაცემებით ჩანს: ნაკიანის თემის ეკლესიებში ცალკეულ შემთხვევებში მღვდელმოქმედებას ასრულებდნენ სხვა ეკლესიებში მოსამსახურე სასულიერო პირები: მოძღვართ-მოძღვარი მღვდელი ანდრია ჭალაგანიძე; მღვდლები: იესე ვეკუა, თეოდორე მატკავა, ლაზარე ნაროუშვილი, ანდრია გერსამია. . .

სოფელ ლექარჩეს მთავარანგელოზის ეკლესია გასაბჭოების შემდეგ კომუნისტებს დაუშლიათ და მისი მასალა კანტორის შენობის ასაგებად გამოუყენებიათ, ამჟამად იმ ადგილას ჩანს საძირკვლის ნაშთები. ლეახალესა და ნაკიანის მაცხოვრის სახელობის ეკლესიები არ დაუნგრევიათ, ქვის კამარით გადახურულმა ბაზილიკებმა ქარტეხილებს გაუძლეს და დღემდე მოაღწიეს .

ზაურ ჯალაღონია,
ჩხოროწყუს ისტორიული მუზეუმის
დირექტორის მოადგილე

იოსებ კონსტანტინეს ძე აბაკელია 18/63

Იოსებ კონსტანტინეს ძე აბაკელია დაიბადა 1882 წლის 2 მარტს ქუთაისში. დაწყებითი განათლება ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო, რომელიც 1903 წელს დაამთავრა და ნოვოროსიის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქიმო ფაკულტეტზე შევიდა.

1903 წელს ქ. ოდესაში და ნოვოროსიის უნივერსიტეტის სოციალისტ-რევოლუციონერ სტუდენტთა ფრაქციის კომიტეტისა და პერესიპის მუშათა, რაიონის წევრია, ხოლო 1906 წელს ნოვოროსიის უნივერსიტეტის ცენტრალური ორგანოს წევრად აირჩიეს.

1905 წელს, რუსეთის პირველი რევოლუციის დროს,აქტიურ მონაწილეობას იღებს მოძრაობაში და არაერთი ებრაელი გამოჰგლიჯა ხელიდან „რუსთა კავშირის“ გახულიგნებულ და გამხეცებულ ბრბოს, როდესაც მეზღვაურთა დამცველ რაზმს მეთაურობდა ოდესაში.

1907 წლის 4 ნოემბერს ოდესაში დაატუსაღეს და 21 თვეს იჯდა ციხეში /Въ одиночное заключеніе/. სხვებთან ერთად სისხლის სამართლის 102-ე მუხლით გაასამართლა სამხედრო-საოლქო სასამართლომ და უდანაშაულოდ ცნო იგი. ციხიდან გამოსვლისას ოდესის ქალაქის მმართველმა ტოლმაჩოვმა აუკრძალა ოდესის საზღვრებში ცხოვრება.

ოდესიდან დევნილი მიდის ბედის საძიებლად — უნივერსიტეტში შესასვლელად სხვა ქალაქებში, მაგრამ ისევ ტოლმაჩოვის საიდუმლო მიწერილობის წყალობით უნივერსიტეტის კარები დახშული შეიქნა მისთვის კიევსა და ხარკოვში, მხოლოდ 1909 წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის საქიმო ფაკულტეტზე პროფესორ ტარასევიჩისა და დიოშინის თავმდებობით. იმავე წლის გიორგობის თვეში ხელმეორედ დაიჭირეს და ხუშჩევის პოლიციის სადილეგოში მოათავსეს. ქრისტეშობის ბოლო რიცხვებში, შიმშილობის გამოცხადების შემდეგ, გაათავისუფლეს.

1910 წლის მარტს გადაასახლეს ციმბირში, მაგრამ მანუილოვისა და სტუდენტთა შუამდგომლობით ადმინისტრაციამ გააუქმა თავისი დადგენილება.

1911 წელს დაამთავრა საქიმო ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ გურიაში (ოზურგეთის მაზრაში) ექიმად მუშაობდა.

1913 წლის დასასრულს ფინლიანდიას გაემგზავრა სახელმწიფო სანატორიუმ „ხალილაში“, სადაც შეისწავლა გულმკერდის ავადმყოფობა (უმთავრესად ჭლექი) და სანატორიუმის საქმის სასურველ ნიადაგზე დაყენება. იქვე დაწერა შრომა რუსულ ენაზე „Къ вопросу о роли трахеобронхіальныхъ железъ при туберкулезной инфекціи и о возможной локализаціи первичнаго гнѣзда“.

1914 წლის მობილიზაციის დროს სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და უფროს ექიმად დანიშნეს მე-20 პოლკის საარტილერიო ნაწილის ბრიგადაში. 7 თვეს იყო კავკასიის ფრონტზე (სარაყამიშთან ბრძოლის დროს); 4 თვეს — გალიციაში, 11 თვეს — ჩრდილოეთის დვინის ფრონტზე და 10 თვეს — სამხრეთ-დასავლეთის, ანუ ბროდის, ფრონტზე.

რევოლუციის დროს იყო მე-11 არმიის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრი და რწმუნებული, იმავე არმიის კომისარი და სამხრეთ-დასავლეთის სანიტარული საბჭოს წევრი.

1918 წლის 8 თებერვალს დაბრუნდა თბილისში და იმ დღიდანვე გაორკეცებული ენერგიით შეუდგა პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობას. ჩამოსვლისთანავე აირჩიეს ესერთა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის წევრად და კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგად (მოადგილედ).





დღიდან ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, გაჩნდნენ პარტიაში ისეთი ადამიანები, რომელნიც წინააღმდეგი იყვნენ რუსეთიდან ყოველგვარი გამოყოფისა; გაჩნდა ორი მიმდინარეობა: ერთი, რომელიც უპირატესობას აძლევდა გამოყოფას იმ მიზნით, რომ ამიერკავკასიაში მაინც შეენარჩუნებინა დემოკრატიას დიდი რევოლუციის მონაპოვარი, და მეორე კი ყველაფერს სწირავდა ბოლშევიკური რუსეთის სამსხვერპლოზე. აი, სწორედ პირველ ჯგუფში სხვებთან ერთად დიდ მუშაობას ეწეოდა ი. აბაკელია. ამათ თავი მოიყარეს გაზ. „Дѣло Народа“-ს გარშემო. ამ ხანებში შედგა სოციალ-რევოლუციონერთა პარტიის საქართველოში მოქმედ ორგანიზაციათა კონფერენცია, რომელზედაც ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩიეს.

საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად ესერთა პარტიიდან და ფუნქციის ამოწურვამდე რჩებოდა ამ საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის) შემადგენლობაში. 1918 წლის 1 ივნისს დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველ სხდომაზე აირჩიეს ეროვნული საბჭოს მდივნის, დ. ონიაშვილის, თანაშემწედ.

არანაკლები შრომა მიუძღვის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სამშობლოს საკეთილდღეოდ მოღვაწეობაში.

1918 წლის 26 მაისს გოლოვინის გამზირზე, კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში, თავისი უკანასკნელი სხდომა ჩაატარა ამიერკავკასიის სეიმმა. ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოცხადდა. იმავე დარბაზში 4 საათსა და 50 წუთზე ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელმაც 5 საათსა და 10 წუთზე ერთხმად დაამტკიცა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. სწორედ ამ აქტზე დაფიქსირებულია იოსებ აბაკელიას ხელმოწერა. 1919 წლის 12 მარტს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებულ აქტზე მისი ხელმოწერა არაა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის შემდეგ ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას.

აბაკელიას თაოსნობით თბილისში დაარსდა ტუბერკულოზის პირველი ამბულატორია (1922; 1925-იდან I ტუბდისპანსერი) და ტუბერკულოზის რესპუბლიკური ინსტიტუტი. გარდაცვალებამდე ამ ინსტიტუტის დირექტორი იყო. 1921 წელს გამოაქვეყნა ტუბერკულოზის პირველი ქართული სახელმძღვანელო. გამოიკვლია ორგანიზმში ტუბერკულოზის გავრცელების მანამდე შეუსწავლელი ლიმფური გზები. ქართველ ფთიზიატრებთან ერთად ფართოდ გაშალა საქართველოს ყველა კუთხეში ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციული, მეცნიერულ-პრაქტიკული საქმიანობა. დიდ ყურადღებას უთმობდა კურორტ აბასთუმნის განვითარებას.

1926 წელს აირჩიეს თსუ სამკურნალო ფაკულტეტის პრივატ-დოცენტად. 1935-38 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე მის მიერვე დაარსებული ტუბერკულოზის კათედრას, ხოლო 1933 წლიდან კითხულობდა ტუბერკულოზის კურსს ექიმთა დახელოვნების თბილისის ინსტიტუტში.

ავტორია რამდენიმე შრომის: ფილტვის და სხვა ორგანოთა ტუბერკულოზი (ტფილისი, სახელგამის სასწავლო პედაგოგიური სექტორის გამგე, 1934, 159 გვ.); ტუბერკულოზით დაავადებულთა საზრდოობა (ტფ.: კურორტთა მთავარ სამმართველოს, 1928 (ზარია ვოსტოკას სტ.), 9გვ.); ტუბერკულოზის ინფექციის ლიმფური გზით გავრცელების ანატომიური დასაბუთების მასალები (ტფილისი, წითელი წიგნი, 1924, 70 გვ.); ტუბერკულოზი (თბილისი, ალ. სვანიძის გამოცემა, 1921).

1938 წლის 12 სექტემბრის სიის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერენ სტალინი, მოლოტოვი, ჟდანოვი, შინსახკომის მეოთხე განყოფილებამ დააპატიმრეს და სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შიდა ციხეში მოათავსა. 1938 წლის 10 ოქტომბრის სამეულის სხდომის მიხედვით გაასამართლეს. მომხსენებელი იყო ღარიბოვი. მონაწილეობდნენ: გოგლიძე, ჩარკვიანი, ტალახაძე. ბრალად ედებოდა ესერების ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და ინტენსიური ძირგამომთხრელი საქმიანობა, ტერაქტების მზადებაში მონაწილეობა, საბჭოთა კავშირის კპ(ბ)-ს ხელმძღვანელობისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიური ჯაშუშური საქმიანობა უცხო სახელმწიფოების სასარგებლოდ. მხილებული გახლდათ გეგეჭკორის, მესხის, ციციშვილისა და სხვათა ჩვენებებით და თავი ცნო დამნაშავედ.

იოსებ აბაკელია

საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრს ესერთა პარტიიდან, საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმის წევრს, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის (1918 წლის 26 მაისი) ხელმომწერს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს (1924), პროფესორს (1930), საქართველოში მეცნიერული ფთიზიატრიის ფუძემდებლს, საზოგადო მოღვაწეს იოსებ აბაკელიას 55 წლის ასაკში,1 938 წლის 10 ოქტომბერს 58-1-ა; 58-7; 58-8; 58-11 მუხლებით მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა და პირადი ქონების კონფისკაცია.

რეაბილიტირებულ იქნა სიკვდილის შემდეგ.

თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭა იოსებ აბაკელიას სახელი.

წყარო:
მასალა ვიკიპედიიდან — თავისუფალი ენციკლოპედია;
ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 1, თბ.,1975 წ.; გვ. 12,
ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. 1, თბ., 1997, გვ. 12,;
ინტერნეტ სივრცე: საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი;
სტალინური სიები საქართველოდან (ელექტრონულ მონაცემთა ბაზა).

გურამ მაქაცარია

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲛᲐᲥᲐᲪᲐᲠᲘᲐ დაიბადა 1949 წლის 8 მარტს ქ. ზუგდიდში. 1966 წელს დაამთავრა თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სპეციალიზებული სკოლა. 1972 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკის ფაკულტეტი. უნივერსისტეტის დამთავრებისთანავე მიენიჭა კიბერნეტიკის დარგის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის წოდება. წლების განმავლობაში ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას.

გურამ მაქაცარია 1978 წლის 14 აპრილს ქართული ენის დამცველთა მიერ გამართული საპროტესტო აქციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა. მან სხვებთან ერთად საკუთარი სისხლით მოაწერა ხელი საპროტესტო მემორანდუმს, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საქართველოში რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას. მერაბ კოსტავას ციხიდან გათავისუფლების შემდეგ დაუახლოვდა მას, როგორც სისხლითა და სულით მონათესავეს, ასევე დაუახლოვდა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერს ზვიად გამსახურდიას.

გურამ მაქაცარია

1990 წელს პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში რუსთავის №49 საარჩევნო ოლქში, საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო", საქართველოს ჰელსინკის კავშირიდან მაჟორიტარ დეპუტატად გაიმარჯვა და გახდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-1991 წწ.).

1990 წლის 14 ნოემბერს, ოთხშაბათს, 10:00 საათზე, მუშაობას შეუდგა საქართველოს ახლად არჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სესია. სესია გახსნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჟორდანიამ, რომელმაც შეკრებილებს მრავალპარტიული არჩევების შედეგები გააცნო. სესიამ ხმის დამთვლელ კომისიაში სხვებთან ერთად აირჩია გურამ მაქაცარიაც. პარლამენტში არჩეული იყო სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის წევრად, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ქვეკომისიის თავმჯდომარედ.

1991 წლის 9 აპრილს ხელი მოაწერა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს". მონაწილეობდა დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოსა (1992-1993 წწ.) და ზუგდიდის (1993 წ.) სესიებში.

1999 წელს რედაქტორობდა პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" საინფორმაციო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „კოლხური კოშკის" მე-3 ნომერს. 2015 წლის 31 მარტს რედაქტორობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთს „საქართველოს სულიერი მისია".

2015 წელს რედაქტორობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთს „საქართველოს სულიერი მისია". დამფუძნებლები რომან ძიძიგური და გურამ მაქაცარია.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატ გურამ მაქაცარიას 2000 წელს ედუარდ შევარდნაძის დადგენილებით დანიშნული პენსია, 600 ლარი, პროტესტის ნიშნად ათი წელი არ აუღია. „მე ვარ საქართველოს უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათმფლობელობის, მიწათსარგებლობის და ეკოლოგიის კომიტეტის თავმჯდომარე. დღემდე შენარჩუნებულია უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ქვორუმი, შენარჩუნებულია ასევე 1991 წლის პოლიტიკური და ტერიტორიული სივრცე. 2000 წელს ედუარდ შევარდნაძის დადგენილებით დანიშნული თანხა – 600 ლარამდე არ ამიღია და არც ავიღებ, რადგან მე ვარ მოქმედი დეპუტატი, ხოლო უზენაესი საბჭოს ის დეპუტატები, რომლებიც იღებენ ამ თანხას, არიან ყოფილი დეპუტატები," — განაცხადა გურამ მაქაცარიამ. იმ გაუსაძლის პერიოდში პოლიტიკური რწმენის გამო 600 ლარზე უარის თქმა მისი მხრიდან გმირობის ტოლფასია.

გეოფიზიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, კიბერნეტიკოსს, მართვის თეორიის სპეციალისტს, სსრ კავშირის 1989 წლის ერთ-ერთ საუკეთესო გამომგონებელ გურამ მაქაცარიას სამხედრო გადატრიალების შემდეგ პროტესტის ნიშნად არსად არ უმუშავია. მას ახლაც უამრავი გამოგონება აქვს, რომელთა რეალიზება ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება.

(წყარო: http://artanuji.ge/admin/ckeditor/ckfinder/userfiles/files/zviad%20gamsaxurdia%20419.pdf:) (წყარო: http://saqinform.ge/news/3700/guram+-maqacaria+eduard+shevardnaZis+mier++danishnul+Tanxas+shegnebulad+ar+iRebs+.html)

მარინე დამენია
საქ. დამსახურებული ჟურნალისტი

გაზეთი „საბჭოთა სოფელი“

საქართველოს კ.პ. (ბ) აბაშის რაიკომის, რაიაღმასკომის, პროფსაბჭოს ბეჭდვითი ექვსდღიური ორგანო გახლდათ გაზეთი „საბჭოთა სოფელი“. მისი პირველი ნომერი გამოიცა 1931 წლის დეკემბერში.

„საბჭოთა სოფელმა“ რამდენჯერმე შეიცვალა ორგანოს სახელი: 1935 წლიდან იყო საქართველოს კ.პ. (ბ) აბაშის რაიკომის, რაიაღმასკომის ორგანო; 1940 წლის 9 იანვრიდან — საქართველოს კ.პ. (ბ) აბაშის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო. პირველი ნომრის გამოცემაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პეტრე წოწორიამ, ირაკლი ლაშხიამ.

გაზეთის თემატიკა იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური. დევიზი — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ენა — ქართული. ფორმატი — A3. გვერდი — 2; 4. ქაღალდი — საგაზეთო, ფერი - შავ-თეთრი. სადღესასწაულო ნომრების პირველი და მეოთხე გვერდი ორი ფერითაა წარმოდგენილი. პერიოდულობა — კვირაში ხუთჯერ, სამჯერ. ფასი — 2; 3; 5 კაპიკი. ტირაჟი 1000 ც. გავრცელების არეალი — აბაშა.

გაზეთის ტექნიკურად გაფორმებისთვის გამოყენებულია: კლიშირებული სათაური, „ქუდები“, კოლონტიტული, კოლონსათაური, კოლონციფრი, არცესკი, აფშიკა, ბორდიური (არშია), სადღესასწაულო ნომრები გაფორმებულია ბოლოკაზმულობით, თაგსამკაულით. დაკაბადონება არის სიმეტრიული, ასიმეტრიული, ბრჭყალები — ჩვეულებრივი „თათები“. გროტესკი. ფოტოჟანრები — პორტრეტი, ამბების ამსახველი ფოტო, პეიზაჟი, ჩანახატი, ეტიუდი, ფოტონარკვევი, რეპროდუქცია. ჟურნალისტიკის ჟანრები: კორესპონდენცია, მიმოხილვა, ინტერვიუ, სტატია კანცელარიზმი, კომუნიკე, ანგარიში, რეცენზია, ნარკვევი, ფელეტონი, რეპორტაჟი, დაიჯესტი; ლიტერატურული თვალსაზრისით საინტერესოა აბრევიატურა, არქაიზმი, ბარბარიზმი, ფაბულა — სიუჟეტური სქემა, ამბის შინაარსი თანმიმდევრული და მშვიდია.

პასუხისმგებელი რედაქტორები: გაზეთის პირველი რედაქტორი (1931-1932 წ.) იყო პარტიის აბაშის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი ა. ჯოჯუა. პირველი პასუხისმგებელი მდივანი — ლ. პერტანავა.

1933 — 1934 წლებში მას რედაქტორობდა ლ. თოდუა, მოადგილე იყო რ. კაჭარავა. 1935 წელს — იოკ. შენგელია, მ/შ — რ. კაჭარავა. 1937 წელს ლ. თოდუა, მოადგილე — რ. კაჭარავა.

გაზეთის შემდგომი რედაქტორები იყვნენ რაიკომის პირველი მდივნები ვ. წვერავა და პ. კორთხონჯია. რამდენიმე წლის განმავლობაში მისი პასუხისმგებელი მდივანი გახლდათ რ. კაჭარავა.

1938 წლიდან გაზეთის განთავისუფლებული რედაქტორი იყო ს. კორძახია, პრინციპული და საქმის მცოდნე ადამიანი. ს. კორძახია ომის დაწყებამდე გაწვეულ იქნა სამხედრო სამსახურში, როგორც თადარიგის ოფიცერი. ომის პირველი დღეებიდანვე ჩაება იგი ფაშისტებთან ბრძოლაში და ბრძოლის ველზე დაეცა.

1939-1940 წლებში სარედაქციო კოლეგია აწერს ხელს, ფაქტობრივად კი რედაქტორობდა ს. კორძახია. მოადგილე იყო ტ. ღვანია. 1940-1942 წლამდე რედაქტორობდა ტ. ღვანია, რომელიც ენერგიის დაუზოგავად მუშაობდა გაზეთის ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად. 1942 წელს ისიც ფრონტზე გაიწვიეს. მან კალამი ხიშტით შეცვალა და ომის დამთავრებამდე იბრძოდა. ომის დამთავრების შემ-

ასოთამწყობი ნინა კუცია

დეგ შინ დაბრუნდა, მაგრამ ჭრილობებსა და ტრამვებს ვერ გაუძლო და გარდაიცვალა 1949 წელს გაგრის რაიონულ გაზეთ „განთიადის“ რედაქტორად მუშაობისას. „საბჭოთა სოფელს“ 1942 წელს ბ. ჩაგანავა ჩაუდა სათავეში. მოადგილე იყო ი. გაბუნია. შემდეგ მთელი ათი წელი რედაქტორობდა მას ვ. გოჩოლეიშვილი.

მოგონების ღირსი არიან გაზეთისა და სტამბის ყოფილი მუშაკები: დ. მიქაძე, ვ. თოფურია, შ. თოფურია, ა. კოღოშვილი, ა. თარგამაძე და სხვები. ისინი ვერ დაბრუნდნენ მეორე მსოფლიო ომიდან.

„საბჭოთა სოფლის“ ბოლო ნომერი გამოვიდა 1962 წ. აპრილში. 1962 წლის აპრილიდან იგი შეერწყა გაზეთ „კოლხეთის ცისკარს“ (1962–1965), რომელიც გამოდიოდა სენაკში.

ხშირი გამოდიოდა ცალკე ფურცლები:

1940 წელს — სახელმწიფო სამხედრო ახალი სესხის გამოშვებასთან დაკავშირებით; №1 — 11/IV — №7 — 13/X 2 გვერდი ტირაჟი — 500-600 ც.; კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათათვის; №1-29/VIII, №5-25/IX, 2 გვერდი. პ/რედაქტორი ტ. ღვანია.;

1941 წელი — წითელ არმიაში გაწვევის მზადებასთან დაკავშირებით გამოცემული საგიტაციო ფურცელი; №1 — 11/IX — №10 —31/XII 2 გვერდი. პ/რედაქტორი ტ. ღვანია;

1942 წელი — სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე №1 20/I —№3 4/X პალატა. [კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათათვის რედაქციის მიერ გამოშვებული ფურცლები; №2 (14/IV 3(4/X. პ/მგებ. რედ.სევ. ოჩიგავა), ტირაჟი 1100 ც. პ/მგებ. რედ. – ეთ. ჯაფარიძე) №1 24/IV — №10 3/XII, 1 გვერდი: №2 (19) 18/IX, 1943 წელი №1 (534) 1/I;

1945 წელი. №46 (672) 28/XII — 2200 ტირაჟი. პ/რედაქტორი ბ. ჩაგუნავა.

გაზეთი „საბჭოთა სოფელი“ და გამსვლელი რედაქციის ფურცლები იბეჭდებოდა სენაკის მრეწველობის ტრესტის სტამბაში (1931-32 წლებში), ხოლო 1934 წლიდან — აბაშის რაიაღმასკომის სტამბაში.

ინახება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, შენახვის შრიფტი: F-126-1 K-307-1; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში; „საქართველოს მასმედიისა და პოლიგრაფიის მუზეუმში“, ქ. ზუგდიდი, შენახვის შრიფტი: A01-00001.

გაზეთ „აბაშის“ 1991 წლის 31 დეკემბრის №144-ში (6696) ჟურნალისტი ჯემალ ქოიავა ათავსებს წერილს „გაზეთი „აბაშა“ 60 წლისაა“. იგი წერს: „1945 წლის 22 დეკემბერს რედაქციამ მიიღო პასუხი, რომლითაც რესპუბლიკის წიგნის პალატის დირექტორი კოლექტივს ატყობინებდა: „გაზეთ „საბჭოთა სოფლის“ პირველი ნომერი ჩვენთან არ ინახება. პირველი ნომერი გამოცემულია 1931 წელს, რადგან 1932 წლის პირველ ნომერზე აღნიშნულია 1(5), ე. ი. პირველი ოთხი ნომერი გამოცემულია 1931 წელში. გამოცემული უნდა იყოს ის 1 დეკემბერს, რადგან გაზეთი თვეში გამოდიოდა 5-6 ჯერ“.

იმ წლებში რაიონული გაზეთების დაარსება ორგანულად უკავშირდებოდა სოფლად აგრარული რეფორმებისა და კოლექტივიზაციის განხორციელების პერიოდს. სახელწოდებაც, უპირველესად, რაიონის სპეციფიკამ განსაზღვრა. „საბჭოთა სოფელი“ რაიონის საწარმოო ხასიათზე, მისი ეკონომიკის საფუძველზე მიუთითებდა.

სადირექტივო მითითებას პრესის ორგანოს გამოშვების თაობაზე მზად ვერ შეხვდა ჩვენი რაიონი; არ იყო პოლიგრაფიული ბაზა, ქაღალდი, შესაბამისი კადრი.

პირველი სარედაქციო კოლეგია ასე ჩამოყალიბდა: ალ. ჯოჯუა — შტატგარეშე რედაქტორი, საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის პირველი მდივანი. კრისტალივით სუფთა ბოლშევიკი მამობრივად ზრუნავდა პრესის მუშაკებზე და ენერგიას არ იშურებდა გაზეთის ხარისხის ასამაღალებლად. ს. დგებუაძე — შტატგარეშე რედაქტორის მოადგილე, საორგანიზაციო-საინსტრუქტურო განყოფილების გამგე; პ. ჯალაღონია — კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე და რედაქციის ერთადერთი შტატიანი თანამშრომელი; გაზეთის პირველი პასუხისმგებელი მდივანი ლ. პერტენავა.

რედაქციასთან აქტიურად თანამშრომლობდნენ შტატგარეშე კორესპონდენტები: კ. ოჩიგავა, შ. შენგელია, ი. მაღრაძე, ვ. ოჩიგავა, ს. კუცია, ა. ტერბუჩავა (ახალი აბაშა), პლ. ჩაგანავა, ოლ. ცანავა (ქოლობანი), დ. თელია, გ. კალანდაძე (მარანი), შ. ფინცკაია (ნაესაკოვო), ვ. გვაზავა (ნორო), პრ. ჩაგანავა (კეთილარი), გ. მიქაძე, გ. ზაჟალია (სამიქაო), აკ. ქოიავა. ალ. ჯიშკარიანი (ძველი აბაშა), რ. გვაზავა. გ. ჟვანია ს. დავითაია (ონტოფო), გ. სულავა (სეფიეთი), ა. ცაავა (წყემი), ქ. ჩაგანავა (დუჯანა) და ბევრი სხვა.

იყო ავტორთა დევნის შემთხვევებიც. ამიტომაცაა, რომ გაზეთ „საბჭოთა სოფლის“ პირველი ნომრების გაცნობისას თვალში გეცემათ ფსევდონიმთა სიჭარბე: კოხი, კირკა და ვახო, საქმის მცოდნე, დაუნდობელი, ისარი, პულინი...

მრავალფეროვანი იყო საგაზეთო საქმიანობა.

ომის წინა პერიოდში და ომის წლებში გაზეთი ფართოდ აშუქებდა სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, განათლების, ჯანმრთელობის, კულტურის საკითხებს. ომის წლებში ის ასრულებდა მებრძოლი ორგანიზატორის როლს ფრონტისა და ზურგის შეკავშირებისათვის, ზურგში მშრომელთა დარაზმვისათვის. ფრონტისადმი დახმარების მკაფიო გამოხატულება იყო ის, რომ 1944 წელს გაზე-

თის რედაქციამ და სტამბის კოლექტივმა მკითხველებთან ერთად სატანკო კოლონა „პრესის მუშაკის“ ასაგებად შეაგროვა 70 ათასი მანეთი ფულად და 115 ათასი მანეთის სახელმწიფო სესხთა ობლიგაციები, რისთვისაც უმაღლესი მთავარსარდლის მადლობა დაიმსახურა. გაზეთის რედაქციისა და სტამბის ბევრმა მუშაკმა სამშობლოს დაძახებისთანავე ფრონტს მიაშურა და თავი შესწირა სახალხო საქმეს.

„დღეს ერთობ ძნელია იმის მტკიცება, რომ ქარტეხილიანი გზა სწორად, უშეცდომოდ, ჩავარდნების გარეშე გავიარეთ, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, სტამბა-რედაქციის კოლექტივი უშურველად, უმწიკვლოდ და კეთილსინდისიერად აკეთებდა თავის საქმეს. იყო არა მარტო რაითნის ცხოვრების მემატიანე, არამედ კეთილ საქმეთა აქტიური მონაწილეცა და ორგანიზატორიც. მაშინ იმ პირველ გზამკვლევებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ კომუნიზმის ექსპერიმენტები უტოპია გახლდათ და უღმრთოთა საზოგადოების შექმნითა და ღვთის უარყოფით ადამიანებში რწმენას კლავდნენ...

...და მაინც ძვირფასია იმ ძველი გაზეთების გაყვითლებული ფურცლები, რომლებიც ჩვენ თვალწინ აცოცხლებენ განვლილ დღეებს, რამდენი ძნელბედობა და გაჭირვება გამოვიარეთ კოლექტივიზაციის პირველი დღეებიდან აბაშური ექსპერიმენტების დასასრულამდე; ოცდაჩვიდმეტის რეპრესიებიდან კომუნიზმის მშენებლის მორალურ კოდექსამდე; საშინელი, გამანადგურებელი ომიდან ეროვნული მოძრაობის აღზევებამდე“...

სურათზე: ნაზი კირცხალია,
იზა თოფურია, დუშა კიკაბიძე,
ლამარა ვეკუა, იზოლდა ჩოჩია,
ინეზა დარცმელიძე,
როენა ლიაშენკო, მერი კიკაბიძე,
ნიაზ ჭანტურია, ლეილა ხელია.

ანზორ ბიქტორის ძე ბარამია

ანზორ ბიქტორის ძე ბარამია დაიბადა 1938 წლის 20 მარტს ქ. ზუგდიდში, მოსამსახურის ოჯახში. მამა — ბიქტორ ბარამია მსახურობდა პარტრაიკომის ერთ-ერთი განყოფილების გამგედ. გარდაიცვალა 1951 წელს, 50 წლის ასაკში მწვავე ინფარქტისგან, იმ დროს როდესაც ანზორი მე-7 კლასში სწავლობდა, დები კი ინსტიტუტში სწავლობდნენ. დედა — რაისა სოსელია, სკოლამდელ აღსაზრდელთა მასწავლებელი, წლების განმავლობაში მუშაობდა ქალაქის №1 საბავშვო ბაღის გამგედ, სადაც ანზორიც ირიცხებოდა. იგი ყოველმხრივ ცდილობდა უმამოდ დარჩენილი სამი შვილისათვის გაენელებინა ობლობის მწარე განცდა და მიეცა მათთვის უმაღლესი განათლება.

1956 წელს დაამთავრა სახლთან ახლოს მდებარე მე-6 საშუალო სკოლა. სკოლის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა მხატვრული თვითშემოქმედებაშიც. ირიცხებოდა მოსწავლეთა სახლის დრამატ-

ული და მხატვრული კითხვის წრეებში. დამამთავრებელ კლასში სასკოლო გაზეთის რედაქტორობა მიანდეს. იცოდა, რომ, მიღებული კარგი ნიშნების მიუხედავად, სათანადო მომზადების გარეშე უმაღლეს სასწავლებელში მოწყობა გაუჭირდებოდა. საჭირო სამუშაო გამოცდილების მისაღებად სამუშაო ითხოვა ადგილობრივ სახელმწიფო თეატრში, როგორც მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დრამატული წრის ყოფილმა წევრმა, სცენისმოყვარემ. იმავე წლის ნოემბერში საგამოცდო ვადით დამწყებ მსახიობ-სტაჟორად მიიღეს. თავდაპირველად რეჟისორებს გამოჰყავდათ ეპიზოდურ როლებსა და მასობრივ სცენებში. რამდენიმე თვის შემდეგ ისტორიულ პიესაში ახალგაზრდა მებრძოლი გმირის როლის ჯეროვნად განსახიერების შემდეგ მიანიჭეს მსახიობის შესაბამისი კატეგორია. დაენიშნა ხელფასი 500 მანეთი. იმავე წელს შეუთავსეს რეჟისორის თანაშემწეობაც დამატებითი ანაზღაურებით. თეატრში მუშაობის სამ სეზონში შეასრულა ათამდე სხვადასხვა ხასიათის როლი.

1959 წლის ივლისში ცადა ოცნება აეხდინა. საკმარისი სტაჟითა და კარგი დახასიათებით იმედიანად გაემგზავრა თბილისში. თეატრალურ ინსტიტუტში შესარჩევი ტურები წარმატებით გაიარა, პირველი გამოცდაც ჩააბარა, მაგრამ მეგობარმა ურჩია, საბუთები უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე შეეტანა. გაკვირვებისა და დაბნეულობის მიუხედავად, რჩევა ჭკუაში დაუჯდა. ჟურნალისტობაზე ადრე არ უფიქრია, რადგან ახალ პრესტიჟულ სპეციალობაზე სწავლა უდიდეს პრობლემად ეჩვენებოდა. კონკურსი იმდენად დიდი იყო, რომ საჭირო ქულების დაგროვება ნამდვილი გამარჯვების ტოლფასი იქნებოდა. გამოცდები მოსალოდნელზე უკეთესად ჩააბარა.

პირველივე კურსიდანვე გაწევრიანდა თვითშემოქმედებით მხატვრულ და ლიტერატურულ წრეებში. სისტემატურად თანამშრომლობდა უნივერსიტეტის გაზეთში. მესამე კურსიდან მისი წერილები, ლიტერატურული ჩანახატები, კორესპონდენციები ქვეყნდებოდა „თბილისის“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ ფურცლებზე; სატირულ-იუმორისტული მინიატიურები, ფელეტონები პოპულარულ ჟურნალ „ნიანგში“ იბეჭდებოდა. არადა, იმ პერიოდში იშვიათად ქვეყნდებოდა სტუდენტების წერილები. მესამე-მეოთხე კურსზე უნივერსიტეტში რედაქტორობდა ნოდარ დუმბაძის მიერ სტუდენტობის დროს დაარსებულ სატირისა და იუმორის კედლის გაზეთ „ჭინჭარს“, რომელიც პირველი კორპუსის თვალსაჩინო ადგილას იყო განთავსებული და სტუდენტების, ლექტორების, პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღებას ყოველთვის იქცევდა. იმავე დროიდან გაზეთებსა და საეთერო გადაცემებში ხშირად აშუქებდა ენგურჰესის გრანდიოზულ მშენებლობას, მოწინავე ჰიდროლოგთა ცხოვრებასა და მამაცურ ჯაფას. ერთი წელი მუშაობდა საქართველოს რადიოკომიტეტის ახალგაზრდულ-სპორტულ გადაცემათა რედაქციაში შტატგარეშე კორესპონდენტადაც.

1966 წლის თებერვლიდან, მშობლიურ ქალაქ ზუგდიდში საცხოვრებლად დაბრუნების შემდეგ, სხვადასხვა დროს მუშაობდა: ენგურქაღალდკომბინატის მრავალტირაჟიან გაზეთ „ენგურის მუშის“ რედაქტორად; ქალაქის ადგილობრივი რადიომაუწყებლობის კორესპონდენტ-ორგანიზატორად; საქართველოს რადიოს საკუთარ კორესპონდენტად ზუგდიდის ზონაში; ქალაქის კულტურის განყოფილების გამგედ; შ. დადიანის სახელობის თეატრის დირექტორად; პრეზიდენტის რწმუნებულის სამხარეო ადმინისტრაციის პრესსამსახურის უფროსად, შეთავსებით — სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგის“ კორესპონდენტად სამეგრე-

სურათზე გამსახულია
მარცხნიდან მარჯვნივ:
კლარა ფაჩუაშვილი
(ლიტერატურული მუშაკი),
გურამ ფიფია
(კომკავშირის კომიტეტის მდივანი),
ანზორ ბარამია
(გაზეთის რედაქტორი) გაზეთზე მუშაობისას.

ლო-ზემო სვანეთში; გაზეთების: „კრიმინალური ქრონიკის“, „სახალხო განათლების“ კორესპონდენტად. 2003 წელს გამოსცა სატირისა და იუმორის დამოუკიდებელი სამხარეო ჟურნალი „ონავარი“.

წიგნებად გამოვიდა: „ზუგდიდის თეატრი“ (1968 წ.) მისი ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით; „ენგურის ქაღალდის კომბინატი“ (1979 წ.) მისი მშენებლობის დაწყების 50-ე და პირველი ქაღალდის წარმოების მე-40 წლისთავების აღსანიშნავად; ავტორია მრავალი პუბლიკაციისა აქტუალურ თემებზე.

ღვაწლმოსილი ჟურნალისტი ანზორ ბიქტორის ძე გვარამია 2021 წლის სექტემბერში 82 წლისა გარდაიცვალა.

ასაკის მიუხედავად, იგი შეძლებისდაგვარად განაგრძობდა ლიტერატურულ, ჟურნალისტურ, სამწერლო მოღვაწეობას. გამოსაცემად მზად ჰქონდა „მემუარები“, რომელშიც არა მარტო ზუგდიდის, არამედ მთელი სამეგრელოს ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპებია აღწერილი. წიგნის მეორე განყოფილებში შეტანილი ჰქონდა მხატვრული ნაწერები, კერძოდ, სტუდენტობის წლებში და შემდგომ გამოქვეყნებული საზოგადოებრივი ცხოვრების რეალურად ამსახველი სატირულ-იუმორისტული ლექსები, იუმორისტული ნოველები, ფელეტონები და მხატვრული პუბლიცისტიკის ნიმუშები.

ანზორ გვარამია იხსენებდა: „ჯერ კიდევ მოსწავლეობისას ვწერდი სალაღობო, გასართობ ლექსებს, ფრაგმენტულ სტროფებს თანაკლასელებზე, მასწავლებლებზე. ეს დაუვიწყარი ხანა ჩემი ჟურნალისტური, საერთოდ, შემოქმედებით მოღვაწეობის დასაწყისად, დებიუტად შეიძლება შეირაცხოს“.





ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲓᲐᲛᲔᲜᲘᲐ,
დამსახურებული ჟურნალისტი
საქართველოს მედია მუზეუმის დამფუძნებელი

„დაინიშნოს დასის დამხმარე ჯგუფის თანამშრომლად!“ – სწრაფად წააწერა დირექტორმა განცხადებას, კეთილად გამიღიმა და რეჟისორს ანიშნა, – ჩაიბარეთ, გამოცადეთო!

– დღესვე უნდა ვაკურთხოთ! – ირონიანარევი ტონით მიუგო რეჟისორმა, მერე პირდაპირ სარეპეტიციო ოთახში შემიძღვა და მაგიდაზე გადაშლილ ფურცლებს დააცქერდა.

– ქართული პიესაა, ლირიკული დრამა, როლების განაწილებისას ერთი შენთვისაც გავითვალისწინეთ, ვიცოდი, რომ მოხვიდოდი!

– ჩემთვის?!

– ჰო, შენთვის!.. თუმცა როლი პატარაა, ნაკლებად მნიშვნელოვანი, სამაგიეროდ, ერთგვარად განსაკუთრებულიცაა. მის შემსრულებელზეა დამოკიდებული სპექტაკლის ბედი!

– კეთილი, მაგრამ მე ხომ ჯერ...

– დამწყები ხარ, ვიცი! განა ყოველი საქმე მცირიდან არ დაწყებულა? შენ ხომ მსახიობობაზე ოცნებობ? ამიტომ საკმარისია პირველსავე გამოსვლაზე ნიჭი გამოამჟღავნო, რომ მომდევნო როლიც გაინაღდო!

– მაინც რას მთავაზობთ, ბატონო რეჟისორო?

– საოცრად საინტერესო სახეს! სპექტაკლში ის წამითაც არ გამოჩნდება, მხოლოდ ხმა ისმის კულისებიდან, მაგრამ...

– ტექსტი დიდია?

– არა, ერთ სურათში სულ რამდენიმე წუთს გრძელდება!

– საინტერესოა, რა ტიპია?

– ახლავე აგიხსნი: მართალია, შენი მომავალი გმირი არაა ადამიანი, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ...

– რა ბრძანეთ?!

– არაფერი, უბრალოდ, ადამიანი არაა – მეთქი! უფრო ზუსტად, ის ძაღლია, ოჯახის ერთგული ძაღლი!

– ვერაფერი გავიგე?!

– ღმერთო ჩემო! რაა გაუგებარი?! პიესაში ავტორს გამოყვანილი ჰყავს მყეფარი, ადამიანის უძველესი, უღალატო მეგობარი, კეთილშობილი, გონიერი არსება, ისე, როგორც ბევრ მხატვრულ ქმნილებაში გვხვდება. ამასთანავე ვინ იცის, უშუალოდ ამ მგრძნობიარე ოთხფეხზე რამდენი ჩინებული ნაწარმოებია შექმნილი!..

– დიდი მადლობა სიურპრიზისთვის! პირადად ძაღლის მიმართ მეტად სიმპათიურად ვარ განწყობილი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ნოდარ დუმბაძის იმავე სახელწოდების მოთხრობა წავიკითხე, მაგრამ მაინც...

– არავითარი „მაინც“! გამიგე, თეატრში მეტი არავინაა ისეთი, თუნდაც მიახლოებით რომ ფლობდეს ყეფის რთულ და უაღრესად სპეციფიკურ ხელოვნებას! შენ კი ცხოველთა ბრწყინვალე იმიტატორი ხარ, განსაკუთრებით – ძაღლის ამპლუაში. თუ გახსოვს, პიონერთა სასახლის დრამწრის პრემიერის შემდეგ ქუჩაში რა ერთსულოვნებით აგყვნენ ძაღლები?! რა საინტერესო წუთები იყო!..

– მახსოვს, კარგად მახსოვს...

– აი, ისეთივე გულწრფელი, დამაჯერებელი ყეფა მჭირდება!

– მე ამ სცენაზე ნამდვილი ცხენის გამოყვანაც მახსოვს!..

– სწორია, იყო ასეთი ფაქტი!

– იქნებ ამ შემთხვევაშიც ცოცხალი მყეფარი უფრო უპრიანია?

– შეუძლებელია!

– რატომ?

– ჯერ ერთი, ნატურალური ძაღლი შეკვეთით, შენს გემოზე არ იყეფებს. თანაც საშიშიცაა და სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისითაც კატეგორიულად მიუღებელია. გარდა ამისა, თუ იცი, რა დაემართა იმ რეალისტური შემოქმედებითი პრინციპების ბეჯითად მიმდევარი რეჟისორის ცხენს?

– არ ვიცი!

– ერთ-ერთ წარმოდგენაზე, როცა მხედარი, იგივე მთავარი პერსონაჟი, ზედ შეჯდა, ცხენმა უცებ შუა სცენაზე მოისაქმა!..

– მერე?..

– მსახიობი არ დაბნეულა, – აწმინდე ჩქარა, ცხენმა ეზო დაანაგვიანაო! – უყვირა მეუღლეს.

– შემდეგ რა მოხდა?!

– შემდეგ რა? განა ეს უშველიდა გაფუჭებულ საქმეს?! მაყურებლის ისტერიულ სიცილ-ხარხარში ფარდა დახურეს. მას შემდეგ სცენაზე ოთხფეხის გამოყვანა არავის გაუბედავს!

– როგორც თქვენ მიბრძანეთ, ჩემი გმირის მოქმედების არე კულისებს არ სცილდება!

– ასეა, მაგრამ უსაფრთხოებისა და სანიტარული მოთხოვნების თანახმად, არც იქ დაიშვება!

– ერთი სიტყვით, გამოსავალი არაა, ხომ?!

– არის!.. უნდა ითამაშო!

– მაგნიტოფონზე რომ ჩაგწეროთ?

– არავითარ შემთხვევაში! სად გახმოვანებული და სად უშუალოდ გულიდან ამოსული ხმა, სულის დამატყვევებელი!..

– მაშ, მეც თქვენი ტყვე ვყოფილვარ!

– დიახ, მაგრამ თავისუფალი და ბედნიერი!

– ბატონო რეჟისორო! იყოს თუნდაც უსიტყვო ეპიზოდი, ოღონდაც ადამიანის როლში! უხერხულია ასეთი პირველი ნათლობა!..

– გავიწყდება ერთი ჭეშმარიტება: ძაღლი ძალიან კარგი ფეხისაა! ბედნიერ დასაწყისს ახალი, შენთვის

სასურველი როლი უნდა მოჰყვეს!

— თუ ასეა, თანახმა ვარ! როგორია ამოცანა?

— დრამის მთავარი გმირი, ქალბატონი ნანა, მარტოდმარტო ცხოვრობს მთის მიყრუებულ სოფელში. მისი ერთადერთი ხმის გამცემი სულიერი სწორედ ის ნაგაზია, შენგან რომ უზადო ხორცშესხმას მოელის!

— სულ ეგაა?

— ნუ ჩქარობ! ყეფის ინტონაციით, რეგისტრისა და ხმის ჟღერადობის მკვეთრი ცვალებადობით მაყურებელმა მკაფიოდ უნდა აღიქვას, ნანასთან მოულოდნელ სტუმრად გამოცხადებული კაცი მტერია თუ მოყვარე, უცხოა თუ ახლობელი. კულმინაციურია ის ადგილი, როცა უტყვი დარაჯის დაძაბული, საოცრად კონტრასტული შეხმიანებით დიასახლისი ცხადად იგრძნობს მისგან დიდი ხნის წინათ წასული მეგობრის დაბრუნებას! გასაგებია?

— ყველაფერი ნათელია!

— მაშინ ხვალიდან რეპეტიციებზე!

* * *

ორი თვის დაძაბული მუშაობის შემდეგ პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა. კმაყოფილი მაყურებლის ტაში სცენაზე მსახიობებისა და დამდგმელის გამოსვლის მერეც არა ცხრებოდა. მე კულისებიდან უხმოდ ვადევნებდი თვალს ბედნიერ შემსრულებლებს და მწყინდა, რომ უკვე აღარავის ვახსოვდი. უცებ პარტერიდან შემომესმა:

— ძაღლი, ძაღლი სადღაა?!

— ხუმრობს ვიღაცა! — გამკაწრა ეჭვმა. შეძახილთან ერთად ხელებგამოწვდილი, სახეგაბრწყინებული რეჟისორი ჩემკენ გამოემართა. მე მის მოახლოებამდე მთელი ძალით გასასვლელისაკენ გავქანდი. კარებთან მთავარი რეჟისორი გადამეღობა.

— ვერ გავალ სცენაზე!.. მართლა ძაღლი ხომ არ გგონივართ?! — გავძალიანდი, რამდენადაც შეძლო.

— სულელო! სპექტაკლში ყველაზე მართალი და გულწრფელი შენ იყავი! — ჩურჩულით დამამშვიდა მან.

— ეს უკვე მეტისმეტია! — მინდოდა მეთქვა, მაგრამ აღარც კი მახსოვს უკვე, ორივე რეჟისორის ხელებშუა მომწყვდეული როგორ აღმოვჩნდი სცენაზე პრემიერის მონაწილეთა შორის!..

იღბლიან დებიუტს ახალი წარმატებები მოჰყვა: როლები, თაყვანისმცემლები, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა, მრავალმხრივი შემოქმედებითი ასპარეზის გადაშლა!..

* * *

„ჩაირიცხოს დასის დამხმარე ჯგუფის თანამშრომლად!“ — მშვიდად დავაწერე განცხადებას, თეატრზე უზომოდ შეყვარებულმა ჭაბუკმა რომ მომიტანა წინა დღით. ოცი წლის წინათ ხომ ზუსტად ასე წააწერა ჩემს განცხადებას ამავე სავარძელში მჯდომმა კეთილმა კაცმა!..

მოდი და, ნუ დაიჯერებ ახლა, რომ ძაღლი მართლაც კარგი ფეხისაა!.. ანდა, როგორ უნდა ეწყინოს კაცს მიმართვები: „ძაღლიშვილო!“, „მამაძაღლო!“, „ჩაძაღლებული მენახე!“, „ძაღლი მიგაკვდა სულში!“ და სხვა მისთანები?! ან განა რამე შეედრება სიხარულს, დილით სახლიდან გასულს ანაზდად გზაზე წინ რომ ძაღლი გადაგირბენს?..

რაც გინდათ, ის იფიქრეთ! მე კი დღესაც ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ მთელი ჩემი ბედნიერი ცხოვრება, იმ იღბლიანი დებიუტიდან დაწყებული, ადამიანის ერთგული ოთხფეხა მეგობრის, უგრძნობიერესი და უგონიერესი არსების წყალობაა!

ავტორი ანზორ ბარამია

წყარო:
ჟურნალი „ნიანგი“ №10, 1991.

პროკოფი ჩაგანავა

„გაივლის წლები, აბაშა და ხალხი მუდამ იქნება, დღევანდელობა კი მოგონებად იქცევა. ადამიანები შეაფასებენ წარსულს. ისინი აუცილებლად იტყვიან, თუ რა წვლილი აქვთ შეტანილი მათ, უფროს თაობას, კაცობრიობის უკეთესი მერმისისათვის გარჯაში. მეც იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი, რომელთაც ამ საქმეში ერთი აგური მაინც დაუდვიათ“. — ამ სიტყვებით ამთავრებს თავის შემოქმედებით ალბომის ბოლო ფურცელს თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, ღვაწლმოსილი ჟურნალისტი პროკოფი ჩაგანავა.

ქართული ჟურნალისტიკისა და კულტურის ღვაწლმოსილი მუშაკი პროკოფი ჩაგანავა დაიბადა 1914 წელს აბაშის რაიონის სოფელ კეთილარში. 1930 წელს ამ სოფლის შვიდწლედი დაამთავრა, შემდეგ სწავლას აგრძელებს ცხაკაიის პედაგოგიურ ტექნიკუმში. 1933-1937 წლებში კეთილარის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელია, შემდეგ — დირექტორი. პარალელურად სწავლობდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე. სოფლის მასწავლებელი აქტიურად თანამშრომლობდა რაიონულ პრესაში. „საბჭოთა სოფლის“ თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა მისი საინფორმაციო მასალები, სტატიები, წერილები, ჩანახატები. ისინი ძირითადად სოფლის ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს შეეხებოდა. მას საიმედო კორესპონდენტად მიიჩნევდნენ. ამიტომაც დანიშნეს „საბჭოთა სოფლის“ რედაქციაში ლიტერატურულ მუშაკად. შემდეგ ამ გაზეთის პასუხისმგებელი მდივანია. 1939 წლიდან კი — რედაქტორია.

პროკოფი ჩაგანავა თავისი უანგარო შრომით, საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულებით საზოგადოების პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებს.

ჟურნალისტის შემოქმედებითი უნარი განსაკურნებით გამომჟღავნდა მეორე მსოფლიო ომის წლებში. რაიონულ და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში მის მიერ გამოქვეყნებული წერილები, ნარკვევები, ჩანახატები იმედს უნერგავდა მკითხველს.

„საბჭოთა სოფლის“ რედაქციამ რადიოგადაცემის რედაქციასთან (რომელსაც სათავეში ედგა ივანე ბუხაიძე) ერთად სატანკო კოლონის „პრესის მუშაკის“ ასაგებ ფონდში 75 ათასი მანეთი და 115 ათასი მანეთის ობლიგაცია შეიტანა, რისთვისაც 1944 წელს პროკოფი ჩაგანავასა და ივანე ბუხაიძეს მიღებული აქვთ უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის მადლობა, რომელსაც იგი დიდი მოწიწებით ინახავდა.

გაზეთ „ეგრისის მაცნეს“ რედაქტორ ნათია ჯგუშიასთვის მიცემულ 1999 წლის ერთ-ერთ ინტერვიუში ის ამბობდა: „მე კომუნისტი ვარ, ჩემი შვილი ალინა „მრგვალი მაგიდის“ წევრია, — ჩვენ ვერ ვუგებთ ერთმანეთს. მე მისი პოზიციები არ მომწონს. ცხრა თვეა, პენსია არ მიმიღია“ (წყარო: გაზეთი „ეგრისის მაცნე“, 6-7 (16). 07. 1999 წ.).

წერილში „ის ავბედითი ორმოცდათექვსმეტი“ პროკოფი ჩაგინავა 1956 წლის ტრაგედიაზე გვიყვება: „...როგორც 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლნი, პატივისცემისა და მოგონების ღირსი არიან 1956 წლის 9 მარტს დაღუპულები, რომლებიც შეეწირნენ ტოტალიტარული ხელისუფლების უკანონობას. ...ისტორიაში ბევრი მაგალითია, როცა სახელმწიფოს ზოგიერთი ხელმძღვანელი ჰუმანურობას ქადაგებს, მაგრამ, როცა „საჭიროება მოითხოვს“ იარაღსაც გამოიყენებს და ამას სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მოვლენებით ხსნის. ცხადია, ასე არ უნდა იყოს სამართლებრივ სახელმწიფოში, მაგრამ ჯერ ამისათვის ვერ მიგვიღწევია. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო, აბა, რისი სახელმწიფოა, თუ წინააღმდეგობას უწევენ, არ დათრგუნოს მოწინააღმდეგე ძალები. ასე თუა, მაშინ დანაშაულებრივ ქმედებებს ერთმანეთს არ უნდა ვაბრალებდეთ. იმ დღეებში პირადად გახლდით თბილისში კურსებზე მივლინებული და ახლაც თვალწინ მიდგას ის მშფოთვარე დღეები და ახალგაზრდობის გაბედული, მღელვარე გამოსვლები ქუჩებში...

...ახალგაზრდობა მთელ რიგ საკითხებს აყენებდა და მოითხოვდა პასუხს. საქართველოს კ.პ.ც.კ-ს მაშინდელი პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე არაერთხელ გამოვიდა მოედანზე ცკ-ს შენობის წინ მიმდინარე მიტინგზე და მოთმინებისაკენ მოუწოდა ახალგაზრდებს, მაგრამ ამან როდი დააწყნარა ისინი... მახსოვს, 5 მარტს კურსების მსმენელებთან მოვიდნენ პარტიის ცკ-ს მაშინდელი მდივანი დ. მჭედლიშვილი და მ. მეგრელიშვილი. კურსანტები სამორიგეოდ გაგვამწესეს. იმ ღამეს ვიმორიგეთ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის შენობასთან, მეორე ღამეს — „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობასთან, ხოლო მესამე დღიდან ყველანი ჩაგვკეტეს კურსების შენობაში და არ გვქონდა გარეთ, ქალაქში, გასვლის უფლება, ხოლო როცა 9 მარტს მღელვარებამ კულმინაციას მიაღწია, ახალგაზრდებს ტყვიის წვიმები შეაგებეს და ქალაქი გააყრუა ტანკების, სამხედრო ტექნიკის გრუხუნმა და სროლის ხმამ. ასეთი რამ შემდეგ დღეებშიც გაგრძელდა. მეორე დღეს თითქოს დაწყნარდა ყველაფერი. მაგრამ უდანაშაულო ადამიანთა სისხლით შეიღება ქალაქი, განსაკუთრებით კავშირგაბმულობის სამინისტროს შენობის შიდა და გარეთა ფასადი. არავინ იცის, რამდენი დაიხოცა და რამდენი დასახიჩრდა. ეს გასაიდუმლოებული იყო. გარდაცვლილთა ცხედრებიც არავის გაატანეს შინ. ცხედრები ჭირისუფლებმა დასაფლავების წინ მხოლოდ რამდენიმე საათით გამოიტირეს და შემდეგ საიდუმლოდ მიაბარეს მიწას. ასე დასრულდა 1956 წლის 9 მარტის ტრაგედია, ნ. ხრუშჩოვის მიერ გათამაშებული.

სავსებით კანონზომიერია, რომ 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა უკვდავყოფასთან ერთად 1956 წლის დახოცილთა უკვდავსაყოფადაც ახალგაზრდების დღევანდელმა თაობამ მემორიალის გაკეთება ითავა. მომავალი უდავოდ ახალგაზრდების ხელშია და მათზეა დამოკიდებული, თუ როგორ გადაწყვეტენ ამოცანებს, რომელნიც მათ წინაშე დრომ და ვითარებამ დააყენეს. (წყარო: გაზეთი „აბაშა“, №48 (6376), 21 აპრილი, 1990 წ.).

რედაქტორობიდან პროკოფი ჩაგანავა ჯერ გადაჰყავთ მასწავლებელთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარედ, შემდეგ — პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, საგეგმო განყოფილების გამგედ, სამრეწველო კომბინატის დირექტორად. ამ პასუხსაგები თანამდებობების მიუხედავად, იგი პრესასთან თანამშრომლობას არ წყვეტს. 1967 წლიდან „საბჭოთა სოფლის“ მემკვიდრე „განახლებული აბაშის“ მშრომელთა წერილების განყოფილების გამგეა. იყო აბაშის დეპუტატთა საბჭოს სამი მოწვევის დეპუტატი.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, პროკოფი ჩაგანავა ენერგიულად და პასუხისმგებლობით ეწეოდა შემოქმედებით მუშაობას.

პროკოფი ჩაგანავა სხვადასხვა დროს დააჯილდოვეს მედლებით. 1999 წელს არგუნეს ღირსების ორდენი.

პროკოფი ჩაგანავა დასაფლავებულია აბაშის რაიონის სოფელ კეთილარში.

პროკოფი ჩაგანავას ქალიშვილმა ალბინამ მედია მუზეუმს (საქართველოს მასმედიისა და პოლიგრაფიის მუზეუმი) გადასცა პროკოფი ჩაგანავას რამდენიმე ალბომი, წერილები, ხელნაწერები, საპატიო სიგელები, გაზეთ „საბჭოთა სოფლის“ სამი წლის კომპლექტი.

ᲡᲕᲔᲢᲚᲐᲜᲐ ᲮᲝᲤᲔᲠᲘᲐ,
ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ

თანამედროვე მედიის პრობლემა

დათო ერნესი (ქაქუთია),
ჟურნალისტი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის
უფროსი სპეციალისტი

ჟურნალისტიკაში, კერძოდ, ბეჭდურ მედიაში, სტუდენტობიდან ვმუშაობდი. ძალიან მიზიდავდა საგამოძიებო ჟურნალისტიკა. სხვათა შორის, რისკის ფასად არაერთი რეზონანსული თემა შეგვისწავლია და სტატიები გამოგვიქვეყნებია მეგობრებს. თუმცა ანალიტიკური აზროვნება, პუბლიცისტიკა, კერძოდ, ქართული პუბლიცისტიკა, ჩემთვის განსაკუთრებული თემაა.

ქართველებს წილად გვხვდა ბედნიერება, ვიყოთ ილია ჭავჭავაძის, სოლომონ დოდაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, ვაჟა-ფშაველას, დიმიტრი ყიფიანისა და ბევრი სხვა საზოგადო მოღვაწის მრავლისმომცველი პუბლიცისტიკის მემკვიდრეები.

გული მწყდება, რომ დღეს ამ პუბლიცისტიკას საერთოდ არ იცნობენ ან ნაკლებ დროს უთმობენ მოქმედი ჟურნალისტები, არადა, იქ არის პასუხი ყველა კითხვაზე, რაც კი შეიძლება დღეს დაისვას. ეს ზღვა მასალა განვითარებისთვის ჰაერივით სჭირდება საზოგადოებასა და სახელმწიფოს.

თანამედროვე ქართული მედიის მთავარ ნაკლად ისევ და ისევ ანალიტიკური აზროვნების დეფიციტი მიმაჩნია. ფინანსურად ძლიერი მედიაჰოლდინგების არსებობა და მომრავლება კარგია, მაგრამ მედიათმსა და რეიტინგებს არ უნდა შეეწიროს ობიექტური რეალობა, საზოგადოების პრობლემა და ხალხის აზრი, რაც, სამწუხაროდ, ჩვეულებრივი ამბავია.

პროფესიონალი ჟურნალისტი, რომელიც სიღრმისეულად განიხილავს და სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ამა თუ იმ დარგთან, იმავდროულად საუკეთესო ანალიტიკოსიცაა.

ძალიან ცოტაა ისეთი ჟურნალისტი, რომელსაც ერთი საგანგებო სფერო აინტერესებს და ბოლომდე იკვლევს მას, ანუ ჟურნალისტი, რომელიც საზოგადოებას აცნობს გარკვეული სფეროს პრობლემებს, მათი გადაჭრის შესაძლო გზებსა და სავარაუდო დამნაშავეებს.

სამწუხაროდ, დღეს ჟურნალისტიკა აშკარად განიცდის ამის მწვავე დეფიციტს. აუცილებელია დარგობრივი ჟურნალისტიკის განვითარება. ერთ-ერთ პატარა ტელეკომპანიაში საავტორო გადაცემაც კი მქონდა. მისი სახელწოდება „საუბრები ჟურნალისტიკაზე", რომელშიც ამ პრობლემაზე ღიად ვსაუბრობდით. ჟურნალისტიკა მომსახურების სფერო როდია, ეს პროფესია საფუძვლიან ცოდნასა და განათლებას მოითხოვს. ინტერნეტმა ტრადიციულ ჟურნალისტიკას დიდი დარტყმა მიაყენა. ინფორმაცია გაცილებით უფრო საყოველთაო და ხელმისაწვდომი გახდა. ბლოგების, სოციალური ქსელების, ვიდეოების ასატვირთი ვებგვერდების გაჩენამ ხელი შეუწყო ადამიანებს, საჯაროდ გამოხატონ თავიანთი აზრი. უკვე მოხსნილია ყოველგვარი ტექნიკური შეზღუდვა, რასაც აქამდე მათ მედიასაშუალებების ცენტრალიზაცია უქმნიდა. ყოველივე ამან ინფორმაციის მოპოვებასა და გავრცელებაზე ჟურნალისტების მონოპოლია შეასუსტა.

მაღალპროფესიულ ჟურნალიზმს ხშირად უწოდებენ „მარცხენა ხელით, ანუ ნაჩქარევად, შექმნილ ლიტერატურას" დღევანდელ ჟურნალისტიკას კი პუბლიცისტიკის სიმცირის გამო „ნიუსების", ანუ სიახლეების, ჟურნალისტიკა დაერქვა. ცხადია, ჟურნალისტიკის დანიშნულება სიახლის ძიებაცაა. ასევე მთავარი მოთხოვნა ობიექტურობაა, მაგრამ, ჟურნალისტს პროფესია არ უნდა წაგართვათ. მისი პროფესიული ზრდა უშუალოდ დაკავშირებულია მის დაინტერესებასა და ინფორმაციული ბაზრის თავისებურებებთან. დღეს არსებული კანონმდებლობით, ჟურნალისტიკა, სამწუხაროდ, როგორც დარგი, ვერ განვითარდება, თუ არ იქნება გათვალისწინებული მხარეებისა და საზოგადოების ინტერესები. საზოგადოება ითხოვს ობიექტურ, პროფესიულ დონეზე მომზადებულ ინფორმაციულ პროდუქტს, რაც, რა თქმა უნდა, სერიოზულ ცოდნასა და შრომას მოითხოვს. ცოდნა ძვირად ღირებული პროდუქტია, შესაბამისად, ხარისხიანი ინფორმაციული პროდუქტიც ძვირად ფასობს. მედიაწარმოებაც ბიზნესია და, სამწუხაროდ, ის არსებობს ფინანსებით, იმ ადამიანებისა, რომლებსაც თავიანთი პოლიტიკური და ფინანსური მიზნების ლობირება სურთ.

ჟურნალისტიკა, უპირველეს ყოვლისა, სიმართლეს უნდა ემსახურებოდეს.
ჟურნალისტიკა, უწინარეს ყოვლისა მოქალაქეების ერთგული უნდა იყოს.
ჟურნალისტიკის არსი ინფორმაციის მუდმივი გადამოწმებაა.

ჟურნალისტმა უნდა შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა იმათგან, ვისაც აშუქებს.

ჟურნალისტი უნდა მოქმედებდეს როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელი მაკონტროლებელი.

ჟურნალისტიკა ხალხს საჯარო კრიტიკისა და მსჯელობის საშუალებას უნდა აძლევდეს.

ის, რაც მნიშვნელოვანია, ჟურნალისტმა საინტერესოდ და ადეკვატურად უნდა გადმოსცეს.

ჟურნალისტმა უნდა შეინარჩუნოს ინფორმაციის პროპორციულობა და ეს ინფორმაცია ყოველმხრივი უნდა გახადოს.

ჟურნალისტი პასუხს აგებს სინდისის წინაშე.

და ბოლოს — ჟურნალისტიკა მე არ მწამს, როგორც მხოლოდ ნიუსების ინდუსტრია.

ჟურნალისტი საზოგადოების ადვოკატია ძალაუფლების მქონე პირთა წინაშე, ამ პროცესში მნიშვნელოვანია ვირტუალური სოციალური ქსელების, ბლოგებისა და ახალი მედიის სხვა საშუალებების ათვისება და განვითარება, მაგრამ პუბლიცისტიკა და ანალიტიკური აზროვნება უმნიშვნელოვანესია დღევანდელ საზოგადოებაში. მედია რაც შეიძლება მეტი პროფესიონალებით უნდა შეივსოს და ეს არა მარტო ჩემი, როგორც ამ პროფესიის ერთგული ადამიანის, არამედ საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილის მოთხოვნაა.

დროა, ყვითელი პრესა და უხარისხო, დაბალი დონის ჟურნალისტური პროდუქტი წარსულს ჩაბარდეს.

სიმონ ჩიქოვანი

„ჩემო მამულო, თუ დავინგრე, კვლავ ამაშენე,
სიკვდილს მომწყვიტე, ჩაგვერიე და გაგვაშველე“...



ეს სტრიქონები ეკუთვნის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ პოეტს, საზოგადო მოღვაწეს, მთარგმნელსა და პოლიტიკოს სიმონ ჩიქოვანს. იგი 1902 წელს დაიბადა აბაშის რაიონის სოფელ ნაესაკოვოში. პირველდაწყებითი განათლება მშობლიურ სოფლში მიიღო. მისი პოეტი მამა — ივანე ჩიქოვანი — განათლებული პიროვნება იყო; დედა მის მშობიარობას გადაჰყვა. ს. ჩიქოვანს არაერთი ლექსი მიუძღვნია დედამისისადმი. მათში ღრმა გულისტკივილი იგრძნობა. კიდევ უფრო ტრაგიკულად განიცადა პოეტმა დის, ტატიანას, ნაადრევად გარდაცვალება, რომელსაც დედის ბედი ერგო. ამიტომაცაა, რომ ლირიკოსის შემოქმედებაში ბავშვობისდროინდელ მოგონებებს თან ახლდა ღრმა სევდა და წუთისოფლის სამდურავი.

ნაადრევად დაობლებული პოეტის აღზრდაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ბებიასა და ბიძას. ბავშვობა ძირითადად დედულეთში, მეზობელ სოფელ ტყვირში, გაატარა. ბებია, რომელიც კარგად იცნობდა ქართულ მწერლობას, შვილიშვილს ცოდნის გზას მარჯვედ უჩვენებდა.



1914 წელს სიმონი ქუთაისის რეალურ სასწავლებელში შედის. ხელმოკლე ყმაწვილი ზაფხულობით მიწას ამუშავებდა, ფული რომ შეეგროვებინა და სწავლის გაგრძელება შეძლებოდა. 1917 წელს მამაც გარდაეცვალა. მძიმე პირობების მიუხედავად, ის ამთავრებს რეალურ სასწავლებელს და 1921 წელს შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. პარალელურად მუშაობდა წითელი არმიის პოლიტიკურ განყოფილებაში, გაზეთის რედაქციასა და კლუბში. 1922 წელს თანამოაზრეებთან ერთად ჩამოაყალიბა ფუტურისტული ლიტერატურული ჯგუფი და გამოსცა ქართული ფუტურიზმის პირველი საპროგრამო მანიფესტი „საქართველო – ფენიქსი“. 1924–1928 წლებში მისი აქტიური თანამონაწილეობითა და ხელმძღვანელობით გამოვიდა ქართული ავანგარდისტი მწერლების პერიოდული ორგანოები: „H2SO4“, „ლიტერატურა

და სხვა“, „დროული“, „მემარცხენეობა“. ჩიქოვანი მუშაობას იწყებს ახალდაარსებულ ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში.

1928 წლიდან, ფუტურისტების ლიტერატურული ჯგუფის დაშლის შემდეგ, ჩიქოვანი ებმება საქართველოს მწერალთა კავშირის საქმიანობაში და გარდაცვალებამდე მისი ხელმძღვანელი ორგანოების უცვლელი წევრი ხდება. სხვადასხვა დროს იყო გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ მთავარი რედაქტორი; საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე; რედაქტორობდა ჟურნალ „მნათობს“. ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული იყო ორდენებითა და პრემიებით. აღსანიშნავია მისი სახელმწიფო პრემია, რომელიც 1947 წელს მიენიჭა პოემისათვის „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ და ლექსებისათვის: „ვინა თქვა“, „ქართლის საღამოები“, „გამარჯვების ზეიმი“ და „გორი“. ჩიქოვანი იყო ახალგაზრდა მწერალთა გზის გამკვალავი და აქტიური თანამდგომი. მისი უშუალო მზრუნველობით არაერთი ნიჭიერი შემოქმედი გამოვიდა ლიტერატურულ ასპარეზზე.

სიმონმა მძიმე ცხოვრება განვლო. 30-იანი, 40-იანი წლების საშინელ ატმოსფეროში მოსალოდნელმა ფათერაკმა, ნერვიულობამ და ამ ვითარებაში ღირსეულ ადამიანად დარჩენამ საშინლად შეარყია მისი ჯანმრთელობა. იგი დიაბეტით დაავადდა და შემდეგ დაბრმავდა კიდეც.

როგორც მეგობრები, ახლობლები იხსენებენ, სიმონის სახლი იყო სხვადასხვა თაობის მწერლების, მსახიობების, მხატვრების, მეცნიერების სულიერი ოაზისი. უშანგი ჩხეიძე, ნატო ვაჩნაძე, ბორის პასტერნაკი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, ალექსანდრე ფადეევი, ნიკოლოზ შენგელაია, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, ევგენი მიქელაძე, იაკობ ნიკოლაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, მიკოლა ბაჟანი, შალვა მშველიძე, არჩილ ჩხარტიშვილი, ოთარ თაქთაქიშვილი, სერგო ზაქარიაძე, ლადო გუდიაშვილი, გოგლა ლეონიძე... უსასრულოა იმ ცნობილ ადამიანთა სია, რომლებიც სიმონთან იკრიბებოდნენ და მისგან იღებდნენ სულიერ საზრდოს.

სიმონ ჩიქოვანის ცხოვრება იყო მაგალითი მრავალმხრივი სულიერი ინტერესებით ცხოვრებისა, სადაც ყოველთვის საჩინო ადგილი ეჭირა მშობლიურ ლიტერატურასა და მშობლიური ხალხის ინტერესებს.

სიმონთან სტუმრად მისვლა არასდროს იყო გვიანი. ღამის ორ საათზეც კი კარს პირმოღიმარი ქალბატონი გაგიღებდათ. მის სახლში სიკეთის საღაღადებლად ყოველთვის ენთო სანთელი.

ჩიქოვანის პოეტური ფერიცვალება 1927 წლიდან იწყება. ამის მყარი საფუძველი მას შეუქმნა საქართველოს ყოფამ. მის პოეზიაში ადგილი დაიმკვიდრა პატრიოტიზმმა, თანადროულმა თემატიკამ, შეხმიანებამ დიდ წინაპრებთან — ქართველ კლასიკოსებთან. იგი ქართული პოეზიის ერთ-ერთი გამოჩენილი ოსტატი გახდა. მას ეკუთვნის ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები, თარგმანები და სხვ. მის შემოქმედებაში იგრძნობა ეროვნული ტრადიციების სიმტკიცე.

„ᲕᲘᲜᲐ ᲗᲥᲕᲐ, ᲗᲘᲗᲗᲥᲝᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ, ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲘ, ᲥᲐᲠᲗᲚᲨᲘ ᲕᲘᲜ ᲞᲝᲕᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲪᲘᲮᲔ, ᲕᲘᲜ ᲛᲝᲘᲒᲝᲜᲐ ᲡᲘᲛᲪᲘᲠᲔ ᲛᲘᲡᲘ?!“

საგანგებოდ აღსანიშნავია ს. ჩიქოვანისა და მისი მეუღლის მარიკა ელიავას სანიმუშო ურთიერთობა. მარიკას სილამაზე, ინტელიგენტურობა, განსწავლულობა ქართულ, რუსულ და ფრანგულ

ლიტერატურაში, მისი ფანატიკური სიყვარული, პატივისცემა და ერთგულება მეუღლისადმი ყველას ხიბლავდა. მარიკას ბუნების ამ თვისებებმა მნიშვნელოვანწილად განაპირობეს სიმონის შემოქმედებითი მიღწევები.

1937 წელს დააპატიმრეს მარიკას მამა ნიკო ელიავა, ძმა ზურაბი, რძალი თინა. მშობლების გარეშე დარჩენილ ხუთი წლის ნიკას მზრუნველობა მარიკამ და სიმონმა გაუწიეს. იგი შვილად აიყვანეს. როცა სიმონმა მხედველობა დაკარგა, თავად კიბითი დაავადებული მარიკა მეუღლის თვალისჩინი გახდა, იწერდა მის ნაკარნახევს, უკითხავდა, უყვებოდა.

პოეტი და საზოგადო მოღვაწე 1966 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

მეუღლის გარდაცვალება დიდი ტრაგედია აღმოჩნდა მარიკასთვის. ამის შემდეგ მან სამი წელი იცხოვრა მხოლოდ იმიტომ, რომ ქმრის საქმეები ბოლომდე მიეყვანა. მან უარი განაცხადა მკურნალობაზე. ასე გარდაიცვალა ქართველი ქალის ჭეშმარიტი მაგალითი, რომელმაც ანდერძი დაიბარა: „დამწვით და ფერფლი საფლავს მოაბნიეთ, მინდა იმ მიწას შევერიო, სადაც სიმონი ასვენია, უმისოდ არაფერი ვიყავი. ამიტომ მინდა, ბოლომდე მის გვერდით დავრჩე“. სწორედ მარიკას სურვილი იყო, საფლავის ქვაზე მისი სახელი არ წაეწერათ. მეუღლეზე უსაზღვროდ შეყვარებულ მარიკას ანდერძი შეუსრულეს. მამადავითზე, პატარა ბრიწეულის ხის ფესვქვეშ, პოეტის მეუღლის ფერფლით სავსე urნა ასვენია. საფლავზე არც მისი სახელი წერია, არცა — გვარი. მარიკას დაფერფლილი სხეული სიმონთან ერთად განისვენებს. ეს ანდერძი ლეგენდად იქცა. სიმონ ჩიქოვანისა და მარიკა ელიავას სიყვარულს დღესაც იხსენებენ.

2013 წლის თებერვალს აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაესაკოვოში გაიხსნა სიმონ ჩიქოვანის სახლ-მუზეუმი. აქ დაცულია პოეტისა და საზოგადო მოღვაწის პირადი ნივთები, ხელნაწერთა ასლები, ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტოსურათები, გამოცემები, ფერწერული ტილოები, სკულპტურა და სხვ. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა აბაშის საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ დ. თოფურიამ.

მუზეუმის დირექტორია ღირსების ორდენოსანი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, არამატერიალურ კულტურულ ფასეულობათა ქომაგი, ენერგიული ქალბატონი ელეონორა ჩიქოვანი. იგი მზრუნველობას არ აკლებს მუზეუმს. დღეის მდგომარეობით მწირი, მაგრამ საინტერესო ექსპონატები პოეტის ცხოვრების მნიშვნელოვან წლებზე მიუთითებს. ე. ჩიქოვანის მიზანია, მუზეუმი კიდევ უფრო საინტერესო გახადოს. აქ მიუჩინოს ადგილი ამ სოფლის სხვა ცნობილ ადამიანებს, რათა ახალი თაობა გაეცნოს მათ ღვაწლს და იამაყოს სახელოვანი წინაპრებით. მიბაძოს მათ შრომის, შემოქმედების, სამშობლოს სიყვარულში.

ს. ჩიქოვანის მუზეუმში ერთი კუთხე გამოუყვეს ნაესაკოვოს კიდევ ერთ საამაყო შვილს, მეორე მსოფლიო ომის 25 წლის გმირ ვახტანგ ვლადიმერის ძე ჩიქოვანს.

ვახტანგ ჩიქოვანი

ვახტანგ ვლადიმერის ძე ჩიქოვანი დაიბადა 1919 წლის აპრილში აბაშის რაიონის სოფელ ნაესაკოვოში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1937 წელს, იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიური ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. მესამე კურსელი მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. მან წარმატებით დაამთავრა სამირყანდის სამხედრო სასწავლებელი და იქიდან ფრონტზე გაგზავნეს. 1942 წელს რაკი დაასრულა ქიმიური თავდაცვის სახელმწიფო აკადემია, ფრონტზე 1942 წლიდან მოუწია ყოფნა. 861-ე პოლკის ქიმიური სამსახურის ხელმძღვანელი უფროსი ლეიტენანტი ვახტანგ ჩიქოვანი გამოირჩა 1943 წლის დეკემბრისა და 1944 წლის თებერვლის ბრძოლებში. ასეულის მეთაურმა ქართველმა ნოვგოროდის რაიონში მტერი ალყაში მოაქცია და მათი ასეული მთლიანად გაანადგურა, რისთვისაც „წითელი ვარსკვლავის“ ორდენი დაიმსახურა.

ჩიქოვანის ასეულმა ლენინგრადის ოლქში მტრისგან გაწმინდა რკინიგზა, რომელიც ქალაქს მოსკოვთან აკავშირებდა. ამჯერად მისი თავდადება აღინიშნა მედლით „მამაცობისათვის“. შემდეგ ვ. ჩიქოვანის ასეული უკრაინის განთავისუფლებისათვის იბრძვის. მძიმე ბრძოლები გაიმართა ჩერკასკის რაიონში. დაუნდობელი ბრძოლა იყო „რუსსკაია პოლიანასთან“. ჩიქოვანის ასეული წინა ხაზზე იბრძოდა. იმდენად დაუნდობელი იყო ეს ბრძოლა, ფაშისტები პანიკამ მოიცვა. ამით ისარგებლა ქართველმა მეთაურმა და ერთ-ერთ მანქანაში მყოფი გერმანელი ოფიცერი და მისი მძღოლი ტყვედ აიყვანა. მორიგი საბრძოლო დავალების შესრულების დროს ასევე ტყვედ იქნა აყვანილი ერთ-ერთ სახლში გამაგრებული გერმანელები.

კვლავ ბრძოლები. 1943 წლის დეკემბერში უფროსი ლეიტენანტი ხელმძღვანელობდა ქვეითთა დანაყოფს და აიღო ქალაქ ჩერკასკის (უკრაინა) პიონერთა სასახლის შენობა — გერმანელთა გამაგრებული პუნქტი. ამ სასახლეში გამაგრებული მსროლელები დიდ ზიანს აყენებდნენ საბჭოთა ნაწილებს. ეს სასახლე ქალაქში არქიტექტურულად გამოირჩეოდა. ვ. ჩიქოვანმა მისი დანგრევა არტილერიით მიზანშეუწონლად ცნო და ბრძოლის სხვა ტაქტიკა შეიმუშავა. თავისი თანამებრძოლებით შეიჭრა სასახლის ეზოში და მცირე ზარალით შეძლო მტრისგან მისი განთავისუფლება.

ფრონტმა ჩერკასკიდან დასავლეთით, სოფელ ვოლოდიანიკაში, გადაინაცვლა. კვლავ არაერთი საგმირო საქმე, ათი კაცისგან შემდგარი ჯგუფით გადავიდა მდინარე როსის მეორე მხარეს, შევიდა გერმანელთა ზურგში და არეულობა გამოიწვია მათ რიგებში. ამით ისარგებლა ასეულის ძირითადმა ნაწილმა, გადავიდა მეორე მხარეს და შეუტია მოწინააღმდეგეს. გერმანელებმა დაკარგეს ჯარისკაცთა ასეული, ტყვედ ჩაბარდა 60 ადამიანი. მტრის დევნისას გაათავისუფლეს ორი დასახლებული პუნქტი. მტრის ტყიამ ვაჟკაცს ვერაფერი დააკლო, მაგრამ, 1944 წლის 1 მარტს 25 წლის ვ. ჩიქოვანი მტრის ნაღმისგან სასიკვდილოდ დაიჭრა. თანამებრძოლებმა იგი ჩერკასკის ოლქის სვენიგოროდის რაიონის სოფელ ვოდიანიკის ცენტრში ერთ-ერთ ვაშლის ხის ძირას, დაასაფლავეს. საფლავზე აღმართულია ობელისკი. სოფელ იაბლონოვკას მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც გაიმართა ბრძოლები, აღმართულია გმირის სურათიანი სტელა.

ვ. ჩიქოვანი დაჯილდოებულია ლენინის, წითელი დროშის, სამამულო ომის II ხარისხის, წითელი ვარსკვლავის ორდენებითა და მედლებით. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 13 სექტემბრის განკარგულებით 25 წლის ქართველ ჯარისკაცს, უფროს ლეიტენანტ ვახტანგ ვლადიმერის ძე ჩიქოვანს გამოჩენილი სიმამაცის, ვაჟკაცობისა და გმირობისთვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

1958 წლის ოქტომბერში ფაშისტებისაგან გათავისუფლების 15 წლისთავზე ვ. ჩიქოვანის მიერ გადარჩენილ პიონერთა სასახლეზე აღმართულია მემორიალური დაფა წარწერით: „1943 წლის სექტემბერში ქ. ჩერკასკის ფაშისტი დამპყრობლებისგან გათავისუფლების დროს ამ სასახლეზე იერიშისას სიმამაცე გამოიჩინა ქართველი ხალხის შვილმა ვახტანგ ვლადიმერის ძე ჩიქოვანმა“. ქალაქ ჩერკასკში და დასახლება სტებლოვში გმირის სახელი მიენიჭა ქუჩებს. ვახტანგ ჩიქოვანის სახელს ატარებდა თბილისის რკინიგზის I სკოლის პიონერთა დანაყოფი. ვახტანგ ჩიქოვანის სახელი ჰქვია აბაშის ერთ-ერთ ქუჩას.

სვეტლანა ხოფერია,
ჟურნალისტი

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲔᲑᲨᲘ

დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი ექსპონატების მრავალფეროვნებითა და მრავალრიცხოვნებით ერთ-ერთი გამორჩეულია საქართველოში.

სამეგრელოს უკანასკნელ მთავარ დავით დადიანს ჰქონია სასახლეში მუზეუმი, სადაც გამოფენილი ყოფილა არქეოლოგიური მასალა, იარაღების კოლექცია, ხელნაწერი წიგნები, რომელთაც აღფრთოვანებაში მოუყვანია ცნობილი ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე.

მდიდარია და საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანია საცავებში დაცული მასალა. უნიკალურია წიგნადი ფონდი. აქ ყველაზე უადრესი ნაბეჭდი წიგნია, არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“. იგი გამოცემულია 1654 წელს ნეაპოლში; „ახლად გახსნილი მუზების ტაძარი“ დაბეჭდილია 1733 წელს ამსტერდამში. მასში შესულია სამოცი მითი, მათ შორის „ოქროს საწმისზე“, ახლავს ილუსტრაციებით; აქვეა სახარებები მე-18, მე-19 საუკუნეების, ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“, 1888 წელს გამოცემული, ზიჩის ილუსტრაციებით; მსოფლიოში პირველი დიდი ენციკლოპედიის ავტორის, ფრანგი ენათმეცნიერის ლარუსის ენციკლოპედიის ყველა ტომი; ფრანგი გეოგრაფის ელიზე რეკლიუს „გეოგრაფიული ენციკლოპედიური ლექსიკონის“ ექვსტომეული; ნაპოლეონ ბონაპარტის პირადი ცხოვრების ამსახველი წიგნები, მისი პირადი ექიმის ფრანჩესკო ანტომარკის „ნაპოლეონის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი“, ორ ტომად; ევროპული კლასიკური ოპერებისა და ოპერეტების პარტიტურები; 100-ზე მეტი კლასიკოსი კომპოზიტორის 900-ზე მეტი ნაწარმოები და მრავალი სხვა.

ასევე მნიშვნელოვანია არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული თუ ხელნაწერი მასალა. აქ ყველაზე ადრინდელად მიიჩნევა მე-16 საუკუნის „იოანე ოქროპირის სახარების თარგმანება“; ფრიად მნიშვნელოვანია დადიანთა საკანცელარიო არქივი, მათი ეპისტოლარული მემკვიდრეობა და სხვა იმდროინდელი ოდიშური დოკუმენტები.

ყოველივე ამის მიტანა დამთვალიერებლამდე შეუძლებელია, თუ არ არსებობს საგამოფენო სივრცე. მუზეუმის მაჯისცემა სწორედ რომ გამოფენით იზომება.

ფონდ „ქართუს” მეშვეობით მოხერხდა ნგრევის პირას მისული უფლისწულ ნიკოს სასახლის რეაბილიტაცია. სამუშაოები დაიწყო 2016 წელს და დასრულდა 2019 -ში. როგორც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, ქალბატონმა თეა წულუკიანმა აღნიშნა, „ქართუს“ შემდეგ უკვე სამინისტრო ჩაერთო სასახლეების აღორძინების საქმეში. აწ კი ქვეყანას შეუძლია იამაყოს დადიანების სასახლით, რომელიც არის ქართველთა ეროვნული ღირსებისა და იდენტობის, ასევე იმის სიმბოლო, რომ საქართველო არის ევროპული კულტურის ნაწილი.

2021 წლის 29 ოქტომბერს თეა წულუკიანმა რეაბილიტირებულ ნიკოს სასახლეში გახსნა დავით დადიანის სამკითხველო დარბაზი, თითოეული მუზეუმელის, ზუგდიდელის დიდი ხნის ნანატრ-ნაოცნებარი, სადაც ნებისმიერ მკვლევარს ექნება საშუალება იკვლიოს მისთვის სასურველი მასალა, რა თქმა უნდა, სათანადო წესების დაცვით.

ასევე სამინისტროს მხარდაჭერითა და თანადგომით, დედოფლისეული სასახლის რამდენიმე დარბაზში შეკეთდა დაზიანებული ჭერი, განახლდა და შეივსო მუდმივმოქმედი გამოფენა.

თითქმის 5000-მდე ნივთია გამოფენილი განახლებულ ექსპოზიციაში, პირველად „წარდგა“ მნახველის წინაშე საოჯახო ფოტო, იარაღები-

სა და ქსოვილის კოლექცია, რომლებიც დიდ ინტერესსა და მოწონებას იმსახურებს.

მოგვიანებით უფლისწულის სასახლემ მთელ საქართველოს უმასპინძლა საახალწლო მეჯლისით.

ძველით ახალ წელს კი გაიხსნა 2018—2021 წლებში რესტავრირებული ნივთების გამოფენა. დამთვალიერებელს შესაძლებლობა ჰქონდა, ეხილა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ყოფისა და ეთნოგრაფიის ნიმუშები.

ბლანშარის, ტიმის, გაგარინის, ფრიშის ნამუშევრებში ასახულია იმდროინდელი კავკასიის რეგიონის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, დაღესტნის პეიზაჟები, სოფლები თუ ქალაქები, დასახლებები; საყურადღებოა ნაქარგობანი, სკივრები, დამშვენებული სამთავრო გერბითა და ხელრთვებით, თითოეული მათგანი მეტად ღირებული და მნიშვნელოვანია იმდროინდელი ისტორიისა და ყოფის წარმოსადგენად.

შეყოველივე ამას დიდი შრომა დასჭირდა. მუზეუმის უმთავრესმა მხარდამჭერმა და მუზეუმის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი კალანდიამ და მისმა გუნდმა, სამხატვრო აკადემიის სარესტავრაციო გაყოფილების ხელმძღვანელმა ნანა კუპრაშვილმა და, უპირველეს ყოვლისა მუზეუმის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ლილი ბერაიამ.

სამომავლოდ უფრო დიდი საქმეებია გასაკეთებელი, კიდევ მრავალი ექსპონატი ელოდება შველას, რესტავრატორის ხელის შეევლებას; გვწამს: სამინისტროს მუდმივი მხარდაჭერითა და გვერდზე დგომით მომავალ თაობას შეუნარჩუნდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

მარინე ჟობალია,
ზუგდიდის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის
ფონდების მთავარი მცველი

მეგრელ კაცთა სამშობიარო რიტუალი „მითორგინაფა“ (– როგორ ინაწილებდა მამრი მდედრის ტვირთს

ნონა ჟობალია,
ჟურნალისტი, ეთნოგრაფი

ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია. ამის დასტურია ტენდენცია, რომელიც უკანასკნელ წლებში ჩვენშიც გამოიკვეთა: დღეს სულ უფრო მეტი ახალგაზრდა მამა ესწრება მეუღლის მოლოგინებას და ის არის შვილის პირველი მიმრქმელი.

მაგრამ იცით თუ არა, რომ მეგრულ ეთნოგრაფიაში აღწერილი „მითორგინაფა“ — ბავშვის შეგორების რიტუალი, — სწორედ ამ პროცესს ასახავს და უფრო მეტიც...

„მითორგინაფა“ ხდებოდა მაშინ, როცა უშვილო ცოლ-ქმარი უთანხმდებოდა ორსულ ქალს, რომლისგანაც უნდა ეშვილა ბავშვი. „მითორგინაფა“ ეხებოდა ქალსაც და კაცსაც.

ქალს, მომავალი გამზრდელი, მშვილებელი დედა შეთანხმებისთანავე მიიკრავდა ბალიშს მუცელზე, მაგრამ არა კონსპირაციის მიზნით, არამედ იმისთვის, რომ თვითშთაგონებით განეცადა ყველა ფიზიკური ტკივილი და სიხარული, რასაც მისი მომავალი შვილის ბიოლოგიური დედა განიცდიდა.

ქალის მშობიარობის დრო რომ მოაღწევდა, მშვილებელი მამრიც მშობიარის სამყოფელში წვებოდა, მასავით კოდა და იკრუნჩხებოდა, ხოლო, როცა ბავშვი დაიბადებოდა, ახალშობილს პირდაპირ მასთან მიიყვანდნენ და ლოგინში შეუგორებდნენ. ამიტომ ერქვა ამ რიტუალს „მითორგინაფა“, ანუ შეგორება.

ამ ჩვეულებას, გარდა მეუღლის წინაშე პასუხიმგებლობისა და თანალმობისა, მეუღლის ტკივილების გაზიარებისათვის მზაობისა, სხვა დატვირთვაც ჰქონდა. ეს, უპირველეს ყოვლისა, იყო ჩვილის დაცვა ავსულებისა და ბოროტი თვალისგან, ასევე ბავშვზე მამობრივი უფლებების განაცხადი და დამტკიცება.

საქმე ისაა, რომ ძველების რწმენით, ავსულებს უფრო ძლიერი ადამიანი უნდა დაპირისპირებოდა, ვიდრე ქალი იყო, მით უფრო, სამშობიარო ტკივილებისგან ძალმიხდილი მელოგინე; და, თანაც, ახალნამშობიარევი ქალი უწმინდურად მიიჩნეოდა სათანადო გამოლოცვის აღსრულებამდე და არ ჰქონდა საშუალება, სიწმინდით დაპირისპირებოდა მავნე, უკეთურ ძალებს.

მელოგინის გამოლოცვას „ჭაშ ერღვაფა“ — ჩალის აყრა ეწოდებოდა და ეს რიტუალი მშობიარობიდან გარკვეული დროით იზოლირების შემდეგ სრულდებოდა. ბებიაქალი მოლოგინებიდან 3-4 კვირის, ზოგჯერ კი 40 დღის შემდეგ შევიდოდა ქალისა და ბავშვის განცალკევებულ სადგომში — უპირატესად, ბოსელში, გარეთ გამოიყვანდა მათ და ჩალას, რომელზეც ისინი იწვნენ, აშლიდა. ანუ დედა-შვილს ლოგინს აუშლიდა ნიშნად იმისა, რომ ქალი განწმენდილი იყო, ჩვილი (ლილუ, ბურბუ, წყარბაღანა) — მომაგრებული და, შესაბამისად, იოლად ვეღარავინ გაჩხიბავდა.

რაღა თქმა უნდა, მამაკაცს ეს პრობლემები არ ჰქონდა. მისი დანიშნულება იყო გვერდში მისწოლოდა მშობიარე ცოლს და ეყვირა, რათა ავსულები დაეფრთხო.

სხვათა შორის, ახლობლები კაცს ბავშვის დაბადებამდეც კი შეუგორებდნენ ხოლმე ფუთას, ვითომც და ბავშვს, რათა ავსულებს ძალა მისკენ მიემართათ და ქალს გასცლოდნენ.

მშობიარობის წინ ქმარი აღებდა კარ-ფანჯარას, ჩამოყრიდა ურდულებს, დახსნიდა კლიტეებს, ტანსაცმელზე შეიხსნიდა ღილებსა (კაკეფი) თუ ქამარს... ანუ სპობდა ყოველგვარ შემკვრელს, რასაც შეიძლებოდა ხელი შეეშალა ქალის მენჯის გახსნისა და ბავშვის დაბადებისთვის.

ზოგან ქალს მუცელზე ქმრის ქალამნებს ან სხვა რამ ნივთს დააწყობდნენ. ქალამანი, მაგალითად, ნიშნავდა იმას, რომ ფეხზე მყარად მდგარი (კუჩხიშ, განთხიშ მანგარო გემარინე) მამის ძალა ბავშვზე გადადიოდა. სხვათა შორის, თუ ნორჩი უდღეური იბადებოდა, მას მამის ქალამანზე აწვენდნენ.

ხშირად ახალშობილს მამის ნაცვამ პერანგში ახვევდნენ, უფრო ზუსტად, იქვე გახდილ პერანგში, რომ მამის სუნი შეეგრძნო, მამის ოფლსა და სითბოს დაეცვა დედის საშოდან უცხო სამყაროში მომხდარი.

თუ ბავშვის მამა გარდაცვლილი იყო, მას სხვა, შვილებით ბედნიერი სისხლით ნათესავის (ბიძა, ბაბუა, ძმა) ან სხვა ახლობლის, ზოგჯერ კი უცხო მამაკაცის სამოსელში გაახვევდნენ, ვინაიდან ნამკვდრევში გახვევა არ შეიძლებოდა — ვაშინერს!

ამ რიტუალისთვის გვარებიც კი იყო მონიშნული, დაგულვებული, ანუ მიკოწონებული, ზუსტად ისე,

ახალშობილი მამასთან

როგორც ეს ბავშვის გასაზრდელად ბედნიერი ოჯახისგან აკვნის თხოვების შემთხვევაში ხდებოდა.

ასეთი გვარის კაცს „ბედნიერ კიდირიშ კოჩის", ანუ „ბედნიერი მკერდის კაცს", ეძახდნენ, ნიშნად იმისა, რომ შერჩა ყველა შვილი, ვინც კი მკერდზე მიირქვა-მიიწვინა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გარკვეულ ეპოქაში ბავშვს ჭიპლარს მამა უჭრიდა და არა დედფანია, ანუ ბებიაქალი. ბიჭის ჭიპლარს მამა ქვეშ სატევარს, წალდს ან სხვა რამ მჭრელ საგანს ამოუდებდა, რომ ბიჭი ძლიერი გაზრდილიყო და თან დაჰყოლოდა მეომრის, მონადირის, მეურნის ძალა; გოგონას ჭიპლარს კი თითისტარზე ჭრიდნენ.

თუ დღეს ბავშვს მცირე ხნით აწვენენ მამის მკერდზე, ძველად მამა გაცილებით დიდხანს რჩებოდა ლოგინში გულში ჩახუტებულ ბავშვთან ერთად. უფრო მეტიც, მოლოგინებული ქალი დგებოდა, იწყებდა სახლის დალაგებას, სხვა საქალო საქმეებს, პერიოდულად მიდიოდა ბავშვთან, რომ ძუძუ მოეწოვებინა, ბავშვს კი მამა უნანავებდა, ის იღებდა მნახველებსაც და მილოცვებსაც. აქედან მოდის ლალას ცნება, რაც მზრდელ მამაკაცს აღნიშნავს მეგრულში. თავად სიტყვა „ლალა" თურქულიდანაა ნასესხები, თუმცა იქ უფრო მწვრთნელს, გამზრდელსა ნიშნავს, როგორც ჩვენებური მორდუ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მითორგინაფას დროში ლალაობა მამაკაცის ღირსეული ქმედება იყო. სიტყვა „ლალაკოჩმა" დადედლებული, მხდალი კაცის შინაარსი უფრო მოგვიანებით შეიძინა.

მამაკაცის ლალაობა გრძელდებოდა მანამ, სანამ ყმაწვილს ტეფიაზე (ხოჭიჭზე) ან ონწეში (აკვანში, სარწეველაში) გადააწვენდნენ. ეს დაბადებიდან დაახლოებით ორი კვირის შემდეგ ხდებოდა, მაგრამ მამის ლანდი — მუმაშ ორო — ამის შემდეგაც იფარავდა მას: ბავშვის სიახლოვეს ჯოხს მიაყუდებდნენ და ზედ ნაბადს ან მამის სხვა სამოსს ჩამოაცვამდნენ ხოლმე ეშმაკეულის დასაფრთხობად. ამ ჯოხს „ყარული" ერქვა. ესეც, რა თქმა უნდა, გვიანდელი ტერმინია და ეტიმოლოგიურად მეგრული არ არის.

აღსანიშნავია, რომ მითორგინაფა არ არის მხოლოდ მეგრული ჩვეულება. ეს მოვლენა მსოფლიოს მრავალ ქვეყნაში გვხვდება სხვადასხვა სახელწოდებით, რომლებიც დღეს ფრანგულმა ტერმინმა „კუვადამ" ჩაანაცვლა. კუვადა, პირდაპირი მნიშვნელობით, კვერცხზე ჯდომას, კვერცხის დათბილება-დაჩეკვას აღნიშნავს ფრანგულ ენაში. უფრო ზოგადად კი — მშობიარობის იმიტაციას მამაკაცის მიერ და ბავშვის ლალაობას, ლოლიავს გარკვეული ხნის განმავლობაში.

სტრაბონის ცნობით (ჩვ. წ. აღ-მდე III საუკუნე), კუვადა დედამთავრული ოჯახიდან მამამთავრულზე გადასვლის ხანაში დამკვიდრდა და გვხვდება მცირე აზიაში მცხოვრებ ტიბარენებს შორის.

სხვა ისტორიული ცნობებით, ასეთივე ჩვეულება არსებულა დასავლეთის იბერებში, კელტებში, სკვითებში, კარიბის ზღვის კუნძულებზე. ამ ცნობებში ვაწყდებით მშობიარობის ტკივილების იმიტაციას ფრიად უცნაური ხერხებით. ზოგან მამაკაცი მეუღლის საორსულო კაბას იცვამდა, თავს მისი ხილაბანდით წაიკრავდა და ასე დადიოდა ეზო-კარში.

თავის წაკვრა, კრუსუნი და ყვირილი რა მოსატანია, როცა თურმე სკვით მამაკაცს სარცხვინელზე ძაფს შეაბამდნენ, ძაფის მეორე ბოლოს მშობიარე ქალს შემოახვევდნენ მაჯაზე და როცა სამშობიარო ტკივილებით გამწარებულ ქალს კონვულსიები ეწყებოდა, მოჭიმული ძაფი საშინელ ტკივილებს ჰგვრიდა „თანამელოგინე" მამაკაცსაც.

ასეა თუ ისე, მოგვწონს თუ არა ეს ჩვეულება, სასაცილოდ გვეჩვენება ის თუ ამაღლებულად დღეს, მითორგინაფა და კუვადა მოწმობს: წარსულში მამაკაცი ცდილობდა, გაეანაწილებინა უღლის სიმძიმე, საკუთარ თავზე აეღო ალმასქუს — მეუღლის — ტკივილები, დაეცვა შვილი და პირველი ჩასუნთქვისთანავე ეწილადებინა მისთვის სითბო და სიყვარული.

ბედნერ კიდირიშ ქოყოფედა დო, ღორონთქ გიბედნერას, კიდირშა მიკნანჯირეფი!

— ბედნიერი მკერდისა იყავი და, ვისაც გულზე მიირქვამ, ისიც ბედნიერად გყოლოდეს! — ასე ილოცებოდნენ ძველი მეგრელები.

მითორგინაფას არსიც ეს არის.

https://sputnik-georgia.com/reviews/20180301/239501940/miTorginafa.html

Readmore:https://sputnik-georgia.com/rviews/20180301/239501940/miTorginafa.html

ᲢᲔᲥᲡᲢᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ (ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲝᲩᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ“)

ᲐᲠᲪᲗᲣ ᲘᲡᲔ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚ ᲐᲡᲐᲙᲨᲘ ᲬᲘᲚᲐᲓ ᲛᲮᲕᲓᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ, ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲒᲐᲕᲪᲜᲝᲑᲝᲓᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲝᲡᲔᲑᲡ. ᲛᲐᲠᲗᲝᲝᲓᲔᲜ ᲐᲜᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲘᲡ, ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐᲪ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘᲐ... ᲡᲐᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲝᲓ, ᲨᲔᲕᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲕᲐᲠ ᲑᲔᲕᲠ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ, ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲡᲐᲪ,ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲑᲘᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ ᲢᲝᲚᲡ ᲐᲠ ᲣᲓᲔᲑᲔᲜ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲠᲘᲝᲤᲔᲔᲑᲡ. „ᲐᲠᲪᲗᲣ ᲘᲡᲔ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚ ᲐᲡᲐᲙᲨᲘ...“ ᲐᲛᲐᲡ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲕᲐᲛᲑᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲡ ᲐᲠ ᲫᲐᲚᲣᲫᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲡᲐᲕᲡᲘᲗ ᲒᲐᲘᲡᲘᲒᲠᲫᲔᲒᲐᲜᲝᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ... ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲙᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲔᲜ, ᲞᲝᲣᲚᲝᲑ ᲓᲐ ᲐᲡᲔ ᲓᲐᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ .... ᲗᲣᲛᲪᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲐᲡ ᲛᲢᲝᲕᲔᲑᲓᲐ ᲨᲔᲒᲠᲫᲜᲔᲑᲐ ᲛᲐᲓᲚᲘᲡᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲐᲡᲔ ᲣᲮᲕᲐᲓ ᲐᲡᲮᲘᲕᲔᲑᲓᲐ ᲗᲘᲗᲝᲗᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ, ᲨᲔᲒᲠᲫᲜᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲘᲡᲣᲚᲘ ᲛᲠᲔᲕᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲗᲐᲕᲛᲓᲐᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲝᲥᲠᲝ-ᲓᲣᲛᲘᲚᲘᲗ ᲕᲘᲠᲘᲜᲓᲔᲑᲝᲓᲘ... ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲫᲐᲚᲛᲘᲫᲡ, „ᲐᲠᲐ ᲛᲘᲤᲚᲝᲑᲡ ᲓᲣᲛᲘᲚᲐᲓ“...

26 ᲛᲐᲠᲢᲡ ᲛᲔᲠᲒᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ, ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲕᲮᲕᲔᲓᲠᲝᲓᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲑᲜᲔᲚᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ, ᲣᲫᲦᲔᲑᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ ᲑᲘᲑᲚᲘᲣᲠ ᲡᲐᲬᲧᲘᲡᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲐ... ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲛᲓᲔ ᲕᲜᲔᲠᲕᲘᲣᲚᲝᲑᲓᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲯᲘᲯᲘᲔᲚᲔᲑᲘ (ᲘᲛ ᲓᲠᲝᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲓᲐ) ᲯᲔᲠ „ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲪᲔᲑᲘ“ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲯᲔᲠ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲔᲭᲘᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲐᲛ ᲠᲝᲛᲐᲜ-ᲨᲔᲓᲔᲕᲠᲡ... ᲒᲐᲜᲕᲘᲪᲓᲘᲓᲘ ᲘᲛᲐᲡᲐᲪ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲐᲒᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲖᲘᲐᲠᲔᲑᲐ... ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲬᲣᲗᲝᲘᲓᲐᲜ ᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲒᲣᲠᲐᲛᲛᲐ ᲘᲡᲔ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲣᲠᲐ ᲨᲔᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲯᲘᲯᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘ ᲣᲛᲐᲚ ᲘᲥᲪᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲣᲙᲘᲓᲔᲒᲐᲜᲝ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲓ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘ ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ, ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲖᲔ. ᲒᲐᲥᲠᲐ ᲓᲠᲝ, ᲡᲘᲕᲠᲪᲔ ᲓᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲮᲘᲕᲝᲡᲜᲔᲑᲘᲗ ᲕᲘᲒᲠᲫᲔᲜᲘ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ ᲦᲕᲗᲘᲡᲜᲔᲑᲘᲔᲠᲘ, ᲗᲐᲕᲛᲓᲐᲑᲚᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲦᲛᲝᲪᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ. ... ᲓᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲘᲡᲙᲠᲝᲕᲜᲔᲑᲣᲚ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲕᲮᲔᲓᲔ, ᲛᲘᲕᲮᲕᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘᲪ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲣᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲘᲛᲐᲡᲕᲔ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲜᲔᲜ... ᲓᲐ ᲛᲔ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ; ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲛᲐ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲔᲑᲛᲐ, ᲠᲣᲡᲗᲕᲔᲚᲡ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲕᲔᲡᲔᲡᲮᲝ, ᲡᲐᲛᲔᲑᲐ — „ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ, ᲒᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲝᲜᲔᲑᲐ“ — ᲛᲘᲐᲞᲧᲠᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲡ, ᲑᲐᲢᲝᲜ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲝᲩᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ. ᲣᲦᲠᲛᲔᲡᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲬᲔᲑᲐ ᲛᲐᲡ... ᲠᲝᲛ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲭᲣᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲓᲐᲛᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ ᲐᲦᲒᲕᲘᲫᲠᲐᲕᲡ.

ᲔᲡ 2015 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲘᲐ ...

2021 ᲙᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. „ᲪᲝᲪᲮᲐᲚ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲝᲡᲐᲓ“ ᲨᲔᲠᲐᲪᲮᲣᲚᲛᲐ �გᲣᲠᲐᲛ ᲓᲝᲩᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲜᲐᲪᲕᲚᲐ. ᲛᲘᲡ ᲒᲐᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘᲪ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚ ᲘᲜᲢᲔᲠᲢᲔᲥᲡᲢᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲘᲥᲪᲐ.

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲞᲝᲡᲢᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲢᲔᲥᲡᲢᲣᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲐᲓ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲝᲩᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐᲡ — „ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ“, 1973 — ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲥᲕᲔ ᲨᲔᲕᲜᲘᲨᲜᲐᲕᲗ: ᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ „ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲘᲖᲛᲔᲑᲨᲘ“ ᲛᲝᲥᲪᲔᲕᲘᲡᲐ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲨᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲢᲔᲥᲡᲢᲣᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲖᲝᲛᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲖᲔᲓᲛᲘᲬᲔᲕᲜᲘᲗ ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ — ᲐᲥ ᲐᲠ ᲒᲕᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲐᲠᲪ ᲞᲔᲠᲘᲤᲠᲐᲖᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲐᲚᲣᲖᲘᲔᲑᲘ ᲐᲜ ᲪᲘᲢᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲛᲝᲬᲣᲠᲐ-ᲒᲐᲓᲛᲝᲙᲔᲗᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲢᲔᲥᲡᲢᲘᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗᲐᲪ. ᲞᲝᲡᲢᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ, ᲐᲛ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲬᲛᲔᲜᲐ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲡ ᲬᲜᲔᲝᲑᲠᲘᲒ-ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲐᲙᲘᲡᲠᲘᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲖᲔᲪᲐᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ.

ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘ ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲰᲘᲣ�გᲝᲡ „ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲪᲘᲜᲘᲡ“ ᲞᲔᲠᲘᲤᲠᲐᲖᲘᲡ ᲨᲗᲐᲑᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲢᲝᲕᲔᲑᲡ. ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲘ ᲖᲛᲜᲐ-ᲨᲔᲛᲐᲡᲛᲔᲜᲔᲚᲘ (ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ) ᲬᲐᲠᲡᲣᲚ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ. ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲝᲩᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ, ᲐᲛ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ ᲡᲘᲜᲐᲜᲣᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲡ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲜᲘᲜᲔᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝ, ᲘᲛᲘᲡ �გᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲮᲓᲔᲑᲐ „ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ“ ᲓᲐ ᲕᲐᲡᲘᲚ ᲙᲔᲭᲔᲠᲐᲫᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲐᲙᲚᲓᲔᲑᲐ ...

„ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ“ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲓ ᲐᲦᲕᲘᲥᲕᲐᲗ. ᲐᲛ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲔ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲑᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲣᲛᲪᲠᲝᲡᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠ-ᲛᲣᲨᲐᲙᲘ ᲗᲐᲛᲐᲖᲘ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ

საბედისწერო ფოტოკაბინის ზღურბლს გადააბიჯებს. სწორედ ეს ფოტოკაბინა აღმოჩნდება სხვა განზომილება, სხვა სამყარო, სადაც ყველაფერი მხატვრული ლიტერატურით განისაზღვრება. ამ სამყაროს ბინადარია ვასილ კეჟერაძე — „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ და რომელიც „ყველაფერს მხოლოდ ლიტერატურის კუთხით უდგებოდა“. ამ ადამიანისთვის, როგორც თავად აღიარებს, ყველაფერი იქიდან იწყება და მთავრდება, რომ ძლიერ უყვარს ლიტერატურა. შეკითხვაზე, თუ რა კომუნალური პირობები აქვს, იმის მიუხედავად, რომ არა აქვს ცენტრალური გათბობა, მაინც მიაჩნია, რომ საუკეთესო პირობებში ცხოვრობს, რადგან „...აქვს წიგნების უზარმაზარი კარადა, თაროები, მოხერხებული სავარძელი და ტორშერი, მხარს ზემოთ ნათურა“ [დოჩანაშვილი, 1980, 154]. უფრო განზოგადებულ რთულ კითხვაზე „მოგწონთ ცხოვრება?“ ის უყოყმანოდ უპასუხებს: „გააჩნია, იმ დღეს როგორი ავტორი შემხვდება“ (დოჩანაშვილი, 1980, 165).

ვასილ კეჟერაძისთვის გაუგებარია, თუ რას ნიშნავს „თავისუფალი დროის დაკარგვა“, რადგან მის ცხოვრებაში მთავარი ლიტერატურის სიყვარულია და მიაჩნია, რომ დროს ფუჭად არასდროს კარგავს. „...თქვენ ლიტერატურის სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ წიგნის კითხვა გგონიათ? და ყოველივე იმას, რასაც წაიკითხავ, გააზრება არ უნდა?“ — ეკითხება იგი თავის ინტერვიუერს და რადგან ლიტერატურის უცოდინარ მეცნიერ-მუშაკისგან ამ კითხვებზე პასუხს ვერ მიიღებს, თავად უპასუხებს: „დიდი ამბავი, ტრამვაიში თუ დავჯდები ან დავდგები,ყირამალა დგომისასაც კი შეიძლება ფიქრი... რასაც წაიკითხავ, იმაზე... ან, რაც გაგახსენდება“ (დოჩანაშვილი, 1980, 161-162).

ვასილ კეჟერაძე ბედნიერების ცნებას ლიტერატურულად განსაზღვრავს — ეგაა „პირველი წაკითხვის ბედნიერება“. მას ბედნიერად მიაჩნია ყველა ის ადამიანი, ვინც მომავალში წაიკითხავს დიდ ნაწარმოებებს. ლიტერატურულ ნიუანსებში გაუცნობიერებელი მკითხველი, რა თქმა უნდა, უცნაურად აღიქვამს ვასილ კეჟერაძეს, ცალკეულ ეპიზოდებში კი, გიჟადაც შერაცხავ (მეცნიერ-თანამშრომელ თამაზსაც ეს ეჭვი უტრიალებს თავში კეჟერაძესთან საუბრისას); ამიტომ, ილიას ზნეობრივად სრულყოფილი გიორგის მიმართ დასმული კითხვა: „გიჟია თუ რა“ დოჩანაშვილის ლიტერატურულად სრულყოფილ პერსონაჟსაც მიესადაგება, რაც სრულიად მართებულად შენიშნა პროფესორმა მანანა კვაჭანტირაძემ: „კითხვა — გიჟია თუ რა“ — ილიას კითხვაა, გურამ დოჩანაშვილის მიერ ხელმეორედ დასმული, ოღონდ სხვა კონტექსტში, სხვა დროსა და ვითარებაში, „დალაგებულების“ მარადიული კითხვა „შერეკილების“ მიმართ. იმათ მიმართ, ვისი წარმოსახვაც ისეთ რეალურ კონტურებს იძენს, რომ შეუძლია წაშალოს საზღვარი არსებულსა და არარსებულს შორის, ადგილები შეუნაცვლოს მათ; ვინც წიგნის კითხვისას „ათასნაირი სიკვდილით კვდება“... მწერლის ირონია მიმართულია ჯანმრთელთა,დალაგებულთა, უეჭველთა, ერთი სიტყვით, საღი აზრის მოტრფიალეთა მიმართ. რაც მთავარია, იმათ მიმართ, ვისაც ლიტერატურა არ უყვარს, ვინც გულგრილია და სამყაროს ამ მეორე, წარმოსახვითი განზომილების ჭეშმარიტ ღირებულებაში ეჭვი ეპარება“ (კვაჭანტირაძე, 2008, 233).

მოთხრობაში თითქმის არაფერი ხდება; მისი შინაარსი რამდენიმე სიტყვით შეიძლება გადმოიცეს: ეს არის ამბავი ერთი უმცროსი მეცნიერ-მუშაკისა, რომელიც ლაბორანტად ჩამოაქვეითეს, ანუ კეჟერაძისეული ლექსიკით რომ ვთქვათ, „ჩამოალაბორანტეს“. მოქმედების განვითარების საფეხურები მკრთალადაა წარმოდგენილი. გაურკვეველია, რომელია მოთხრობის მთავარი მოქმედი გმირი — ჩამოლაბორანტებული თამაზი, ანუ მთხრობელი, თუ კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს.

მკრთალი სიუჟეტური ხაზი, რომელსაც ეფუძნება მოთხრობა, ფოტოკაბინაში, ანუ ტექსტის სამყაროში, ვითარდება, მაგრამ აქ გამიჯნულია რეალური სამყარო და ლიტერატურული სამყარო. მოთხრობაში ასახულია რეალური სამყაროს ლიტერატურულ სამყაროში შეჭრის ფაქტი. ვასილ კეჟერაძისა და კლიმის მსგავსი ადამიანებისთვის სრულიად უცხოა ის კარიერისტული მისწრაფებები, რაც თამაზსა და მის ხელმძღვანელს ახასიათებთ. ეს უკანასკნელნი სრულებით უცხონი არიან იმ სამყაროში, რომელსაც რეალურ ცხოვრებასა და ყოფასთან ცოტა რამ თუ აქვს საერთო. „ჩვენ ძლიერ გვიყვარს ლიტერატურა და თქვენგან, მისალოცთაგან, განსხვავებით, დაწინაურებას სულაც არ ვცდილობთ, და სიკვდილისაც ნაკლებად გვეშინია, რადგან მრავალჯერ მოვმკვდარვართ და ყველაფერი, აჰ, ყველაფერი გამოგვიცდია“ (დოჩანაშვილი, 1980, 184).

ეს ლიტერატურული გამოცდილება და ინტერტექსტუალობა მჭიდროდაა დაკავშირებული ენობრივ საკითხებთან. ამ მხრივ გამონაკლისი არც დოჩანაშვილის აღნიშნული მოთხრობაა. ვასილ კეჟერაძეს მხოლოდ ტიტრებიანი ფილმები მოსწონს მიტომ, რომ ამ შემთხვევაში უშუალოდ სიტყვებთან აქვს საქმე. ლიტერატურის სიყვარული აქ სიტყვის სიყვარულთან არის გაიგივებული, რადგან სწორედ სიტყვას აქვს ის მაგიური ძალა, რომელსაც ტექსტის სამყაროს შექმნა ძალუძს. კეჟერაძე პირად ტრაგედიასაც სიტყვების თამაშით გადმოგვცემს: „ჩამოიარა იმან, ერთ დროს საცოლემ, ეჰ, საიდუმლონარევი, შორეული სილამაზით აღსავსემ, როგორიცაა სიტყვა „მოიისფრო“, გვერდით კი მოჰყვე-

ბოდა კაცი, ისეთი უსიამოვნო გამომეტყველებით სახეზე, როგორიცაა სიტყვა... „გავძეხი“ და მე კი განზე ვიდექ, ზედმეტი როგორც სიტყვა „მაშასადამე“ (დოჩანაშვილი, 1980, 167-168).

სიტყვები „უწყინარი თამაში“ ამით არ მთავრდება; კეჟერაძე ორი ანტონიმური სიტყვის შეხამებით გადმოგვცემს თავის ლიტერატურულ იდეას: „არის ქვეყნად სიტყვები, რომლებისთვისაც ძალზე ძნელია გვერდიგვერდ ყოფნა. ამ შემთხვევაშიც ასეა: სად „კარცერი“ და სად „ლუქსი“,?! მაგრამ მაინც არ არსებობს დედამიწაზე ისეთი ორი სიტყვა, ოდესმე ერთმანეთს რომ არ შეეხამოს“ (დოჩანაშვილი, 1980, 177).

კეჟერაძის აზრით, კარცერ-ლუქსი არის ერთგვარი გამოსასწორებელი დაწესებულება, მაგრამ ახალგაზრდათა გამოსწორების ხერხები განსხვავებულია; ეს მთლიანად ლიტერატურის მორალურ-აღმზრდელობით ფუნქციაზეა მინდობილი. კარცერ-ლუქსი ჩაკეტილი სივრცეა, რომელიც საგსეა წიგნებით, ჭერზე კი ანბანია წარწერილი. თაროებზე წიგნები გარკვეული წესრიგითაა დალაგებული, იწყება საყმაწვილო-სათავგადასავლო ხასიათის წიგნებით და სერიოზული ლიტერატურული ნაწარმოებებით მთავრდება. ამით „რაღა გამოვა?“ კითხულობს ხელმძღვანელი და შეიძლება თავმობეზრებულმა მკითხველმაც იკითხოს, მაგრამ კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს, სრულიად დარწმუნებული გამოგვეპასუხება: „მეტი რაღა უნდა გამოვიდეს, დალოცვილო — მივიღებთ ადამიანს, ვისაც ძლიერ უყვარს ლიტერატურა“ (დოჩანაშვილი, 1980, 183).

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერ-მუშაკ თამაზსა და მის ხელმძღვანელს არაფერი აქვთ საერთო იმ სამყაროსთან, სადაც „ლიტერატურა ძლიერ უყვართ“, ისინი ასოციაციურად მაინც ამ სამყაროს ნაწილად განიხილებიან. საკმარისია თამაზმა უჩვეულო ფოტოკაბინის ზღურბლს გადააბიჯოს, რომ ვასილ კეჟერაძე მას უმალ ლიტერატურულ პერსონაჟს მიამსგავსებს. „უჰ, აქამდე როგორ ვერ მივხვდი — თქვენ ძალიან ჰგავხართ აურელინით სქელს, სანამ გასუქდებოდა“ (დოჩანაშვილი, 1980, 165). ხელმძღვანელსა და მას შორის კი, „ლიტერატურულ ნათესაობასაც“ იპოვის, რადგან მას ჯანკამო სემინარიოას მიამსგავსებს — „აი, პირველი შვილის, მარშლის უფროსი ძმა“, — ამბობს კეჟერაძე. ლიტერატურაში გაუცნობიერებელ მკითხველს გაუჭირდება იმის გარკვევა, თუ რაზეა აქ საუბარი. „იცით, მსგავსებას თუ დაუჯერებთ, თქვენ თამაზის რა გამოდიხართ? რა და პაპა!“ (დოჩანაშვილი, 1980, 172). ეს ერთგვარი „ლიტერატურული უზუსტობა“ იმ სამყაროში ჭეშმარიტებაა, რომელიც არ ცნობს არც მანძილსა და არც დროს.

კეჟერაძე კიდევ ერთხელ უბრუნდება ამ საკითხს და ლიტერატურას ზუსტ მეცნიერებებთან შედარებით აღმატებულადაც მიიჩნევს: „ერთს პლუს ერთი ორია? აჰ, არა, არა, ხანდახან არაა მათემატიკა ზუსტი მეცნიერება. ლიტერატურაში კი ასეთი უზუსტობა, ჩემო კარგო, არასოდეს მოხდება, ყველაზე უკანონებო მეცნიერება თუმცაღა კია... „უკანონებო“ ამ შემთხვევაში სულ სხვა სიტყვაა.“ (დოჩანაშვილი, 1980, 167). მისი აზრით, სერვანტესს (ან ნებისმიერ გენიოსს) პლუს ვიღაც სულაც არ არის მარტივი არითმეტიკული ორი.

გურამ დოჩანაშვილის ამ ნაწარმოებში დაცულია პოსტმოდერნიზმის ძირითადი პრინციპი — ინტერტექსტუალობა. აქ არის უსასრულო ტექსტის სამყარო; პარალელურად კი არსებობს ყოფითი პრობლემებით დატვირთული რეალობა. მოთხრობაში ასახულია სწორედ ამ ორი რეალობის შეჯახება. უფრო მეტიც, კეჟერაძისთვის რეალობა, ტრადიციული გაგებით, საერთოდაც არ არსებობს. მისთვის უფრო „რეალური და ზუსტი“ არის მხატვრული ლიტერატურის „წაკითხვა-გათავისების“ შედეგად წარმოსახული სამყარო.

ავტორი პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელ ორმაგ კოდირებაზე უარს ამბობს: „არ გამოვალ სიტყვით — არ შემიძლია ერთნაირად მივმართო სხვადასხვა განათლებისა და ხასიათის ადამიანებს, როგორ შეიძლება მიმართო ორ ადამიანს ერთნაირად მაშინ, როდესაც ერთს წაკითხული არა აქვს რომელიმე დიდი მწერალი... არ წაუკითხავს მაგალითად, სტენდალი, მეორეს კი გადაბულბულებული აქვს“ (დოჩანაშვილი, 1980, 165).

„გურამ დოჩანაშვილი მოთხრობაში ყურადღებას ამახვილებს პოსტმოდერნისტული მსოფლმხედველობის ისე მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის მკითხველის როლი. „ერთმა ახალგაზრდა მწერალმა განაცხადა, რომ წერისას მკითხველზე არ ფიქრობს... არ ვიცი, რამდენად შესაძლებელია არ წერო მკითხველისათვის... მაშინ საერთოდ ნუ მიეკარები კალამს — უფრო მეტიც, მკითხველი თანაავტორია... მკითხველის სიყვარული და თანადგომა უდიდეს ბედნიერებასთან ერთად უზარმაზარ პასუხისმგებლობას მაკისრებს, როგორც გადამწერს... ამქვეყნად მწერალი, მხატვარი და მომღერალი არ არსებობს — ადამიანები გადამწერები, გადამხატველები, გადამღერებლები ვართ“ (დოჩანაშვილი, 2011, 26-27).

ავტორს ეიმედება, რომ მკითხველი გაუგებს, მაგრამ მკითხველსაც გააჩნია. იგი ერუდირებული უნდა იყოს და ნაკითხობასთან ერთად ინტუიციაც უნდა ჰქონდეს: „იყო მკითხველი, ეს თავისთავად სასწაულია. მკითხველი — ეს სწორედ ისაა, ვისაც შეგიძლია ისედაც ვიწრო საძილე ტომარაში შეყვარებულების შორის იწვე და სრულადაც არ იყო ზედმეტი. ეს — სასწაულია და მეტ-

საც გეტყვით, ზედმეტი კი არა, აუცილებელი ხარ, რადგან ავტორმა ასე ინება“ (დოჩანაშვილი, 1980, 186-187). ამ მიზნით გამოიყენა ავტორმაც პერსონაჟ-მკითხველი. კეჟერაძე პერსონაჟიც არის და იდეალური მკითხველიც, რომლისთვისაც ლიტერატურა მთელი სამყაროა და პიროვნულ თავისუფლებას მისი მეშვეობით ეზიარება: „არის რაღაც საერთო ღვინის სმასა და კითხვას შორის, მე მგონი, ის, რომ ორივეს ეგრეთ წოდებულ პიროვნების თავისუფლებასთან მივყავართ, ოღონდ ერთი — მიშვებული, აგდებული და ულამაზო თავისუფლებაა, უპასუხისმგებლობით გამოწვეული, მეორე კი — შემართული, გამოცდილი, ყოვლისშემძლე და ამაღლებული“ (დოჩანაშვილი, 1980, 187).

ლოგიკის თანახმად, ასეთი პერსონაჟი ავტორს, ბორხესის მსგავსად, ბიბლიოთეკაში უნდა დაესახლებინა. ასე ბიბლიოთეკარ-მკითხველისა და ბიბლიოთეკა-სამყაროს ქართულ ვარიანტს მივიღებდით, მაგრამ ავტორმა აქაც ინდივიდუალური გადაწყვეტა გამონახა. კეჟერაძე და კლიმი, ერთი შეხედვით, მათთვის შეუფერებელ გარემოში — ფოტოკაბინაში — წარმოგვიდგინა. ერთ-ერთ შეხვედრაზე ავტორს, გურამ დოჩანაშვილს, დაგუსვით კითხვა, ლიტერატურის ესოდენ მოყვარული კეჟერაძე მისთვის უფრო შესაფერის გარემოში, ბიბლიოთეკაში, რატომ არ დაასახლა. მწერლის პასუხი პოსტმოდერნისტულად იუმორისტულიც იყო. ბიბლიოთეკაში კეჟერაძეს და მეცნიერ-თანამშრომელ თამაზს ამდენს ვინ ალაპარაკებდაო?!

მართლაც, ბიბლიოთეკაში მეცნიერ-მუშაკი თამაზი მისთვის საბედისწერო ამ სოციალურ ინტერვიუს ვერ აიღებდა. სწორედ ფოტოკაბინა აღმოჩნდა ის სივრცე, სადაც კეჟერაძესა და კლიმს საშუალება ეძლევათ ადამიანების ფიზიკური იერსახით, ანუ ვიზუალით (ფოტოთი), მათი სულიერი არსი გამოამჟღავნონ. მათთვის ფოტოსურათი მარტო ვიზუალური აღქმის საგანი კი არ არის, არამედ შინაგანი ბუნების გარკვევის მეთოდიც; ამასთანავე, ლიტერატურული პარალელების გავლების საშუალებაც. აი, შემოდის თითქოს ჩვეულებრივი ადამიანი და მას რამდენიმე „ლიტერატურული ტყუპისცალი“ შემოჰყვება.

ლიტერატურისთვის ყველა ადამიანი დიდი ხნის ნაცნობია და ყველა პრობლემა მრავალგზის გადააზრებული. ეს უზარმაზარი გამოცდილება ვასილ კეჟერაძეს ჭეშმარიტ პიროვნულ თავისუფლებას ანიჭებს და, უბრალო პრაგმატისტ მოკვდავთაგან განსხვავებით, ის დროისა და სივრცის არტახების დამსხვრევას შეძლებს. მისი ფოტოატელიე პერსონაჟთა სახეების ერთგვარი კოლექციაა. ეს სამყარო წარმოადგენს რეალობის ძალადობისგან გამოთავისუფლებულ დრო-სივრცეს, „...რომელ-

მწერალი გურამ დოჩანაშვილი
შ.პ.ს. ალექსანდრე ღურწკაიას სახელობის
ზუგდიდის გიმნაზია „ჯიჯიში“

იც იმას გვჩუქნის, რასაც რეალობა არასოდეს გვთავაზობს. ესაა „მეტი“ სიცოცხლის განცდა, ჩვენი აუხდენელი შესაძლებლობების სივრცე — გამორჩეული, მიუღწეველი, სასურველი სამყარო, ის „შესაძლო ცხოვრება“, რომელზედაც რეალურმა ცხოვრებამ ცინიკურად გვითხრა უარი“ (კვაჭანტირაძე, 2008, 233).

გურამ დოჩანაშვილი იშვიათი ავტორთაგანია, რომელმაც 1970-იან წლებში ტექსტის ყოველგვარი პოლიტიზების გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული დაპირისპირებით მკაცრად გააკრიტიკა საბჭოთა რეალობა. იმდროინდელი „უწიგნურობის აღმოფხვრის მესვეურვები“ აზრსმოკლებული მეტყველებით ამხილა. მეცნიერ-თანამშრომელი თამაზი კი თავად აცამტვერებს საკუთარ თავს.

ბ. წიფურიას სამართლიანი შენიშვნით, „...ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც გურამ დოჩანაშვილი თავის თავს აღიარებს არა საკუთრივ მოცემული ტექსტის ავტორად, არამედ სხვა მხატვრული ტექსტების მკითხველად, მაგრამ მისთვის, როგორც მისი გმირისთვის, ეს საკუთრივი არსებობის ჭეშმარიტი დასტური და ერთადერთი გამართლებაა. სწორედ ამ გზით იჭრება ის კაცობრიობის ზოგადი გამოცდილების ველში ისევე, როგორც მისი ტექსტი იჭრება ზოგად ინტელექტუალურ ველში“ (წიფურია, 1998, 8).

ზემოაღნიშნული ნაწარმოების ინტერტექსტობრივი ხასიათი განაპირობებს მისი ჟანრობრივი არქიტექტონიკის გაურკვევლობასაც. ნაწარმოებს კი მოვიხსენიებთ მოთხრობად, მაგრამ მასში არ დასტურდება მოთხრობის ჟანრული თვისებები: გამოკვეთილი სიუჟეტური ხაზი, მოქმედების განვითარება, კულმინაცია, კვანძის გახსნა და სხვ.; არც ამბის ფაბულური თხრობაა და სიუჟეტური ხაზიც მკრთალად იკვეთება. მკითხველი ელოდება, რომ ავტორი რაიმე ინტრიგას შესთავაზებს, მაგრამ ინტრიგა სწორედ უინტრიგობაა. კულმინაცია და ფინალი ერთადერთი სიტყვით — „ჩამომალაბორანტეს“ — გამოიხატება.

„კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ კიდევ ერთ საინტერესო ლიტერატურულ პარადოქსს გვთავაზობს. გურამ დოჩანაშვილი ამ მოთხრობის ლიტერატურულ ველში აქცევს სხვა ნაწარმოებს, რომელიც ჯერ არ შეუქმნია, რომელიც მკითხველისთვის ჯერ არ არის ცნობილი. ეს საგულისხმო ნიუანსია. ავტორმა ერთგვარად დაასწრო პოსტმოდერნისტული ტექსტის მკვლევრებს, რომლებიც თავიანთ თეორიულ მსჯელობებში იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ნაწარმოები დასრულებულია ავტორისავე იდეაში და წერის პროცესი სხვა არაფერია, თუ არა უკვე დასრულებული იდეის ქაღალდზე გადატანა.

ჩვენ მიერ გაანალიზებული ნაწარმოების ინტერტექსტობრივი ველი მოგვიანებით ავტორმა ნოველათა ტეტრალოგიით გააფართოვა, რომელშიც ძმები კეჟერაძეები ერთიანი ძალით იბრძვიან ადამიანთა სულების გადასარჩენად. უფროსი ძმა შალვა ამბობს: ხელოვნების ერთ-ერთი სახეობით აღვიჭურვოთ იმისთვის, რათა ხალხის ნება დავიმსახუროთ და შემდეგ ვუთხრათ ჩვენი სათქმელი (არჩვაძე, 2003, 70). ძმები კეჟერაძეები (მათ შორის, ჩვენთვის ცნობილი ლიტერატურის მოყვარული ვასილ კეჟერაძეც) ხელოვნების სხვადასხვა დარგებიდან აღმოცენებული დონ-კიტოხები არიან და ქართულ ზღაპარში ეძებენ გლეხ კიკოლის, რომელიც „სახე-სიმბოლოა ეროვნული სხეულისა, საიდანაც შეიძლება იშვას მზეჭაბუკი“ (არჩვაძე, 2003,71).

ამდენად, გურამ დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ ლიტერატურული ინტერტექსტუალობის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია; მასში ავტორმა შემოგვთავაზა ინტერტექსტი პერსონაჟით, რომელიც „ყველაფერს მხოლოდ ლიტერატურის კუთხით უდგება.“ გურამ დოჩანაშვილის ამ ნაწარმოების ინტერტექსტუალობა მხოლოდ ლიტერატურის სფეროთი შემოიფარგლება და თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ, „ლიტერატურა ლიტერატურის შესახებ“, ამასთანავე, ავტორი თავისი გმირის მეშვეობით კატეგორიულად მიგვითითებს, რომ მას მხოლოდ მხატვრული ლიტერატურა უყვარს და მისთვის ყველაფერი ამით იწყება და ამით მთავრდება.

ᲚᲔᲚᲐ ᲙᲕᲘᲠᲢᲘᲐ,
ფილოლოგიის დოქტორი

ბარონი არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერი

უცხოეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერს, ფილოსოფიის დოქტორ ბატონ თამაზ გვენეტაძეს ზუგდიდის ბიბლიოთეკაში ერთ-ერთი წიგნის წარდგენა ჰქონდა. თემა იმდენად საინტერესო გამოდგა დამსწრეთათვის, რომ „რეგლამენტს“ გასცდა და არც არავინ ჩქარობდა. იგი ზუგდიდში მოღვაწე გერმანელების: ბერტა და არტურ ფონ ზუტნერების საქართველოში, კერძოდ კი სამეგრელოში, მოღვაწეობას ეხებოდა.

ბატონი თამაზი სიამოვნებით დათანხმდა ჩვენს ჟურნალში საკუთარი წერილების, თარგმანის დაბეჭდვას. მკითხველი ამ წერილიდან კიდევ ერთხელ ისილავს ორი საუკუნის წინანდელ ზუგდიდს, სამეგრელოს.

მადლობა ბატონ თამაზს თანამშრომლობისათვის.

ბარონი არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერი

ავსტრიელი მწერალი და ჟურნალისტი არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერი (1850-1902) მეუღლესთან – მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატ ბერტა ფონ ზუტნერთან (1843-1914) ერთად ცხრა წლის განმავლობაში (1876-1885) ცხოვრობდა საქართველოში. ის სწორედ აქ ჩამოყალიბდა მწერლად. მაშინდელი ქართული ყოფა იმდენად ღრმად აღიბეჭდა მის გონებაში, რომ ამ შთაბეჭდილებათა წარმოსახვა მისი შემოქმედების უმთავრეს თემად იქცა.

საქართველოს თემატიკაზეა შექმნილი რომანები და მოთხრობები: „კავკასიის შვილები“, პირველი ტომი, 1890 (ჩემი მეგობარი გუჯა, მეზობლები, ბატონი გრეგორი, საბრალო ვარდი, ქეთევანი, მარგალიტი); „კავკასიის შვილები“, მეორე ტომი, 1891 (ბიზონი და ტური, მეგრული ქორწილი, ჰაჯი-აღა და მისი ნარგილე, ურთას მთის ძირას, ლიზას ბედნიერება, სულელი); „დარეჯანი“, „ბატონო“, „აზნაური“ (1886); „იბერიელნი“, „აჭარლები“ (1888); „შამილი“ (1890); „ჩერქეზები“ (1898) და სხვ. გერმანულ და ავსტრიულ პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა მისი საგაზეთო სტატიები რუსეთ-თურქეთის ომის შესახებ (ფსევდონიმით M.A.Lerei).

არტურ ზუტნერს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციაში. 1884 წლის დეკემბრიდან 1885 წლის მარტამდე ზუტნერებმა სოფელ ცაისში ითნა მეუნარგიასთან ერთად საბოლოო დახვეწეს „ვეფხისტყაოსნის“ ი. მეუნარგიასეული ფრანგული თარგმანი. ამავე დროს, ისინი პოემას თარგმნიდნენ გერმანულ ენაზედაც. ჩვენთვის ჯერაც უცნობია ზუტნერების მიერ ნათარგმნი გერმანული ტექსტი: არ არის დადგენილი, მათ დაამთავრეს თუ არა დაწყებული საქმე, თუ რა ბედი ეწია გერმანულ ენაზე შედგენილ ტექსტს. სავარაუდოდ, მთარგმნელებმა იგი სამშობლოში წაიღეს. სამწუხაროდ, დაკარგულად მიიჩნევა ფრანგული თარგმანიც. ცნობილია, რომ ზუტნერებმა „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულად გამომცემელი ვერ იპოვეს და ეს უნიკალური ნაშრომი სადღაც არქივში თვლემს. წინამდებარე ნარკვევის მეორე ნაწილში უფრო დეტალურად გაგაცნობთ ამ ამბავს.

მშობლებთან შერიგების შემდეგ, 1885 წელს, ზუტნერები დაბრუნდნენ ავსტრიაში; არტური განაგებდა მშობლების მამულებს და მაღაროებს ჰარმანსდორფში, ვენიდან 30 კილომეტრის მოშორებით. იქ მან შემდეგი ნაწარმოებები შექმნა:

Die europäische Civilisationsarbeit. In: Neue Deutsche Rundschau, Jg. 11 (1900).

Nichts Ernsthaftes. Kleine Geschichten. G. Piersons Verlag, Dresden 1895.

Anderl. G. Piersons Verlag, Dresden 1889 (2 Bde.).

Der böse Geist. J. Bensheimer Verlag, Mannheim 1893 (2 Bde.).

Um jeden Preis! G. Piersons Verlag, Dresden 1895.

Eine moderne Ehe. Dresden 1895.

Sein Verhängnis. Hillger, Berlin 1897.

Gebrandmarkt. Hillger, Eisenach 1898.

Scharfeneck. Hillger, Berlin 1900.

Dory's Roman. Hillger, Berlin 1903.

Im Zeichen des Trusts. Hillger, Berlin 1915.

არტურ ზუტნერმა, როგორც პაციფისტმა, 1891 წელს დააარსა ავსტრიის ანტისემიტიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა გაერთიანება და 1892–1896 წლებში გამოცემდა ყოველკვირეულ გაზეთს das „Freie Blatt“. როგორც ისტორიამ გვიჩვენა, ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა უშედეგო აღმოჩნდა და ამ მიზეზით მისი კარიერა თითქმის დასრულდა.[1]

1. ამას დაემატა არტურის სატრფიალო ისტორია მარიულუიზე ფონ ზუტნერთან, რომელმაც 1898 წელს წიგნში „ასე იქმნა ნათელი“ ეს ურთიერთობა საქვეყნოდ გაამხილა. წიგნი მიუძღვნა მის „ძვირფას ბიცოლასა და მასწავლებელს, ბერტა ფონ ზუტნერს“ (**Marie von Suttner, „Wie es Licht geworden!“, Verlag Pierson 1898**). ბერტამ დიდსულოვნად მიუტევა მეუღლეს, თუმცა არტურის კარიერა მაინც დასასრულს უახლოვდებოდა.

გამომცემლები უარს ამბობდნენ მისი ნაწარმოებების გამოქვეყნებაზე, აღარ იბეჭდებოდა მისი სტატიები, უარი უთხრეს რედაქტორის თანამდებობაზე, მარცხი განიცადა არჩევნებზე როგორც ლიბერალური პარტიის წევრმა. წარუმატებლობის ამ ჯაჭვმა მისი ჯანმრთელობა ისე შეარყია, რომ გაუმწვავდა მალარია და, ხანგრძლივი მკურნალობის მიუხედავად, 1902 წელს გარდაიცვალა. უნდა ვიცოდეთ: მას ეს დაავადება საქართველოში შეეყარა — მისი რომანის („იბერიელნი“) ერთ-ერთი გმირი ბარონი ვალტერი ისეთი სიზუსტით გადმოგვცემს დაავადების სიმპტომებს, ცხადი ხდება — ასე მხოლოდ იმას შეუძლია წერა, ვინც ეს ავადმყოფობა თავად გადაიტანა: „ვალტერს რაღაც უცნაურად ასტკივდა თავი. ასეთი რამ არასოდეს დამართია. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თავში ტვინის ნაცვლად ტყვია ჩაესხათ. ოთახში შესულს უცებ მთელ სხეულში ძლიერმა ციებ-ცხელებამ დაუარა. ალბათ გავციოდით, იფიქრა და სწრაფად მიაშურა საწოლს... მაგრამ საწოლში ციებამ უფრო უმატა და მალე ძლიერი ცახცახიც დააწყებინა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს დაუნდობლად ურტყამდა ვიღაც თავში ჩაქუჩს. შემდეგ ტემპერატურამ ისე აუწია, რომ ...ღრმა აგონიაში ჩავარდნილს.... რაღაც გიჟური, მომქანცველი მოჩვენებები დაეწყო — ნამდვილი ჰალუცინაციები!“[2]

არტურ ზუტნერის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან მხოლოდ 1884 წელს გაზეთ „Кавказ“-ში გამოქვეყნებული ნარკვევი იყო ქართულად თარგმნილი. ეს არის წერილების სერია „ვეფხისტყაოსანზე“, რომლებიც ქართულმა გაზეთებმაც გადაბეჭდეს; გაზეთმა „დროებამ“ გამოაქვეყნა არტურ ზუტნერის 6-ნაწილიანი ნარკვევების ციკლი, შემდეგ კი „ივერიამ“ — 40-გვერდიანი სტატია. მათ აქვთ დიდი სამეცნიერო ღირებულება. ეს იყო უცხოელი ავტორის ერთ-ერთი პირველი ნაშრომი რუსთველის შესახებ (გაზ. „დროება“, 1884, 30 ნოემბერი, 1, 4, 5, 8, 9 დეკემბერი; „ივერია“, 1884, ნომ. 11 და 12).

2006 წელს გამოქვეყნდა ქართულ ენაზე თარგმნილი მისი რომანი „აჭარლები“,[3] რომელშიც რუსეთ-თურქეთის ომისდროინდელი აჭარის ისტორიული, სოციალურ-პოლიტიკური და ეთნოგრაფიული ყოფაა ასახული. ავტორი ღრმა პატივისცემითაა გამსჭვალული მაღალზნეობრივი, კეთილშობილი აჭარლების მიმართ და დაწვრილებით აღწერს მათ ტრადიციებს: „აჭარლებისა და გურულების ეროვნული სამოსი კავკასიაში ყველაზე მოხდენილია: მოკლე, მომდგარი, მკერდზე გადახსნილი ზედატანი, რომელშიც ღია ფერის მოჟილეტომოპერანგო ხიფთანი მოჩანს. შარვალი თეძოებზე განიერია, ბარძაყებსა და წვივებზე კი მჭიდროდ შემოკვართული, წელზე შემოკრული კუშაგით — განიერი, ზოლიანი აბრეშუმის შარფით.... აჭარელთა მხედრული და მასობრივი ცეკვების... შესრულება კი დიდ სიმარდესა და სიფრთხილეს მოითხოვდა, რადგან მოცეკვავეები ალმასივით პირბასრ, წვეტიან ხანჯლებს ხან მკერდთან მიიტანდნენ ხოლმე, ხან კი საფეთქლებთან და ოდნავ უზუსტობასაც კი შეიძლებოდა მძიმე შედეგი მოჰყოლოდა“.[4]

ავტორმა კარგად იცის, რომ აჭარლები „წმინდა ქართული, ანუ ქართველური, ტომის“ ხალხია, მიუხედავად იმისა, რომ „ისლამი ხუთი საუკუნის მანძილზე განუწყვეტლივ ყოველ ღონეს ხმარობდა, ძალით გაეანადგურებინა ეს ძველი ეროვნული მეხსიერება. დღესაც მიწის ყოველი გოჯი, ყოველი მტკაველი აქ ქართველთა მკვიდრობაზე მოწმობს“. „მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში გამარჯვება ისლამს დარჩა. მას შემდეგ რაც ყოველივეს, რასაც კი ქრისტეს სახელი ერქვა, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს“.[5]

რომანში ცოცხლდება XIX საუკუნის 60-70-იანი წლების აჭარა, როდესაც ადგილობრივ მოსახლეობას გაუსაძლისი გადასახადები დააკისრეს. სწორედ ამ ადამიანთა ცხოვრების, სიყვარულისა და ბრძოლის, გამარჯვებისა და დამარცხების ისტორიას აღწერს ზუტნერი თავის რომანში. მწარალი მოუხიბლავს აჭარელთა შინაგანად კეთილშობილ, ამაყ, მართალ, ვაჟკაცურ და გმირულ ბუნებას. ამიტომაც ასეთი სიყვარულით ძერწავს იგი მშვენიერი თამარისა და სიმართლისმოყვარე ჯამბეკის, შურისძიების გრძნობით ანთებული ელიზბასა და მეგობრებისათვის თავდადებული ახმედისა თუ დარიას სახეებს. ესენი არიან „სულითა და ხორცით აჭარელი, ფართო გაგებით კი ქართველი“ პატრიოტები, რომლებიც „განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თავიანთ ძველქართულ წარმომავლობას“, რომლებიც „მზად იყვნენ სიცოცხლე გაეწირათ, რათა მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით მიღებული უფლებები მჩაგვრელებისაგან დაეცვათ“, თავდადებით ებრძოლათ უღირსი დამპყრობლის წინააღმდეგ, რომელიც მათ საუკუნეთა განმავლობაში „სისხლიან ცრემლებს ადენდა“, შეურაცხყოფდა მათ ეროვნულ სულს, ტრადიციებს, ფეხქვეშ თელავდა მათ ღირსებას.[6]

ჯამბეკი, ელიზბა და სხვა აჭარელი პატრიოტები სწორედ „ქვეყნის სიყვარულმა, მისი უმდიდრესი ისტორიისადმი მოწიწებამ“ დააპირისპი-

2. ზუტნერი ა., „იბერიელნი“ (თამაზ გვენეტაძის თარგმანი), ქუთაისი 2020, გვ.256

3.ზუტნერი ა., „აჭარლები“, (რუსუდან ღვინეფაძის თარგმანი), თბილისი 2006

4. „აჭარლები“, გვ.33

5. „აჭარლები“, გვ.7

6. „აჭარლები“, გვ.108

რა დამპყრობლებთან, თუმცა, სამწუხაროდ, აქა-იქ გამოერეოდნენ ხოლმე მოღალატეები, რომელთა მამოძრავებელი ძალა მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა იყო.

არტურ ზუტნერი მახვილი თვალის მწერალია. მას კარგად აქვს შემჩნეული და გადმოცემული აჭარელთა ერთი გამორჩეული თვისება: მშვიდობისმოყვარეობა და ჰუმანიზმი. აჭარელი ყველაზე მეტად მშვიდობას უფრთხილდება, ცდილობს ნებისმიერი საშუალებით მის შენარჩუნებას, თუმცა ომის შემთხვევაში არც ხიფათსა და ბრძოლაში თავდადებას გაურბის. ჯამბეკი ცდილობს ქვეყანაში გამეფებულ უსამართლობაზე, მექრთამეობაზე, უკანონობაზე თვალები აუხილოს შერიფ-ფაშას,[7] ჩააგონოს, რომ მძარცველ მოხელეთა დაუსჯელი პარპაში, ბოლოს და ბოლოს, საერთო-სახალხო აჯანყებას გამოიწვევს. მაგრამ მისი ყველა ცდა მარცხით მთავრდება, უფრო მეტიც, თავგასული, ხელშეუხებლობაში დარწმუნებული მოხელეები ადრინდელზე თავხედურად იქცევიან და დაუსჯელად აწიოკებენ მოსახლეობას. ჯამბეკის სახით მწერალი ხატავს კაცთმოყვარე, დიდსულოვან რაინდს, ვისაც ურჩევნია მოლაპარაკების, დამაჯერებელი არგუმენტების საშუალებით დაარწმუნოს მოწინააღმდეგე და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართოს იარაღს. „ვეფხისტყაოსნის“ გმირების მსგავსად, ჯამბეკს მეგობრები — ელიზბა და ახმედი ეხმარებიან სატრფო — თამარის დახსნაში, რომელსაც ავი, ხანში შესული ნათესავი ქალი რუსუდანი წვრთნის და დარაჯობს, ასმათობას კი სიკეთით აღსავსე დარია უწევს. რომანის ფინალი კეთილია: მიჯნურებმა ყველა დაბრკოლება გადალახეს და დაქორწინდნენ..[8]

რომანი „იბერიელნი“

2006 წლის შემდეგ არტურ ზუტნერის სახელი ქართულ პუბლიცისტიკაში მივიწყებას მიეცა. 2019 წლის სექტემბერში ვენის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივში ხანგრძლივი ძიების შემდეგ მივაგენი არტურ ზუტნერის ხელნაწერს. ესაა რომანი „იბერიელნი“. ხელნაწერი 120 წლის განმავლობაში დიდი მზრუნველობით ინახებოდა ისე, რომ ადამიანის ხელი არ შეხებია. არც ისე ადვილი აღმოჩნდა, მისი პირველი მკითხველი გავმხდარიყავი. ხელნაწერს ჯერ საფუძვლიანი რესტავრაცია ჩაუტარდა და მხოლოდ 2020 წლის დასაწყისში მივიღე ნაწარმოების ელექტრონული ვერსია. მისი წაკითხვის შემდეგ კიდევ უფრო მეტად განმიმტკიცდა აზრი, არტურ ზუტნერის შემოქმედება, მათ შორის ხსენებული რომანიც, უსათუოდ უნდა ითარგმნოს ქართულად. ჩემს ამ თვალსაზრისს უმთავრეს საფუძვლად ედო ის ფაქტი, რომ ავსტრიელი მწერლის შემოქმედებაში ჩვენი სამშობლო ერთმნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი როგორც ევროპული ფასეულობების მქონე ქვეყანა.

რომანი გადაგიყვანთ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში და მაშინდელი ყოფა-ცხოვრების ორომტრიალში ჩაგრთავთ. იგი სავარაუდოდ, 1881-1883 წლებში შეითხზა, რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ. რომანი დაწერილია უმშვენიერესი კალიგრაფიით ე. წ. კურენტის ხელწერით, გაკრული, გაქცეული ხელით (ლათ. currere — გაქცევა). სავარაუდოა, რომანი სხვა პიროვნებამ გადაწერა, ვინიდან ეგ ხელრთვა მკვეთრად განსხვავდება ა. ზუტნერის ხელწერისაგან.

აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ რომანი გარკვეულწილად ისტორიულია — მისი უმთავრესი მიზანია მაშინდელ საქართველოში არსებული მდგომარეობის წარმოსახვა. მასში აღწერილია რეალური ისტორიული პიროვნებები და ფაქტები, უცხოელის თვალით დანახული გეოგრაფიული, ეთნიკური და კულტურული რეალიები. ეს არის, ისევე როგორც მისი რომანების უმეტესობა, რეალობის მხატვრული ინტერპრეტაცია. მკითხველი ადვილად გაავლებს პარალელს მე-19 საუკუნის ეროვნული მოძრაობის გმირებსა და ჩვენი უახლესი ისტორიის გმირებს შორის. მათში იპოვით მეოცნებე დისიდენტს, „გამჭრიახ“ პოლიტიკოსს, აგენტების მთელ არმიას და პრაგმატულ მოსახლეობას — რომანის ქართველ პერსონაჟთა გარკვეული ნაწილის ეროვნული ცნობიერება კოლონიური პოლიტიკის შედეგად იმდენად დეგრადირებულია, რომ ისინი საკუთარ თავს იმპერიის ნაწილად მოიაზრებენ.

ნაწარმოები იწყება იმის აღნიშვნით, რომ თბილისში, არსენალის დასახლებაში, მდებარე რუსული სამხედრო ბაზიდან ზარბაზნების ზალპით აღნიშნავენ რუსეთთან შეერთების დღეს. მისი „ქუხილის ხმა ყრუდ გადმოუფრენს ხოლმე ქალაქს და შემდეგ გუგუნით იკარგება მთპირდაპირე მხარეს წამოყუდებულ მთებში“.[9]

რომანის მთავარი გმირი ითანე დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ლიდერის იდეალიზებული სახეა. სიმბოლურია, რომ მან ევროპაში მიიღო განათლება და თავისუფლებისმოყვარე ერების სულისკვეთებითაა გამსჭვალული. მას გვერდით უდგას

7. XVIII საუკუნის ბოლო წლებში აჭარა ექვემდებარებოდა ახალციხის ფაშას, ათაბაგ შერიფ-ფაშას

8. მაჭახაძე შ., პირველად იყო სიტყვა, ბათუმი 2019, გვ. 268

9. „იბერიელნი“ გვ.6

ჩვენს ქვეყანაზე შეყვარებული ავსტრიელი მეგობარი, პროფესიით ექიმი ბარონი ვალტერ ფონ როდენფელზი. ამ პერსონაჟად ავტორი, საგარაუდოდ საკუთარ თავს მოიაზრებს.

იოანესაგან განსხვავებით, რუსიფიკაციის ფაქტს შერიგებია და ბედს დამორჩილებია იბერიელთა დინასტიის სამეფო ტახტის უკანასკნელი მემკვიდრე ვახტანგი. ქვეყანაში ტოტალიტარული რეჟიმი სუფევს. აქ „კედლებსაც კი ყურები აქვს გამობმული! მოღალატეებს ... კარგად უხდიან ფულს და ... დიდ პატივშიც ჰყავთ“.[10]

რომანის მაგისტრალური ღერძია ორი ეროვნული თვალთახედვის შეპირისპირება, ორი, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული, თვალსაზრისის ჭიდილი.

იოანე: „...ოქროთი მოკირწყლული შარაგზა დაგიგეს წასასვლელად. ეს ხომ ცნობილი, საუკეთესო საშუალებაა, რათა ხალასი სისხლი წაახდინო, ისიამოვნო, დატკბე ცხოვრებით, უკანასკნელ წვეთამდე დაცალო სიამოვნების თასი, შემდეგ კი, როდესაც სულითა და ხორცით მოტყდები, ჩვენთვის საშიში აღარ იქნები!“[11]

ვახტანგი: „იქ, სადაც შენ სწავლობდი, გერმანიაში, ადამიანებს შესწევთ უნარი, აღფრთოვანდნენ ერთი საერთო იდეისათვის და ერთად წამოიშალონ საბრძოლველად, როდესაც დროშას დაეწერება სიტყვა „სამშობლო.“ მაგრამ ჩვენთან ახლა რა ხდება? აბა, შეეცადე, ჩვენები გააერთიანო და გადააწყვეტინო, მიატოვონ სახლი, ბავშვები, თანამდებობა და შენ დაგიდგნენ გვერდით! ნახე ერთი, ახლა ყველას თანამდებობა აქვს, გვარის დამსახურებიდან გამომდინარე, იმ ადგილის შესაბამისი, რაც მათ საზოგადოებაში უკავიათ! ისინი ნებაყოფლობით ჩადგნენ უცხოელთა სამსახურში და ამისთვის გასამრჯელოს იღებენ...“[12]

ქართველ დიდგვაროვანთა არაერთსულოვან პოზიციას კარგად იყენებენ უცხოელი აგენტები, რომლებიც გამუდმებით რუსული კონტრდაზვერვის მეთვალყურეობაში იმყოფებიან. თურქეთის აგენტი იტალიელი მორეტი იბერიელთა სამეფო ტახტის მემკვიდრეს ვახტანგს, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გეგმას ამგვარად აცნობს: „საქართველოში ჩემი ჩამოსვლის მიზანია პირადად თქვენთან ხელშეკრულების გაფორმება და თქვენი დაყოლიება ჩვენთან თანამშრომლობაზე!.. საქმე ეხება თქვენი სამეფო გვირგვინის დაბრუნებას. თქვენი ისტორიული მოვალეობაა, წინაპრების დაკარგული სამეფო ტახტი დაიბრუნოთ, თქვენს ქვეყანას აღუდგინოთ დამოუკიდებლობა და ის გამოიყვანოთ გავერანებული და გაღატაკებული პროვინციის მდგომარეობიდან... ჩვენ ფარულად ევროპა გვიმაგრებს ზურგს...“[13].

ხომ არ გახსენდებათ 1990-იანი წლების დასავლეთის პროპაგანდა, რომელიც „ბოროტების იმპერიის“ დასანგრევად მოგვიწოდებდა და დამოუკიდებლობის აღდგენას აღგვიქვამდა?

რასაკვირველია, თურქეთის დახმარებით რუსეთის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მაშინაც კი მხოლოდ მოსაზრების დონეზე არსებობდა და სინამდვილეში მორეტისა და მისი თანამოაზრეების პროვოკაციულ გეგმებს ემსახურებოდა. ვახტანგის პირველი რეაქცია: „მე რუსეთის ქვეშევრდომი გახლავართ და იმ მთავრობას, რომელიც მე მიცავს, ერთგულება შევფიცე. მე სიტყვის კაცი ვარ!“[14].

მორეტი უკან არ იხევს და ტახტდაკარგულ მეფეს მის მიერ ჩამოტანილ ოფიციალურ დოკუმენტებს აწვდის, რომლებიც იუწყებიან, რომ ოტომანების მთავრობა რაიდ მორეტის უფლებამოსილებას ანიჭებს, საგანგებო დავალებები შეასრულოს თურქეთის მთავრობის სახელით: „ვახტანგს ფიქრების მეწყერმა გადაუარა. ერთის მხრივ ცდუნება — დამოუკიდებლობისა და პატივის ბრწყინვალე იმედი, მეორეს მხრივ, კი — მოვალეობა, ერთგულება, რომელიც მან ქვეყნის მთავარმართებელს შეფიცა“[15]

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ფონზე ავტორი ფრიად ორიგინალურად წარმოაჩენს საქართველოს ისტორიულ და იმჟამინდელ მდგომარეობას. უცხოელ აგენტთა ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელის (მორეტის) უმთავრესი მიზანია რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად დიდი ფინანსური მოგების მიღება!

სწორედ ამ მიზნით უკავშირდება ის თავდადებულ ქართველ პატრიოტებს. მორეტის ცბიერ დაპირებებს გულწრფელად მინდობილნი იოანე და ვახტანგი გულუბრყვილოდ იყვნენ დარწმუნებული, რომ თურქეთისა და ევროპის სახელმწიფოთა აქტიური დახმარებით ჩვენი ქვეყანა მართლაც შეძლებდა საუკეთესო დამოუკიდებლობის აღდგენას[16].

არსებულ მდგომარეობას კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს ანიჭებს ის გარემოება, რომ მორეტი და მისი თანამოაზრე ევროპელი და თურქი ავანტიურისტები თავიანთი მზაკვრული გეგმების განსახორციელებლად ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებენ ჩვენი რეგიონის მოსახლეობის ეთნიკურ უმცირესობებს. ისინი განსაკუთრებული ძალისხმევით ცდილობდნენ რელიგიური შუღლის გაღვივებასა და მოსახლეობის გაყოფას ორ დაპირისპირებულ ბანაკად: ქრის-

10. „იბერიელნი“ გვ.8
11. „იბერიელნი“ გვ.10
12. „იბერიელნი“ იქვე
13. „იბერიელნი“ გვ.94
14. „იბერიელნი“ გვ.95
15. „იბერიელნი“ გვ 96
16. პროფ. ა. ნიკოლეიშვილი, რომანის ბოლოსიტყვაობა

ტიანებად და ისლამისტებად. „ისლამის მიმდევარი ხალხი: ქურთები, ლეზგები, ავარები, ჩეჩნები და მათი მსგავსი ჯამაათი ერთმორწმუნე თურქეთს უჭერდა მხარს. საკმარისი იყო ვინმე გაწაფული ემისრის მიერ გაჩენილი პატარა ნაპერწკალიც კი, რომ ეს ტომები ერთ დიდ ძალად გაერთიანებულიყვნენ“[17]. „თბილისში ლეზგების[18] სისასტიკის შესახებ ისეთ ამბებს ავრცელებდნენ, რომ თმა ყალყზე დაგიდგებოდა. ბარის ხალხი ტყვეებად წაუსხამთ, შემდეგ ნავთი გადაუსხამთ და დაუწვავთ, სხვებისთვის ცხვირი და ყურები მოუჭრიათო. ერთი სიტყვით, არაადამიანურად ეპყრობიან ტყვეებსო“[19].

არეულობის გამოსაწვევად „ქვეყანას ათასი ჯურის მაწანწალა შემოესია: მათხოვრები, უსახლკაროები, ხეიბრები — ისინი საძმოებად გაერთიანდნენ და თბილისის შემოგარენში საეჭვოდ დაიწყეს ხეტიალი. როგორც კი ხელსაყრელ მომენტს დაიგულავდნენ, ისინი ქურდობდნენ და ყაჩაღობდნენ, საჭიროების შემთხვევაში კი არც მკვლელობაზე ამბობდნენ უარს“[20]. სამეგრელოში მათხოვრობას ცხენების ქურდობაც დაემატა.

„წყლის ასამღვრევად“ აგენტები საფრანგეთში მცხოვრები ცნობილი ქართველი ლიდერის სახელით ყალბ ინფორმაციებს ავრცელებენ და არაფერზე იხევენ უკან. „საბრალო იოანეს ხშირად ეჭვიც კი ეპარებოდა ამ ინფორმაციების სინამდვილეში. ის იმ რეზინის ბურთს დაემსგავსა, რომელიც მიწას ენარცხება და ხან მარჯვნივ, ხან მარცხვნივ, ხან კი წინ სხლტება იმისდა მიხედვით, თუ რა მიმართულებას აძლევს მას თამაშის წამყვანი. მაგრამ მან ნამდვილად არ იცოდა, ვინ იყო ეს წამყვანი!“[21].

კომუნიკაციის უქონლობის გამო იოანე ვერ ახერხებს ამ ინფორმაციების გადამოწმებას და საბოლოოდ საინფორმაციო ვაკუუმის მსხვერპლი ხდება — თურქეთის აგენტურა მისი სახელით ავრცელებს პროკლამაციას, რომელიც მოსახლეობას რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოუწოდებს. ამით იოანეს უკან დასახევი გზა აღარ დარჩენია და იძულებულია უთანასწორო ბრძოლაში ჩაებას.

საინტერესოა ხალხის პოზიცია: „თავისუფლების იდეას სიტყვით ყველა იზიარებდა და სამშობლოსადმი სიყვარულს გულზე მჯიღის ცემით იფიცებდა, მაგრამ ყველაფერი ამით მთავრდებოდა. ეს ყველაფერი მათ მომავლის საქმედ მიაჩნდათ — იქნებ ოდესმე ისე მოხდეს, რომ შემწვარი მტრედები პირდაპირ ციდან ჩაგვიფრინდეს პირშიო!“[22].

„იოანეს სულ სხვაგვარად წარმოედგინა სამშობლოს თავისუფლება. ის ამაზე ჯერ კიდევ გერმანიაში სწავლის დროს ოცნებობდა, როდესაც მისი თანაკურსელები იმ პერიოდზე საუბრობდნენ, როცა მათმა მამებმა იარაღი აისხეს და გამათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაებნენ! ამ ქვეყანაში მხოლოდ ერთხელ გაისმა მოწოდება, რომელიც საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, დიდი და პატარა რომ გაერთიანებულიყო და აღფრთოვანებით ჩაბმულიყო თავისუფლებისათვის ბრძოლაში!“[23]

სამწუხაროდ, ეროვნული იდეალებისათვის მებრძოლი გმირი ამ წარმოდგენის მსხვერპლი ხდება. საინტერესოა რომანის XIV თავი: ყველაფერში ხელმოცარული იოანე თანამებრძოლების მცირერიცხოვან რაზმთან ტყე-ღრეს აფარებს თავს. საბოლოოდ იგი თავისივე რაზმელების მიერ გამიზნულად ნასროლი ტყვიებით ამთავრებს სიცოცხლეს.

„მეორე დილით, სიცივისაგან აკანკალებულები და შიმშილით დაუძლურები გამოძვრნენ ბუჩქებიდან და მაშინვე გაურკვეველი მიმართულებით წალასლასდნენ. უეცრად დასახლება შეამჩნიეს და მიუახლოვდნენ. პატარა სოფლის შესავლელთან აღმოჩნდნენ. იოანემ რაზმთან მოლაპარაკება გადაწყვიტა, მაგრამ შიმშილისგან სიკვდილის პირას მისული მებრძოლები ამდენი ხნით მოცდას არ აპირებდნენ — მათ ბუხრიდან ამომავალი კვამლის დანახვაზე ჭკუა გადაეკეტათ და სოფელზე თავდასხმა გადაწყვიტეს. მათთვის უკვე სულ ერთი იყო, იქ მტერი ცხოვრობდა თუ მოყვარე...

იოანემ სახლის შესასვლელთან მისვლა ყველას მიასწრო, ხანჯალი იშიშვლა და საკუთარ რაზმელებს მიუღირა: — აბა, გაბედეთ და მომიახლოვდით!

ამ დროს სახლიდან გასროლის ხმა გაისმა. მომხვდურთა საპასუხო გასროლებმა გაიწივლა ჰაერში... იოანე წაბორძიკდა და მუხლებზე დავარდა... სისხლის ნაკადულებით იღებებოდა მისი ჩოხა. ის კი ამღვრეული თვალებით ლაჟვარდოვან ზეცას მისჩერებოდა... თანამებძოლთა ტყვიებით დაცხრილულმა იოანემ აუტანელი ტკივილი იგრძნო. გატანჯულ სახეზე მწარე ცრემლები ჩამოუცვივდა“ [24].

იბერიელთა სამეფო ტახტის მემკვიდრე ვახტანგი გვიან ხვდება, რომ თურქეთის დახმარებით სამეფო ტახტის დაბრუნება მხოლოდ ილუზიაა. ის ხომ მთელი თავისი აქტიური ცხოვრება თურქეთის, როგორც ჩვენი ქვეყნის დაუნდობელი მტრის, წინააღმდეგ იბრძოდა, ახლა კი სწორედ ამ ქვეყნის მეშვეობით ცდილობს საქართველოს ძლიერების აღდგენასა და სამეფო გვირგვინის დაბრუნებას! პიროვნული ამბიციებიციების გამო მან გამოუსწორებელი შეცდომა

17. „იბერიელნი“ გვ.173

18. ლეზგები — უმთავრესად დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთში და აზერბაიჯანის სასაზღვრო რაიონებში მცხოვრები ხალხი, მდინარე სამურის ტერიტორიაზე, მათი რაოდენობა 800.000-მდეა, მორწმუნე ლეზგები მუსლიმან-სუნიტები არიან.

19. „იბერიელნი“, გვ.227

20. „იბერიელნი“, გვ.173

21. „იბერიელნი“, გვ.174

22. „იბერიელნი“, გვ.176

23. „იბერიელნი“, გვ.175

24. „იბერიელნი“ გვ.283

დომა დაუშვა: „გამოუტყდა ვახტანგი თავს, რომ მეფობაზე ფიქრი მხოლოდ მისი პატივმოყვარეობით იყო გამოწვეული, რაც ზოგჯერ მოსვენებას არ აძლევდა. ეს იყო ეგოიზმი, მიზეზი ბევრი ავისა ამ ქვეყანაზე!“[25]

რომანის ავტორი სიუჟეტს განუკურნებელი სენით დაავადებული ვახტანგის გარდაცვალების სცენით ამძაფრებს — მან სამეფო კვერთხი მომავალს უნდა გადააბაროს: „ჩვენი დრო გასრულდა, მეგობარო! გამოფუღურებულ მუხას ვერ გააცოცხლებ, მშვიდად სიკვდილი უნდა აცალო, რათა მან ახალ, უცხო ყლორტებს დაუთმოს ადგილი, რომლებიც დაბერებულ ფესვებს შორის მიისწრაფიან მისი ადგილის დასაკავებლად!“[26]

ეს ის დროა, როცა საქართველოში მყოფი ზუტნერები აქ მყარად დამკვიდრებას აპირებენ. ამისათვის კი ქვეყნის ხელისუფლებისადმი ლოიალური დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ. ამ ფაქტორმა არტურის ხსენებულ პუბლიკაციებზეც მოახდინა გარკვეული ზეგავლენა, რამაც მოვლენათა მისეულ, პრორუსულ გაშუქებაშიც პოვა გამოვლინება. ავსტრიული გაზეთის რედაქციამ ხსენებულ ომთან დაკავშირებული მისი წერილების გამოქვეყნებაზე ამის გამო უარი განაცხადა. თავდაპირველად ავსტრიული გაზეთი „Neue Freie Presse“ მის წერილებს მადლიერებით აღსავსე ბეჭდავდა, მაგრამ შემდეგ მისი კორესპონდენციები თანდათანობით მეტისმეტად პრორუსული გახდა, თანაც გაზეთი თურქებისკენ გადაიხარა და ამიტომ უარი უთხრა თანამშრომლობაზე. ეს ზუტნერების ოჯახისათვის დიდი ფინანსური დანაკარგი იყო.

ეკატერინე ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ (1882) ისინი დიდ გაჭირვებაში აღმოჩნდნენ, ამიტომ არტურ ზუტნერს ეპოქის ისტორიული რეალობა რუსეთისადმი ტენდენციურად მიკერძოებული თვალთახედვით აქვს წარმოსახული[27]. ის ხოტბას ასხამს რუსეთის მეფისნაცვლებს — ვორონცოვს, მურავიოვს, ბარიატინსკის და მიხეილ რომანოვს, რომელთა წყალობით „უმნიშვნელო აზიური ქალაქი თბილისი დიდ მეტროპოლად გადაქცევის გზას დაადგა, სადაც უნდა აყვავებულიყო ვაჭრობა, ინდუსტრია, ხელოვნება, მეცნიერება და საყოველთაო გართობა... ვორონცოვის ძეგლი დღესაც ამშვენებს თბილისის მთავარი ხიდის წინა მოედანს. ყველა გამვლელმა ქუდი უნდა მოიხადოს ამ კაცის წინაშე, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა და შესაძლებლობა, ასევე მთელი ქონება, ერთ მიზანს შესწირა — პირნათლად შეესრულებინა მისთვის მინდობილი დავალება!“[28]

25. „იბერიელნი“, გვ.180
26. „იბერიელნი“ გვ.10
27. იხ. თარგმანის ბოლოსიტყვაობა, რომელიც ეკუთვნის პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილს

მწერლის თვალსაზრისით, „შედარება აღარ იყო იმ დროსთან, როდესაც თურქები და სპარსელები განუწყვეტლივ აწიოკებდნენ ამ მხარეს. ის დროც წავიდა, როდესაც ეს ქვეყნები, გარეშე მტრებთან ბრძოლას რომ მორჩებოდნენ, ერთმანეთს აგლეჯდნენ მუსრს!“ ... „გადასახადებიც არცთუ ისე მძიმედ აწვა ხალხს, ზოგიერთი ღატაკი პროვინცია მთლიანად იყო გათავისუფლებული ყოველგვარი გადასახადისაგან“[29]. თვითონ ვახტანგიც კი მრავალჯერ გამოუტყდა საკუთარ თავს, რომ მისი სამშობლო „არცთუ ისე სავალალო მდგომარეობაში იყო და რომ მისი დამოუკიდებლობის იდეები მეტნაკლებად პირად ეგოისტურ შეხედულებებს ეფუძნებოდა“[30].

არტურ ზუტნერის აზრით, სწორედ ზემოთქმულ გარემოებათა პირდაპირი შედეგია ის გარემოება, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის მიმდინარე ამ ომში თურქეთმა და მისმა მხარდამჭერმა ევროპულმა ძალებმა, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერაფრით შეძლეს რუსეთის მიერ დაპყრობილ არარუს მოსახლეობაში პროთურქული სულისკვეთების გაღვივება და ანტირუსული მოძრაობის აღზევება.[31.]

არტურ ზუტნერის ხაზგასმით, ზემოაღნიშნული გარემოების მიუხედავად, ქართველი ხალხის დიდმა უმრავლესობამ მაინც შეძლო ეროვნული და ენობრივი თვითმყოფადობის მტკიცედ დაცვა და მყარად შენარჩუნება. ამით აღფრთოვანებული ვალტერი კი ქართველებს შემდეგ საბოლოო შეფასებას აძლევს: „თქვენ ბრწყინვალე მოდგმის ხალხი ხართ! მინდა ჩემი ევროპული „მე“ ჩამოვიშორო და დავმარხო, რათა შემდეგ მკვდრეთით აღვდგე როგორც ერთ-ერთი თქვენი თანამემამულე“.

ეს სიტყვები ამავდროულად რომანის რეზიუმეცაა!

ფრიად სიმბოლურია ვახტანგის დის, თამარის სახე. „ზუსტად შვიდასი წლის წინათ თამარის დიდი სეხნია, მათი წინაპარი განაგებდა საქართველოს. მაშინ ჰყვაოდა სამეფო, მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე;

28. „იბერიელნი“, გვ. 220-222
29. „იბერიელნი“, გვ. 221
30. „იბერიელნი“, გვ. 225
31. არ დაუფასა მეფის რუსეთმა ზუტნერებს ეს თავგანწირვა — მათი ბიოგრაფი ბრიგიტა ჰამანი კიდევ ორი წარუმტებელ პროექტს გვამცნობს: 1. არტური შეეცადა გერმანული სასოფლო-სამეურნეო კოლონიის დაარსებას ზუგდიდის მახლობლად და მეგრელებისათვის მიწის კულტივირების ევროპული ყაიდის სწავლებას. სამეგრელოს პრინცმა ქართული, რუსული და მეგრული ენების უცოდინარობა დაუწუნა, რუსეთის გუბერნატორი კი მიწების შესასყიდ ფასზე მორიგება შემოუთვალა. პროექტი ვერ განხორციელდა უსახსრობის გამო (B.Hamann, Einleben für den Frieden, Zürich, გვ. 66): 2. 1883 წელს ზუტნერებმა ავსტრიის მთავრობას შესთავაზეს თბილისში ავსტრიის საკონსულოს დაარსება და არტურის კონსულის თანამდებობაზე დანიშვნა. გეგმა მოსალოდნელი ხარჯების გამო ავსტრიის მხარემ უარყო (ბ. ჰამანი, გვ.85).

მან დაძლია მტრები, დაიმორჩილა და მოათვინიერა ურჩები; ხელოვნება და მეცნიერება ჩქეფდა ყოველ კუთხეში; ქვეყანას ისტორიული ღირებულება ჰქონდა და დიდ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზაზე იდგა. შემდეგ გაჩაღდა ომები ძმებს შორის, დადგა დაუნდობლობისა და სისხლისღვრის ჟამი, მაგრამ სამეფო დინასტია მაინც შენარჩუნდა — სანამ ბოლო მეფემ, ბაბუის ძმამ, უცხო ქვეყნის პროტექტორატი არ მიიღო"[32](გვ.97).

რასაკვირველია, ამას მოითხოვს რომანის სიუჟეტი. მას ფარულად ეტრფის ბარონი ვალტერი. „არც სიყვარულის ღმერთი ამურია კარგი ჩუბინი, ისე ტყორცნის ხოლმე ისარს, რომ სამიზნეს დიდი მოშორებით გადაუფრენს თავზე, მაგრამ მტრისას, თუ ვინმე თვალში ამოიჩემა. ის არაფრით დათმობს ბრძოლას. პირველი ისარი მიზანს ასცდა, მეორეც და მესამეც, მაგრამ უეცრად მეოთხე ისარი პირდაპირ შუაგულში ჩაარჭო. როდესაც გული აცახცახდება, ამით ამური ხვდება, რომ მიზანში მოარტყა! ის მალული გახედვა, ვალტერმა შემკრთალი და ჟრუანტელ დავლილი მზერა რომ მიაგება, სწორედ ეს მეოთხე ისარი იყო! ვის შეუძლია, ახსნას ის მაგნიტური საიდუმლო, რომელიც უეცრად ორ სხვადასხვა ადგილას ნაპერწკლებს აღვივებს, იქ, სადაც აქამდე წყვდიადი სუფევდა?"[33] (გვ.144).

ვალტერის მხატვრული სახე საინტერესო იმ თვალსაზრისითაცაა, რომ მწერლის მიერ წარმოსახული ეს პიროვნება სიმბოლურად განასახიერებს ქართველთა ისტორიულ სიახლოვეს გერმანულენოვან სამყაროსთან. კერძოდ, როგორც ავტორისეული მონათხრობიდან ვგებულობთ, ქართველთა სამეფო ტახტის უკანასკნელი წარმომადგენლის — ვახტანგის — გარდაცვალების შემდეგ ვალტერი ცოლად ირთავს თამარს. ამ ფაქტს მწერალი, სავარაუდოდ, სიმბოლურ დატვირთვასაც სძენს და მისი მეშვეობით იმაზეც მიგვანიშნებს, რომ მართალია, ეროვნული მოძრაობა დამარცხდა, მაგრამ სიყვარულმა გაიმარჯვა. ავსტრიელ კაცზე ქართველი ასულის დაქორწინებით კი შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ მწერალი თავისუფლების იდეის უკვდავებასაც უსვამს ხაზს სიმბოლურად და ოპტიმისტურად იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ხსენებული სიყვარულის პერსპექტივა მომავალში ჩვენი ქვეყნის თავისუფლების საწინდარიც იქნება!

„დისკუსიის" მკითხველებს უთუოდ დააინტერესებს მეგრული თემატიკა რომანში „იბერიელნი". ავტორი მესამე თავის დასასრულს მოგვითხრობს მოხუც ნესტორზე. ის ყოფილა „სამეგრელოს დიდებული ისტორიის ნაწილი", რომელიც არ ურიგდება არსებულ წყობილებას. „ბერიკაცი ამას წინათ ძლიერ დაშავდა. ახლა თითქმის უმოქმედოდაა საწოლში ჩაგარდნილი. ვშიშობ, რომ მისი გადარჩენა აღარ მოხერხდება, მაგრამ მისი შთამომავლები ვალდებული არიან, რომ ყველაფერი იღონონ, რისი გაკეთებაც შეიძლება, და შეეცადონ, ეს ძვირფასი სიცოცხლე შეინახონ" — იოანე ვალტერს სამეგრელოში გამგზავრებას და მის მკურნალობას სთხოვს. ნაწარმოების მეოთხე თავი მთლიანად სამეგრელოსა და მის წეს-ჩვეულებებს ეძღვნება.

მოგზაურობა სენაკიდან ზუგდიდში

(გვ.56 – 82)

მატარებლით ათსაათიანი მგზავრობის შემდეგ იოანე და ვალტერი ახალი სენაკის სადგურში ჩადიან[34]. „აქაური პატარა დასახლების თავკაცებს უყვართ მატარებელის დახვედრა, რომელიც ამ სადგურში დღეში მხოლოდ ორჯერ ჩერდება. აქ...სადგურია თავის შესაქცევი ადგილი. ამვლელ-ჩამომვლელ მატარებელში უსათუოდ აღმოჩნდება ვინმე ნაცნობი, რომელთანაც ორიოდე წუთით მასლაათს გააბამენ ხოლმე".

საინტერესოა მეგრული „მასლაათის" ავტორისეული ინტერპრეტაცია: მეგრელებს „სურთ, სიახლეების დაუსრულებელი მარაგი ერთი სულის მოთქმით გაუცვალონ ერთმანეთს. წარმოვიდგინოთ, რომ გუშინ საღამოს ორმა ძმამ ერთმანეთს „ღამე მშვიდობისა" უსურვა და დაიძინა. შემდეგ დილამდე იმდენი სათქმელი დაუგროვდებათ, რომ მათ შემხედვარე საქმეში გაუცნობიერებელ უცხოს შიშიც კი შეიპყრობს"[35].

მხცოვანი ნესტორი გარდაცვლილი დახვდათ. იოანე და ვალტერი აქაური თავადაზნაურების წინამძღოლთან, მარშალთან[36], მიიწვიეს სავახშმოდ. „სტუმართმოყვარეობა ქართველთა ერთ-ერთი ყველაზე საპატიო მოვალეობაა...

32. „იბერიელნი", გვ.97
33. „იბერიელნი", გვ.144

34. 1871 წელს დაიწყო ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობა. სხვადასხვა მიზეზთა გამო, რკინიგზის სადგურის აშენება გადაწყდა თეკლათში, დღევანელი სენაკის ტერიტორიაზე. სადგურის მშენებლობამ განაპირობა ქალაქური ტიპის დასახლებული პუნქტის წარმოქმნა ახალ ადგილას, რომელმაც უპირატესობა მალე წაართვა ძველ სენაკს.

35. „იბერიელნი", გვ. 57

36. თავად-აზნაურთა წინამძღოლი (მარშალი) - არჩევითი თანამდებობა 1803 წლიდან. მათ უფლება ჰქონდათ თავადაზნაურობის საჭიროებისათვის ეშუამდგომლათ მაშინდელ უმაღლეს ორგანოებში. საინტერესო ინფორმაცია მომაწოდა ბატონმა მერაბ კეზევაძემ: სენაკის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი 1868 წლიდან 1878 წლის ჩათვლით (შეიძლება შემდეგაც) ყოფილა შტაბს-კაპიტანი, თავადი ალექსანდრე ხუტუს ძე ფადავა,დაბადებული იყო 1812 წელს. იყო რუსეთ-თურქეთის 1828-1829, 1853-1856 წლების ომის მონაწილე. დაჯილდოებული იყო წმ. ანას მეოთხე და წმ. სტანისლავის მესამე და მეორე ხარისხის ორდენებით.

შეგიძლია შეხვიდე ნებისმიერ ეზოში — ერთი შეხედვით შეიძლება იფიქრო, რა ღარიბულადაა ეს სახლ-კარი მოწყობილიო, დიახ, აქ ღარიბი ადამიანის ოჯახი ცხოვრობს. მთელი მისი ავლა-დიდება რამდენიმე ქათამი ან იხვია, და, თუ ოდნავ აქვს საშუალება, კიდევ ერთი ბატკანი, რომლებსაც თვალის ჩინივით უფრთხილდებიან, რადგან მომავალ დღესასწაულზე დასაკლავად სჭირდებათ. მომავალზე ფიქრს მაშინვე ანებებენ თავს, ვინაიდან სტუმართმოყვარეობის მოვალეობა წმიდათაწმიდაა... ასეა აქაური წესი და კანონი და, დამიჯერეთ, ამ თვალსაზრისით ქართველებმა ევროპელებს გაკვეთილები უნდა ჩაგვიტარონ“[37].

თავადაზნაურთა წინამძღოლის — მარშლის სუფრაზე საჭმელ-სასმელი განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, საუბრობდნენ ფრანგულად,მიირთმევდნენ შამპანურს; ვახშმის დასასრულს კი შავი ყავა და ძვირფასი სიგარები ჩამოატარეს. სტუმარს მეორე დღეს ზუგდიდის ჩრდილოეთით მდებარე ერთ-ერთ სოფელში ნესტორის დაკრძალვაზე წასვლა შესთავაზეს. ისიც მაშინვე დასთანხმდა აქაური წეს-ჩვეულებების გაცნობის მიზნით. მეგობრებს დროებით გამოემშვიდობნენ და სასტუმროსაკენ გასწიეს.

„სასტუმრო, სახელად რომ „ჰოტელი“ დაერქმიათ, დაფეხვილი ფიცრული ბარაკი აღმოჩნდა. სადღა იყო კომფორტი, რომელსაც, როგორც წესი, ამ სახელის მატარებელ შენობებში ნახავთ! მოგზაურებმა ბოლო დარჩენილი ოთახი დაიკავეს. ოთახში საწოლების ნაცვლად ორი ტახტი იდგა. ..ბასრ კიდეებიანი და ქვასავით მაგარი, უბრალო ფარდაგგადაფარებული. თეთრეული კი არსად ჩანდა...

დილით რომ გამოეღვიძა, ყოველი კუნთი ტკიოდა, თითქოს ვინმეს კარგად მიებეგვოს.

ვალტერი სასწრაფოდ წამოდგა ქვასავით მაგარი ტახტიდან. პირის დაბანაც შეუძლებელი აღმოჩნდა, ვინაიდან, როდესაც წყალი მოითხოვა, მოსამსახურემ ერთი საათის ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა თეფშით შემოუტანა ერთი ჭიქა წყალი...“[38]

აღსანიშნავია, რომ ამ ამბავს ბერტას მემუარებშიც ვხვდებით.

ნაწარმოებიდან ვიგებთ, რომ სენაკიდან ზუგდიდამდე მგზავრობა ექვსი საათი გრძელდებოდა. ხაზზე რეგულარულად მოძრაობდა ორი სამგზავრო ეტლი — ფილიპური[39]. ისინი რკინიგზის სადგურს სამეგრელოს ცენტრთან — ზუგდიდთან — აკავშირებდა. მოხუცი მარშალი და სტუმრები ფაეტონში ჩასხდნენ, ამალის ორმოცამდე წევრი კი ცხენებზე ამხედრდნენ.

„გაიარეს ის ადგილი, სადაც რამდენიმე წლის წინათ სამეგრელოს უღრანი ტყე შრიალებდა. დღეს აქ სიცარიელეა — მხოლოდ განაკაფი ახოები და გადამწვარი ადგილები, ასევე დატბორილი მდელოები, რომლებშიც ერთმანეთზე უწესრიგოდ ახორიალებული ხეები ლპება. შემდეგ მოგზაურები ახლახალ გარემონტებულ, ერთ ისტორიულ ხიდთან[40] მივიდნენ, რომლის გავლა ისე სახიფათო ეჩვენათ, რომ პირადი უსაფრთხოების მიზნით ბორანში გადაჯდომა ამჯობინეს და ასე გადალახეს მდინარე“[41].

თურმე ამ ხიდისათვის გამოყოფილი ათასები მშენებელ ინჟინერს მიუთვისებია.

„შემდეგ პატარა გორაკების ჯაჭვი გამოჩნდა —მინიატიურული მთიანეთი, რომლის ცალკეულ გორაკებს ერთმანეთის მაგვარი, რკალივით მრგვალი, ყორღანების მსგავსი მწვერვალები ადგა თავზე. შემდეგ აღმართი დაიწყო. გაიარეს ღრმა ხეობაზე გადებული მორყეული ხიდი, რომლის ქვეშაც გახელებით ბობოქრობდა პატარა მდინარე[42]. მოპირდაპირე მხარეს, მთის ფერდობზე, ეკლესიის გუმბათის თუნუქით გადახურული სახურავი ბრწყინავდა. მდიდრულ, თვალწარმტაც ჭალაში ერთმანეთში ირეოდნენ ბზისა და დაფნის ბებერი ხეები, აზალია და დეკა“ — საინტერესო იქნებოდა ამ ადგილის მოძიება, თუნდაც იმიტომ, რომ ამ არემარეს ავტორი გენუელთა დასახლებას უკავშირებს. იოანე იგონებს ორ ფრანცისკანელ მღვდელს, რომლებმაც აქ კეთილი სახელი დატოვეს, როგორც მუხლჩაუხრელმა ადამიანებმა, და ეს მხარე წალკოტად გადააქციეს[43].

1663 წელს რომის პაპის ურბან მერვის ინიციატივით, საქართველოში მართლაც ჩამოსულა კათოლიკე მისიონერთა ჯგუფი, რომელიც მართლაც დასახლებულა სამეგრელოს ტერიტორიაზე — 1634 წელს მათ ჩაიბარეს ჭიპურიის მამულები[44]. ამის შესახებ საინტერესო ცნობები მოიპოვება მიხეილ თამარაშვილის (1858 - 1911) ნაშრომში „ქართველი კათოლიკენი გურია-სამეგრელო-იმერეთისა XVII საუკუნეში“. „ეს ევროპელი მონაზონები მოსულან აქ მარტო ხალხში ღვთის სიტყვის საქადაგებლად და სარწმუნოების გასაგრცელებლად; ყველანაირი სათნოებით შემკული არიან, იციან ხელოვნებაც, მეტადრე სულიერ საგნებში დიდათ გაწვრთნილნი არიან და არც ფულს და არც სხვა რამ დიდებას

37. „იბერიელნი“, გვ. 58

38. „იბერიელნი“, გვ. 6

39. სავარაუდოდ, უკავშირდება ეტლების ცნობილი მწარმოებლის, ფილიპ მიულერის სახელს (1760 – 1841).

40. ავტორი ალბათ მდინარე ცივზე გადებულ ხიდს გულისხმობს, რომელიც ა. ზუტნერის სხვა ნაწარმოებებშიც გვხვდება.

41. „იბერიელნი“, გვ. 60

42. სენაკიდან ზუგდიდისაკენ მიმავალ გზაზე მდინარე ცივის შემდეგ მოდის სკურია, ხობისწყალი და მუნჩია. ავტორი საგარაუდოდ ამ უკანასკნელს გულისხმობს.

44. სავარაუდოდ სოფელი წიფურია, რომელიც ლამბერტის რუკაზე მოცემულია ენგურის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ განმუხურთან.

ეძებენო. სურსთ აქ დაბინავდენ, რათა ერი გასწვრთნან და განასწავლონ კეთილ ზნე-ჩვეულებასა და ღვთის სამსახურში. უეჭველად დიდს სიკეთეს მოუტანენ ერსა და თვით მთავრისთვისაც მათი აქ ყოფნა მეტად სასიქადულო იქნება“.

ადგილობრივი მოსახლეობა თურმე მათგან მაგალითს იღებდა, მათგან სწავლობდა, მათსავით შრომობდა და ამიტომაც ცხოვრობდა კარგად და ბედნიერად. საგარაუდოდ ეს ორი მღვდელი ივულისხმება მიხეილ თამარაშვილის ნაშრომში, როცა წერს: „დარჩა მარტო ორი მღვდელი პატრი ტურქო და პატრი ტორიჩელი, რომელთაც სამეგრელოს დატოებას იქვე სიკვდილი ირჩიეს. ერთი გარდაიცვალა 1699 წ. და მეორე 1700 წ. აი, ასე სამწუხაროდ დასრულდა თეათინელების მისიონი სამეგრელოში, სადაც სამოც წელიწადზედ მეტი იღვაწეს. ამდენი შრომა და სიკეთე დასდვეს სამეგრელოს ხალხსა. თუ მათის ქადაგების და ღვაწლის ნაყოფმა ჩვენამდე ვერ მოაწია, არც მათი ბრალია და არც ხალხისა, არამედ უნდა მიეწეროს იმ აღურაცხველ ომებს და სხვა და სხვა გარემოებას, რომლის სამწუხარო თეატრად გარდაქცეულიყო სამეგრელო“[45].

მათი სიკვდილის შემდეგ თურმე მოსახლეობაში ძველებურმა უდარდელობამ იჩინა თავი და ამიტომ „მათ დღევანდელ შთამომავლებს სიღარიბეში ამოსდით სული. ისინი ძლივს მოყვანილი სიმინდით და ცხენის ქურდობით ირჩენენ თავს“.

უთუოდ საინტერესო იქნება დღეს ამ მარშრუტის, — სენაკი-ზუგდიდის ძველი გზის — გავლა და მისი შედარება ზუტნერისეულ აღწერასთან. ძნელი დასაჯერებელია, რომ სენაკიდან ზუგდიდში მიმავალი გზა მაშინ „ჭიპურიაზე“ (საგარაუდოდ, განმუხურზე) გადიოდა.

ათი ვერსის გავლის შემდეგ მოგზაურები ზუგდიდში ჩადიან და დიდ ბულვართან ისვენებენ. „ეს იყო გრძელი, ოთხკუთხედი ფორმის წალკოტი. შუაში ნაკადული მიიკლაკნებოდა, რომელსაც სიგრძეზე საუცხოო მიმოზების ორ-ორი მწკრივი გასდევდა. დანარჩენ ორ მხარეს ერთმანეთის მიყოლებით იდგა პატარ-პატარა მაღაზიები, ღია სასადილოები, სამჭედლოები და საყასბოები“[46]. მოგზაურები ერთ ქარვასლასთან ჩერდებიან და ყინულივით ცივ, გაზიან ლიმონათს მიიირთმევენ, რასაც განცვიფრებაში მოჰყავს სტუმარი. ქარვასლის მფლობელი სპირიდონი თურმე „ზუგდიდში ცივილიზაციის გამავრცელებელია... ეგი ახლა ყველაზე დიდ შენობას ფლობს, ასე ვთქვათ, ზუგდიდის „magasin du Louvre“ -ს! ჩვენი მეგობარი სპირიდონი ყოველწლიურად სტუმრობს პარიზს, ვენასა და ოდესას და იქიდან ჩამოაქვს უახლესი ევროპული გამოგონებები. ბოლო წლებში მან ჩამოიტანა და აქ დადგა გაზიანი წყლის დამამზადებელი მანქანა, შემდეგ — ნაყინის დანადგარი, ახლა კი ამ პროდუქტებით მისი თანამემამულეები იგრილებენ ყელს. ამ დროიდან მოყოლებული, ეს სასმელი აქ მოდაში შემოვიდა“[48].

მოკლე შესვენების შემდეგ მოგზაურებმა გზა განაგრძეს, მარცხნივ ჩამოიტოვეს „სამეგრელოს თავადი ქალის განათებული სასახლე, რომელიც შორიდანაც კარგად ჩანდა. როგორც კი რამდენიმე ვერსი გაიარეს, გზაზე მოძრაობა გახშირდა... „ამა ქვეყნის თავად-აზნაურები, მათი მეუღლეები, ვაჟები, ბიძაშვილები, მოყვრები და მოსამსახურეები — ყველა ერთი მიმართულებით მიიწევდა — იმ ადგილისაკენ, სადაც მიცვალებულისათვის უკანასკნელი პატივი უნდა მიეგოთ“[49].

მოგზაურები მალე ეტლებიდან ცხენებზე გადასხდნენ. „ვალტერს ცხენზე ... ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს აქლემის ზურგზე ყოფილიყოს ამხედრებული. ვერაფრით შეეგუა ამ კავკასიურ უნაგირს, ანდა უფრო სწორად, ამ ბალიშს, რომელშიც მოკუნტული იყო — უნაგირის წინ და უკან არსებული ლითონის ფილების და ასევე მოკლე უზანგების გამო. უნაგირი ისე მაღალი იყო, რომ ცხენი მისგან უფსკრულივით შორს ეჩვენებოდა, თუმცა მის ზურგზე იჯდა“[50].

გზა ხევის ციცაბო აღმართზე გადიოდა. უზარმაზარი, დაკოჟრილი მუხები და წიფლები ქვიან ბილიკზე გადმოხრილიყვნენ და მოგზაურებს გრძელი ჩრდილებით აცილებდნენ. თითქმის შვეული აღმართის შემდეგ მხედრებმა მაღალ პლატოზე გაივაკეს. „ქუჩა შეძლებისდაგვარად ნაჩქარევად მოესწორებინათ. წყლის გუბეები ჩელტებით ამოევსოთ და შემდეგ მიწით დაეფარათ“[51].

მეგრული დაკრძალვა

ეზოში გრძელი ტოტებით შეკრულ ფანჩატურს ბოლო არ უჩანდა. მის შიგნით გრძელი სუფრა იყო გაშლილი. როდესაც სტუმრები მოახლოვდნენ, ჭირისუფლები გზის ორივე მხარეს ჩამწკრივდნენ. სტუმრების პატივსაცემად ზარებს შემოჰკრეს. სამგლოვიარო პროცესია ნელი ნაბიჯით დაიძრა შენობისაკენ, რომლის შესასვლელში, გადაუხურავ კიბესთან, ეპისკოპოსი იდგა, სასულიერო პირებით გარშემორტყმული, და მომსვლელებს ელოდა.

45. იხ.ბმული: **https://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/qartveli_katolikebi_guria_samegrelo.html**
46. „იბერიელნი“, გვ. 65
47. 1855 წელს დაარსებული სავაჭრო ცენტრი პარიზში.
48. „იბერიელნი“, გვ. 66
49. იქვე
50. „იბერიელნი“, გვ. 67
51. იქვე

„არემარე ძალზე საზეიმო სანახავი იყო, როგორც პომპეზური თეატრალური დეკორაცია: მდიდელმთავარი და მისი ამალა მდიდრულად, ბრწყინვალე ოქრომკერდით მოქსოვილი ფარჩის ტანსაცმელში გამოწყობილიყო, შორიდან მოგუგუნე ზარების ხმა ისმოდა საუცხოო გარემო მოჩანდა მუქი მთიანეთით შემოსაზღვრული, სოფლის მოსახლეობა და წვრილი აზნაურები მომხიბლავად, დას-დასად იდგნენ სამგლოვიარო პროცესიის სიახლოვეს — თითქოს ყველაფერს დიდი ხელოვანის ხელი განაგებდა! ვალტერმა თავი ვერ შეიკავა და თავისი აღფრთოვანება მეგობარს გაუზიარა“[52].

მომსვლელებმა ჯერ ჭირისუფლებს მიუსამძიმრეს და შემდეგ კი ძაძებით შემოსილ დიდ დარბაზში შევიდნენ. მოხუცი მარშალი სასახლესთან შეჩერდა და გამოსამშვიდებელი სიტყვის წარმოსათქმელად მოემზადა. „სასახლის ირგვლივ იატაკზე შავით შემოსილი ქალები იყვნენ დაჩოქილი ნახევარწრედ. მდუმარენი და სახეზე ხელებაფარებულნი, მომენტს ელოდნენ, რომ თავიანთ მოვალეობას შედგომოდნენ. მარშალმა დახვეწილი ხმით გამოსამშვიდობებელი სიტყვა ბრძანა:

— ნესტორ, ჩემო დიდი ხნის მეგობარო, ბრძოლებში გამობრძმედილო თანამოსაგრეო, ჩვენგან მიმავალო, ახლა შენი ხანჯალი ქარქაშში უნდა ჩაიჟანგოს... ეხ, ჩემო ნესტორ, რატომ გაგვიკეთე ეს საქმე? ვინმემ გაწყენინეთ თუ გაგაჯავრეთ და ამიტომ ხომ არ გადაწყვიტე ჩვენგან წასვლა?“

დარბაზში ჯერ ქვითინი გაისმა. შემდეგ იატაკზე დაჩოქილ ქალებს ყელიდან დაუსრულებელი, კივილის მაგვარი, ყურისწამღები გოდება აღმოხდათ. ისინი ორატორის სიტყვებს იმეორებდნენ. მისი ყოველი წინადადების დასრულებას თან ახლდა ახალი ვაება და ვიშვიში. ზოგიერთმა მოტირალმა შეკრული თმები ჩამოუშვა და მისი წეწვა დაიწყო, თან მთელი ძალით მუშტს გულზე იბრახუნებდნენ, კივილი სულ უფრო და უფრო ყურის წამღები ხდებოდა — თან ფრჩხილებით სახეს ეხოკავდნენ. ამას კი ვალტერმა ვეღარ გაუძლო და გარეთ გავიდა. „არა, ეს ხომ საშინელებაა! სისასტიკეა! — ეს ფანატიზმია და ველურობა, ეს კი ნამდვილად არ მომწონს!“[53]

მისამძიმრების შემდეგ ხუთასამდე სტუმარი გრძელ ფანჩატურში დასხდა. დატრიალდა მოსამსახურე პერსონალი. „რადგანაც მაგიდებთან ყველას ერთად მოთავსება შეუძლებელი იყო, ხალხი რიგრიგობით, ჯგუფებად სხდებოდა ქელეხის სუფრასთან. როგორც კი ერთი ჯგუფი მორჩებოდა, მაგიდებს ალაგებდნენ და ახალი კერძებით საავსე თეფშები მოჰქონდათ ახალი ჯგუფისათვის“.

ვალტერი ხის ძირში ჩამოჯდა და მისდა გასაოცრად შემდეგი დასკვნა გამოიტანა: „მას შემდეგ, რაც სამძიმარზე მოსულები დაწესებულ ვალს მოიხდიდნენ გარდაცვლილის წინაშე, მათი მწუხარება ნელდებოდა და ისინიც მთელი გულით მიირთმევდნენ ქელეხის ნაირნაირ კერძებს, სვამდნენ და ხუმრობდნენ, მხოლოდღა მუსიკა და ცეკვა აკლდა, თორემ თავი გასვენების ნაცვლად ქორწილში გეგონებოდა!“[54]

„მაგიდებს გადაფარებული ჰქონდა ქათქათა გადასაფარებლები, რომლებზეც ოჯახის მთელი ავლა-დიდება იყო გამოფენილი — ნაირნაირი ვერცხლისფერი კოვზები, დოქები და ყანწები. მოსამსახურეებს ერთმანეთის მიყოლებით შემოჰქონდათ ახალ-ახალი კერძები, რომელთა დასამზადებლად მზარეულებმა ალბათ თავი იმტვრიეს, რადგან ქელეხში მხოლოდ სამარხვო საჭმელ-სასმელია ნებადართული: ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, ახალი, შემწვარი ხიზილალა, ოთხი-ხუთი სახის თევზი — მსუქანი ზუთხიდან დაწყებული მთის კალმახით დამთავრებული. ამის გარდა, მაგიდაზე ეწყო ყველანაირი სახის მწვანილი, სხვადასხვა, ცხარედ შეკაზმული საწებელა — მათ მიირთმევდნენ ღომთან, ფლავსა ან მჭადთან ერთად, ბოლოს შემოიტანეს ტკბილეულობა და ხილი. რასაკვირველია, ყოველივე ამას თან ახლდა უზომო რაოდენობით ღვინო“[55].

უკან მომავალ გზაზე თავადაზნაურთა მარშლის ამალას ზუგდიდის მაზრის უფროსი[56] შემოუერთდა თავისი ესკორტით და ყველა თავისთან მიიწვია — თურმე მეორე დღეს ზუგდიდში ყოველწლიური მარულა უნდა გამართულიყო.

მეგრული მარულა

ავტორი პარალელს ავლებს ევროპულ დოღთან და ასკვნის, რომ გამარჯვებას აქაც ბედაურის სისწრაფე განაპირობებს, მაგრამ ეს სისწრაფე აქ უფრო მხედრის პირად მოხერხებულობაზეა დამოკიდებული, იმაზე, თუ როგორ გადალახავს ის დაახლოებით ოცი ვერსის მანძილზე ჩამალულ მოულოდნელ დაბრკოლებებს. მარულა თურმე საკმაოდ არათანაბარ პირობებში, უსამართლოდ მიმდინარეობს.

52.52. „იბერიელნი“, გვ. 68
53. „იბერიელნი“, გვ. 71

54. იქვე
55. „იბერიელნი“, გვ. 72
56. ეს საგარაუდოდ იოსებ მიქაბერიძეა, მაზრის უფროსი 1877-1882 წლებში — (ეს ცნობა მოიძია ბატონმა ბესიკ არახამიამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ! არსებობს 1880 წელს გადაღებული ჯგუფური სურათი, რომელზეც აღბეჭდილი არიან ბ.ზუტნერი, იოსებ მიქაბერიძე, პრინცი აშილ მიურატი და მისი მეუღლე სალომე დადიანი, მინადორა — იოსებ მიქარებიძის მეუღლემ პრინც მიურატის ვაჟები და მრავალი სხვა, რომლებიც, საგარაუდოდ, რომანში აღწერილ წვეულებაში იღებდნენ მონაწილეობას.

ყოველ მხედარს საკუთარ მხარდამჭერთა გუნდი ჰყავს. გულშემატკივრები, უპირველეს ყოვლისა,ფავორიტის მოგებით იმიტომ არიან დაინტერესებული, რომ გამარჯვების შემთხვევაში ჯილდოს ნაწილი მათ ეკუთვნით. ამიტომ ისინი ყოველგვარი ოინის გამოყენებით ეხმარებიან საკუთარს, ხოლო სხვა მხედრებს მახეს უგებენ, ხელოვნურ დაბრკოლებებს უქმნიან. „ამ მიზნით გულშემატკივართა რაზმის წევრები იმალებიან ცოცხალ ღობეებში, ბუჩქებსა ან თხრილებში და შენიღბულები მშვიდად აკვირდებიან მოვლენების განვითარებას. როგორც კი დაწინაურებული მხედრების გუნდი გამოჩნდება, ისინი ყურადღებას ძაბავენ: თუ ყველაზე წინ მათი რჩეული მხედარია, ცხენოსნებს უპრობლემოდ ატარებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ თავში სხვა თაყვანისმცემელთა გუნდის მხედარია მოქცეული, მოულოდნელად გადმოხტებიან სამალავიდან, ისვრიან თოფებს, იქნევენ ბაირაღებს, დასჭყივიან და კივიან, რათა მოწინააღმდეგეს ბედაური დაუფრთხონ და ამით თავიანთ რჩეულს დაწინაურების საშუალება მისცენ“[57].

ავტორი აღნიშნავს, რომ მეგრელები მხედრებად არიან დაბადებული, და მათ თანამედროვე კენტავრებს ადარებს. „ისინი ბავშვობიდან ეჩვევიან ცხენს და უახლოეს მეგობრად აღიქვამენ ... ამიტომ გასაკვირიც არაა, რომ ცხენის ქურდობა ამ მხარეში ძალიან გავრცელებულია და პრესტიჟის საქმედაც კი მიიჩნევა.“[58]

მიუხედავად იმისა, რომ მხედრები მოსალოდნელი საშიშროების გამო ფრთხილობენ, მარულა უბედური შემთხვევის გარეშე მაინც არ მთავრდება.

ამჯერად მარულაზე,უცხოელი სტუმრების პატივსაცემად, განსაკუთრებით დიდი ჯილდო იყო დაწესებული. ამის გამო ჩვეულებრივზე მეტი მოჯირითე იღებდა მასში მონაწილეობას. მაზრის „ნაჩალნიკი“ დიდი პასუხისმგებლობით შესდგომია მასპინძლის მოვალეობის შესრულებას და მთელი ავეჯი ვერანდაზე გაუზიდავს, რათა იქედან მოხერხებულად ედევნებინათ თვალი პროცესიისთვის.

„— მოდიან, მოდიან!

მართლაც, შორიახლოს რაშებს მოაგელვებდნენ ერთი დუჟინი მყვირალა ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი მოჯირითეები. ისევე როგორც წინა წლებში, მათ სათავეში მოქცეულიყო კოსტია — სახელგანთქმული გაწაფული ცხენის ქურდი. მოჯირითეები გამალებული სისწრაფით უახლოვდებოდნენ ვერანდას.

უეცრად საპირისპირო მხარეს მდებარე ბუჩქნარიდან გამოვარდა ველურების ჯგუფი: ატყდა ერთი სროლა, წივილი, კივილი, ზოგი ცხენი დაფრთხა და ამოყირავდა, შეიქმნა ნამდვილი ზედახორა. ერთი დუჟინი მხედრებიდან ნახევარმა თუ შეძლო რბოლის გაგრძელება, დანარჩენი კი ფეხზეც ვერ წამოდგა და მწვანე მდელოზე დარჩა ჭრელა-ჭრელა ფერებად გაბნეული“[59]

ვალტერი თვალის დახამხამებაში დაშავებულებთან გაჩნდა დასახმარებლად.

„— ამაზე რატომ წუხდებით! — გადმოსძახა ნაჩალნიკმა ფრანგულ-ქართულ-რუსული სიტყვების ნაზავით. — არაფერია საგანგაშო, რამდენიმე ცხენის ქურდით და რამდენიმე მამაძაღლით ნაკლები გვეყოლება, მეტი არაფერი!“[60]

მაზრის უფროსის ასეთმა რეაქციამ ვალტერის, როგორც ექიმის, თავმოყვარეობა შელახა, მაგრამ ოიანემ „დაამშვიდა“: „აი ამან, იქ რომ წევს, უკვე მეოთხეჯერ გაიტეხა თავი. თავი ადვილად ხორცდება და მომავალ წელსაც შეიძლება კიდევ ერთხელ გაიტეხო!“[61].

დაჭრილები გაიყვანეს, შემდეგ კი სტუმრები და მასპინძლები სუფრასთან დასხდნენ. „ნაჩალნიკმა“ სასმისი აწია და ერთ თეთრთმიან მამაკაცს „ტოლუმბაშობა“ მიულოცა. ოიანემ აუხსნა:

„ჩვენს წვეულებებზე ტრადიციულად ვირჩევთ პიროვნებას, რომელმაც სუფრის არც ერთი წევრი არ უნდა დატოვოს უდღეგრძელებელი და ყოველი მათგანის ჯანმრთელობისათვის სასმისი უნდა დაცალოს... მან ასევე უნდა ადღეგძელოს მათი მშობლები, დედმამიშვილები და შვილები. ამიტომ შეგიძლია ახლა წარმოიდგინო დასალევი ბოთლებისა და არა ჭიქების ის რაოდენობა, რომელიც ამ თავგანწირულმა ადამიანმა უნდა შესვას ნებაყოფლობით!“[62]

ვალტერმა ჯერ სადღეგრძელოების თვლა დაიწყო, მაგრამ მალე სათვალავი აერია და დაასკვნა: „ეს წარმოუდგენელია — ეს ადამიანის შესაძლებლობას აღემატება!“[63]

მოხუცი ტოლუმბაში კი სიტყვაკაზმულად განაგრძობდა მისთვის მინდობილი დავალების ასრულებას. მან პატიოსნად შესვა სუფრის ყველა წევრის სადღეგრძელო, მათი დაბადების წლის ცხოველის ნიშნისა და ზოდიაქოების ჩათვლით, შესვა ისე, რომ ერთხელაც არ წაბარბაცებულა. შემდეგ კი „ნაჩალნიკმა“ მეზობლებს მოუხმო.

„მალე მდელოზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, დიდმა და პატარამ მოიყარა თავი — ყველა საზეიმო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, ჯერ კიდევ დილით, დღის აღსანიშნად რომ ჩაეცვათ. სწრაფად შეიკრა დიდი საცეკვაო წრე და გაჩაღდა ფერხული — მოცეკვავეთა წრე მარტივი,

57. „იბერიელნი“, გვ. 74
58. იქვე

59. „იბერიელნი“, გვ.75
60. „იბერიელნი“, გვ.76
61. „იბერიელნი“, გვ.77
62. „იბერიელნი“,გვ.78

ერთხმიანი სიმღერის რიტმზე ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ ტრიალებდა, უცებ ნიშანი გაისმა და წრე გაქვავდა. შემდეგ ხმამაღალი შეძახილების ფონზე, ტაქტის შესატყვისად, ჰაერში დაიწყეს ფრენა...“[64]

ვალტერი ერთი მოცეკვავე ქალით დაინტერესდა: „ასეთი თვალწარმტაცი არსება ცხოვრებაში არ ენახა: მაღალი, ტანწერწეტა და მოქნილი — იგი მეფური კდემამოსილებით, სახეზე აფარებული მოფარფატე მეგრული პირსაბურავით გამოირჩეოდა. ჟღალი თმა — ორ გრძელ, გახლეჩილი ლეღვის ფერის ნაწნავად შეკრული, მოციმციმე ელვარებით ეყარა ზურგზე. ცეკვის მეწყვილეს ზოგჯერ ელვასავით მზერას ესროდა ხოლმე, გულგრილად, თანაც გამომწვევად, რათა რამდენიმე წუთის შემდეგ მამაცი თაყვანისმცემლისთვის განეცხადებინა: „ვერ მოგართვი!“

ქალი ქედმაღლურად დაფარფატებდა. ერთხელ კი, როცა ცეცხლად ანთებული კაცი ცეკვა-ცეკვით მიუახლოვდა, ის სხარტი მოძრაობით შემოტრიალდა და ირგვლივ მყოფ მაყურებლებში გაუჩინარდა“[65].

ოცნებებში წასული ვალტერი იოანემ გამოაფხიზლა: „იქეთ გაიხედე, ხედავ იმ წელში მოხრილ მოხუცს, ახლახან რომ მარშალს ქედი მოუხარა და უტიფარი სახე მეგობრული ღიმილით დაღრიჯა. სწორედ ისაა ბედნიერი ქმარი! ქალი თითხმეტი წლისაც არ იყო, როდესაც მისმა ხარბმა მშობლებმა ამ საზიზღარ კაცს მიათხოვეს. ღმერთია მოწმე, შესაძლებლობა რომ მისცემოდათ, ვინმე მონებით მოვაჭრე აფხაზსა მიყჰდდნენ, მაგრამ, საბედნიეროდ შემოსავლის მიღების ეს სამარცხვინო საშუალება დროთა განმავლობაში ამ ქვეყანაში აიკრძალა! ამიტომ, რახან გაყიდვა ვერ მოახერხეს, ამ ხეიბარზე მითხოვება ამჯობინეს. მას ფული ბლომად აქვს, მევახშეა, და წლების განმავლობაში დიდძალი ქონება დააგროვა. სამჯერ მოსტაცეს მისი მშვენიერი ელენა...[66]

გვიან ნაშუადღევს სტუმრები მასპინძელს გამოემშვიდობნენ, და მეორე დილით უკვე თბილისში იყვნენ.

*** *** ***

2021 წელს გამოიცა არტურ ზუტნერის ნაწარმოებების კრებული „ჩემი მეგობარი გუჯა და ხუთი მოთხრობა“ (მეგრული ქორწილი, საბრალო ვარდი, მარგალიტი, ჰაჯი-აღა და მისი ნარგილე, სულელი)[67], რომელშიც ძირითადად მეცხრამეტე საუკუნის სამეგრელოს ყოფა-ცხოვრებაა აღწერილი. ავტორი აღფრთოვანებულია სამეგრელოს ბუნებით:

„აქ ისეთი სიმწვანე შემეფეთა, ფერის ინტენსივობის ყველა ნიუანსით, ალბათ, რომ დამეხატა, აუცილებლად გადაჭარბებად ჩამითვლიდნენ... — აქ ყველგან სიცოცხლე ჩქეფს, აქედან სიკვდილი განდევნეს! დიახ, აქ პატარა სამოთხეა! ...აქ ზამთარში შეიძლება ნამდვილი გაზაფხული მოვიდეს!“

ამავე წელს ჟურნალ „განთიადში“ (ნომრები 9-12) გამოქვეყნდა არტურ ზუტნერის ვრცელი რომან „ქეთევანის“ ქართული თარგმანი[68], რომელიც ასევე სამეგრელოს თემატიკას ეძღვნება: „ძვირფასთ მკითხველო, მე შენ ამ წიგნით წარგიტაცებ ათასი ნაკადულის სამშობლოში, წყალუხვ, ბუნების ყოველგვარი სიმდიდრით კურთხეულ სამეგრელოში. აქ, ბობოქარ ენგურზე, რამდენიმე ათწლეულის წინაც კი მეგრელები მდინარეში ჩაკიდებული ცხვრის ტყავებით ოქროს აგროვებდნენ, რომელიც თან მოაქვს მდინარეს...“

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

64. „იბერიელნი“, გვ.80
65. „იბერიელნი“, გვ.80
66. „იბერიელნი“,გვ.81
67. ზუტნერი ა., „ჩემი მეგობარი გუჯა და ხუთი მოთხრობა“ (თამაზ გვენეტაძის თარგმანი), თბილისი 2021.
68. მთარგმნელები თამაზ გვენეტაძე და მაია ჭოლაძე

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲒᲕᲔᲜᲔᲢᲐᲫᲔ,
ფილოსოფიის დოქტორი, გერმანია

ზღვარს გადაფრენილთა ფრთები

ლათო ქაქუთია (ერნესი) დაიბადა სამეგრელოში, ხობში. დაამთავრა თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტი „ლეგია და კომპანიის“ ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. ასევე სხვადასხვა სასერტიფიკაციო კურსი ჟურნალისტიკაში, მათ შორის — საგამოძიებო ჟურნალისტიკაში. მუშაობდა რედაქციებში სხვადასხვა თანამდებობაზე.

წერს ლექსებს. არის 3 პატარა კრებულის ავტორი.

ჰყავს მეუღლე და 4 შვილი.

ამჟამად მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის უფროს სპეციალისტად.

9 საათზე დამირეკა გიამ, ჩემთან გამოდი, რაღაც ვერ ვარ კარგადო. ჩემები გავაფრთხილე, საქალაქო ხაზზე თუ დამირეკა, ვინმემ უთხარით, სიცხე აქვს და ძინავს-თქო. თოვაც ახალი დაწყებული იყო, დიდ და ლამაზ ფანტელებს სასიამოვნო სურნელი ასდიოდათ.

გიასთან დიდი ხანია, ვმეგობრობ, ნიჭიერი მხატვარია და საინტერესო მოსაუბრე, ყველაფერი იცის, ყოველთვის პოულობს პასუხებს. ძალიან მაგარია. უბრალოდ, გაუჭირდა, ვალებში ჩავარდა. მეუღლეც საბერძნეთში ამიტომ წავიდა, დატოვა გია და ნანკა, 14 წლის ულამაზესი გოგო, მე მისი ნათლია ვარ.

გია ცუდ ხასიათზე დამხვდა.

– დღეს თამროს ვესაუბრე სკაიპით, ნანკას არ მინდა, ვუთხრა, იქაც მაგრად გაჭირდა სამსახურები, აქ რომ ჩამოვიდე, ვალებს რა ვუყოთო. მოკლედ, ცუდ დღეში ვარ რა, ნიკუშ, გუშინ ბანკიდან დამირეკეს, პროცენტები მიფრინავს, მე კი დრის გადავაცილე.

გიამ სიგარეტი ნერვიულად ჩააქრო და მცირე პაუზის შემდეგ მითხრა:

– ვიღაც თბილისელი ბიჭი გაუსროკავთ იმ ქალაქში და ქართველებზე ცოტა ცუდად უმოქმედია ამ ამბავს.

– რატომ, რა მოხდა? – ვკითხე მე.

– შეყვარებულს ჩააკითხა. ის გოგო ბარში მუშაობდა. ბარის მეპატრონემ ცუდად მიმართა თუ მოექცაო რა ამ გოგოს.

– მერე?

– მერე ამანაც დაბრიდა.

– ვაა.?!

– აბა!

გიამ ახალ სიგარეტს მოუკიდა. ჭიქაში ჩარჩენილი ყავა მოგსვით და გიამ ისევ გააგრძელა:

– ნანკას სკოლაში ფულს სთხოვენ, ვერავის ვერ ვეუბნები. ჩემი დის, ქეთის ახლობელმა ჟურნალისტმა დამირეკა, ნახატს გაგაყიდვინებო და წავიღოთ რა, ძმურად, ვიღაც უცხოელია, ოფისისთვის სჭირდებაო, იქნებ, იყიდოს იმ ვიღაცამ და მერე ჩავარტყათ ან არაყი ან ღვინო, ამინდიც ეგეთია და ნერვებსაც დავიმშვიდებთ, გულსაც გადავაყოლებთ.

– გუშინ მამაჩემმა 100 ლარი მომცა ფეხსაცმლის საყიდლად, სამსახურშიც ცუდად მაქვს საქმე, რაღაც 300 ლარი მეკუთვნის და მაგასაც ზოგჯერ მიგვიანებენ. მეორადში ვიყიდი ფეხსაცმელს და ნანკას მე მივცემ 50-ს, ხო ეყოფა, გიუშ??

– ჯიგარი ხარ, ნიკუშ, არა, ბიჭებსაც ვეტყვი, მიშოვიან, უბრალოდ, წავიღოთ რა ეს ნახატი.

ტაქსი გავაჩერეთ, ნახატი ფრთხილად ჩავდეთ და ამ დროს ოთომ, გიას მეზობელმა, დაგვიძახა, დამელოდეთ, საქმე მაქვსო!

– მოვალთ რა, ოთო, გვეჩქარება!

– დაიცა, გიუშ!

– მალე მოვალთ რა...

– ბიჭო, ირაკლი დაიბრიდა, ოდიშელიძე!

– რა?

– ჰო, წუხელ...

– ოთო, ახლა საქმე მაქვს, მალე მოვალ... ხმა აუკანკალდა გიას.

ტაქსი ზანტად დაიძრა.

მე და ირაკლი ერთად ვიბრძოდით აფხაზეთში. ის სამაჩაბლოშიც იყო ნაომარი, მაგარი კაცი იყო, ძმაო, – ამოახვევლა გიამ და ღრმა ნაფაზი დაარტყა. რაღაც ძალიან მძიმე მომენტი გაახსენდა. მე ხმას არ ვიღებ.

მეც ვიცნობდი ირაკლის, მართლა მაგარი კაცი იყო, ერთხელ გიასთან ვქეიფობდით და ლექსი წაგვიკითხა, მე დავწერეო, ცრემლები წამოუვიდა. ისეთი მაგარი ლექსი იყო, 5 წუთი ხმა არავის ამოუღია. ვის რაში სჭირდება ლექსი და გული. ფულია დღეს ლექსიცა და ყველაფერიო. ორჯერ სიკვდილს გამომგლიჯეს და ვინ მაქცევს ყურადღებას ან რად მინდა ყურადღება, მე თქვენ მიყვარხართ და ქვეყანა მიყვარს, სხვა ყველაფერი ფუჭია ამ სამყაროში, სიყვარულის გარდაო. ბევრს სვამდა, ადრე წამალსაც იჩხერდა. ცოლ-შვილს გაშორდა და მარტო ცხოვრობდა. ხანდახან და აკითხავდა.

„ნახევარი საათი უნდა დაელოდოთო“, – გვითხ-

რა ქეთის დაქალის ნაცნობმა, – თათბირი აქვსო. დრო ისე გაიწელა, რომ, ასე მეგონა, ნახევარი საათი ერთი წელს არ გავიდოდა. გია ძალიან ნერვიულობდა. 15 წუთის შემდეგ იმ გოგოსთან მივიდა და ხმადაბლა, ჩურჩულით ჰკითხა:

– როგორ ფიქრობთ, იყიდის?

– იაფად უნდა. ასე თქვა, ამ ოფისს ნახატებით ავავსებ და იაფი ნახატები მომიძებნეთო. გააჩნია, თქვენ რამდენს აფასებთ?

– გასაგებია.

40 წუთი გაგრძელდა ეგ თათბირი, გამოვიდნენ ვიღაც ინტელექტუალი ტიპები და ჩვენც ფეხზე წამოვდექით. უცხოელმა სტუმრები გააცილა და ამ გოგოს შეხედა, თვალით ანიშნა ჩვენზე, ვინ არიანო?!

გოგომ აუხსნა, ვისგან მოვედით, რა ნახატიცა გვქონდა.

გიამ ინგლისურად მოუბოდიშა: მაპატიეთ, საუბარში რომ გეჭრებით, მაგრამ აგიხსნით რა სურათია და რამდენ ხანს ვხატავდით.

გაღიმებული უცხოელი გვისმენდა, რაღაც ორგანიზაცია იყო. მაგიდაზე სულ გაზეთები და ჟურნალები ეწყო.

ძალიან მომეწონა, – აღიარა უცხოელმა. ნახატს თვალს ვერ აშორებდა.

– და ფასი?

გია შეიშმუშნა.

– იცით, მე... ჩემთვის ეს ფასდაუდებელია, იქნებ, ბანალურია, რასაც გეუბნებით, მაგრამ თქვენ რამდენს მომცემთ, მე ფასი არ ვიცი, სიმართლეს მოგახსენებთ.

კარგით, ისევ ღიმილით უთხრა უცხოელმა, თან გიას მხარზე ხელი წამოარტყა, მეგობრულად.

– კარგით, დამელოდეთ... – თქვა მან.

– იცით, ძალიან გვეჩქარება, – აუხსნა გიამ.

– 5 წუთში მოვალ.

ისევ შეათვალიერა ნახატი და გავიდა.

მართლაც 5 წუთში მოვიდა და 100 დოლარი შემოგვთავაზა. გიას შევხედე. გიასაც არაფერი უთქვამს, ბოლოს უთხრა, კარგიო, და ფულიც იმ გოგომ გადმოგვცა.

ცოტა ფეხით გავიარეთ. გიას მოწყენილობა დაეტყო. მეტი ნახატი არა მაქვს, ეს ბოლო იყოო... ძალიან შემეცოდა, ისევე, როგორც მამაჩემი, რომელიც დღედაღამე მუშაობს და 350 ლარს იღებს ხელფასს, დედაჩემიც უმუშევარია და მეცოდება ასეთი ხალხი. როგორც კი სწავლას მოვრჩები, სადმე უნდა წავიდე, ვისწავლო. ბევრი ფული მეც უნდა მქონდეს. აქ, საქართველოში, ძნელია ეგ ამბავი, მაგრამ უნდა შევძლო. ჩემი თაობა მაინც უნდა იყოს მაგარი.

თითქოს გია ჩემს ოცნებას ჩახვდაო, ჩუმად მითხრა:

– ყველაფრის მიუხედავად, საქართველო მაინც მაგარი ქვეყანაა.

ვერაფერს მივხვდი.

ირაკლის სამძიმარზე ავედით. გიამ იტირა. მერე ვიღაც ძმაკაცი ჩაეხუტა გიას, როგორა ხარ, ბებეროო?

გიამ ჩემი თავი გააცნო, ჩემი პატარა ძმა არისო.

– რას შვრები, თემო? რაღაც არსად არ ჩანხარ, ხომ არ დაშალე ჯგუფი? როკს არ უბერავ? – ჰკითხა გიამ.

– არა, გიუშ, აბა, მე პოლიტიკოსებსა და პოლიტიკას ვერ ვიტან, ძმაო, და კონცერტებზე გამოსვლა მაგათი ფულითა და გემოვნებით ხდება. ჭეშმარიტი მუსიკა მოკვდა, ძმაო, ბევრს ნუ მაბაზრებ, გიუშ, შენ ჩემზე კარგად იცი ეგ, და ... თემომ სიგარეტი ამოიღო ჯიბიდან.

– ჰო, ჰო, ვიცი, ვიცი.... ჩუმად თავისთვის თავჩაღუნულმა ჩაილაპარაკა გიამ.

– აგერ, ძმაო, იცი, რა პოეტი იყო ცხონებული? – გააგრძელა თემომ. – მაგრამ ვინ? ვინმემ იცის?

– ეგრეა, ძმაო. ეგრე. მაგრამ მთავარია სიყვარული, გიუშ, ჩვენ ტკივილი ვიცით, რა არის. ტკივილის, სევდის თაობა ვართ. – უთხრა თემომ და სახეზე ხელი აიფარა.

ბანკში გადასახადები ბოლომდე ვერ გადავიხადეთ, ფული არ გვეყო, საღამოს შინ ავედით, არაყი, თევზი, სიგარეტი ავიტანეთ და მარტო მე და გიამ დავლიეთ. ნანკას 80 ლარი მივეცი, 20 მაღაზიაში დავხარჯეთ. ფეხსაცმლის ყიდვა გადავიფიქრე.

გვიან მოვედი სახლში, ღამე თითქმის არ მეძინა. გათენებისას ჩამძინებია.

– რა ქენი, ფეხსაცმელი იყიდე? – მკითხა მამაჩემმა. ვუთხარი, რაც უნდა მეთქვა.

– კარგი ბიჭი ხარო, – მომიწონა საქციელი და თავზე ხელი გადამისვა. კარგი ბიჭია გია, ნიჭიერი, მაგრამ დღეს ჩვენნაირ ხალხს უჭირს, მალე გამოსწორდება ყველაფერიო, – მითხრა. – დღეს უცხოური ფონდის ოფისში ვიყავით, სამსახურიდან გამიშვეს და გიას ნახატი ვნახე, ერთი საათი თვალი ვერ მოვაშორე. ნამდვილად ჭეშმარიტი ხელოვანიაო.

უნებურად ნახატის უკან გიას მინაწერი გამახსენდა – „ზღვარს გადაფრენილთა ფრთები“. თვალწინ დამიდგა გიას ცრემლჩამდგარი თვალები, როცა ის გოგო ნახატის საფასურს უხდიდა. საკუთარ ნახატს ისე უყურებდა, როგორც ეკლესიაში ხატს უცქერის პატარა ბავშვი...

მამაჩემს მკერდზე მივადე თავი და უხმოდ ავტირდი... ისიც მეფერებოდა და ჩუმად მეუბნებოდა, ყველაფერი კარგად იქნება, ცოტაც მოვითმინოთო...

დანიელ ფიფიას რაინდული ღირსებებიდან

გამოჩენილი მწერალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე დანიელ ფიფია დაიბადა 1896 წელს, წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში. იგი ცნობილი იყო „მეგრელი ბაირონის“ მეტსახელით.

დანიელი ბავშვობიდანვე დაავადდა. მკურნალობის ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ორწლინახევრისა იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა. შვიდი წლის ასაკში დედაც მოუკვდა. ზრდიდნენ დები. დაამთავრა მშობლიური სოფლის ორკლასიანი სკოლა, მეცადინეობა განაგრძო სხვა სკოლაში, თუმცა უსახსრობის გამო სწავლა შეწყვეტა. შემდეგ დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და სოფელ ობუჯში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. ამ დროს გაიცნო ცნობილი ქართველი მოღვაწეები: კალისტრატე სალია, ლეო ქიაჩელი, ეგნატე ფიფია და მათთან ერთად ბევრი საქმე გააკეთა თავისი სოფლისთვის.

დანიელი წერდა მეგრულ ენაზე. მის კალამს ეკუთვნის ისტორიული პოემა „ბულათია“, რომელიც შეეხება 1855-1856 წლების სამეგრელოს გლეხთა აჯანყებას, პოემა „ხუმლა კოჩი“ და ა. შ. ასევე წერდა ლექსებს („ნამთინემც“, „ბორჯი“, „ჯგირი სერი“, „ინა ვა ვავორექ მუთი ვორდი კინოხ“ და ა.შ.), შეადგინა მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თარგმნიდა უცხოურ ნაწარმოებებს..

დანიელ ფიფია სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და ზუგდიდის მაზრის ერთ-ერთი მთავარი პროპაგანდისტი იყო. 1924 წლის აგვისტოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტი 27 წლის დანიელ ფიფია, როგორც პოლიტიკურად არასტაბილური პიროვნება, ბოლშევიკებმა დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში გამოამწყვდიეს. ცნობილი ფაქტია: 1924 წლის აგვისტოს აჯანყება დამარცხდა, რასაც სისხლიანი რეპრესიები მოჰყვა...

დანიელ ფიფიას მეტეხის ციხეში წარუდგინეს ბოლშევიკთა მიერ გამოცემული დეკრეტი, რის საფუძველზეც შეეძლოთ მისთვის სიცოცხლის შენარჩუნება, თუკი დანიელი დაგმობდა წარსულს, აღიარებდა „შეცდომებს“ და ბოლშევიკთა მხარეზე გადავიდოდა. დანიელმა ეგ შეთავაზება იუკადრისა, უარყო და ჯალათებს პირდაპირ განუცხადა: „ცხოვრებაში არავითარი შეცდომა არ დამიშვია, მე ვიბრძოდი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, რომელიც ბოლშევიკურმა რუსეთმა ოკუპაციის გზით წაართვა ჩემს სამშობლოს!.. მე ამას არასოდეს შევურიგდები... ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისათვის შეცდომად არ მივიჩნევ. ამიტომ შეწყალებას ვერ ვთხოვ სისხლიან, მოღალატე ხელისუფლებას!.. თუ დასახვრეტი ვარ, დამხვრიტეთ!..

სამშობლოსათვის თავდადებული რაინდი, თავისუფლებისათვის მებრძოლი დანიელ ფიფია როგორც აჯანყების ერთ-ერთი მეთაური, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დახვრიტა იმავე წლის სექტემბერში...

დანიელ ფიფიას ქმედება გმირობის ტოლფასი გახლდათ!

დანიელის ამ საოცარი თავგანწირვის ამბავი, ცნობილ ფოლკლორისტ — კალისტრატე სამუშიას მოუსმენია დანიელის თანასოფლელისა და უახლოესი მეგობრის შალვა შენგელაიასაგან. თავის მხრივ, ბატონმა კალისტრატემ ეს ამბავი მოუთხრო მასთან ინტერვიუზე მისულ დანიელ ფიფიას შემოქმედების მკვლევარს, მწერალსა და ჟურნალისტ თამაზ ფიფიას.

სამწუხაროდ, დანიელ ფიფიას საფლავი არ არსებობს. იგი დახვრიტეს თბილისში, საგარაუდოდ დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე. მისი ნაშრომები კი დაწვეს და 80-იან წლებამდე მისი ხსენება ფაქტობრივად არ შეიძლებოდა.

ჩვენამდე მოაღწია მისი ნაწერების გარკვეულმა ნაწილმა, მათ შორის მეგრულ-ქართული ლექსიკონის მცირე ფრაგმენტმა.

მკითხველს ვთავაზობთ დანიელ ფიფიას უკანასკნელ ლექსს: „მეტეხის ციხეში“.

ᲛᲔᲢᲔᲮᲘᲡ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ

I

ბნელში ვით ნათელს ფარვანა
ველტვოდი თავისუფლებას,
ოდიშმა მიმღერა ნანა
და მომცა ამის უფლება.
ლექსი მიძღოდა მეგზურად,
გონით მგზნებარე, ალალი,
მსურდა სოფლისთვის მეზრუნა,
სიტყვა რამ მეთქვა ახალი.
ძნელბედობასთან ჭიდილში
გავიწვრთნე სული, სხეულიც,
ურწმუნოების ღინცილში
ვასწორე გზები ხვეული.
ირგვლივ გავკაფე ბარდნარი,
ნისლებში გამოვიხედე,
ვნახე დიადი ბაღნარი,
გული ეძებდა მსგავს ხედებს.
მაგრამ სიხარულს არ გაცლის,
თუ ჩაგისაფრდა ბოროტი,
შემომივარდა ბინაში,
აფრქვევდა აზრებს, მოროტვილს.
იმის სიმტყუვნემ იმარჯვა,
გავხდი უგლიმთგან ლტოლვილი,
საკანი მან მომისაჯა,
შემკრა ხუნდით და ბორკილით.
ბრძანებდა ხალხის სახელით
ქვეყნის იავარმყოფელი,
რაღად უნდოდა სამხელი
განადგურებას ყოველის.
და მაინც მაცდურ სურვილით
ჯალათის მონამ მიმიხმო,
მითხრა:"ბედისგან ურვილი
მსურს სასიცოცხლოდ მიგიმხრო.
ალბათ დიდ საფრთხეს კი ხვდები,
შესძელით რადგან ამბოხი,
ხვალ ყველა დაიხვრიტებით,
არც რამ დაგრჩებათ საოხი.
დაგმე ძველი გზა, შეცდომა,
წითელ მერანზე ამხედრდი,
გელის ცოდვების შენდობა
და აცილება მწარ ხვედრის"
ვუთხარ: „გულმა ვით მიიკროს
ახლა ჩამესმა რა ხმებიც,
ჯალათის ფურთხის ბილწ მიკრობს —
შენ — როგორ დაგეთანხმები?!
უღმერთომ ცოდვა და მადლი,
აბა, საიდან, რა იცის?!
თქვენი არშინი თუ ადლი,
ყალბია, გეტყვით კვლავ ფიცით.
დამაპატიმრა წლის დამდეგს
შენსავით შარახვეტიამ,
ამბოხში რა ბრალი დამდეთ,
ვზივარ შვიდ თვეზე მეტია.
საკუთარ ქვეყნის დამპყრობნო,
სისხლისმსმელებო ტკიბებო,
ორპირ-ანგარნო და ყროლნო,
მე გიპასუხებთ მტკიცედო:
წითელ მერნების მხედრებმა
გატოპეთ სისხლის მდინარე,
თქვენს ავზნეს რა შეედრება,
კვლავ გიწითლდებათ წინ არე.
გიჯობთ მიაპყროთ ყურები,
რა საქმეც განარჩევია,
მე აქ წითლების ყურებას
დახვრეტაც კი მირჩევნია."
რისხვამ ჰაერი დაწინწკლა,
სახეზე დამადგა ჩრდილი
და სამმა,კობრად აწვდილმა,
გადამიწყვიტა სიკვდილი.
აწ აღასრულებს განაჩენს
სიმართლის უნდო მდევარი,
ღმერთო, უგვანოთ რად აჩენ,
ჭეშმარიტების მკვლევარი?!

II

ტანში მაჟრჟოლებს სიკვდილი,
ხვალ დილით ჩემი მზე ჩავა,
ნუ გიკვირთ: ვარ ფერმიხდილი,
კეხი მიბრუნა დრომ ავად.
გული ტკივილებს მინებდა,
სისხლძარღვებგადაწურული,
ალბათ სატანამ ინება
ჟამი, შავჩამობურული.
სადაც წიხლავენ სიმართლეს,
მეფობს ვერაგი მედროვე,
სად ვეღარ ნათობს სინათლე,
კარგი რამ როგორ გვესმოდეს?!
სინათლის სხივის მპყრობელი
ვეშაპი იმდენს ეცადა,
ღვთიურ სიკეთის მგმობელი
ბრბო იქცა კანონმდებლადა.

III

ეს ჩემი კვნესა-ჩივილი
სადარდელს რაღას შველისო,
მღრღნის ისე მძლავრი ტკივილი,
ჟამი დგას მის გამხელისო.
ღმერთმაც გამწირა,კაცმაცა,
მე თვით გავწირე თავია,
ვერ აღვწერ, „რა პატივი" მცა,

წუთისოფელი ავია!
ისეთი ხვედრი მებედა,
ბოლომდე მასმევს სამსალას,
წინ სანუგეშოს ვერ ვხედავ,
ერთხელ წელში ვერ გამშალა.
ცოდვა და მადლიც, ფოფინა,
მიმოქრის თურმე ბრმულადა,
სიცოცხლე მწარე ყოფილა,
თუ შემოგიჩნდა მტრულადა.
მეგონა, ჩემკენ დახრილი
ბედის სასწორის პინაო,
დაისის დამწვდა არილი,
სამარემ ჩამიწვინაო.
მსურს ამოგძახო იქიდან,
ჯალათო,ტყვიის დამხლეტო,
სამშობლოს დამპყრობ იქედნეს
საფლავიდანაც გამხეტო.
მე კი დავრჩები ოდიშში
მეგრის ხმის მძლავრი ექოთი,
შექების გამო ვბოდიშობ,
მაგრამ მტერს ლექსით ვეყოფი!

*** *** ***

დანიელ ფიფიას შემოქმედების მკვლევარმა, მწერალმა და ჟურნალისტმა თამაზ ფიფიამ დანიელ ფიფიას თავდადების ამბავი ლექსად გარდათქვა.

*** *** ***

საკანს შერჩენილ ამ ლექსის
კითხვაში გაცვდა ქაღალდი,
სტრიქონებს, ჯავრში ალესილს,
ერთვოდა სხვათა ღაღადიც.
პოეტის ბედზე თქმულებამ
ზეპირმა გამოაღწია,
რაც გულის დარდის წნულებმა
სტროფებშიც გამოამწყვდია.

ვალერი ძაძამია,
ისტორიკოსი, პედაგოგი,
ლიტერატურულ გაზეთ „ნოჯიხურის“
რედაქტორი

კარლო მაქცარია — 100

კარლო მაქაცარია დაიბადა 1921 წელს. დაამთავრა ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლა. იბრძოდა საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც დაიჭრა და დემობილიზირებულ იქნა.

მშობლიურ ქალაქში დაბრუნების შემდეგ დაინიშნა სპორტ სკოლის დირექტორად. სხვადასხვა დროს იყო: ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ; კულტურისა და დასვენების პარკის დირექტორი; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პედაგოგი; ცენტრალური სტადიონის დირექტორი. სიცოცხლის ბოლო პერიოდში მუშაობდა ენგურჰესში. იგი ყველგან დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

თავისი ქვეყნის, ქალაქისა და ოჯახის მოსიყვარულე პიროვნება ბუნებამ უშურველად დააჯილდოვა როგორც გონებით, ასევე ფიზიკურად. გამორჩეული სილამაზის პატრონი, ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი ფეხბურთელი იყო. თამაშობდა ზუგდიდის „დინამოში“.

კარლო მაქაცარიას დაბადებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ზუგდიდის სპორტის მუზეუმმა პანდემიიდან გამომდინარე მოკრძალებული ღონისძიება ჩაატარა და კარლო მაქაცარიასთან ერთად გაიხსენა გუნდის ის წევრები რომლებიც მასთან ერთად თამაშობდა: ხუტა ხვიტია (ზუგდიდის რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი), მიშურა სართანია, ანტუშა ქარჩავა, გულია და პანტე თუთბერიძეები, ბ. ხარებავა, გ. ჭელიძე, ნ. ქირია, ვალო ბულია, აბრეკ (შურა) მინჯია, კაკო ბარამია, ხოხოტია ჟღერია, ერემიდი, ბუხუტი შურღაია.

მხატვარი: მურმან დემურია

დღეს ამ გუნდიდან არცერთ არ არის ცოცხალი. კარლო მაქაცარიასთან ერთად პატივს მივაგებთ მათ მიერ განვლილ ცხოვრებას, ღვაწლს, რამეთუ ისინი იცავდნენ ჩვენი ქალაქის — ზუგდიდის ღირსებას.





როლანდ მაქაცარია,
ზუგდიდის ფეხბურთის ფედ. პრეზიდენტი,
ზუგდიდის სპორტის მუზეუმის დამფუძნებელი
და ხელმძღვანელი

ალექსანდრე (ალიკო) ჟღენტი

2021 წლის 4 სექტემბერს 76 წლის ასაკში გარდაიცვალა ბუმბერაზი ქართველი, კინორეჟისორი, სცენარისტი, საქართველოს უახლესი ისტორიის მემატიანე, პოლიტიკოსი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ალექსანდრე ჟღენტი. ზვიადისა და მამულის უერთგულესი პიროვნება სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე...

ალეკო ჟღენტი დაიბადა 1945 წლის 4 აპრილს. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის არაბული ქვეყნების ისტორიის სპეციალობაზე; 1971 წელს დაამთავრა ი. კ. კარპენკო-კარის სახელობის კიევის კინოსა და თეატრის ინსტიტუტში კინოსარეჟისორო ფაკულტეტი.

1972 წლიდან მუშობდა რეჟისორად კინოსტუდია „ქართულ ფილმში“; 1990 წელს იყო ინიციატორი ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებისა; 2002 წელს სპორტული კინოსა და ტელევიზიის მსოფლიო დღის დაარსების ინიციატორი. სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორია ფილმებისა: „მონადირე“ (1970), „ცოტნე დადიანი“ (1971), „ამბავი აფხაზი ჭაბუკისა“ (1977), „სტადიონი“ (დოკუმენტური, 1980), „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!“ (დოკუმენტური, 1987), „პირველი ეროვნული“ (დოკუმენტური, 1990), „საქართველოს ზარები“ (დოკუმენტური, 1993), „ქართული ფეხბურთი 110 წლისაა“ (დოკუმენტური, 2011) და სხვ.

2008 წელს ქ. ბათუმში გამართულ მართლმადიდებლური ფილმების III საერთაშორისო ფესტივალზე მიენიჭა პრიზი „წმინდა ანდრიას ჯვარი“ — კომუნისტური რეჟიმის პერიოდში შემოქმედებითი გამბედაობისათვის.

სხვადასხვა დროს იყო: ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა სექციის თავმჯდომარე (1978-1982); ვასილ ამაშუკელისა და ალექსანდრე წუწუნავს საზოგადოების დამფუძნებელი (1991 საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი (1978); 1990-1991 წწ. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, საარჩევნო ბლოკი: „მრგვალი მაგიდა — დამოუკიდებელი საქართველო“, საარჩევნო ფორმა: მაჟორიტარული, მაჟორიტარი ჩოხატაურის №84 საარჩევნო ოლქიდან, საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი; ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს (1990 წლის 9 აპრილი); საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი (2005); საქართველოს საპარლამენტო კინორეფორმის კომისიის თავმჯდომარე (1991); საქართველოს სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის პრეზიდენტი (2003); საქართველოს სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი (2008); საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საექსპერტო კომიტეტის თავმჯდომარე (1990-1991)

1977 წელს მიენიჭა აფხაზეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

*** *** ***

„გისამძიმრებ, საქართველო!

რა ვთქვა! როგორ ამოვთქვა! რაღა ვთქვა? როგორ მოგისამძიმროთ, ქალბატონო მარინე, თქვენ, ყველა მის ახლობელს, საკუთარ თავს, საქართველოს? არადა, წუხელ გვიან ველაპარაკეთ ტელეფონზე ... როგორ განვიცდი, ვბღავივარ... ჩვენი უდიდესი მეგობარი და მხარდამჭერი, ჩვენი ტელეკომპანია PK-TV-ს უდიდესი ქომაგი და ერთგული, არა უბრალოდ მაყურებელი... გულანთებული მამულიშვილი და მოყვარული თავისი მიწისა, ერისა, ადამიანებისა... უდიდესი კინორეჟისორი და ერთგულების მეტრი... არ მინდა დაჯერება იმ ამბისა, რაც ახლა ქალბატონი მარინესგან (მარინე კერესელიძე) შევიტყვე...

ბატონო ალიკო, ბატონო ალექსანდრე, გეფერებით ბევრს... ძალიან მიყვარხართ. ძალიან გვიყვარხართ მეც, ზაქარიასაც (როჩიკაშვილი), კოტესაც (ორჩხიძე)...

დაგემშვიდობოთ? არა, თქვენ სულ ჩვენთან იქნებით თქვენი სულით, იმ დიდი და მოსიყვარულე გულით, თქვენი ფილმებით, თქვენი ხმით... რამდენი მასალა — ვიდეოკადრი თუ აუდიო მაქვს აღებული თქვენთან და ჩემთვის შენახული... სულ მეუბნებოდით, ახლა არაა მაგისი გამოქვეყნების დრო, მერე, მერე იყოსო... სულ ამაზე ვკამათობდით... როგორ მოგვენატრებით, უკვე, ამ წუთიდანვე, ვიცი... გეფერებით. ვინღა

მეყოლებით, მითხარი, ერთგული მეგობარი და დამცველი? თქვენ წახვედით, გურამ ლაკია წავიდა, ირაკლი დოკვაძე მძევლადაა 30 წელია, ციხეში... როგორ გახშირდა და გაუფასურდა სიკვდილი? მაგრამ თქვენ სულ ცოცხალი იქნებით, პირადად ჩემთვის...

გეფერებით და შეხვედრამდე იქ, ზეცად, ბატონო ალეკო. ძალიან გვიყვარხართ". – წერს თავის სოციალურ გვერდზე ჟურნალისტი ქეთი სესიაშვილი.

წყარო: ეროვნული ფილმოგრაფიის პორტალი: geocinema.ge; საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი: parlament.ge; საქართველოს პარლამენტის წევრები 1990-2015/კობა ამირხანაშვილი. — თბ., 2015, გვ 295.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲒᲣᲩᲣᲐ

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი დეპუტატი, წალენჯიხის რაიონის პრეფექტი ზურაბ გუჩუა.

ზურაბ გუჩუა 1948 წლის 19 აპრილს წალენჯიხაში დაიბადა.

1979 წელს თსუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, მუშაობდა რაიონულ გაზეთში კორესპონდენტად, ასევე სოფელ ლიის ადმინისტრაციაში. 1990 წლიდან იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი, საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს" მაჟორიტარი.

1991 წლის 9 აპრილს ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე.

1991 წლის თებერვლიდან იყო წალენჯიხის რაიონის პრეფექტი.

სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას, მონაწილეობდა დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93 წწ) და ზუგდიდის (1993 წ.) სესიებში, იყო ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის წევრი.

საქართველოს პრეზიდენტის მკვლელობის შემდეგ პოლიტიკურ დევნილობაში იმყოფებოდა. რუსეთსა და გერმანიაში ცხოვრობდა 1994-2004 წლებში.

ის აღიარებული იყო პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შეიქმნა, საზოგადო მოღვაწის ზურაბ გუჩუას (წალენჯიხის რაიონის ყოფილი პრეფექტი) დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგელობით:

გიორგი ხარჩილავა — კომისიის თავმჯდომარე (წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი).

თამარ ბელქანია — კომისიის წევრი (წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე).

კორნელი კვარაცხელია — წევრი (წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი).

თამარ კვარაცხელია — კომისიის წევრი (ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორი).

ლევან ქარდავა — კომისიის წევრი (ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი).

რამინ გოგოხია — კომისიის წევრი მოწვევით.

შახი ლატარია — კომისიის წევრი, მოწვევით (საზოგადოება „წალენჯიხელის" თავმჯდომარე).

*** *** ***

კიდევ ერთი შავლეგო წავიდა ... ზურაბ გუჩუა ეგ სახელი და გვარი აერთიანებს ღირსებას, ერთგულებას, ბავშვურ სიწრფელეს, რაინდულ შემართებას. ეს სახელი და გვარი ჩვენი უახლესი ისტორიის იმ ფურცლების ნაწილია, ახლად შობილი საქართველოს წინააღმდეგ აზვავებული მტრობის, სისხლისღვრის შესახებ რომ გვიყვება; საქართველოს პირველ და ჭეშმარიტად ღირსეულ, ხელდასხმულ პრეზიდენტს რომ დაუპირისპირდნენ, „ზვიადის გათავისუფლებული საქართველო არ მინდა!“ ბოღმით იარაღი აიღეს ხელში... (და შედეგს დღემდე ვიმკით...). ეეჰ! რამდენადაც მძიმეა ის რეალობა, იმდენად მსუბუქად ზიდა მამულიშვილობის ტვირთი ზურაბ გუჩუამ.

მოსაყოლი ბევრია; რომელი ერთი ვთქვათ:ვთქვათ თუნდაც ეს,ცოტნე დადინისეულად 22 დეკემბერს ტყვიის წვიმაში პარლამენტის ბუნკერში ჩასვლა-პრეზიდენტისა და თანამოაზრეების გვერდით რომ ყოფილიყო განსაცდელში... 24 ივნისის ხაფანგის შედეგად ციხეში ტანჯვა — შეიარაღებული ბანდის წევრები ხელფეხშეკრულს რომ სცემდნენ გამეტებით,სასტიკად; ამავე მდგომარეობაში რამდენიმე რომ აწევდა და ხელს გაუშვებდნენ.ამით იცხრობდნენ ალბათ უკიდურეს აგრესიას... მერე გროზნო — მოლოდინი ხუნტის დამარცხების, სამართლიანობის აღდგენისა. მერე: დევნა ტყე-კლდე-ღრეში. შეხვედრა პრეზიდენტთან ჩქვალერის ტყეში. კარავი და სიმბოლური მრგვალი მაგიდა. დევნა დაგეშილი სპეცსამსახურების მიერ, შევარდნაძის ბრძანების ფონზე: „მე გამსახურდია ცოცხალი არ მჭირდება!“ ვინ იცის, რამდენჯერ რამდენი ბეწვის ხიდი გაიარა იმ უსაზარლესი დევნის ჟამს. აღასრულა ბოროტმა ოცნება ბნელი — პრეზიდენტის მკვლელობა... მის მომხრეებზე გაამძაფრეს ნადირობა. ზურაბ გუჩუა წავიდა პოლიტიკურ დევნილად უცხოეთში, ხოლო წლების შემდეგ დაბრუნებული აეროპორტშივე დააკავა შევარდნაძის მთავრობამ. ზვიად გამსახურდიას ერთგული ქართველი მათთვის მიუღებელი იყო. ბრალდებას ერქვა „სამშობლოს მოღალატე“ ... გვახსოვს, ასე იყო ხუნტის ზეობისას: ბნელს ნათელი ერქვა, ბოროტს — კეთილი... მაშინ, როცა თავიანთ თავყრილობებზე ტაშის გრიალით ხვდებოდნენ ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციის მოთხოვნას, რათა ქვეყანა დაელაგებინათ (ირინა სარიშვილის ერთ-ერთი განცხადება) რას უნდა გაეკვირვებინე... დიახ! ამ წლებს აღწერა უნდა: ზუსტად, ნათლად... და ჩვენი ზურა... ჩვენ შავ-თეთრი ზოლით შინდისფერმა დროშამ გაგვაერთიანა. ვიდექით ერთად თავისუფალი საქართველოსთვის, ვისაც როგორ შეგვეძლო ... გუჯა და ზურა, სულიერის გარდა, სისხლისმიერი ნათესავებიც იყვნენ, „ხმათა მეუფეს„ ორივე დაჯილდოებული ჰყავდა. მათი „შავლეგო“ „წინ წყარო“, „ლალე“ განსაცდელსა თუ ლხინში თავის მისიას ასრულებდა. ვაი, რომ სულ რამდენიმე კვირით ადრე გუჯამ გაასწრო ზურას იმიერში, შინდისფერი დროშა გაატანეს საგალ გზაზე. ჩვენი საძმო ჩემი ბიოგრაფიის უფაქიზესი, ულამაზესი ნაწილია... წახვედით და დაგვაობლეთ. უთქვენოდ სიმღერის ყველას მოერიდება. ჩვენს მეგობრობას განზომილება შეუცვალეთ, ძმებო... თქვენ იმიერ სამყაროში გვეგულებით ამიერიდან, ჩვენ ამიერში დაღმართზე ვდგავართ. პირნათელი მიუხვალთ უკეთეს საქართველოს... მამულის სიყვარულისთვის, ერთგულებისთვის დალეწილ ბიჭებს ... ბევრ, ბევრ მართალს. ჩვენ გვჯერა: „სიცოცხლე იმასვე ნიშნავს, რასაც მუდამ ნიშნავდა. იგი ისევ ის არის, რაც იყო, ძაფი არ გამწყდარა...“ (ნეტარი ავგუსტინე). უფალს ებარებოდეთ, მზედალეულნო: ზურაბ და ელგუჯა, მარადიულ ნათელში დაგამკვიდროთ ყოვლად მოწყალე მაცხოვარმა.

ᲜᲔᲡᲢᲐᲜ ᲤᲘᲤᲘᲐ,
ეროვნული მოძრაობის წევრი, ფილოლოგიის დოქტორი,
შ. მესხიას სახ. უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲛᲔᲣᲜᲐᲠᲒᲘᲐ

იმუნოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი ვახტანგ მეუნარგია 87 წლის ასკში, 2022 წლის 27 იანვარს გარდაიცვალა.

ვახტანგ მეუნარგია დაიბადა 1935 წლი 25 სექტემბერს ქალაქ ზუგდიდში, ცნობილი ექიმის ვალერიან მეუნარგიასა და თამარ შონიას ოჯახში. ოქრის მედალზე დაამთავრა ზუგდიდის ვაჟთა სა-



შუალო სკოლა, ხოლო 1959 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 1959-1965 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ასპირანტი. საკანდიდატო დისერტაციის თემა — „ლიმფოციტების, ვირუსების და სამიზნე უჯრედების ურთიერთმოქმედების ექსპერიმენტული შესწავლა“, დაიცვა 1969 წელს.

ვახტანგ მეუნარგია სხვადასხვა დროს იყო: თბილისის ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მოსკოვის ექსპერიმენტული და კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი, თბილისის ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; თბილისის აკადემიკოს გრიგოლ მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი. სიცოხლის ბოლო პერიოდში მუშაობდა დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში,სამედიცინო მიკრობიოლოგიის და იმუნოლოგიის სასწავლო კურსის ხელმძღვანელად.

ავტორია 96 სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიის ავტორია 96 სამეცნიერო ნაშრომისა სიმსივნეების, ლეიკოზების, ლიმფოპროლიფერაციული დაავადებების იმუნოლოგიის საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია: „იმუნოლოგიური ამოცნობის მოლეკულური და უჯრედული ასპექტები“ (რუსულ ენაზე, “მეცნიერება”, 1988). მისი ხელმძღვანელობით დაცულია 7 საკანდიდატო დისერტაცია. მიღებული აქვს საავტორო ჯილდოები (1987, 1988, 1991); ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). იმუნოჰემატოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 7 საკანდიდატო დისერტაცია.

1990-1991 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი,საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოდან“,საარჩევნო ფორმა: პარტიული სიით, საქართველოს ეროვნული ფრონტი - რადიკალური კავშირი. ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი).

ზაურ მოლაშხია

ᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ქართველი პოეტი, გულანთებული მამულიშვილი, თავმდაბლობით გამორჩეული პიროვნება ზაურ მოლაშხია 75 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ზაურ მოლაშხია დაიბადა 1946 წლის 20 თებერვალს ზუგდიდს რაიონის სოფელ ძველ აბასთუმანში. სწავლობდა სოფელ ხეცერის შვიდწლიან სკოლაში; ოქტომბრის საშუალო სკოლაში; 1965-1970 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე (საქართველოს ისტორიის სპეციალობით). თსუ-ს გამოჩენილი მეცნიერის შოთა მესხიას რჩევით სადიპლომო ნაშრომად დაწერა „რუხის ბრძოლა“. შემდგომ ეს ნაშრომი გამოქვეყნდა.

1971 წელს მუშაობას იწყებს გამომცემლობა „განათლებაში“ გამომშვებად, ხოლო 1972 წელს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ტარიელ კვანჭილაშვილის შუამდგომლობით ინიშნება გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ერთ-ერთ რედაქტორად.

მისი პირველი ლექსი „ქარო, ქარო, გეხვეწები“ — დაიბეჭდა ქ. ზუგდიდის გაზეთ „მებრძოლში“. 1964 წელს მონაწილეობდა მოსწავლეთა მე-19 შემოქმედებით კონფერენციაში, სადაც პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა. მისი ლექსები, როგორც გამარჯვებულისა დაიბეჭდა რესპუბლიკურ პრესაში, გახმიანდა ტელევიზიასა და რადიოში. 1968 წლის იანვარში გაიმარჯვა საქართველოს ტელევიზიის მიერ მოწყობილ „ახალგაზრდა შემოქმედთა ფესტივალზე“. იბეჭდებოდა უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის ალმანახ „პირველ სხივში“, რესპუბლიკურ პრესაში, მისი ლექსები შეტანილია „ახალგაზრდა მწერალთა ანთოლოგიაში“, რომელიც 1970 წელს კიევში უკრაინულ ენაზე გამოიცა. 1971 წელს გამომცემლობა „მერანში“ ჩააბარა ლექსების პირველი კრებული „მზებუდობა“. მიუხედავად იმისა, რომ დაწერილი იყო რეცენზია, 1977 წლამდე მაინც არ გამოიცა „პარავოზების“ არარსებობის გამო („პარავოზები“ ეწოდებოდა ბელადზე, პარტიასა და კომკავშირზე დაწერილ ნაწარმოებებს).

მის პიროვნებაში, შესაძლოა, ჯერ კიდევ გაუცნობიერებლად, ყალიბდებოდა ფიქრი „ეროვნულ თავისუფლებაზე“, რის საფუძველსაც იძლევა ზემოთ ხსენებული ფაქტი. 1980 წელს თანამოაზრეებთან ერთად ავრცელებს ანტიიმპერიულ პროკლამაციებს, რომელშიც საქართველოს ანექსია — გასაბჭოების დღე — ოცდახუთი თებერვალი გლოვის დღედ იყო გამოცხადებული. იმავე წლის ზაფხულში ჯგუფთან ერთად აკავებენ. რამდენიმე თვის შემდეგ ლიდერებს ხუთ-ხუთი წელი მიუსაჯეს, დანარჩენებს, მათთან ერთად ზაურ მოლაშხიას, შეუფარდეს ადმინისტრაციული სასჯელი — მოხსნეს სამსახურიდან, შეუზღუდეს ბეჭდვა, აუკრძალეს ქალაქიდან გასვლა და ა.შ.

1980-იან წლებში აქტიურად მონაწილეობდა თითქმის ყველა საპროტესტო მიტინგსა და აქციებში. 1989 წლის აპრილში „კომენდანტის საათის“ პირობებში მონაწილეობს არალეგალურ ჟურნალ „ფენიქსის“ გამოცემაში, რომელშიც ზაურ მოლაშხიას ანტიიმპერიული ნაწარმოებია შესული. 1989 წლის ბოლოს ინიშნება საქართველოს მწერალთა კავშირის (თავმჯდომარე მუხრან მაჭავარიანი) ზუგდიდის რეგიონული განყოფილების პასუხისმგებელი მდივნის მოადგილედ.

1991-1992 წლის დეკემბერ-იანვარი... საქართველოს ეროვნული კანონიერი ხელისუფლების კრიმინალური ჩამოგდების შემდეგ მწერალთა ერთ ნაწილთან ერთად (მუხრან მაჭავარიანის მეთაურობით) პროტესტის ნიშნად დატოვა მწერალთა კავშირის ყრილობა (1992 წელი, მარტი), რის გამოც პოეტი „მსუბუქად“ დასაჯეს: გარიცხეს მწერალთა კავშირიდან, ჩაუშალეს საგამომცემლო თემატური გეგმით დასაბეჭდად გამზადებული წიგნი; ამოიღეს კოოპბინათმშენებლობიდან, მოხსნეს სამსახურიდან (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, №21, 1992 წლის 5 ივნისი).

მიუხედავად არაერთი წინააღმდეგობისა, ზაურ მოლაშხიას სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია პოლიტიკური აქტივობა. იგი იდგა ეროვნული, კანონიერი ხელისუფლების სადარაჯოზე, ასევე აქტიურად ეწეოდა შემოქმედებით მოღვაწეობას.

სხვადასხვა დროს თარგმნა და გამოაქვეყნა გოეთეს, მიცკევიჩის, პუშკინის, ლერმონტოვის, ტიუტჩევის, ბუნინის, გუმილიოვის, ესენინისა და სხვათა ლექსები. გამოსცა საკუთარი წიგნები: „მზებუდობა“, „გულს ყველაფერი ახსოვს“; „მიზიდულობა“; „ჟამი სასოებისა“, „ვარსკვლავთა ტალანი“, „დასაზღვრული უსაზღვრობა“ და სხვ.

ზაურ მოლაშხიას გარდაცვალებას გულისტკივილით არაერთი ცნობილი პირი გამოეხმაურა:

„ჭეშმარიტი პოეტი, ღირსებით შემკული და ქართული პატიოსნებით სავსე მეგობარი წაგვართვა ამ საშინელმა კოვიდმა — ზაურ მოლაშხია. აღარ გვყავს საქართველოსთვის მუდამ სანთელივით ანთებული ზაურ მოლაშხია, ვინც ისე თბილი და ყურადღებიანი იყო ყოველი ჩვენგანის მიმართ, რომ, თავი როგორც არ უნდა შევიკავო ახლა, მაინც მეტირება. ზაური ნამდვილი პატრიოტი იყო, რაც მის ლექსებშიც თვალნათლივ ჩანს... მისი ყოველი ლექსი სითბოთი გამოირჩევა. საქართველოს სიყვარულისთვის დასჯაც კი დაუპირეს საბჭოეთის დროს, მაგრამ ჩაერივნენ დიდებული ადამიანები და გადაარჩინეს...

აი, მისი ლექსიც:

ᲛᲖᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ

ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲠᲔᲙᲐᲕᲓᲐ, ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲤᲮᲘᲖᲚᲝᲑᲓᲐ,
ᲑᲖᲐᲓ ᲡᲐᲡᲝᲔᲑᲐ ᲓᲐᲣᲗᲔᲡᲘᲐ
ᲓᲐ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲘᲧᲝ ᲪᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲘᲗ
ᲩᲔᲛᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲖᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ.
ᲬᲕᲘᲛᲐ ᲛᲝᲔᲠᲝᲓᲐ ᲗᲣ ᲗᲥᲐᲠᲣᲜᲝᲑᲓᲐ,
ᲛᲣᲓᲐᲛ ᲘᲡᲛᲝᲓᲐ ᲩᲣᲛᲘ ᲒᲐᲚᲝᲑᲐ
ᲓᲐ ᲦᲣᲦᲣᲜᲔᲑᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲪ
ᲨᲔᲜᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲣᲕᲐᲚᲝᲑᲐᲡ.

და დამყურებდი მუდამ ზემოდან,
დამქონდა რწმენა, როგორც უღელი.
შენზე ვფიქრობდი, შენი მჯეროდა,
შენ გიჩოქებდი, ქედმოუხრელი.
ბოლოს დამტოვე, გაქრი სრულებით
და საძვალენი ჩუმად კვნესიან;
დავრჩით მარტონი, უერთგულესი
მე და მდუმარე მზის ეკლესია

ასეთი ჩუმი პოეზიით აღსავსე დიდი ლექსები შეუქმნია ზაურ მოლაშხიას და სწორედ ესაა გასათვალისწინებელი, მისთვის სამუდამო განსასვენებელი ადგილის მიჩენამდე, და არა ის, თუ რამდენი წიგნის ავტორია და რამდენი რეცენზიაა დაწერილი მის შემოქმედებაზე.

„ვუსამძიმრებ მის მეუღლეს, ქალბატონ ნატოს, მის შვილებს, ნათესავებსა და მეგობრებს; ვიზიარებ მათს უზომო მწუხარებას.

მშვიდობით, ჩემო ზაურ, უერთგულესო ძმაო და მეგობარო!

ეს კი, შენდამი მიძღვნილი, ნაუცბადევი და უბრალო ერთი სტრიქონი:

ქართველობა იარებით ნაკვესებ
გულიდანაც მოგიჩანდა ზეხატად,
საქართველოს სიყვარული სახეზე
ანგელოზის ფრესკასავით გეხატა!

— წერს აღმოსავლეთმცოდნე, მწერალი, პროფესორი ნომადი ბართაია (05. 01. 21).

აქვე გთავაზობთ ზაურ მოლაშხიას კიდევ ერთ მეტად საყურადღებო ლექსს **„მუდამ მინთია ერთი სანთელი!“**

მამით — მეგრელი, დედით — გურული,
სივრცე მაქ ნაბდად წამოხურული.
ჩანს იმედივით ჩემი გელათი,
იმერელი ვარ დედისდედათი
და უმტკიცესი კუნჭულ-კუთხეთი,
მათი ხელდასხმით, ლოცვა-კურთხევით:
— მუდამ მინთია ერთი სანთელი,
ერთი სახელი მქვია — ქართველი!!!
ამიტომ მე ვარ ნაღდი სვანი და
ჩემი სალოცავ-საესავითა
მე ვარ თუში და ფშაველ-ხევსური
და რას დამაკლებს ვინმე, ბნელსული...
ვარ აჭარელი, რაჭველი, მესხი...
მე იმდენი ვარ,ხან თავბრუც მესხმის!
მაგრამ... მინთია ერთი სანთელი,
ერთი სახელი მქვია — ქართველი!
მე ვარ მოხევე, ვარ ლეჩხუმელი,
მუდამ თბილი მაქვს ჩემი ღუმელი;
ზამთარში, როცა სტუმარს ველი და
ზაფხულში ვხვდები ტალავერითა!
რა მაქვს საჯრო ან დასამალი —
მე ვარ ქართლელი-გულით ალალი,
არ ვარ მშიშარა,უკანდამხევი,
რადგან ეს მე ვარ — მტკიცე კახელი!
მე ვარ ლაზი და... ისევ ის მესხი,
მე იმდენი ვარ, ხან თავბრუც მესხმის...
და, ჩემი ქვეყნის ყველა კუთხეთი,
მათი ხელდასხმით, ლოცვა-კურთხევით:
— მუდამ მინთია ერთი სანთელი,
ერთი სახელი მქვია —ქართველი!!!

ჩემო შერისხულო სამეგრელოვ

ჩემო გათელილო სამეგრელოვ,
ჩემო საწუხარო და ნაღველო,
მარადიულ სანთლად სანთებელო,
ტკივილიან ლეჭსად დაამღერო!

ეს რა ჟოლოსფრად დაინამა
შენი თოლიბე და.. ვაი, ნანა!

ჩემო შერისხულ სამეგრელოვ,
როდის მოგრჩება ნაგესლარი...
ცოცხლადვე ტუჩ-პირი ამეკეროს,
თუ შენი ვერა ვთქვა საკვნესარი!

ეს რა ჭიაფერად დაინამა
შენი შურიბე და... ვაი, ნანა!

გეგონა ქვეყნისთვის გაისარჯე,
სისხლად მერამდენედ დაიხარჯე:
ერთგულებისთვის დაისაჯე!
მწარე სიმართლისთვის დაისაჯე!

ეს რა მდუღარებით დაინამა
შენი ნანაბე და... ვაი, ნანა!

კვლავ მოლურჯდებიან აქ იები...
შეხედავ შეცდომილთ სიბრალულით;
დღეს ზურგმიქცეულნი ლაქიები -
ხვალ მოგრუნდებიან სინანულით!

ირგვლივ მწუხარებამ დაივანა
და.. ძილშიც ჩამესმის - ვაი, ნანა!

1992 წ.

ქარო, ქარო, გეხვეწები

ფეხშიშველად დარბის ქარი,
შემოივლის ფრენით ხევებს...
მერე მოვა, როგორც მთვრალი,
მაკოცებს და მომხვევს ხელებს.

სიხარულით ველზე ვწვები,
გულში ვიკრავ მთას და ბორცვებს...
— ქარო, ქარო, გეხვეწები,
ჩემს მაგივრად მას აკოცე!

1962 წ.

გოგი შონია

ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაშის პირველ გამგებელი და ე. შევარდნაძის პუტჩისტური რეჟიმის მიერ რეპრესირებული მამულიშვილი, შესანიშნავი პოეტი, სახალხო მთქმელი (უამრავი ლექსის ავტორი, მათ შორის, მეგრულის), ფილოლოგი, მრავალმხრივ განათლებული, უნიჭიერესი, ღირსეული ჭკადუაშელი გოგი შონია მოულოდნელად გარდაიცვალა.

მის მიერ წაკითხული საკუთარი ლექსები მსმენელში აღფრთოვანებას იწვევდა, მისი მქუხარე გამოსვლები ეროვნული მოძრაობის შეკრებებზე განსაკუთრებით გამოირჩეოდა; ფლობდა სიმღერის, ცეკვის, ხატვის, კალიგრაფიის, იუმორის ხელოვნებას. იყო ლიტერატურული, საზოგადოებრივი შეკრებების თუ პოეზიის საღამოების აქტიური მონაწილე. მის მიერ ომახიანად შესრულებული „მაგანა დო ჩხოუშია“ განსაკუთრებით შეიყვარა მკითხველმა.

ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი ზურაბ კვარაცხელია თავის სოციალურ გვერდზე წერს: „ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი ამას... ფენომენური იუმორის მქონე გოგი შონია უკვდავი მეგონა... ახავაი, რომ ეს მხოლოდ ილუზია აღმოჩნდა... ეჰ, ვინ იცის, რამხელა სევდასა და გულისტკივილს დაატარებდა თითქოსდა ხალისიანი, მაგრამ სინამდვილეში უნდობარი დროებით გულდამძიმებული გოგი... ის გარდაიცვალა... ნამდვილად არ ვიცი როგორ გამოვხატო ჩემი გულისტკივილი, მაგრამ ფაქტია, რომ გოგი შონიას ამ უეცარმა გარდაცვალებამ უაღრესად დამამწუხრა...

მის გარდაცვალებას ვუსამძიმრებ მის ძვირფას მეუღლეს, საყვარელ შვილებს, შვილიშვილებს... მის თითოეულ ჭირისუფალს... ვუსამძიმრებ მის ჭკადუაშს, ზუგდიდს, სამეგრელოს, სრულიად საქართველოს; მინდა ერს მივუსამძიმრო თავისი მოსიყვარულე და პატრიოტი შვილის გარდაცვალება... რა თქმა უნდა, გაქრობის პირას მყოფი მისი მშობლიური ენის, მისი „ნანაში ნინას“ გადარჩენისათვის მებრძოლ მის თანამოაზრეთაც მინდა მივუსამძიმრო...

უფალმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს გოგი შონიას სულს...

ჩქიმი გოგი, ღორონთქ განათას დო ოჩხონუას სქანი შური...“

წარმოგიდგენთ გოგი შონიას ორ ლექსს:

მაგანა დო ჩხოუშია

ზუგიდი მარდუ ქალაქი რე, იფართანებ დღაშე– დღაშა
კუჩხი ოდიშის უბიჯგ დო დუდი მიკუბიჯ მუნაფაშა,
აურე სნწას ქიმკუნჭირ დო ეურე მიდართ ჭითაწყარშა,
ნარაზენშა ოჭიში მიკუძ, ბრელი ვემეუძ ყულიშკარშა,
რუხი კისერც გიობუ დო ნაწულუკუს ოხუტოლ,
დახე ოდიში გიშელ დო კორცხელი გოჯუნ–გოდურჯოლ,
კუჩხობონ გეგნოზგენჯ, ჯოდეჯიანი დოჩაბახუ,
განარჯიაში მუხურც დო ანარკიას ქიგნაძახ.
შქა ასფალტის წყარი ეშახორცქ, „დუხოი მუზკა“ ახოლანც,
მანცხვარ–კარიში ხატიში სნთე, დუცუ მუნაბარჩხალანც,
ირდუქ, ირდუქ ჩქიმი ქალაქი, ჩქიმი ოდაბადეში გური,
სქანი გალუაფარი ჩქიმ დუდი დო სქანი შესაწირი ჩქიმი შური!
აურე სი რე გურც მიხარე, ეურე დმაჭუ შურ დო გურქ,
გვალო დიხაშა მითილ, ჩხოუშია უბედურქ,
ქართის მტკვარი დო ქუთეშის, რიონი გუშურც, არგოში შარა,
წენდიხას, წენწყარი მოხორცქ, სქურიში გვალაში ნაშაყარა,
სი მუ გოჭირ ჩხოუშია, სით შხვაზმა გიღუ ხანი,
ვართი სიტომბა მერჩამუ დო ვართი სიგრძა დო ხანი,
თაში მუქუ რე დგალუ დო თაში მუქუ რე დგაკოკუ,
მიში ჩხოუქუ ეშარხუპუ დო მიში ჯოღორქ ეშარლოკ,

ღორონთი ნარტი გემიონი, სქანწკმა მიღუ თხუალა:
ჩხოუშიაში გოძინა დო ზუბუდიში რდუალა!
ჯიჯე ფარა ქომჩასნი, ვართი მითინც მოუშიშა:
ჯვარც მაბანას ეუკუნა დო დუც ქუნწყუა ჩხოუშიშა,
ჟირი ხოლო წკონდა წყარი, წყურგილე დო ინჯაცალო,
ართი ლოგინშა მივაშქვათ, მოჯყუდუ დო სინჯაცალო,
წყარი მალ დო წყარ–მარჩხის, ირფელი მეურც მუშით,
ანარკიას გეკობღვილ, ჩქიმი ჯკარდუაშური ნ შით,
ღორონთი მალას ქომუჩანც, ფარაში ეფშა კალათის,
ჩხოუშიას გუოფშა დო გოფხვარჩალა ქალაქის!

ვიდრე რუსთველს არ ეზიარები

აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულ
ჩემს ყოფილ მოსწავლეს
მერაბ გედენიძეს

ვიდრე რუსთველს არ ეზიარები
„ვეფხისტყაოსნის“ სიღრმეში წვდომით,
მანამდე შენთვის რაღა აზრი აქვს,
ქართველი ხარ თუ მოჰოკის ტომის.
წამს ამაღლდები საკუთარ თვალში,
დაგეუფლება მეფური გრძნობა,
თურმე ყოფილხარ იმ ერის სისხლი,
რომელმაც შოთა რუსთველი შობა!
როს გადავშლიდი „ვეფხისტყაოსანს“,
გადმოჯდებოდი მერხზე პირველი,
ფართო შუბლით და ფართო თვალებით
აღქმა იცოდი გასაკვირველი!
როს გიხატავდით ბრძოლის სურათებს,
ელვა გიკრთოდა თვალში, ქორივით,
ტარიელისგან ნატყორცნი კაცი
რომ ტრიალებდა ტანაჯორივით!
როს სამშობლოზე ითქმოდა სიტყვა,
ჭმუნვა გიპყრობდა გაუსაძლისი,
ტყვე ნესტანი რომ სთხოვდა ტარიელს,
გადაერჩინა სამშობლო, თვისი!...
რამდენი გრძნობა გაგიხსნა წიგნმა,
დამათრობელი კაცის გულისა,
მაგრამ შენ ყველას ერთი არჩიე,
გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა!
შენი მამულის დღეგრძელობისთვის,
გული დაცალე, ყანწივით სავსე!
მეც მიდევს წილი შენს დაკარგვაში,
რომ შეგაყვარე სამშობლო ასე!
მაგრამ არც ჩვენ ვართ უკეთეს დღეში:
ნაზრახ სიცოცხლით მტერი ვაცინეთ;
ვერც უშენობას ვერ გადავურჩით,
ვეღარც სამშობლო გადავარჩინეთ!
უშენობას კი ვერ ვეგუებით,
ვერც შევეჩვევით მას ჩვენ არცროდეს!
შეჩვევა იცის მხოლოდ სიკვდილმა,
მოლოდინმა კი — აღარასოდეს!
მშობელ მიწისთვის ბევრი დაეცა
და გზა დიდების შენც პოვე მანდვე,
მაგრამ ვერ გპოვეთ ვერც დაცემულში,
არც გაცემულში წერილხარ სადმე...
მიწაზე შენს კვალს ვეღარ ვპოულობთ,
ცაში ყოფნა კი უკვდავთ ხვედრია!
რანაირი ხართ ეს მერაბები,
რა უკვდავების სენი შეგყრიათ?!...
იქნებ ღმერთი მთლად არ გაგვწყრომია
და ავდრიან დღეს შეგვიცვლის დარზე,
იქნებ დედაშენს ტანჯვის სანაცვლოდ
ჯილდოს მიაგებს სიბერის კარზე!
ყველა სალოცავს მოვუხმოთ ერთად
და უკუნ ღამეს შეგვიცვლის დღეზე,
კვლავ გალაღდები შენს ძმათა შორის,
კვლავ ამწვანდები სიცოცხლის ხეზე!
მოდი, რა, მერაბ!, დედას გაფიცებ!
გიხმობს მიწის და ზეცის ძალები,
დარდადქცეული მამის გული და
გაქვავებული დედის თვალები!
იჩქარე, მერაბ!
იჩქარე, ბიჭო!
მოუსწარ დედას, დარდისგან ძლეულს!
თორემ ბოლო აქვს დედის ლოდინსაც,
როდესაც
სული
დატოვებს
სხეულს!...

თენგიზ (ჩოქო) მხეიძე

ურავის დამნდობმა სიკვდილმა 2021 წლის 10 ნოემბერს ამქვეყნიურ სიცოცხლეს განაშორა სამშობლოს კიდევ ერთი გულმხურვალე პატრიოტი, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წევრი, მხატვარი, პოეტი, ყოფილი პოლიტპატიმარი, უღალატო ჯარისკაცი თენგიზ (ჩოქო) მხეიძე... მან ეს სამყარო დატოვა და მეორე სამყაროში — ზეციურ საქართველოში გადავიდა — გარდა-იცვალა, დიახ, კი არ მოკვდა, გარდაიცვალა!

ეროვნული მოძრაობის წევრთა რიგებს რომელიმე მოღვაწე ყოველდღე აკლდება. მათ თან მიაქვთ დარდი აუსრულებელ ოცნებაზე: — ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმულ ძლიერ, განუყოფელ, ერთიან საქართველოზე.

ჩოქო მხეიძე სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ერთგული თავისი მრწამსისა და იდეისა. ამაზე მეტყველებს მისი ერთ-ერთი „მოწოდება", რომელსაც თავისივე ლექსით ამთავრებს:

„არ ვიცი, რა გითხრათ, რით განუგეშოთ ამ ძნელბედობის ჟამს, როცა თავზე ზეცა გვექცევა და ფეხქვეშ მიწა გვეცლება — ზეცა ღმრთისა და მიწა წილხვედრი მარიამისა! ვშიშობ... ვერაფრით განუგეშებთ, უბრალოდ მოგმართავთ: თუ გინდათ პირნათელნი დარჩეთ ღმრთისა, ერისა და მომავალი თაობების წინაშე, კარგად დაფიქრდით, 30 ვერცხლად ნუ გაიყიდებით და მავანთ კიდევ ერთხელ ნუ მისცემთ თქვენი მოტყუების შესაძლებლობას თქვენივე ხმის მიცემით. ნუ ენდობით ამ უზნეო, სულგაყიდულ, ღმრთის მგმობელ ვაიპოლიტიკოსებს! თუ ოდნავ მაინც შეგრჩენიათ ღმრთის მოშიშობა და წმინდანების პატივისცემა, ნუ დაუფიქსირებთ თქვენს ხმას დიდი ზვიად გამსახურდიას პიროვნების აუგად მომხსენებლებსა და მისი უდიდესი ღვაწლის, ღვთაებრივი მისიის დამაკნინებლებს და მიმჩქმალავთ! არამც და არამც არ ენდოთ ამ გაქექილ... ყველანაირ უზნეობაზე თვალის დაუხამხამებლად წამსვლელ ვაიპოლიტიკოსებს! ხალხო, ნუთუ ვერ ხედავთ, რომ:

ღმრთის მგმობელები მზეობენ თვალწინ,
მხნეობა გვმართებს, ჯვარცმულო ერო!
არ დაგიფარავს უფალი აწი...
რადგან სატანურ საფარველს ფეროობ!
რამ დაგავიწყა წინაპართ ღვაწლი,
რამ დაგიშრიტა ძალი და სიმხნე!?..
ვიღაც მათხოვრულ ლუკმაპურს გაწვდის,

სურათზე დგანან: რენე კალანდიას ქალიშვილი ნინო, რენე, კალანდია, ???, რენეს მეუღლე — დალი ყალიჩავა, მარინე დამენია,. ზიან: რომანი ...; თინათინ მღვდლიაშვილი, თენგიზ (ჩოქო) მხეიძე.

პოეტ რენე კალანდიას სახლი. 1993 წ.



უფალი ერთხელ მაინც თუ იხმე?!
არადა გმართებს, გიყვარდეს იგი...
აბორიგენო ღმრთისმშობლის მიწის,
რაც შარყავი წესი და რიგი,
ავაჰმე! ჩემი მამული იწვის!...
ეს ბღავილია აზავერ ხარის!
ადიდგორება წინაპართ სისხლის,
ეს ხომ დრტვინვაა... მთისა და ბარის,
მეზარე... მაცნე სოდომურ რისხვის.
ავაჰმე! ჩვენი მამული იწვის!...
გული არ გტკივა ჯვარცმულო ერო?
ნუთუ არა გდის ცრემლები სიმწრის?
ღმერთო, არ ძალმიძს რომ დავიჯერო!

გფარავდეთ უფალი სამშობლოს საკეთილდღეოდ! ჰამენ!“

*** *** ***

თენგიზ (ჩოქო) მხეიძის გარდაცვალებას არაერთი თანამოკალმე და თანამებრძოლი გამეხმაურა დიდი გულისტკივილით:

„გზა მშვიდობისა, ნათელი სამყოფი, მეგობარო... კარგს თუ ვერას ეტყვი, ცუდსაც ნუ ეტყვი, გული არ დასწყდეთ... ნუ ეტყვი, რომ საქართველო ლამის წელშია გადაწყვეტილი და წამოდგომას ვეღარ ახერხებს...“ — წერს ერთ-ერთი მეგობარი („ლა ბელა“).

*** *** ***

„ქრისტესმიერი ძმა, თანამებრძოლი და მეგობარი იყო ჩემი — თენგო (ჩოქო) მხეიძე. ბევრი რამე გადაგვიტანია ერთად, გვიომია, გვიბრძოლია ყინვაში თოვლში, ქარში, მზეზე. ეროვნული სულისკვეთებით, სამშობლოს სიყვარულით ვანთებდით ერთურთს. დღემდე მოვედით სიამაყით, უამრავი განუხორციელებელი ოცნებით, ჩვენი ბიჭების დაკარგვის ტკივილით; რა ვთქვა, ძალიან მტკივა, მაგრამ, იცი რა? უფალს მადლობა, რომ მომეცა საშუალება სიკვდილის წინ მოგფერებოდი, მეთქვა უამრავი თბილი სიტყვა შენთვის, მეტირა, მეცინა. მინდა ჩემი წილი ბოდიში მოგიხადო იმისთვის, რომ სათანადოდ ვერ გაფასებდით, ვერ გიფრთხილდებოდით. უამრავ რამეზე გულნატკენი წახვედი ამქვეყნიდან და ამას ამიტომაც ვწერ. მართალნი ზეცაში პოვებენ შვებასა და სამართალს, ჩემო სულისმიერო მეგობარო, შეხვედრამდე, ჩოქო.“ — წერს ნანა უბილავა.

*** *** ***

„ ...და წავალ ქარში, როგორც მოცარტი,
გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით.“
გალაკტიონი.

დღეს შენი გარდაცვალება შევიტყვე, ძმაო, შენი შეერთება მარადისობასთან. ქარია თბილისში და ფოთოლცვენაა. ყვითელი ფოთლებითაა მოფენილი ქუჩები. გალაკტიონის ზემომოყვანილი ორი ტაეპი ამეკვიატა. წახვედი, ძმაო. წახვედი გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით. შენ მარადისობას შეუერთდი... თენგიზ (ჩოქო) მხეიძე — დიდგვაროვანი, დიდ ქართველ მოწამეთა კონსტანტინე და დავით მხეიძეთა შთამომავალი, თავადაც სამშობლოსთვის, ეროვნული ხელისუფლებისა და პრეზიდენტისთვის მრავალტანჯული და წამებული კოლხი რაინდი, დიდსულოვანი, დიდი ქართველი პატრიოტი, პოეტი, უმწიკვლო, თავისუფალი, როგორც არწივი მთისა, ბრწყინვალე მეოჯახე, მამა, მზრუნველი, მეგობრისა და ადამიანის უსაზღვროდ მოყვარული, შეუვალი, გვერდით მდგომი, უფაქიზესი, მგრძნობიარე, სუფთა, როგორც ახალშობილი... აი, შენი უბრწყინვალესი, წინასწარმეტყველური ლექსი, რითაც ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგი:

„მოგონებები უცებ განაზღნენ,
გონება წერას უსწრებს სულეთში,
თითქოს არც ვიყო ამ ქვეყანაზე,
მივექანები უსასრულეთში.
ძლივს დავაღწიე თავი სატანეთს,
ტყვიის ღრუბლებმა გადამიარეს,

გზად გაუსაძლის ტკივილს მატანენ,
ასე სჩვევიათ ადამიანებს.
მირონცხებული ანგელოსებით,
მნათობთა კრთომით ვირჩენ იარებს,
უკვდავებაში დაგელოდებით,
შემომიარეთ, შემომიარეთ...“ — ასე იგონებს მას ალექსანდრე დოლბაია და უძღვნის საკუთარ ლექსს:

ჩოქოს (სონეტი)

„...უკვდავებაში დაგელოდებით,
შემომიარეთ, შემომიარეთ...“
თენგიზ (ჩოქო) მხეიძე

როცა შემოვლას დავაპირებ, გეტყვი უცილოდ.
ახლა აქ ცუდი ამინდია, ვატყობ ზღვაშიერს,
უფალს რომ ქამი ბედისწერის გადაუცილო,
აღარ ებების, არ იქნება, ჯიმა, ვაშინერს!
შენ უკვე ზედა ფენებში ხარ, ჯვარზე ვნებულმა
რამდენ წამებას გაუძელი და დროს საშინელს.
მიდიხარ, სადაც დიდებულნი დავანებულან,
მათთან მოწყენა არ ებების, ჯიმა, ვაშინერს!
ქართული სიტყვის დიადემა გახლავს ამ გზაზე,
შენ ხარ მარტვილი, კოლხეთიდან, ძველი გენისა.
სამოთხის კართან ანგელოსი ჩამოჭკრავს ზარებს,
ნეტავ, ასეთი პატივგება სხვას ვის ეღირსა?
შეძრულან მთები, ზღვა ბობოქრობს და ცა მაშინებს,
მაგრამ ცრემლები არ ებების, ჯიმა, ვაშინერს!... “

(10/11/2021 წ.)

რეზო ჯიქია



ეროვნული მოძრაობის რიგებს კიდევ ერთ-ერთი აქტიური წევრი გამოაკლდა: 73 წლის ასაკში 2022 წლის 20 იანვარს მოულოდნელად გარდაიცვალა რეზო ჯიქია.

რეზო ჯიქია პირადად იცნობდა საქართველოს პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას. მასთან გროზნოშიც იმყოფებოდა.

იგი პირადი სახსრებითა და ცოდნით დიდ დახმარებას უწევდა ეროვნულ მოძრაობას. თუ რამ პროკლამაციები იყო გასამრავლებელი, იგი ამრავლებდა.

მას დიდი წვლილი მიუძღვის ზუგდიდში 1993 წლის დამდეგს, უმოკლეს დროში საქართველოს დაუმორჩილებლობის კომიტეტის ტელეარხის — „თავისუფალი საქართველოსა“ და 1993 წლის ივლისში სახელმწიფო რადიოსადგურ „თავისუფალი საქართველოს“ (ხელმძღვანელი ანზორ გვარამია) — შექმნაში. საინფორმაციო ვაკუუმის მიუხედავად, ამ არხებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მათი მეშვეობით მიეწოდებოდა ინფორმაცია სამეგრელოს მოსახლეობას. ტელევიზიას ხელმძღვანელობდა ედემ კვირტია, საინფორმაციო გადაცემები მიჰყავდა მარინე კაჭარავას, მოგვიანებით — დავით სოკოლოვს. ტელევიზიის მუშაობაში აქტიურად თანამშრომლობდნენ: რენე კალანდია; საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრები: ირინე

ტალიაშვილი და გურამ პეტრიაშვილი. ოპერატორები: ბადრი მაქაცარია, რეზო ჯიქია, რევაზ (ჭურა) ქარჩავა, მურმან ქაჯაია.

რეზო ჯიქია არა მხოლოდ ოპერატორი გახლდათ, არამედ იგი იყო ტელევიზიის ხერხემალი. მან ააწყო და მოაწესრიგა ტელევიზიის ტექნიკური მხარე. მაშინ, როდესაც მხედრიონი დათარეშობდა ზუგდიდში, იგი სპეციალური აპარატით სხვადასხვა ადგილიდან გადასცემდა ინფორმაციებს. მხედრიონელები მთელ ქალაქში დაეძებდნენ სასიგნალო ტექნიკასა და იმ ოჯახებს, საიდანაც გადაიცემოდა ინფორმაცია, მაგრამ — ამაოდ. აქ საყურადღებოა ფაქტი: არავინ გასცა ისინი, რაც მეტყველებს ზუგდიდელთა ერთიანობაზე. გარკვეული დროის შემდეგ რეზო ჯიქია საკუთარ სახლში აიყვანეს მხედრიონელებმა, რომელთაც ქუთაისელი ბუცხრიკიძე ხელმძღვანელობდა და ქუთაისის აეროდრომამდე ერთ-ერთ ავტოგაჩერებასთან შენობის კედელზე მიაყენეს ანრიდ სანაიასა და რობერტ ზარქუასთან ერთად, სამივე ფეხებში ტყვიით დაჭრეს. დაჭრილები 10 დღე ჰყავდათ ქუთაისის პოლიციის სამმართველოში, რამაც გააუარესა მათი ჯანმრთელობა და ბოლოს იძულებული გახდნენ, თბილისის ციხის საავადმყოფოში გადაეყვანათ, სადაც 25 დღე იმყოფებოდნენ.

რეზო ჯიქია მასმედიასთან შემდგომშიც აგრძელებდა აქტიურ თანამშრომლობას. კერძოდ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „ღია ბოქლომსა“ (რედაქტორი ილია ჩაჩიბაია) და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალ „დისკუსიას“ (რედაქტორი ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი მარინე დამენია) მატერიალურად ეხმარებოდა. ახალგაზრდებს უსასყიდლოდ გადასცა პრინტერი და ფოტოაპარატი. ეს იმ რედაქციებისთვის გააკეთა რომლებიც ენთუზიაზმზე მუშაობდნენ. მათ არა ჰქონდათ შემოსავლის წყარო და არც დამფინანსებელი ჰყავდათ. ამიტომ მათთვის ეგ დიდი დახმარება იყო. ორივე გამოცემა იმდენად აქტიური იყო, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში იგი განდევნეს შენობიდან და იძულებული გახადეს, დაეხურათ ჟურნალი.

რეზო ჯიქიას ღვაწლს ვერ ჩამოვთვლით.

რეზო ჯიქიას გარდაცვალების გამო ეროვნული მოძრაობის წევრებთან ერთად დიდ გულისტკივილს განიცდის ჟურნალისტების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: მარინე დამენია, სოფო ხუბულავა, ლორა ქობალია, სოსო ხოფერია, ხვიჩა ახალაია, ილია ჩაჩიბაია...

ნათელი დაადგეს მის ხსოვნას.

სურათზე: ილია ჩაჩიბაია („ღია ბოქლომის“ რედაქტორი), ხვიჩა ახალაია, რეზო ჯიქია, მარინე დამენია (ერ. მოძრაობის წევრი, ჟურნალ „დისკუსიის“ რედაქტორი), სოფო ხუბულავა, ნათია ბერულავა, თეა მიშველია, სოსო ხოფერია.
საზოგადებრივ-პოლიტიკური ჟურნალ „დისკუსიის“ რედაქციაში. 2007 წ.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲚᲐᲙᲘᲐ

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის ვეტერანთა „კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 77 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს ღირსეული მამულიშვილი, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უერთგულესი თანამებრძოლი, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი, გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი გურამ (როზლანდ) ლაკია. ვუსამძიმრებთ მის თანამეცხედრეს ქ-ნ თამარს, მის შვილებს, შვილიშვილებს და ყველა ახლობელს! განსაკუთრებით ვუსამძიმრებთ უახლოესი თანამებრძოლის და თანამეჭაპნის დაკარგვას საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის სარდალს, ბ-ნ ვახტანგ (ლოთი) ქობალიას და მის ფიცგაუტეხელ თანამებრძოლებს, რომელთან ერთადაც ღირსეულად განვლეს ისტორიის ქარტეხილები და დღესაც ერთ მუშტად შეკრულები აგრძელებენ სამშობლოს საკეთილდღეოდ მოღვაწეობას!

დაკრძალვა ხუთშაბათს, 2 სექტემბერს, დღის 2 საათზე. ქალაქი ფოთი, კონსტიტუციის ქუჩა 130.“ ასეთი იყო სამწუხარო ნეკროლოგი.

გურამ ლაკიას გარდაცვალებას არაერთი ადამიანი გამოეხმაურა:

„...ვუსამძიმრებ მის ოჯახს, მის თანამებრძოლებს, ეროვნულ გვარდიას! ბ-ნ ვახტანგ ქობალიას, ეროვნული მოძრაობის აქტივს, ვისთვისაც სამაგალითო და პატივსაცემი იყო ბ-ნი გურამი! ღმერთმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი! სიცოცხლის ბოლომდე ეროვნული ფასეულობების ერთგული დარჩა! ბ-ნი გურამი არა მხოლოდ საველე სამხედრო პირობებში იბრძოდა, არამედ აქტიური დამცველი იყო ეროვნული მოძრაობის სამოქალაქო ფლაგმანის!“ — ირაკლი შონია.

„..ის იყო ჭეშმარიტი მამულიშვილი და ჩვენი გაუბედურებული სამშობლოს ერთ-ერთი მეცხოვნე... ის იყო სულით სპეტაკი და აზროვნებით სადი მოღვაწე... ის იყო ბრწყინვალე ადამიანი... ნამდვილად დასანანია, რომ ის ვერ მოესწრო საფიცარი კოლხა-იბერიის გამთლიანებას და აღორძინებას... ვუსამძიმრებ ბატონი გურამის ოჯახს... ვუსამძიმრებ ეროვნულ მოძრაობას... ვუსამძიმრებ სამეგრელოს და სრულიად საქართველოს... უფალმა გაანათოს და აცხონოს მისი სული...“ — ზურაბ კვარაცხელია.

არარერთი მსგავსი სამძიმარი გამოითქვა სოციალურ ქსელში.

მკითხველისთვის, უფრორე ახალი თობისთვის, ნათელი რომ გახდეს, თუ ვინ იყო გურამ ლაკია, აქვე მოვიყვანთ მის სამ წერილს, რომელიც სოციალური ქსელის მისსავე გვერდში იყო გამოქვეყნებული.

*** *** ***

„საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, რომელიც 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა, ეწინააღმდეგებოდა როგორც რუსეთის, ისე აშშ-ის ინტერესებს. რუსეთი იბრძოდა იმპერიის შენარჩუნებისთვის, ხოლო აშშ-ს, რომელიც უკვე მსოფლიოს ბატონობაზე აცხადებდა პრეტენზიას, არ სჭირდებოდა პლანეტაზე კიდევ ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამიტომ რუსეთს, რომელიც იმ პერიოდში უკვე იწყებდა ეკონომიკურად მუხლებზე დაჩოქებას, ამერიკამ შავი სამუშაო შეასრულებინა და მისი ხელით საქართველოში კანონიერი ხელისუფლება დაამხო. ეს იყო ალენ დალესის პროგრამით მოქმედი შავი ძალების გამარჯვება.“

*** *** ***

„... ხვალ 6 იანვარია!

ხვალ, დილის 4 საათზე, შეიარაღებული კრიმინალური ბანდიტები მეტეხის ხიდთან ჩაგვცხრილავენ ავტობუსებში! მე არაერთხელ მაქვს ვრცლად აღწერილი ხუნტის შეიარაღებული კრიმინალური ბანდების მიერ ჩადენილი ეს სისხლის სამართლის დანაშაული, ვინაიდან თვითონ ვარ ამ დანაშაულის მსხვერპლი.

მე დღესაც ვატარებ მარჯვენა ფილტვში AK-7-ის 5,45 მმ ავტომატის ტყვიას. ასეთი ავტომატი ჰქონდა გოგა ხაინდრავას, რომელიც მას უფეშქაშეს ამიერკავკასიის რუსეთის შეიარაღებული ძალების საოლქო შტაბში, ГРУ-ს დავალებების შესრულებისათვის. მეტეხის ხიდთან მე სულ 5 ტყვია მომხვდა: — ორი სახეში, რის შედეგადაც დავკარგე მხედველობა მარცხენა თვალში; ერთმა მარცხენა მკლავი სახსარში გადამმტვრია, რომელსაც წელიწად ნახევრი ვმკურნალობდი, ხუთი ქირურგიული ოპერაცია გადავიტანე, მიუხედავად ამისა, მკლავი სახსარში მხოლოდ ნახევრად იმართება; ერთი AK--74-ის 5.45 მმ ტყვია

მარჯვენა ფილტვშია, რომელიც მარცხნიდან მომხვდა. მან რამდენიმე მმ-ით აუარა გვრერდი გულს და მარჯვენა ფილტვში დაიდო ბუდე; ერთმა ტყვიამ ტყავის ქურთუკი გახია.

გოგა ხაინდრავა გვიმტკიცებს, რომ ის მეტეხის ციხეთან სიბნელეს იღებდა!!! გოგა ხაინდრავას არაკაცობამ ჯაბა იოსელიანიც კი გააკვირვა (იხ. „სამი განზომილება“).

დღევანდელ დე-ფაქტო ხელისუფლებას გოგა ხაინდრავა იდეოლოგის რანგში ჰყავს აყვანილი. ამაზეა ნათქვამი, „ძაღლი, ძაღლის ტყავს არ დახევსო!“ დე-ფაქტო ხელისუფლებამ, რამდენიც არ უნდა წაისვას სახეზე ფერ-უმარული, ის მაინც რჩება ხუნტის მემკვიდრედ!

ღმერთი ფარავდეს საქართველოს!“

*** *** ***

ეროვნული გვარდიის ვეტერანთა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის გურამ ლაკიას მიმართვა ხალხს:

„არა — ნაციონალურ მოძრაობას!

არა — ჯალათების რეჟანშს!

თანამემამულენო, თანამებრძოლებო, ძმებო, დებო და შვილებო! ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძვით ჩვენი სამშობლოს-საქართველოს დამოუკიდებლობის, ერთიანობისა სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ამ ბრძოლაში ბევრი თანამებრძოლი დავკარგეთ, ბევრმა იწვნია ციხე, წამება, დევნილობა და უსამართლო რეპრესიები. მარადიული ხსოვნა გმირებს!

ჩვენ ვიყავით და ვრჩებით მხედრული ფიცის ერთგულები, რომელიც დავდეთ — ღ მ ე რ თ ი ს, ე რ ი ს, კანონიერი ხელისუფლების და უმაღლესი მთავარსარდლის — ზ ვ ი ა დ გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა ს წინაშე! ჩვენ მხარდამხარ ვიბრძოდით ქვეყანაში კანონიერების აღდგენისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის. ჩვენი სლოგანია — „საქართველო, უპირველეს ყოვლისა!“

1991-1992 წლების კრიმინალურმა შეიარაღებულმა გადატრიალებამ, ოკუპანტი ქვეყნის (რუსეთის) სპეცსამსახურებთან თანამშრომლობით დაამხო კანონიერი ხელისუფლება და უკანონოდ მიტაცებული ძალაუფლების გასამტკიცებლად 1993 წლის ნოემბერში მოუხმო ოკუპანტი ქვეყნის (რუსეთის) შეიარაღებულ ძალებს ადმირალ ბალტინის მეთაურობით საქართველოს დასავლეთი ნაწილის საოკუპაციოდ. რა უბედურებაც მოუტანა ჩვენს ქვეყანასა და ერს ხუნტამ ე. შევარდნაძის მეთაურობით და ხუნტის ნაბუშარი მ. სააკაშვილის არაადამიანურმა, სადისტურმა რეჟიმმა, ყველასათვის ნათელია.

ხუნტის მიერ ქვეყანაში გაჩაღებულმა შეიარაღებულმა დაპირისპირებებმა იმსხვერპლა ათობით ათასი ადამიანის სიცოცხლე; საქართველომ დაკარგა თავისი ტერიტორიების 20 პროცენტზე მეტი. ასობით ათასი ადამიანი იქცა დევნილად და უპოვრად საკუთარ სამშობლოში; მოშლილია ქვეყნის ეკონომიკა, სიდუხჭირემ აიძულა მილიონზე მეტი თანამემამულე გადახვეწილიყო საზღვარგარეთ ლუკმაპურის საძებნელად, სადაც ეწევა დამამცირებელ საქმიანობას და იდევნება.

ქართველი ერი დღესაც განიცდის სიდუხჭირესა და უიმედობას. ეს გამოწვეულია პოლიტიკური პარტიის ქართული ოცნების — მიერ განხორციელებული საკადრო პოლიტიკით. ხელისუფლებაში დარჩნენ სახელმწიფო და სისხლის სამართლის დამნაშავენი. ამას კოჰაბიტაცია დაერქვა. ხელისუფლებაში მყოფთა უმრავლესობას არანარი მონაწილეობა არ მიუღია დამოუკიდებლობის მიღწევასა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში. ისინი მედროვენი არიან და არა სახელმწიფო მოღვაწენი. მედროვეები ძალაუფლებას იყენებენ პირადი კეთილდღეობის და არა სახელმწიფოს აღმშენლობისთვის. ხელისუფლებაში მასობრივად არიან მოკალათებული არაპროფესიონალი, უვიცი, ავანტიურისტი ადამიანები. პოლიტიკური პარტიის — ქართული ოცნების — მიერ დაშვებული შეცდომები უნდა ვაღიაროთ და გამოვასწოროთ!

ხუნტისა და ხუნტის მემკვიდრე ნაცების ოცწლიანი მმართველობა იყო დანაშაულებრივი, კრიმინალური, არაადამიანური, სადისტური. მათ ჩაიდინეს სახელმწიფო და სისხლის სამართლის დანაშაულები; საზოგადოების დასაშინებლად ქუჩაში ხოცავდნენ ადამიანებს, ციხეებში დანერგეს კრიმინალური, არაადამიანური, სადისტური სისტემა; უკანონოდ რეპრესირებულთ ციხეებში აწამებდნენ, ხოცავდნენ, მათზე ძალადობდნენ. ნაცების სლოგანი იყო — „ყველანი ციხეში!“ „სულს ამოგხდით!“ ხუნტისა და ნაცების ძალადობრივი რეჟიმის მიერ ჩადენილი სახელმწიფო და სისხლის სამართლის დანაშაულები დღემდე არ არის გამოძიებული, დამნაშავენი — დასჯილი. დაუსჯელი დანაშაული განმეორებადია!

გახსოვდეთ! — ძალაუფლების წყარო ხალხია! ჩვენ ყოველთვის ვიდექით და ვდგავართ სამშობლოსა და ერის სამსახურში.

თანამემამულენო, თანამებრძოლებო, ძმებო, დებო და შვილებო! — ნაცების მობრუნება ხელისუფლებაში დიდი საფრთხის შემცველია ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის, დამოუკიდებლობისა და მთლიანობისთვის!

არა — ნაციონალურ მოძრაობას!

არა — ჯალათების რეჟანშს!

საქართველო, უპირველეს ყოვლისა!

ღმერთი ფარავდეს საქართველოს!“

რეზო ასმავა

ერთმანეთის მიყოლებით საწუთროს ტოვებენ დიდებული ადამიანები... აი,კიდევ ერთმა ჩემთვის ერთობ ძვირფასმა უფროსმა მეგობარმა, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელმა რეზო ასმავამაც დაასრულა ამქვეყნიური ცხოვრება და მარადიულობაში გადაინაცვლა... ისე მოხდა,რომ განგებამ უამრავ ადამიანს შემახვედრა და დამაახლოვა... რეზო ასმავა მათ შორის უდავოდ იყო ერთ-ერთი საუკეთესო და გამორჩეული... რეზო ასმავა იყო მეომარი და ჩვენი საბრალო სამშობლოს მამაცი მეცხოვნე... რეზო ასმავას სახით ეროვნულ შენობას,სამწუხაროდ, კიდევ ერთი მძლავრი ბურჯი გამოეცალა... ახავაი, რომ რეზო ასმავა ვეღარ იხილავს საფიცარი კოლხა-იბერიის გამთლიანებასა და აღორძინებას... ახავაი, რომ რეზო ასმავა, თავისი საყვარელი აფხაზეთის თვალწარმტაც სანახებსაც ვეღარ იხილავს... ახავაი... ახავაი... ახავაი...

...ვიზიარებ რეზო ასმავას ოჯახის მწუხარებას და ვუსამძიმრებ... ვუსამძიმრებ მის თითოეულ ჭირისუფალს... ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობას ვუსამძიმრებ... ნამდვილ საქართველოს ვუსამძიმრებ...

...უფალმა გაანათოს და აცხონოს რეზო ასმავას სული...

რეზო, ჯიმა, სქანი შური ჩხონაფეედას!...

ზურაბ კვარაცხელია,
ეროვნული მოძრაობის წევრი

ზვიად ქობალია

— რა ხდება! რა პანტაპუნტით და ყოველგვარი დაფასების გარეშე მიდიან ეროვნული ცნობიერების ადამიანები. ხელისუფლება დუმს. როდემდე გაგრძელდება ასე?!

კოტე ნაჭყებია,
პედაგოგი და პოეტი

ქართველებს, მეტადრე მეგრელებს, არ მიწყინოს სხვა კუთხის მცხოვრებლებმა, გენში აქვთ ბრძოლა მამულისათვის. აქ გმირებს კი არ ხრდიან, ისინი იბადებიან. სწორედ ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ის, რომ 15-16 წლის ბიჭები ეროვნულ გვარდიაში ეწერებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო აწ განსვენებული ზვიად ქობალია.

აი, როგორ იხსენებს ვახტანგ (ლოთი) ქობალია თავისი შვილის გვარდიაში ჩარიცხვის ამბავს:

„..1989 წლის 15 ივლისს მერაბ კოსტავამ მებრძოლების მეთაურად დამნიშნა და მითხრა: „შენ ინიშნები ამათ მეთაურად და უხელმძღვანელებ ხვალინდელ ოპერაციას!“

ამ დღიდან ჩამოყალიბდა ზუგდიდის მებრძოლთა ჯგუფი, რომლის ბაზაზე შემდგომში ქართველ „შავარდენთა ლეგიონის“ სახელით სამაჩაბლოში კონფლიქტის დროს სოფელ ავნევში დავიდეთ ბინა და, სანამ შევარდნაძის ბანდებმა არ შეუტიეს მთავრობის სასახლეს, მანამდე იქ ვიმყოფებოდით.

ჩვენთან მოდიოდნენ ძალიან ახალგაზრდა ბიჭები, საბჭოთა ჯარებიდან გამოქცეული ჯარისკაცები, რომელთაც სურდათ ემსახურათ ქართულ არმიაში. ამ დროისთვის ჩემი შვილები ზვიადი და დათა — აღმოსავლური ორთაბრძოლის თანრიგოსნები — 15-16 წლისანი იყვნენ და მომთხოვეს ჩამეწერა მებრძოლთა სიაში. მიუხედავად ჩემი უარყოფისა, ერთ დღეს, როცა ერთი ჯგუფი მიმყავდა ავნევში (სამაჩაბლოში) მორიგეთა შესაცვლელად, ორივე იარაღასხმული მანქანაში დამხვდა. ჩემმა მეუღლემ (ნელი) თვალცრემლიანმა შესტირა ვალტერ შურღაიას, რომელიმე მაინც დამეტოვებინა, მაგრამ რომელ დედას უყვარს თავისი შვილი ასაკისა და მიხედვით. დიდია თუ პატარა, დედისთვის სულერთია. 18-19 წლის ყმაწვილები მიმყავდა საბრძოლველად სამაჩაბლოში და ჩემს შვილებს ხელს როგორ დავაფარებდი? ორივე ყველა საომარ ოპერაციაში იღებდა მონაწილეობას.“

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლოთი ქობალიას თავისი ვაჟიშვილებისთვის არასოდეს რაიმე სახის შეღავათი არ მიუცია, პირიქით, იქ მიჰყავდა, სადაც საფრთხე იყო ჩასაფრებული. აი, ამისი ერთ-ერთი მაგალითი.

სამაჩაბლოში სამი ზუგდიდელი — რაფავა ჯანო დურუს ძე, ენდელიანი რომან შოთას ძე, ყურწუა პაატა ედიშერის ძე — ოსებმა დახვრიტეს. ორი მიცვალებული წამოასვენეს, ჯანო რაფავას გამოსასვენებლად კი ისინი ლოთის სთხოვდნენ, უიარაღოდ მისულიყო, სამხედროებს მიმართა, ვინ გამყვებითო? ყველამ თავი გამოიდო, შენ კი არა მე წავალო... ლოთიმ მათ გადახედა და ბოლოს თავისი 16 წლის შვილი ზვიად ქობალია წაიყვანა იმ მოტივით, თუ ვინმეს მოკლავდნენ, პასუხი საკუთარი ოჯახის წინაშე ეგო და არა სხვის წინაშე....

მას შემდეგ ზვიადის იარაღი ხელიდან არ გაუგდია. სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა საფიცარ მამულს, პრეზიდენტს, ეროვნულ გვარდიას, პოლიციას...

ომგამოვლილი, გამოცდილი, დავაჟკაცებული ქვეყნისა და ერისთვის თავდადებული პატრიოტი, პოლიციის ოფიცერი ზვიად ქობალია 2021 წლის 31 მარტს, 46 წლის ასკში, მოულოდნელად გადავიდა ზეციურ საქართველოში.

მის გარდაცვალებაზე ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი ირაკლი შონია წერს: „კალამი არ მიტრიალდება, რა დავწერო? გაოგნებული და გულშეძრული ვარ მომხდარი ტრაგედიით... ვერ ვიჯერებდი ზვიად ქობალიას წასვლას ამ ქვეყნიდან, ასე უცაბედად, ასე თავზარდამცემად.. სანამ საკუთარი თვალით არ ვიხილე... და რაოდენ ძნელია ანუგეშო უკიდეგანო მწუხარებაში მყოფი მშობლები, მეუღლე, ძმა, შვილები...

ეს ის ამბავია, როცა სიტყვებიც უძლურია. ბატონო ვახტანგ, არ ვიცი, რა გითხრათ, თქვენი სახლი სოფელ ოდიშში მუდამ ღია იყო ყველა ღირსეული მამულიშვილისთვის; ის დღეც კარგად მახსოვს, თქვენს ზვიადს საკუთარი ხელით რომ ჩაცვით სამხედრო ფორმა საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად! და ასეც დარჩება ჩემს მეხსიერებაში თქვენი ვაჟი..

31 მარტი თქვენთვის სამუდამო საწუხარად იქცა.... მიიღეთ ჩემი სამძიმარი, ბატონო ვახტანგ, ვუსამძიმრებ თქვენს მეუღლეს ქალბატონ ნელის, მოვედი მაგრამ ვერაფერი შევძელი მეთქვა... ვუსამძიმრებ ზვიადის მეუღლე ხათუნას, შვილებს, რომელთათვისაც ღირს სიცოცხლის გაგრძელება...“

ზვიად ქობალიამ მარადისობაში დაიმკვიდრა თავისი ადგილი, სადაც მართალნი განისვენებენ!“

მარინე დამენია
ეროვნული მოძრაობის წევრი



ზალოგ კვარაცხელია

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის ვეტერანთა რიგებს 2021 წლის 22 ნოემბერს მოულოდნელად გამოაკლდა სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, შესანიშნავი მამულიშვილი, უერთგულესი თანამებრძოლი და უღალატო მეგობარი, წალენჯიხის ბატალიონის მეთაური ზალოგი კვარაცხელია.

ამჯერად მისი განვლილი ცხოვრებიდან ერთ დამახასიათებელ ფაქტს გავიხსენებთ: გასული საუკუნის ბოლოს შევარდნაძის სადისტურ ციხეში იგი ვაჟკაცურად უძლებდა გაუსაძლის ტანჯვა-წამებას. მან გამოაჩუქურთმა დიდი ჯვარი და ლურსმნებით მიიჭედა ზედ თავი, ამაზე მეტი რაღა უნდა მაწამოთო!!!

ამ აუნაზღაურებელ, ამქვეყნიურ დანაკლისს ვუსამძიმრებთ მის მეუღლეს, შვილებს, მამას, დედმამაშვილებს, უახლოეს ნათესავებსა, მეგობრებსა და თანამებრძოლებს!

ღმერთმა ნათელში დაუმკვიდროს მის სულს ადგილი, უკვე მარადისობაში აღვლენილ მის უამრავ თანამებრძოლთა გვერდით!!!

გამოსვენება კვირას, 28 ნოემბერს, 14:00 სთ-ზე, მისამართი: ქ. თბილისი, ხომლევის ქუჩა, №54 (ვარკეთილის პლატო, ყოფილი „სახანძრო დახმარების შენობა“).

საქართველოს რესპუბლიკის
ეროვნული გვარდიის
ვეტერანთა კავშირი

სამეგრელოს

ჯიხაშკარში შაშვი გალობს,
მაფშალია — ოდიშში...
ვერვინ დასცემს სამეგრელოს,
მტერთან — დიდი ბოდიში!..
ო, ეს მწვანე გორაკები, ჭრელა-ჭრელა ქედები...
დადიანის ნაბადნარში მტრედები და გედები.
ტყაშმაფა და ოჩოკოჩი, ზღაპრები და ოდები...
მანცხვარკარის ლურჯ გორაზე მარმარილოს ლოდები!..
მარმარილოს ლეგენდები, მარმარილოს ბიჭები...
მიწა, ასგზის საფიცარი, — უფლის დანაბიჭები!..
სამეგრელო — საქართველოს სიმღერა და მითია...
მზის სარკმლიდან პეიზაჟებს ხატავს გოჩა ჯიქია.
ჩხოუშიას ზღვისფერ ტალღებს, ნეტავ, ვინ უნანავა?..
პონტოს ზღვიდან თბილისის ზღვას უცქერს ნუგზარ შანავა.
სამეგრელოვ, მტერს და მომხდურს, ვიცი, არ ეპუები,
ღამეს თეთრად გითენებენ ძმები ესებუები!..
ძმები ვაწაძეები და როგავა და ბულია...
ზვიად, ზაზა, ბესო, მერაბ, ედემ დაგარგულია...
მტრები ისევ სისინებენ... მიდიან და მოდიან...
ცხენისწყალთან ვერ ისვენებს, ალბათ, ვახტანგ ნოდია...
ტყეში ისევ იმართება საიდუმლო სეროობა...
მაგრამ, იცავს სამეგრელოს ქრისტეს დიდი მხედრობა!..
მაგრამ, მაინც გათენდება დილა — თვალებმზიანი
და აღსავლის კარს შეაღებს რომან ბენდელიანი.
მაგრამ, მაინც იზეიმებს მუხა, — ცამდე აწვდილი
და იმღერებს „ოდოიას" სენაკი და მარტვილი.
ციხე-გოჯთან დედამოკას ვეღარ სდევნის არაბი,
ბუხრის პირას შეითხზვება ონარიის არაკი.
გაბრწყინდება საქართველო, — ლურჯი და უნაპირო,
კახი კოლხეთს შემოსძახებს, — სქანი გოლუაფირო!..
თუ ბიჭი ხარ, მიდი, აბა, ეს მთა-გორა დასძარი?!.
გესმის? ღრუბლის ტახტზე რეკავს წალენჯიხის ტაძარი!..
ჯიხაშკარში შაშვი გალობს,
მაფშალია — ოდიშში...
ვერვინ დასცემს სამეგრელოს,
მტერთან — დიდი ბოდიში!..

თინათინ მღვდლიაშვილი
2000

UDC (შაპ)3+0013(051)
ს-175



საბაქართული

ეს სიტყვა გულში აყვავდა, ვით გულისაბას ყვავილი,
მეჩამე ხელებში აბალდა — გულითვე ამოყვანილი.
ამირანისაკენ ვიოტვე, როს ჩავამთვარდი თვალებში,
ავდეკ და, დედიშოზილა, გავფუთნე ტის ფართალებში.
ირმის რძე ჩამოვუფველე, არტ ხოხბის დამიკლია და
ჯავრისაკვაც გავაბუჩიე, როგორც კი დაკბილიანდა!
დვთისმშობელს მოვანათლიე — მცხეთას ნადუდი მირონით,
ფასკუნჯის ფრთებით ვუჯალე ლაყვარდთა სანაკირონე;
უსუჯის ფარბი ვუმშვილდე, ვამშია ფარ-ხმლის ხმარებაა,
დეკს რომ უმხარა, გენახათ, იასტის ახარხარებაა!..
რთველი ვართველე, რა რთველი — ხართვალა,
მტევნებიდელა,
ტანთ თუთარჩელა ვარჩიე, დამე გავხადე — დინდველა;
სამეფო ბვართი ვუკვართე, კვერთხიც ვუკურთხე, ისეთი...
მთლა შიშით გადაბაბანდა უბურთხი სამიზბითეთი!
გულს გავეოლნე: — ეგეგის, ვადა ივითნოს — ვადამდე!..
ოგბის ფრთით შემოვუთარგე — ნიკოფსით დარეშანდამდე...
„დედაენიდან“ ამოვსხი ანბანსისამა იები,
ხან სული მიუნიავა, ხან — ყამყამ-ფარფალიები.
“სიტყვის ბონაც” რომ გავშალე... ნეტა, თავად გეხილათ,
ვით ალადდა და აბადდა — მაღლარ სიტყვათა ხეხილად!
ფარშევანგის ფრთა მოვართვი, ვით ვაბადრეფდი ბატისას,
მაფშალიამაც ურეშვინა, ჯიერმე იმ ნისკარტისა.
გულის გრაალით დავლოცე: — მტერიმც გეხილოს ძლეული,
დვთისენად ამოგემხილოს ის ფარულზოსიმეული!..
აყ მართლა უნდა იმეფოს — ვეფხისტყაოვმემოგვართულმა,
დედოფალსიტყვა მოჯგვარეთ, რომ ძეც შვას საბაქართულმა!

ISSN-9078N
9 772667 907008

ლაშა გასარია